644/
1961/

3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

9

ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ტ. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8547

9

1961

შინაარსი

ს. ჭილაია — ჩვენი მწერლობის უმთავრესი ამოცანა 3
ტ. ტალაგაძე — ახალგაზრდა დელეგატი . . 9
მ. მირნელი — ლექსები 13
ს. კორინთელი — სანამ ცოცხალი ხარ (რომანი. გაგრძელება) 16
თ. ჯანგულაშვილი — ხარობდეს მიწა ამ მზით, ამ დარით 47
მ. კახიძე — ლექსები 49
შ. სამადაშვილი — ძმები (მოთხრობა) . . 51
შ. ნიშნიანიძე — პატარა გოგოს მამიკო უყვარს (ლექსი) 56
ო. შალამბერიძე — ლექსები 58
ე. ვიტორინი — ერიკა (მოთხრობა. თარგმნა ბ. მირცხულავამ) 60
თ. ჯაფარიშვილი — ლექსები 80

მწერლის არქივიდან

ბ. რჩეულიშვილი — მოთხრობები . . . 82

ჩვენი ადამიანები

ლ. სულაბერიძე — კომუნიზმის თაობა . . 91
ა. კოკილაშვილი — მოჭადრაკეთა სოფელი . 97

მოგზაურის დღიური

ა. ღვინიაშვილი — კუბა 101

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. მარგველაშვილი — ცხოვრება, ისტორია, ლიტერატურა (გაგრძელება) . . . 111

სექტემბერი

ბამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. ბერიძე — პოეტური გარდასახვის გზა . . 120
თ. ბეგიაშვილი — „ქართული კლასიკური მეცნიერმეტყველება“ 123
მ. გიქიმეურელი — წიგნი თეატრალურ მოღვაწეზე 127
ს. გამსახურდია — საზოგადოებრივ-ისტორიული აზრის განვითარება მე-11 ს. საქართველოში 130

წიგნის თარო

დ. ჩაკვეტაძე — წიგნი ისტორიის გამოჩენილ მკვლევარზე 137
ნ. ალანია — მონოგრაფია მივიწყებულ მოღვაწეზე 139
ს. ჯორბენაძე — სასარგებლო წამოწყება . 141

მოგონებანი

რ. ქორძია — მოგონებანი ნიკო ნიკოლაძეზე . 143

სპორტი

ს. პოპოვი — ჩემპიონი, მწვრთნელი, პედაგოგი-ნოვატორი 147
ბ. ქორძია — ადამიანი მიაპობს წყალს... . . 151

ყოველი მხრიდან

ქრონიკა 154

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკ. № 1530. უე 03712. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 5.700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი ჭიღაია

ჩვენი მწერლობის უმთავრესი ამოცანა

ოქროს ვერძის მიმტაცებელი ბერძენი იაზონიდან მოკიდებული, ვინ მოთვლის, ვის არ უთელია საქართველოს მთა-ველი, ვის არ უჭლეტია ქართველი ერი, ვის არ უნგრევია შრომითა და ოფლით აშენებული საქართველოს ქალაქები და სოფლები. გარეშე, ურიცხვ მტერთაგან გარშემორტყმული პატარა საქართველო მუდამ მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში იცავდა თავს და საუკუნეების მანძილზე ასე შეინარჩუნა თავისი ეროვნული მეობა. ურიცხვ ბრძოლებში დაუძლურებული და დასუსტებული საქართველო ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა ეროვნული ჩაგვრისა და გაჩანაგებისაგან, რბევისა და აოხრებისაგან. ოქტომბრის რევოლუციამ ქართულ მიწაზე ახალი კვალი გაავლო და ამ ხნულზე აღმოცენდა საბჭოთა საქართველო, მისი ახალი ეკონომიური ცხოვრება, მისი ახალი კულტურა, ხელოვნება და მწერლობა.

საქართველოს ტრაგიკული ისტორია, მისი გმირული სული მემატიანეთა სიზუსტით აღწერა და გადმოსცა ჩვენმა დიდმა კლასიკურმა მწერლობამ. ქართველი კაცის ფიქრი და ოცნება, მისი სანუკვარი იდეალები და მისწრაფებანი ყველაზე სრულყოფილად ქართულმა მწერლობამ შემოუნახა შთამომავლობას. ქართულმა მწერლობამ არა მარტო ასახა საქართველოს ისტორიული წარსული,— მანვე აღზარდა და გამოაწრთო ქართველი კაცი გაუტეხელი ეროვნული ვნებებითა და მისწრაფებებით, უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის დაუღალავი სურვილებით. რუსთაველის ცნობილი სიტყვები — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ — მუდამ დროშად მიუძღოდა ქართველ კაცს ურიცხვ მტერთან ბრძოლაში.

ქართული მწერლობა მუდამ გვერდში ედგა ქართველ ხალხს ჭირსა და ლხინში, ომსა და შრომაში და ზრდიდა მას თავისუფლების საუკეთესო იდეალებითა და მისწრაფებებით. ამიტომ ჩვენში განსაკუთრებით უყვარდათ და უყვართ ქართული მწერლობა — ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის ეს უდიდესი დარგი. ქართველ კაცს „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო დიადი და სანუკვარი არაფერი გააჩნდა და შემთხვევითი როდი იყო, რომ ქალისათვის მზითევში გატანებულ ნივთთა შორის ყველაზე ძვირფასი და ყველაზე პატივსაცემი „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

მაგრამ წასულია იმ ერის საქმე, რომელიც მხოლოდ წარსულით ცოცხლობს და აწმყოში არაფერი აქვს საამაყო და სათაყვანებელი. ქართველ კაცს სრული უფლება აქვს იამაყოს მისი თანამედროვე ცხოვრებით, მისი თანამედროვე ლიტერატურით; უფრო მეტიც: თუ ჩვენ პირუთვნელნი ვიქნებით ისტორიის მიმართ, მაშინ უნდა განვაცხადოთ, რომ ქართველ ხალხს არასოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონია ისეთი დიდების დღეები, არასოდეს ყოფილა ის ისეთი მთლიანი და ერთიანი, არასოდეს ყოფილა ისეთი მშვენიერი და ბრწყინვალე, როგორიც არის დღეს. ეს დიდი ბრწყინვალება ქართველ ერს ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა, ეს დიდი ფრთები ქართველ ხალხს ახალმა საქართველომ გამოასხა. ქართული საბჭოთა ლიტერატურა — მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის კანონიერი მემკვიდრე — ახალი საბჭოთა საქართველოს პირმშოა. დიდმა ოქტომბერმა ქართული ლიტერატურა ახალი გზით წარმართა, ახალ ხმაზე ააწყო, საბჭოთა ხალხის სამსახურში ჩააყენა. არ ყოფილა საბჭოთა ხალხის ისტორიაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ქართული საბჭოთა ლიტერატურა მხურვალედ არ გამოხმაურებოდეს.

საბჭოთა ლიტერატურამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოქტომბრის რევოლუციის ისტორიულ მონაპოვართა განმტკიცების საქმეში. მან ჩვენს ხალხს ჩაუნერგა უდიდესი სიყვარული და პატრიოტული გრძნობები თავისი დიადი საბჭოთა სამშობლოს მიმართ. ამავე დროს თვით ოქტომბრის რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა დიდი გარდამქმნელი, აღმაფრთოვანებელი გავლენა ქართული ლიტერატურის მომავალზე. სოციალისტური მშენებლობის პათოსმა გარდაქმნა და აღზარდა მწერალთა მთელი თაობები. ახალმა საქართველომ გამოიყვანა საბჭოთა ლიტერატურის დიდ შარაგზაზე ბევრი დეკადენტი და კამერული ყაიდის მწერალი; საბჭოთა საქართველოს პირობებში აღიზარდა ძველი და ახალი თაობა, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ღირსეული მემკვიდრე, ახალი საბჭოთა საქართველოს მემატიანე — ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

თუ თვალს გადაავლებთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვლილ გზას, სიამაყით შეგიძლიათ თქვათ, რომ შეიქმნა მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ეპოქის ღირსეულ ძეგლებს: ისინი ისევე დარჩებიან ჩვენი ეპოქის მხატვრულ დოკუმენტებად, როგორც ჩვენი ხალხის შრომითა და ოფლით შექმნილი ზაჰესი და რიონჰესი, შესანიშნავი ფაბრიკები და ქარხნები, გზები და ხიდები, ჩვენი რესპუბლიკის რუკაზე გაჩენილი ახალი ქალაქები და რაიონები. ქართული მწერლობის მიღწევები დიდი ხანია გასცილდა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს და საყოველთაო მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები რუსული ენის საშუალებით მსოფლიო ლიტერატურის დიდ შარაგზაზე გავიდა და ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავისი მაღალი სახელი დაიმკვიდრა... ყველაფერი ეს იმის მეოხებით მოხდა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა განუყრელად დაკავშირებული იყო ოქტომბრის რევოლუციის გზასთან, ახალ, სოციალისტურ საქართველოსთან.

ჭეშმარიტად საოცარ ეპოქაში ვცხოვრობთ. ჩვენი თაობა მოწმე და მონაწილეა ზღაპრული ამბების სინამდვილედ ქცევისა. ვერც ერთი ქვეყნის ვერც ერთ ენციკლოპედიაში ვერ იპოვნით სიტყვას „ადამიანი კოსმონავტი“. ახლა ჩვენს თვალწინაა ორი ადამიანი — ორი საბჭოთა კოსმონავტი. გაივლის წლები, საუკუნეები, მოვა სხვა ხალხი, სხვა თაობა, უფრო დიდი სასწაულების მოწმე და მონაწილე, მაგრამ მუდამ დარჩება ისტორიაში, როგორც ადამიანის გონების უმაგალითო მიღწევა, გაგარინისა და ტიტოვის გაფრენა კოსმოსში.

გონების, ინტელექტის, მეცნიერების ეს არნახული გამარჯვება არ შეიძლება არ იყოს ყოველი ადამიანის, ყოველი საბჭოთა მოქალაქის შრომისა და ცხოვრების შთამაგონებელი მაგალითი; და არ შეიძლება არ იყოს პირველი შთაგონებითი საგანი საბჭოთა მწერლობისა, დაე მათ ეს გასაოცარი მიღწევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის ინტელექტისა იმისათვის გამოიყენონ, რომ უფრო გაბედულად დახატონ საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყარო, მათი გასაოცარი ნებისყოფა, განსაკუთრებული ღირსებანი.

მაქსიმ გორკიმ მწერლობას ადამიანთმცოდნეობა უწოდა. ეს სიტყვა სავსებით ზუსტად გამოსახავს ყველა ეპოქისა და ყველა დროის მწერლობის ხასიათს. მაგრამ მაინც ფაქტია, რომ მწერლობის წინაშე არასდროს არ მდგარა ისე მწვავედ ადამიანის სულის გამოხატვა, ახალი ადამიანის აღზრდის საკითხი, როგორც დღეს. მწერლობა გვერდში უნდა ამოუდგეს ჩვენს ხალხს ამ დიდ სახალხო მოძრაობაში და უნდა აჩვენოს ახალი ადამიანის სახე მთელი მისი მრავალფეროვნებითა და სიდიადით, ამაღლებულად, განზოგადებულად, რომანტიკულად, იმრიგად, რომ ეს წიგნები საბჭოთა მკითხველთან ერთად ათევდეს ღამეებს, მისი სულის ზიარი, მისი შთამაგონებელი და გზის მანათობელი ხდებოდეს, ახლა უმთავრესი არის ახალი, მაღალი ინტელექტის მქონე, დაუცხრომელი მებრძოლისა და მშრომელის — საბჭოთა ადამიანის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ჭუჭყისაგან განთავისუფლებული ახალი საბჭოთა ადამიანის გამოსახვა, მისი გმირული დღეების ჩვენება.

ყოველი საბჭოთა ადამიანი, შახტებში მუშაობს ის თუ დაზვაზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ მეცნიერულ ლაბორატორიებში, საწერ მაგიდას უზის იგი თუ ჭოგრიტით ჭვრეტს ზეცას, — შთაგონებულია კომუნისტური პარტიის იმ დიადი იდეებისა და ამოცანების შეგნებით, რომლებიც ასე ნათლად არის გამოსახული ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტში. ჩვენი ხალხი მას სამართლიანად უწოდებს ახალი კომუნისტური საზოგადოების ენციკლოპედიას; მასში ხედავს თავისი უფრო ბრწყინვალე ხვალინდელი დღის, დიდი შშენებლობის კონტურებს, რომლის იქით მოჩანს ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ახალი ქალაქები და რაიონები, ახალი სოციალისტური სოფლები და დაბები. ეს დიდი პროგრამა გულისხმობს მრავალერიან საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ნაციონალური რესპუბლიკის კიდევ უფრო განვითარებასა და აყვავებას. ეს დიადი გეგმა გულისხმობს საქართველოს უფრო მშვენიერ და უფრო ბრწყინვალე ხვალინდელ დღესაც, მასში ნათლად მოჩანს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, საიდანაც უფრო მშვენიერი გამოჩნდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, მისი ინდუსტრიული სახე, უფრო გამდიდრდება და გამშვენიერდება ჩვენი ენა, ჩვენი კულტურა, ჩვენი ხელოვნება; უფრო ამაღლდება და განვითარდება, უფრო გამდიდრდება და გამშვენიერდება ჩვენი მწერლობა. ყველაფერი ეს ავალებს ქართულ მწერლობას უფრო ამაღლებულად და განზოგადებულად გამოხატოს ქართველი ხალხის მაღალი ინტელექტუალური ინტერესები, ისე, რომ საბჭოთა მკითხველი მასში ნათლად პოულობდეს თავისი სანუკვარი ფიქრებისა და ოცნებების გამოსახვას.

როდესაც პარტიის დიად გეგმას ეცნობი და მის გრანდიოზულ მასშტაბს წარმოიდგენ, არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ გაიმსჭვალო. არ შეიძლება არ იგრძნო მაღალი პასუხისმგებლობა იმისა, თუ რა წვლილს შეიტან შენ ამ დიდი საქმეების განხორციელებაში. ეს დოკუმენტი ჩვენს მწერლობას მოუწოდებს, ეძახის, აქეზებს, რომ ეს დიდი საქმეები შესაფერის მხატვრულ ძეგლებში გამოსახოს, ასახოს ჩვენი ქვეყნის დიადი შრომითი რომანტიკა და სილამაზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა არ იშურებს თავის ნიჭსა და ძალას, ინტელექტსა და შრომას, რათა გამოსახოს ჩვენი დრო, ჩვენი ეპოქა, ჩვენი ადამიანები. საქართველოს მწერალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირმა, მისმა განყოფილებებმა, ჟურნალ-გაზეთებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის შესახვედრად მზადებას დაუმორჩილეს მთელი თავისი მუშაობა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისიდან 20 ქართველი მწერალი მივლინებული იქნა ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში, მსხვილ საწარმოებსა და ობიექტებზე. ისინი ახლა იქ ეცნობიან ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომას, წერენ ნარკვევებსა და მოთხრობებს, ნოველებსა და ლექსებს. მწერალთა კავშირს განზრახული აქვს ყრილობის დღეებისათვის გამოსცეს ნარკვევებისა და სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებთა დიდი კრებული, რომელშიაც ნაჩვენები იქნება ჩვენი ადამიანების, ელექტროსადგურების, მშენებლობების, ფაბრიკა-ქარხნების მოწინავე მუშების, საკოლმეურნეო მინდვრების წარჩინებული ადამიანების ცხოვრება და შრომა. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თანამედროვეობის თემამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ყოველ ნომერში შეხვდებით ნარკვევებს, ლექსებს, მოთხრობებს ჩვენი მღელვარე ცხოვრების შესახებ. ისინი თემატიკურად, წერის მანერით, სტილით, ავტორის სინამდვილესთან დამოკიდებულების ხერხებით ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი მთავარი პათოსი ჩვენი თანამედროვე ცხოვრებაა, ჩვენი თანამედროვე ადამიანები არიან. ამ ლირიკულ ლექსებს, ნარკვევებსა და მოთხრობებს ჩვენი მკითხველები ყოველდღიურად ეცნობიან და არა მგონია ახლა საჭირო იყოს მათი სათითაოდ ჩამოთვლა. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე დიდტანიან მხატვრულ ნაწარმოებს, რომლებიც ყრილობისათვის მზადების პერიოდში გამოქვეყნდა. მხედველობაში მაქვს აკაკი ბელიაშვილის „შვიდკაცა“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ და გრიგოლ აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“.

აკაკი ბელიაშვილი ამ ბოლო წლებში ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ახალი მუშათა კლასის წარმომადგენელთა სახეების შესაქმნელად. ვრცელი რომანის „ვეფხია ხალიბაურის“ შემდეგ, — რომლის ადამიანები ჩვენი რესპუბლიკის რუკაზე გაჩენილი ახალი ქალაქის, რუსთავქალაქის მეტალურგები არიან, — ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ახალი ვრცელი მოთხრობა „შვიდკაცა“. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მეშახტეთა ქალაქის, ჭიათურის ფონზე გამოსახა მან სკოლის მერხებიდან მაღაროებში სამუშაოდ წასული ახალგაზრდების შრომითი ცხოვრება და საქციელი. „მნათობში“ გამოქვეყნებული ნაწილები უფლებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ეს ერთი საინტერესო შენაძენი იქნება ქართული საბჭოთა პროზისა.

ასევე საინტერესო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში „მნათობში“ დაბეჭდილი ახალგაზრდა პროზაიკოსის ოტია იოსელიანის რომანი — „ვარსკვლავთცვენა“. ნიჭიერი პროზაიკოსის ეს პირველი რომანი, შესანიშნავად გვიხატავს ქართველი კაცის მონაწილეობას სამამულო ომში და იმ დიდ მსხვერპლს, რომელიც გაიღო ჩვენმა ხალხმა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. რომანში მრავალფეროვნადაა ნაჩვენები ადამიანების ხასიათი, დახატულია ომის წლებში საქართველოს ახალგაზრდები, რომელთაც ომმა წაართვა ნორმალური ბავშვობა, ახალგაზრდობის სიხარული, მყუდროება და მშვიდობა; ომის ეს ჭრილობა და კვალი ახალგაზრდობის სულიერ ცხოვრებაში დიდი სიმართლითა და უშუალობითაა გამოსახული ამ რომანში, რომელსაც მკითხველი დიდი ინტერესით და მღელვარებით ეცნობა.

რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალმა „ცისკარმა“ და რუსულმა ჟურნალმა „ზნამიამ“ თითქმის ერთდროულად გამოაქვეყნეს გრიგოლ აბაშიძის ახალი პიესა „მოგზაურობა სამ დროში“. ეს არის საინტერესო ცდა ავტორისა წარ-

სულის, აწმყოსა და მომავლის სურათების ფონზე გამოკვეთოს ხასიათი ადამიანისა მის თანამედროვე სინამდვილესთან დამოკიდებულებაში. პიესის აზრით, ის, ვინც დაუღალავი შრომით ემსახურება თავისი დროის მოწინავე იდეებს, ვინც იბრძვის ამ იდეების დამკვიდრებისათვის, ჩაბმულია თანამედროვეობის მღელვარე ცხოვრებაში და შრომობს თავისი ხალხის, თავისი ერის საკეთილდღეოდ, — ნამდვილი თანამედროვეა და დიდი სიხარულითა და რომანტიკით ცხოვრობს ამ ქვეყანაზე; ხოლო ვინც წარსულის მოგონებით იოხებს გულს და გამდგარია თანამედროვეობისაგან, ის ვერ გრძნობს ცხოვრების სიდიადეს და უბრალო მჩვარია. ადამიანის სულის უმაღლესი რომანტიკული მოთხოვნილება უნდა იყოს შრომა და ბრძოლა თავის თანამედროვეთა უკეთესი ინტერესებისათვის, შრომა და ბრძოლა თანამედროვეთა მხარდამხარ, ღირსეული წევრობა მისი თანამედროვე საზოგადოებისა. მართალია, დღევანდელი არ იქნებოდა გუშინდელის გარეშე, ხვალინდელი თვისობრივად სხვა იქნება, ვიდრე დღევანდელია, — ადამიანის შემოქმედებითი ძიება და შრომა უკეთესისთვის ბრძოლაა. მოწინავე ადამიანი თანამედროვეთა ამ ძიებასა და შრომას უნდა მეთაურობდეს. აქტიურად შეჭრა თანამედროვე ცხოვრებაში, მისი მღელვარე ცხოვრების ცენტრში ყოფნა ამშვენებს ადამიანს. ავტორს შეეძლო ეპიგრაფად წაემძღვარებინა პიესისათვის ნ. ბარათაშვილის უკვდავი სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არრა იზრუნოს“. გრიგოლ აბაშიძის ამ პიესას დგამს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ყველა პირობაა იმისათვის, რომ მივიღოთ მღელვარე და საინტერესო სპექტაკლი.

ჩვენ აქ მხოლოდ დიდი მხატვრული ტილოები დავასახელეთ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მცირე ფორმის ნაწარმოებებს, კერძოდ, ლირიკულ ლექსებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. ლირიკულ ლექსს შესწევს სრული ძალა მღელვარედ და მარჯვედ გამოხატოს დიდი ისტორიული მოვლენები. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ირ. აბაშიძის ლირიკული ჩანახატები XX ყრილობაზე. ეს შესანიშნავი, დასამახსოვრებელი, პოეტური უშუალობით, ღრმა დაფიქრებითა და განცდით დაწერილი ლირიკული პორტრეტები და ხასიათებია. ლირიკული ლექსების ეს ციკლი თავის საპატიო ადგილს მიიკუთვნებს არა მარტო ირაკლი აბაშიძის პოეტურ ბიოგრაფიაში, არამედ ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაში. ჩვენ მოველით ჩვენი შესანიშნავი ლირიკოსებისაგან ამგვარ ლირიკულ აღბეჭდვას XXII ისტორიული ყრილობის ისტორიული ფურცლებისა.

ყრილობისათვის მზადება სახალხო მოძრაობად იქცა შახტებში, ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე — ყველგან გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. საბჭოთა მწერლობის ამოცანაა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებებში ასახოს ეს დიდი შემოქმედებითი შრომა, შექმნას მღელვარე პორტრეტები მოწინავე ადამიანებისა, ე. წ. შუქურებისა, იმათი, ვისაც მიჰყავთ ჩვენი ქვეყანა წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჩვენი ადამიანები სულ უფრო და უფრო მეტი ინტერესით შესცქერიან ხვალინდელ დღეს, ისინი ნათლად ჭვრეტენ ხვალინდელი დღის ამ სიდიადეს XXII ყრილობის დოკუმენტებში, პარტიის ახალგამოქვეყნებულ პროგრამასა და წესდებაში. ქართული საბჭოთა მწერლობა თავისი მძლავრი და მძაფრი პოეტური სიტყვით უნდა განუმარტავდეს ჩვენს ხალხს ამ ხვალინდელი დღის სიდიადეს. XX საუკუნის ქართული პოეზიის მამა გალაკტიონ ტაბიძე 30-იან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებში რომანტიკული ფერებით ხატავდა ხვალინდელი საქართველოს სახეს და აცხადებდა:

> იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს...
> ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,
> რამდენ შვებას და სიცოცხლეს
> მოაქანებს მომავალი.
> ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას
> დაუკარგოს ფეროვნება,
> როს თანასწორ მზესთან მივა
> თვითეული ეროვნება.

•

როგორც პარტიის პროგრამაშია ნათქვამი, მთლიანად განხორციელდება პარტიის ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის". ამ ვითარებაში ახალი ადამიანის ბრძოლა, დადებითი, მოწინავე ადამიანის ტიპის შექმნა, ადამიანისა, რომლის სულის კეთილშობილება და სილამაზე, საქციელი და მორალი მისაბაძი იქნება მილიონობით ადამიანებისათვის, უმთავრესი ამოცანაა ჩვენი მწერლობისა. დადებითი მაღალი მორალის საბჭოთა ადამიანების გვერდით ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ისეთებიც, რომელთა საქციელი აფერხებს ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, ჩვენს წინსვლას. მწერლობის ამოცანაა ამხილოს ეს უღირსი ადამიანები. მძაფრი პუბლიცისტური, მამხილებელი ხასიათის ნაწარმოები, რა ჟანრისაც უნდა იყოს იგი, ხელს უწყობს ჩვენი ადამიანების აღზრდას და ემსახურება საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს.

ქართველი მწერლები, ისე როგორც ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას შეხვდნენ ისევე სახელოვნად და ახალი შემოქმედებითი მიღწევებით, როგორც ყოველთვის ხვდებოდა ჩვენი მწერლობა პარტიისა და ხალხის ცხოვრების დიდსა და სასიხარულო ისტორიულ მოვლენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარიელ ზალაბაძე

ახალგაზრდა დელეგატი

გაცდენილი მატჩი

დღეს ფეხბურთია.

ჩვენი დინამოელები საბჭოთა კავშირის თასზე ხვდებიან ხარკოვის „ავანგარდს“.

ახლა ქალაქ ხარკოვზე ფიქრობს ზაური. ჯარიდან ბრუნდებოდა. ამ ქალაქში გამოიარეს ბიჭებმა. კარგი ქალაქია. იქაც არის ქარხანა „ელექტროავტომატი“, ზუსტად ასეთი ქარხანა. ნეტავი ხარკოვში შემდგარიყო თამაში. მაშინ გული აღარ დაწყდებოდა. დღეს კი ტელევიზორით უნდა ნახოს, ან რადიოს უსმინოს. ბრიგადიდან სამი კაცი შვებულებაშია. მათი საქმეც უნდა დარჩენილებმა გააკეთონ. დრო არ ითმენს. რამდენი რამე იკისრეს, გაზრდილი ვალდებულებები აიღეს. ყრილობის დღეც ახლოვდება. იქნებ სიტყვით გამოვიდეს. მაშინ მის მეგობრებზე, მის თანატოლთა საქმეებზე ილაპარაკებს. სიტყვაც რომ არ თქვას, იმ დარბაზში ზომ უნდა იჯდეს, მოწინავეთა გვერდით, რჩეულთა მხარდამხარ. მერე და რითი გაიმართლებს თავს! შვებულებაში იყვნენო? ფეხბურთს ვესწრებოდიო? არა, იგი ვერ წავა დღეს ფეხბურთზე. ტელევიზორით უყურებს, ან რადიოს მოუსმენს.

შოფრები ხშირად აჩერებენ დახუნძლულ ავტობუსებს და კარების დაკეტვას ცდილობენ. ბედად შეხვედრილი ტაქსი აღარც ეკითხება კლიენტს მისამართს, იცის საითაც უნდა წავიდეს. მანქანების გრძელი რიგი ვაკისკენ მიემართება. ერთ საათში დაიწყება კიდეც. მოღრუბლული დღეა, უკვე ყინულავს. არც ღირს დღეს სტადიონზე წასვლა, ალბათ ძლიერი წვიმა წამოვა. თავს აჯერებს და თან გუნებაში ეღიმება. ვითომ წვიმა დაუშლიდა სხვა დროს? შუბლზე ჩამოშლილ ქოჩორს მაჯით ისწორებს და მერე გასვრილ ხელისგულზე იყურება. ჩახსნილი ხალათიდან ბუსუსებიანი, ბიჭური მკერდი მოუჩანს.

საამქროებში გუგუნი, ხმაური და მოძრაობაა. მიდიან, მოდიან მუშები. ქარხნის კარებთან ერთმანეთს ესალმებიან, უღიმიან, დაძარღვულ და ნაჯაფარ ხელს ართმევენ ერთმანეთს, მაგრამ შევლენ თუ არა საამქროებში, სდუმან, თითქოს ერთმანეთზე გაბუტულები არიანო. უბრად ჩაუვლიან ერთმანეთს გვერდით, თითქო არც იცნობდნენ ერთმანეთს. ყველამ თავისი საქმე იცის, ყველას თავისი კუთხე აქვს მიჩენილი. დაზგების ძიგძიგი, ჩარხების ბრუნვა, ათახნაირი ღვედებისა და ბორბლების ტრიალი და ხმაური გაიძულებს ჩუმად აკეთო შენი საქმე. აქ შემთხვევით მოხვედრილი კაცი თავს რაღაც ზედმეტად და უსუსურად გრძნობ, რადგან ხედავ, როგორ კეთდება დიდი საქმე შენს გარეშე, საქმე, რომელშიც არ ურევია შენი ოფლის წვეთი და ღონე.

წვიმამ თანდათან უმატა. ახლა აღარ უხარია ზაურს ეს წვიმა. ცუდ ამინდში ძალიან უჭირთ ჩვენს ბიჭებს თამაში. ფანჯრიდან მოღუშული გახედავს ჩამუქებულ ცას და წარბებს იჭმუხნის. იმ ბიჭებსაც რა მოუვიდათ ამდენ ხანს. რა შვებულებაა ასეთი, რომ აღარ გათავდა. არა, საქმეს კი არ ჩივის. საქმეს მათ გარეშეც მოუვლიან როგორმე. უბრალოდ, მოენატრა მეგობრები.

დაზგის ხმაური უცაბედად წყდება. ჩამოვარდნილი სიჩუმე ფიქრს აწყვეტინებს ზაურ რუხიას.

— რა მოხდა, ზურაბ? — ეკითხება იგი დაზგაზე დაბჯენილ ბიჭს.

— მორჩა, ყველაფერი რიგზეა, — ესმის პასუხი და ზაურიც სწრაფი ნაბიჯით მიდის ავტომატური ამომრთველისაკენ.

იხევ აგუგუნდნენ დაზგები. გარეთ კვლავინდებურად ყინულავს. კიდევ რამდენიმე დაძაბული წუთი და მერე ტელევიზორს მიუჯდებიან ბიჭები. გამაზუთულ ხელებს ლურჯ წინსაფრებზე შეიწმენდენ, პაპიროსს გააბოლებენ და მიმღებს ჩართავენ.

ზუსტად ხუთის ნახევარზე ფეხბურთი იწყება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივია ლამბეს მეგობრები

ახლა ისინიც ლივია ლამბეს მეგობრები არიან.

მწვანეში ჩაფლული რიგა იღიმება ლივიას თვალებში.

მშობელ ქალაქზე ყვება ლივია. თბილისსაც აქებს. მოსწონს ჩვენი თბილისი.

ნეტავი, მართლა მოსწონს?

ზაური ცდილობს ლივიას თვალებით შეხედოს თბილისს.

სტუმრის თვალით გაზომოს და შეაფასოს საყვარელი ქალაქი.

მასაც მოსწონს თბილისი. რიგაც ძალზე მოსწონს, მწვანეში ჩაფლული, ფერად ყვავილებში ჩაძირული ქუჩებითა და მოედნებით, ყანგისფერი სამრეკლოებით, წითელი აგურით ნაგები ძველისძველი სახლებით, გულღია სტუმართმოყვარეობით.

სტუმართმოყვარეობას ვერც თბილისისას დაიწუნებენ რიგელები.

მთაწმინდის პლატოზე იყვნენ, მერმე სვეტიცხოველს ესტუმრენ, საქართველოს უძველესი დედაქალაქით მოხიბლულები ისევ თბილისში მობრუნდნენ და აღტაცებით უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

ზაური მათთანაა, ლივია ლამბესა და მის მეგობრებთან.

საქვეყნოდაა სახელგანთქმული რიგის ქარხანა „ვეფ"-ი. ლივია ამ ქარხნის კომუნისტური შრომის ერთ-ერთ ბრიგადას ხელმძღვანელობს. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ზაურ რუსია და მისი მეგობრები.

და ახლა ყველა ისინი მეგობრები არიან.

ამ მეგობრობას უფრო ფართო საფუძველი და უფრო დიდი ისტორია აქვს. დიდი ხანია რიგა და თბილისი ერთმანეთს ეჯიბრება, ესე იგი, მარტო ზაურსა და მის რიგელ მეგობრებს არ ეხებათ ეს. მაგრამ ერთი ამბავია. ქარხანა „ელექტროავტომატი" თბილისის ერთი მცირე ნაწილია, ისევე, როგორც ქარხანა „ვეფ"-ია რიგის ნაწილი. და თუ ზაურ რუსიას ბიჭები ლივია ლამბეს ბრიგადას გაუსწრებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი წინ წასწევენ თბილისის საერთო საქმეს. თბილისი აჯობებს? — გაეხარდება ზაურს. რიგა აჯობებს? — ამაზე აღარ უფიქრია მას. ვითომ რატომ უნდა ეწყინოს! მშვენიერი გოგოა ლივია, შესანიშნავი ამხანაგები ჰყავს. ესეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს ვისია ეს რიგა!

ყოველთვის, როცა სახლების სახურავებს ახედავს ქუჩაში მიმავალი, ლივია ლამბესთან შეჯიბრება ახსენდება ზაურს. ყვითელი კრამიტებიდან თუ ნაცრისფერი თუნუქის სახურავებიდან ამოწვდილა ანტენები, მაღალი, დაბალი, წვრილი, ბუჩქისებრი ანტენები. დგანან ეს მოუღლელი, მუდამ ფხიზელი დარაჯები, ცის შორეულ, დაულეველ სივრცეებს გაჰყურებენ და მერე ქვევითა სართულებს ავსებენ ტკბილი იტალიური სიმღერით, ჩაიკოვსკის მელოდიებით, შოპენისა და სიბელიუსის ნაღვლიანი სულით, მშვენიერი ქართული მოძახილით, უბადლო „ჩარდაშით", დღევანდელი ცხოვრების საინტერესო ამბებით. და ეს ლითონის დარაჯები რიგელ მეგობრებს ახსენებენ ზაურს. შესანიშნავი მშრომელები არიან ლივიას ბრიგადის წევრები. ზაურს თვითონ აქვს სახლში მათი ხელით დამზადებული რადიო-მიმღები „ვეფ-აკორდი". ნამდვილად უნაკლო მიმღებია. ნეტა თუ ასე ვინმეს მოსწონებია ზაურის ნახელავი... ჰოდა, ძნელი, ძალზე ძნელია მათთან პაექრობა. „ვეფ"-ის კოლექტივი დიდი ტრადიციების კოლექტივია, გამოცდილი მუშებით დაკომპლექტებული. ჩვენს ქარხანას კი ჯერ ათი წლის ისტორიაც არა აქვს. ახალგაზრდები ძალღონეს არ იშურებენ, თავგამოდებით შრომობენ, დღესა და ღამეს ასწორებენ, რომ სირცხვილი არ ჭამონ და ნაკისრი ვალდებულებები გაანაღდონ. და მაინც: ძნელია გამოცდილ რიგელებთან გამარჯვება.

თუმცა ვინ იცის, ალბათ ასევე ფიქრობენ ლივია ლამბეს მეგობრებიც!

ქარხანაში

ალბათ ცუდ დროს მოვედი.

ხელი შევუშალე ზაურს.

მაინც თავაზიანად მესალმება. მერე ქარხნის საამქროში შევდივართ. ვსაუბრობთ. ბალე საერთო ნაცნობებს ვიხსენებთ. ჩემი ბავშვობის მეგობარი ნაზი ტიკარაძე მათს ქარხანაში საამქროს უფროსია. ზაური თავის მხრივ თითქმის ყველას იცნობს ახალგაზრდა ჟურნალისტებიდან. არცაა გასაკვირი. ხშირად აწუხებენ, ეკითხებიან, სწერენ, სურათს უღებენ. ამ სურათების ბრალი იყო ალბათ, რომ დანახვისთანავე ვიცანი. მაღალი, შავგვრემანი, საოცრად თეთრი კბილები, ოდნავ გამხდარი, მკაცრი სახით და გულის მომგები ღიმილით.

საამწყობო საამქროს დამამზადებელი უბანი აბარია ზაურის ბრიგადას. აქ სწარმოებს პლასტმასის, ტექსტოლიტის, აგრეთვე სხვადასხვა ლითონის ხეხვა და გაპრიალება, მზადდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიზოლაციო მასალა ავტომატებისათვის. მე არაფერს მეუბნება ამ ავტომატების სახელები, ზაური კი რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებს: ა — 3161, ა — 3164. მერე გატაცებით მომითხრობს ამ ხელსაწყოთა დამზადების წესსა და დანიშნულებაზე. მეხათრება და არ ვაწყვეტინებ, არ ვეუბნები, რომ ჩემთვის ახლა ძნელია ამ ტერმინების, დეტალების სახელებისა თუ რთული საწარმოო პროცესების გაგება და წარმოდგენა.

— ამ ავტომატებს ნახევარავტომატებსაც ეძახიან, — ამბობს ზაური.

„მშვენიერი ინჟინერი იქნება თავის დროზე", ვფიქრობ მე.

— ავტომატური გამორთვა მათი საქმეა, სამაგიეროდ ჩართვას არავინ ეკითხება მათ. ამიტომ ეძახიან ნახევარავტომატებს, — აგრძელებს ზაური.

„ამნაირი კაცი ყველა საქმეში გამოდგება", ვფიქრობ მე.

— ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სამ ქალაქშია ასეთი ქარხანა, — ამბობს ზაური.

„ალბათ ძალიან უყვარს სპორტი", ვფიქრობ მე და მის გარუჯულ, დაკუნთულ მკლავებს ვუყურებ.

ქარხნის მთავარი კორპუსის გვერდით შენდება ახალი შენობები. აგურს აგური ემატება. ბიჭები მოაგორებენ კასრებს. მანქანები ნაბიჯნაბიჯ ტრიალდებიან და ეზო ივსება კირით, აგურით და ცემენტით. მომავალში უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს ქარხანა. ამ დასკვნას ჩემით ვაკეთებ, ამაზე ზაურს აღარ ვეკითხები.

— ერთი საცხოვრებელი სახლი უკვე გადაეცათ ჩვენს მუშებს, — მიყვება ზაური.

„ნეტავ რამდენი ოთახი აქვს თვითონ მას?" — ვფიქრობ მე. მერე მახსენდება, რომ ამ სახლში ნამყოფი ვარ. ჩემი მეგობარი ნაზი ტიკარაძე სწორედ ამ სახლში ცხოვრობს. ზაურიც იმავე სადარბაზოში ყოფილა, იმავე სართულზე. მთხოვს, აუცილებლად ვესტუმრო. ალბათ საღამოთი უნდა მივიდე. დღისით ან მას არ ეცლება, ან მე.

— როცა თბილისის პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს XXI ყრილობის დელეგატად ამირჩიეს, მართალი გითხრა, სიხარულისაგან გული შემეკუმშა. იქნებ სიტყვითაც გამოვიდე. ათასი რამე გვაწუხებს მე და ჩემს ამხანაგებს. ყველაფერს ვიტყვი. ესეც არ იყოს, რა იქნება ამაზე დიდი დაფასება კაცისთვის, რომელიც ეს-ესაა მიიღეს პარტიის წევრად!

„ბედნიერი კაცია", ვფიქრობ მე.

ნათელი მომავლისათვის...

ახლა შორსაა გეზათი და ქოლობანი, ღანირ-ჭაგანი და ეწერი...

რიონის ატეხილი ჭალები, ორპირის ფშანი.

მამის სახლი და კარი, დედის მზრუნველი ხელი, დის გიტარა, ნაჩვევი კარ-მიდამო, ეზო, სადაც ურბენია და უთამაშია, რკინიგზის ოცდამესამე სკოლა ცისფერი კედლებითა და ნახევრადჩალეწილი ფანჯრებით...

სამტრედიის სადგური, ხმაურიანი გზაჯვარედინი, შორეული ლიანდაგებისა და მატარებლების თავშესაყარი, ბაქანი, სადაც უოცნებია შორეულ გზებზე, ცისფერ ქალაქებზე, უცნობ და კეთილ ადამიანებზე, სასურველ მომავალზე.

და ეს მომავალიც მოდიოდა.

თანდათანობით, შეუმჩნევლად ცვლიდნენ დღეები დღეებს, და ამ ცვლილებას ერქვა მომავალი. 1951 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა. უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდა. ერთ დღეს დედა დაინახა ეზოში, ხელში ფარატინა ქაღალდი ეჭირა. მეზობლის ქალები აიმედებდნენ: „რა უჭირსო, დავაუკაცდებაო, რუსულს ისწავლისო"...

დავაუკაცდა, რუსულიც ისწავლა.

ნიამოვნებით იგონებს ახლა უკრაინის უნაპირო სტეპებს, ალვების ქარსაცავებს, ქათქათა ხატებს, მყუდრო, პაწია ქალაქ კონოტოპს, ფარაჯიან მეგობრებს.

დაბრუნებისთანავე ახალგაზრდულ ქარხანაში მოვიდა. დამამზადებელი საამქროს .უფროსი ბორის ნიყარაძე იყო მაშინ. შეიყვარა ბორისმა ახალბედა მუშა.

1957 წელს მხეხავთა კომკავშირულ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში. ერთი წლის მერე ის იყო, მთელი ჩვენი ქვეყანა მოიარა მოსკოვის მახარისხებელი დეპოს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრთა მოწოდებამ. ზაურ რუსია სახელმოხვეჭილ ოსტატებთან — გურამ ჩადუნელთან, შოთა კუბლაშვილთან, არჩილ ძამაშვილთან და რაჟდენ ჭიჭინაძესთან ერთად, პირველთაგანი გამოეხმაურა ამ წამოწყებას. მალე კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება მოიპოვა მისმა ბრიგადამ. სიხარულს სიხარული დაერთო და იმავე თვეში დაქორწინდა.

ახლაც უყვარს ოცნება მომავალზე, მაგრამ ეს მომავალი უკვე აღარ ეჩვენება ბუნდოვნად. ეზოში მისი სამი წლის ბიჭი თამაშობს ტოლებთან, მზია მუშაობს, თვითონ მალე დაამთავრებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტს. მაგრამ არის უფრო დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი მომავალიც, რომლისაც მხოლოდ ნაწილია შენი ცხოვრება. ესაა შენი ხალხის, შენი ქვეყნის მომავალი.

ისიც ნათელია დღესავით, ნათელი და მიმზიდველი.

მშობლიური კომუნისტური პარტიის პროგრამაში მოცემულია ამ ბედნიერი მომავლის დიდებული სურათი, იქვე დასახულია უმოკლესი და უხიფათო გზები მის მისაღწევად. ესაა საბჭოთა ადამიანების პატიოსანი, დაუზარებელი და გმირული შრომა.

და ზაურ რუსიაც შრომობს, შრომობს და ოცნებობს მომავალზე, ნათელ, უკეთეს ხვალინდელ დღეზე. იგი თვითონ აკეთებს ამ ხვალინდელ დღეს თავისი მოუღლელი და მადლიანი მარჯვენით.

ახლა ზაურ რუსიამ კარგად იცის, რომ შრომა ნამდვილად სახელისა და დიდების საქმეა. მის სიტყვას ანგარიშს უწევენ, მის ნახელავს აქებენ, აზრს ეკითხებიან, მასთან რჩევისთვის მოდიან, გაზეთები მის სურათებს ბეჭდავენ, ამხანაგმა ვასილ მუავანაძემ კეთილი სიტყვით მოიხსენია იგი, შეაქო მისი ბიჭობა და სიბეჯითე...

ახლა შორსაა გეზათი და ქოლობანი, ღანირ-ჭაგანი და ეწერი, მაგრამ დედაც, მამაც, მეზობლებიც ტკბილი სიტყვით ახსენებენ ზაურს, იგონებენ მის ბავშვობას, მოინატრებენ, უხარიათ, ეამაყებათ.

დაზგები ისევ გუგუნებენ.

მათ ხმაურში იძირება დღევანდელი დღე და მოდის მომავალი, რადგან ზაურ რუსიას ბიჭები უსწრებენ დროს.

ისინი მომავლის ანგარიშში შრომობენ ახლა.

თაობა, რომელიც იცხოვრებს კომუნიზმში

საამქროს კუთხეში კედელზე მაღალი აბრაა გაკრული. ზედ წარწერაა: „ზაურ რუსია. კომუნისტური შრომის ბრიგადა". იქვეა კომუნისტური შრომის განაწესი და მაჩვენებლები, თუ როგორ იშრომეს ბრიგადის წევრებმა. აბრას ავხედე და მხოლოდ ახლა გამახსენდა, მეკითხა ზაურისათვის ბრიგადის წევრებზე.

— იცნობდეთ, — მეუბნება ზაური.

სათითაოდ ვართმევ ხელს.

შოთა ურდულაშვილი, ანზორ ტატუაშვილი და გუგული ავაზაშვილი შვებულებაში არიან.

ბონდო სირაძე, პავლე ფირცხალაშვილი, ზურაბ მიქაია და გიგლა ხურცილავა ორ-ორი კაცის ნორმას ასრულებენ დღეში. ასე, რომ ბიჭების ნაკლებობას ვერც გრძნობს დამამზადებელი უბანი. 150 — 160 პროცენტით ასრულებენ ისინი ყოველდღიურ გეგმას. ეს კანონია მათი ცხოვრების.

აბრა იუწყება, რომ ბრიგადის წევრები უნდა დაეუფლონ უმაღლეს განათლებას.

ზაურ რუსია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად, გიგლა ხურცილავამ მარქსიზმ-ლენინიზმის ორწლიანი ინსტიტუტი დაამთავრა. სხვები გულმოდგინედ ემზადებიან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. უნდა ისწავლო. მაშინ მეტ სარგებლობას მოუტან სამშობლოსა და ხალხს. ეს კანონია მათი ცხოვრების.

ქარხნის ეზოში იტვირთება მანქანები. ქარხანა ელექტროავტომატის პროდუქცია იგზავნება ჩვენი სამშობლოს შორეულ კუთხეებში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, უცხოეთის ქვეყნებში. შარშანწინ უნგრეთში ახლდა ქართველი ახალგაზრდობის დელეგაციას ზაური. მშვენიერი იყო ბუდა და პეშტი, ცისფერი ბალატონი, კიდევ უფრო ცისფერი დუნაი, ქერის, პურის ყანები. მერე ქარხნები დაათვალიერეს. ზაურის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ ქარხანაში თბილისური ამომრთველი ნახა, მის მშობლიურ დაზგაზე დამზადებული ავტომატური ამომრთველი. ქართული მარკით დამშვენებულ მეტალში იცნო მეგობრების ნახელავი და გული სიამაყით აევსო.

უხაროდა ზაურ რუსიას მის მაგიერ, მისი მეგობრების მაგიერ, ყველა მისი თანატოლის მაგიერ, რომლებმაც უნდა იცხოვრონ კომუნიზმში.

ზაური საქართველოს კომპარტიის ოცდამეერთე ყრილობის დელეგატია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა მის მეგობარს, მისი ბრიგადის ყოველ წევრს სიტყვა მისცეს ამ დიდ შეკრებაზე, რადგან ზაურ რუსიას ესმის ამ ბიჭებისა და გოგონების სურვილების, გატაცებების, მისწრაფებების, ესმის მთელი მისი თაობის, მშრომელი, ცოდნას დაწაფებული, გამრჯე თაობისა, რომელიც იცხოვრებს კომუნიზმში.

ყრილობაზე მათ მაგიერაც ილაპარაკებს ახალგაზრდა დელეგატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირიან მირნელი

გარათი ჩემი სოფლიდან

ვუძღვნი პარტიის XXII ყრილობას

*

მიწამაც იცის, იცის ზეცამაც,
კაცი უმზეოდ ქვეყნად ვერ ივლის,
მზეს ნისლიც მიტომ ჩამოეცალა,
მიტომ მოვიდა შუქი ლენინის.

მიწას სწყუროდა, ზეცას სწყუროდა
შუქი ველებზე გადაფრენილი, —
ხალხმა სინათლეს მიტომ უწოდა
დიდი სახელი დიდი ლენინის.

მიწა ნატრობდა, ზეცა ნატრობდა,
ყანა ეხილა ყელაღერილი,
მიტომ აენთო ზეცის ტატნობთან
დროშა დიადი დიდი ლენინის.

მიწაზე სხივი სხივს გადაება,
მიწა უმზეოდ მზისკენ ვერ ივლის,
მიტომ მოვიდა ვით უკვდავება,
დიდი პარტია დიდი ლენინის.

*

ახლა სოფელში დგას ოქტომბერი,
ოქტომბერს ლექსით ვესაუბრები,
უკვე გზისპირას ისვენებს კევრი
და კვლავ მიდიან გზაზე ურმები.

ახლა სოფელში დგას ოქტომბერი,
ოქტომბრის სხივებს ხელებს შევახებ,
ტკბილით ივსება მარანში ქვევრი,
დაუბერტყიათ კალთა ვენახებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხინი, სიცილი არის ორწილი,
მიწის ხმაური ზეცას ედება,
სადღაც ჩაღდება ახლა ქორწილი,
გადაუქროლეს ჭალებს მტრედებმა.

სახლი მდიდარი ღვინით, პურითა,
გაცისკრებულა სხივთა არილით,
ახლა არ მოაქვს პაპის ურმითა
ცხრა მთას იქიდან გლეხკაცს მარილი...

და ხვავიანი დგას ოქტომბერი,
ოქტომბერს ლექსით ვესაუბრები,
ჩემი პატარა სოფელი მღერის,
ებანებიან უბნებს უბნები.

•

მზის ბრწყინვალება იფრქვევა უხვად,
მალე შედგება კრემლში ყრილობა —
და ჩემი ქვეყნის მხარგაშლილობას
ამოუდგება როგორც ბერმუხა.

მალე შედგება დიდი ყრილობა,
მოეფინება ასჯერ ნათელი,
როგორც სიცოცხლის მარადისობა,
კრემლი იბრწყინებს ღამენათევი.

ტაში წამოვა აურაცხელი, —
ცხრა მთას ხმაურით გადაწვდენილი,
მგონია, სიტყვას ქვეყნის სახელით
ყრილობას ეტყვის თვითონ ლენინი.

ტაში წამოვა ისევ ხმაურით,
ამაღლდებიან ქარხნის მილები...
დგანან კოშკები
ზღვა სიხარულით
მეცხრე ზეცისკენ გაფრენილები.

ტაში წამოვა ისე მჭექარე,
მიწას უკვირდეს ჭექა ამგვარი...
კრემლის ზარები ისევ რეკავენ,
აუწევია ზეცა გაგარინს!

ო, იგუგუნონ დიდმა ზარებმა,
ჩვენ იმ გრიალში მზისკენ ვილტვოდით...
კოსმოსს მოსკოვი აძლევს ბრძანებას
და პატაკს აძლევს მოსკოვს ტიტოვი! —

ლეჭსეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქით იმგზავრებს ჩემი ბარათიც,
უნდა სიმღერად ავაწკრიალო,
მერე იაროს კარით-კარამდი,
ცხრა მთა, ცხრა ველი გადაიაროს.

კრემლში მიფრინდეს სავსე ხალისით,
ვით სიხარული დაუსტამბავი, —
რომ გულის ფეთქვად ქვეყნად გაისმას
ჩემი პატარა სოფლის ამბავიც.

საქართველო

ამაღლებული —
როგორც შოთას უკვდავი სიტყვა,
გალაღებული —
როგორც მოსვლა ქართლში აპრილის,
დედა —
სიცოცხლის,
ოცნებათა
და მაღალ ფიქრთა —
დგას საქართველო
ოქტომბრის მზით გადაბარდნილი.

განათებული —
ვით განვლილი ორმოცი წელი,
თვალანთებული —
ვით ოქტომბრის დროშების ალი,
დგას საქართველო,
დიდ სიცოცხლის სიმღერას მღერის
და უკვდავებას თვალში უმზერს
ორმოცი თვალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო კორძინთელი

სანამ ცოცხალი ხარ

რომანი

*

დარტყმისთანავე ვერ იგრძნობ ტკივილს. ტკივილი შემდეგ მოდის...

ირაკლი კვლავ უძრავად იდო სკამზე. მერე მოულოდნელად იგრძნო, რომ ოთახში ცივა და საშინელი სიცარიელეა. ოთახში სიცარიელეა და თვითონაც საოცრად დაიცალა. სიმსუბუქე იგრძნო. ეს არ იყო შვების სიმსუბუქე. ეგ იყო სიმჩატე, გამოფიტვა, წონის დაკარგვა, როგორიც არ ეგრძნო აქამდე...

მოეჩვენა, რომ ცოტაც და დაიშლება, გაითქვიფება შემოჭრილ ბინდში, ანდა ქარი ხეებს რომ აწვალებს, ოთახშიც შემოიჭრება, ხელს მოუსვამს და ააფრიალებს, როგორც გაზეთის ნახევს.

მოეჩვენა, რომ გაზეთის ნახევივით მჩატე გახდა. შემდეგ ეს ნახევი აფარფატდა, კედლებს მიაწყდა და იატაკზე დაენარცხა. მერე დაიფერფლა, შემოჭრილი ბინდის ფერი გახდა და ქარი, გარეთ ხეებს რომ აწვალებდა, ოთახშიც შემოიჭრა, დაუბერა და ფერფლი წალეკა, ააფრიალა.

„ასეა... ასე იკარგება ყველაფერი. — გაიფიქრა ირაკლიმ. — გქონდა და აღარა გაქვს. გყავდა და აღარა გყავს. ასეა. იკარგება ყველაფერი. ზოგჯერ თანდათანობით, ზოგჯერ ერთბაშადაც...“

იმ ღამეს ცივი ქარი ბორგავდა და აკვნესებდა აკაციის ტოტებს, ბრაზიანად აბურდღუნებდა ეზოში დარგულ ტყემლის ხეებს. ირაკლის ჩაეძინა.

უეცრად ძლიერი ქარი ამოვარდა. ქარმა შემოლეწა ფანჯრები და ოთახში შემოიჭრა. დაუბერა ირაკლის და აიტაცა. ირაკლი ცდილობდა, ხელი ჩაეჭიდა რაიმესთვის, მაგრამ ისეთს ვერაფერს ხედავდა, ხოლო რასაც კი მოავლო ხელი, არ დაიმაგრა.

ქარმა გაიტაცა და მიაქროლებდა, როგორც ბუმბულს. წაიღო, წაიღო, ბუერუსში გაახვია. ირაკლი ხელებს იქნევს, უნდა რაიმეს მოეჭიდოს, მაგრამ ჰაერი უსაგნოა, ვერაფერზე მაგრდება.

მერე ქვემოთ, სადღაც შორს, ყინულით დაფარული ვეებერთელა ქედი დაინახა. ქედი საოცრად ფრიალო იყო და სამართებელივით ალესილი თხემი ჰქონდა. ქარი ამ თხემისაკენ მიაქანებდა ირაკლის.

„ნეტავი იქ არ დამსვას“, — გაიფიქრა მან და უკანასკნელად გაიბრძოლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ქარმა ხელი უშვა და სამართებელივით ალესილ მოყინულ თხემზე დააგდო. ირაკლის ფეხები არა აქვს, თორემ გადაჯდებოდა, როგორც უნაგირზე.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 5, 6, 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხემი დაქანებული იყო და ირაკლი დაცოცდა, მაგრამ აღმართისკენ. უკვირდა, რომ აღმართზე მიცოცავდა. მარჯვნივ უძირო, პირდაღრენილი შავი უფაკრული იყო, მარცხნივ — თვალგაუტანელი, კუპრივით შავი და სქელი ღრუბელი. მისრიალებს ირაკლი და ფიქრობს: რომელ მხარესაც უნდა გადავარდეს, დაიღუპება. მას უნდა ისრიალოს ასე ბოლომდე, მაგრამ თხემს დასასრული არ უჩანს.

შემდეგ შეამჩნია, რომ მოპირდაპირე მხრიდან ვიღაც გამოჩნდა. იგი თავისუფლად მოდის, რადგან დაღმართში მოსრიალებს. ფეხქვეშ ნოხი უგია, ხელები გაუშლია და მშვიდად, ნასიამოვნები იღიმება. ნოხი თხემის წახნაგზეა გაშლილი, მაგრამ შესანიშნავად იცავს წონასწორობას, არც იკეცება, არც ირხევა.

ნოხზე მდგომი კაცი მიუახლოვდა ირაკლის და უთხრა:

— მიყურე. ხედავ, რა მშვენივრად ვარ მოწყობილი?

— ვხედავ, — უპასუხა ირაკლიმ.

— მე ყოველთვის მაქვს, რასაც ვისურვებ.

— ყოველთვის?!

— ყოველთვის, — თქვა კაცმა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

ირაკლიმ იჭვიანად გახედა.

— მაგრამ ყოველთვის ის მინდა, რის მიღებაც შესაძლებელია...

— მე არასდროს მიმიღია, რაც მინდოდა, — თქვა ირაკლიმ.

— ჰა-ჰა-ჰა... — გაიცინა კაცმა. — არასდროს მიგიღია... რაც მიგიღია, იფიქრე, რომ ის გინდოდა და ყველაფერი კარგად იქნება.

— მე ეგრე არ შემიძლია.

— ჰა-ჰა-ჰა... არასდროს მიუღია! — იცინოდა კაცი.

ირაკლი დაღმართზე დასრიალდა. კაცი გამოეკიდა და შეაჩერა.

— მოიცა, არ გადავარდე, — უთხრა მან. — კი მაგრამ, ყოველთვის იცი, რა გინდა ხოლმე?

— ვიცი. მე მინდა...

— ჰა-ჰა-ჰა... რა გულუბრყვილო ყოფილხარ! გინდა! რას ჰქვია გინდა! ვინ ლაპარაკობს ასე — მინდა! რასაც გაძლევენ, დასჯერდი და ბედნიერიც მაშინ იქნები.

ირაკლიმ თავი ჩაქინდრა.

— და კიდევ, — განაგრძო კაცმა მკაცრად, — ძარღვებს ნუ იწყვეტ ტყუილუბრალოდ, ნუ ხეტიალობ და ნუ ცვდები იმაზე ფიქრით, თუ რა არის ცხოვრების და სიცოცხლის აზრი, ან ღირს თუ არა საერთოდ, რომ იცხოვრო...

— რას ამბობ! — უყვირა ირაკლიმ.

— ცხოვრების სიბრძნეს... — დაცინვით მიუგო კაცმა.

ირაკლიმ გაოცებით შეხედა მას.

— ნუ გაგიფართოვდა თვალები, შენ გულუბრყვილო ხარ... ჰა-ჰა-ჰა-ჰა... იცოცხლე, სანამ ცოცხალი ხარ. იცოცხლე იმის გულისთვის, რომ იცოცხლო, რაო? ნუ ბოდავ! იცოცხლე, რომ იცოცხლო და მეტი არაფერი.

— მე არ შემიძლია ეგრე, გესმის, არ შემიძლია! — იყვირა ირაკლიმ.

— რატომ? ნახევარი ქვეყანა ასე ცხოვრობს... აი მეც!

ირაკლის ბრაზი მოერია, მუშტები შეკრა.

— მიყურე, ხედავ რა მშვენივრად ვარ მოწყობილი? — გაიცინა კაცმა.

შემდეგ მან აიყვანა ირაკლი, გზიდან მოიცილა და თავისუფლად დასრიალდა თავდაღმართში. ირაკლი პირით აღმართისაკენ იჯდა. დაღმართი თავისკენ ექაჩებოდა. მაგრამ მას არ უნდოდა დაქანებულიყო იქით, საითაც ნოხიანი კა-

საქართველოს სახელმწიფო ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი დასრიალდა. სამართებელივით ალესილ გაყინულ თხემს ფრჩხილებით ჩააფრინდა. მაგრამ ამ დროს მარჯვნივ გადაიზნიქა, საითაც შავ თვალუწვდენ უფსკრულს დაეღო პირი.

— ااااا!... — იყვირა ირაკლიმ.

— ااااا... — გამოეხმაურა ეხო.

...ირაკლის ბალიშისათვის ჩაევლო ხელი, პირდაღმა იწვა. მარჯვნივ დაგმანული ფანჯრები და კედელი იყო, მარცხნივ ბნელი სიცარიელე, ქვემოთ კი— იატაკი. და იყო სიჩუმე.

თავი მეექვსე

დიდი მწუხარება, ისე როგორც დიდი სიხარული, მოსაწყენი ყოველდღიურობის მიღმა დგას. დიდი გრძნობები ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჰქმნის ბექობს, საიდანაც მოჩანს რაღაც ამაღლებული.

ირაკლის ძილღვიძილში ჩაესმოდა მომძლავრებული ქარის გაუგებარი ჩივილი. განთიადზე ჩივილი შეწყდა, მაგრამ ახლა სხვა ხმაურმა გამოაღვიძა. წამოიწია და დარაბა გამოაღო, თუმცა ამით ოთახი სრულიადაც არ განათებულა. გარეთ ბნელოდა, როგორც ღამით და მსხვილი, კოკისპირული თქეში თავგამოდებით კაკუნობდა ასფალტზე, სახლების სახურავებსა და გალუმპული ხეების ფოთლებზე.

წვიმდა. აწვიმდა დაცარიელებულ ქუჩებს, ტიტვლად დარჩენილ, ჩაშავებულ ხეებს, ჟაპაჟუპით მოსრიალე დაწინწკლულ ავტომანქანებს, ფანჯრების შეორთქლილ მინებს, კრამიტით დახურულ გარაჟს ეზოში...

აწვიმდა თბილისს.

ირაკლი დიდხანს შესცქეროდა ფანჯრის შეორთქლილ მინას, რომელზეც ხმაურით ეცემოდა წვიმის მსხვილი წვეთები და შემდეგ მღვრიე ნაკადად მიედინებოდა ქვემოთ. წამოდგა. ანაზდად თვალი მოჰკრა თავის გამოსახულებას სარკეში. შეჩერდა, დააკვირდა. დაღვრემილი, მიცვალებულივით გაფითრებული, გაწამებული სახე უცქეროდა სარკიდან. გამობრუნდა. იატაკს დააცქერდა.

ირაკლი ფიქრობდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ უკანასკნელ მომენტში კვდება, მაშინ, როცა სული ამოსდის. ზოგიერთები კი წლების განმაკლობაში აპირებენ სიკვდილს, როგორც თვითონ...

ასეთები ყველაზე უბედურები არიან დედამიწის ზურგზე.

იგი ცდილობდა წარმოედგინა თავისი ცხოვრება ხათუნას გარეშე. ცდილობდა წარმოედგინა თავისი ოთახი, სადაც ხათუნა აღარასდროს შემოადგამდა ფეხს, ქუჩები, რომლებზეც ვეღარასდროს გაივლიდა ხათუნასთან ერთად, ქალაქი, რომელშიც ისინი ცალცალკე იცხოვრებდნენ, თავისი ტანჯვაცა და სიხარულიც, რომლის გადატანა მარტოს მოუწევს, ხათუნასაგან მოშორებით, მის შეუტყობინებლად...

ცხოვრება ხათუნას გარეშე... მთელი მომავალი ცხოვრება ხათუნას გარეშე... მომავალი, რომელზეც, დრო იყო, ერთად ოცნებობდნენ...

იმ ხანებში დღისითაც, ღამითაც ირაკლი სხვა რამეზე ვეღარ ფიქრობდა, თავისდა უნებურად ხედავდა სურათებს, რომელთა ყურება არაფრით არ უნდოდა, აგონდებოდა ამბები, რომელთა მოგონებაც არაფრით არ სურდა.

აგონდებოდა, რა კარგი იყო ხათუნა, რა კეთილი. როგორ იცოდა ყოველთვის იმის გაკეთება, რაც ყველაზე მეტად გსურდა იმ მომენტში. როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა ყოველთვის იმის თქმა, რაც ყველაზე მეტად გსურდა მოგესმინა იმ წუთში, მოგესმინა მისგან, მხოლოდ მისგან. ამიტომ იყო იგი ყოველთვის ძალიან ძვირფასი, ყოველთვის ძალიან საჭირო.

თურმე ქალი, რომელსაც ესმის მამაკაცის და ეგუება მის ხასიათს, ადვილად ხდება სუნთქვასავით საჭირო, სიცოცხლესავით ძვირფასი, შეუცვლელი და სასურველი.

ხათუნა ისე კეთილი იყო, ყოველთვის კეთილი... მაგრამ შეძლებდა კი ყოფილიყო მუდამ კეთილი — კეთილი ყოველდღე, ყოველ საათს?

მუდამ ვერ იქნებოდა ასეთი. ერთხელაც მოსწყინდებოდა. ერთხელაც გაუწყდებოდა მოთმინების ძაფი, ერთხელაც აღარ ეყოფოდა სიკეთე, აღარც გული და ბედს დაიწყევლიდა. ხათუნა ბედს დაიწყევლიდა! ამას მოერიდა, ამას შეუშინდა ირაკლი.

როცა გიყვარს, ბევრსაც მოითხოვ, საბოლოოდ კი ისე გამოდის, ყველაფერს ჰკარგავ. სწორედ იმიტომ თქვა უარი ხათუნაზე, რომ უყვარდა. ირაკლი ვერ აიტანდა, სამუდამოდ გაიტანჯებოდა, რომ ხათუნა მსხვერპლად შეეწირა.

და კიდევ იმიტომ, რომ ადამიანები ძალიან პატარები და ღარიბები არიან სულითაც და ხორცითაც, რომ შეირთონ და არ იამაყონ, თუ თავისზე უკეთესს შეირთავენ. ან თავი დამცირებულად არ იგრძნონ, თუ თავისზე ნაკლებს შეირთავენ.

ანაზდად ირაკლი დაფიქრდა, შეირთავდა თუ არა ხათუნას ისევე განახევრებულს, როგორიც თვითონ არის. ალბათ არ შეირთავდა. ალბათ კი არა, ნამდვილად არ შეირთავდა.

რატომ არ შეირთავდა? ხომ არიან ქალები, რომლებიც მიჰყვებიან ინვალიდებს ცოლად, ისეთებსაც კი, როგორიც ირაკლი არის! მაგრამ იშვიათად, რომ კაცს ინვალიდი ქალი შეერთოს.

რატომ?

რატომ ეძნელებათ კაცებს, ქალებზე მეტად, მახინჯისა და ხეიბრის შერთვა? ნუთუ ქალებს მეტი თანაგრძნობა შეუძლიათ, ნუთუ ქალებს უფრო დიდი გული აქვთ?

დიდი გული! აქვს ხათუნას დიდი გული? ალბათ აქვს, მაგრამ ირაკლიმ არ მოინდომა მისი გამოცდა. არ მოინდომა და სწორადაც მოიქცა.

*

დათომ პაპიროსი მოიტანა. ირაკლიმ გახსნა კოლოფი, ერთი ღერი ამოიღო, ცოტა თუთუნი გამოაცალა, დაარბილა. დათომ ასანთი გაკრა და მოუკიდა. მერე იქვე ჩამოჯდა.

ირაკლიმ ძმას გადახედა. იგი სკამს გადაჯდომოდა, როგორც ცხენს, მკლავები საზურგეზე დაეწყო და ჩანდა, რომ ჯერ არ აპირებდა წასვლას.

— გინდა რამე? — ჰკითხა ირაკლიმ.

— არაფერი. — უპასუხა დათომ ისე, რომ პოზა არ შეუცვლია.

გავიდა რამდენიმე წუთი. ირაკლის რატომღაც ეჩოთირებოდა, რომ დათო მის ოთახში იჯდა. რატომღაც ეგონა, რომ უფრო თავისუფლად და უკეთესად იგრძნობდა თავს, დათო თუ წავიდოდა.

— დათო, თუ რამე საქმე გაქვს, მითხარი.

— გაწუხებ? — დათო წამოდგა.

— არა... ჰო...

— ჰო თუ არა, თქვი გარკვევით. — გაიცინა დათომ.

— არა. — თქვა ირაკლიმ ხმამაღლა. გულში კი გაიფიქრა: „ჰი, მაწუხებ, მარტო ყოფნა მირჩევნია“.

— მოდი, ჭადრაკი ვითამაშოთ. — შესთავაზა დათომ.

— ჭადრაკი?

— ჰო, თუ გინდა, ვითამაშოთ.

ირაკლი ჩაფიქრდა, თითქოს ურთულესი რამ ჰქონდეს გადასაწყვეტი. ითამაშოს თუ არა? დათოს გადახედა...

— მოიტანე. — უთხრა ბოლოს.

დათომ გაშალა დაფა და ძმის ფიგურებიც თვითონ დააწყო. ირაკლი საერთოდ ცუდად არ თამაშობდა. ახლა კი უსუსურად გამოიყურებოდა. ისეთი შეცდომები დაუშვა, რომ ახალბედა მოჭადრაკესაც არ ეპატიებოდა. „სულ არ აკვირდება... მეთამაშება, მაგრამ ფიქრით სხვაგან არის“, — მიხვდა დათო. არაფერი უთქვამს, თითქოს ვერ ამჩნევდა.

მალე ირაკლიმ სულ მუქთად დაკარგა ლაზიერი და დაფას ხელი ჰკრა.

— წავაგე. — თქვა მან.

— ჰო. — დათომ არაფერი შეიმჩნია. კვლავ დააწყო ფიგურები დაფაზე.

— დათო... — ირაკლიმ თვალებით უთხრა, რატომ მაწვალებო.

— რა იყო, ირა? — ჰკითხა დათომ. თვალებით კი უთხრა, თვითონაც ვწვალობ.

პაუზა.

— თუ გინდა, მანქანას გამოგიყვან და გაისეირნე.

— დათო... — გაიმეორა ირაკლიმ.

— კარგი. — დათო წამოდგა და უკან წაიღო ჭადრაკის დაფა. — მეც წავიდე? — ჰკითხა მერე.

— წადი.

— ეზოში ვიქნები. როცა დაგჭირდე, დამიძახე.

— ჰო. — თქვა ირაკლიმ.

ცოტა ხნის შემდეგ დედა შემოვიდა. ისიც ცდილობდა ირაკლის გართობას, მაგრამ უფრო მოხერხებულად, ვიდრე დათო. ირაკლი ხვდებოდა, რომ დედამაც და ძმამაც იცოდნენ, თუ რა ნაღველი აწუხებდა მას. ხვდებოდა იმასაც, რომ ისინი თავს იწვალებდნენ, როცა მის გართობას ცდილობდნენ... და უფრო მეტად კი აწვალებდნენ მას. ამიტომ უნდოდა ეყვირა:

„დამტოვეთ! დამტოვეთ მარტო! უბედურება ჩემთვის ახალი არ არის... თუ ადრე გამიძლია, ახლაც გავუძლებ...“

დედა რაღაცაზე ელაპარაკებოდა, რაღაცას ეკითხებოდა, რაღაცას უამბობდა...

და ამით მხოლოდ თავს აბეზრებდა ირაკლის.

„ახლობლებს სხვაზე ნაკლებად შეუძლიათ დაგეხმარონ მაშინ, როცა სიყვარული გემსხვრევა“, — ფიქრობდა ირაკლი. მან დანამდვილებით არ იცოდა, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ ასეთ დროს, ალბათ, არავის გაუხსნია გული, არავის უთხოვნია რჩევა არც დედისთვის, არც ძმისთვის.

საღამოს პირს ირაკლი ქუჩას გადასცქეროდა. თვალი მოჰკრა: მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარი ნათია სავსებით დასრულებული ქალიშვილივით კოპწიად მოსეირნობდა. იგი ფანჯრის პირდაპირ შედგა და სახეგაბადრული მიესალმა. ირაკლიმ თავი დაუქნია. გაღიმებაც სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობ ცუდად გრძნობდა თავს ამისათვის, რომ გაღიმება შეძლებოდა. დაღვრემილი სახით შემობრუნდა და დიდხანს უაზროდ შესცქეროდა რომელიღაც ამოჩემებულ წერტილს კედელზე.

კარგა ხნის შემდეგ, როცა კვლავ გადაიხედა ქუჩაში, დაინახა, რომ ნათია იქვე იდგა, სადაც წეღან. ირაკლიმ ცადა გაღიმება, მაგრამ ვერც ახლა შეძლო. ნათიას სახის კუნთები უთრთოდა. ირაკლის მოეჩვენა, რომ იგი საცაა ტირილს დაიწყებდა.

ნათიას მართლაც მძლავრად ებჯინებოდა რაღაც ყელში და თავს ძალას ატანდა, რომ არ ატირებულიყო. ირაკლიმ როგორც იქნა შეძლო და გაუღიმა. იმ წამში ნათიამაც გამოიდარა და მერე მთრთოლვარე ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰკითხა:

— თქვენ... ცუდი... ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვათ?

— რა თქვი? — ქუჩის ხმაურში ირაკლიმ ვერაფერი გაიგონა.

— თქვენ ისე ნაღვლიანად გამოიყურებით... — ნათია ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. საშინლად ღელავდა. იგი ქუჩის შუაგულში იდგა, თავი ზემოთ აეწია და ირაკლის შესცქეროდა.

— მანქანა! — უყვირა ირაკლიმ. — გადადი ტროტუარზე.

შემკრთალი ნათია განზე გახტა. შოფერმა დროზე დაამუხრუჭა საბარგო მანქანა. მერე ფანჯარაში თავი გამოყო და სახეზე ეტყობოდა, მკაცრად აპირებდა დაცაცხანებას, მაგრამ მშვენიერი და შემკრთალი ქალიშვილი რომ დაინახა, უმალ გამოიდარა.

ნათია კვლავ გადმოვიდა ქუჩის შუაგულში.

— რას შვრები! — დაუძახა ირაკლიმ. — გინდა მანქანამ გაგიტანოს!

— ახლა ფრთხილად ვიქნები.— თქვა ნათიამ და ქუჩის ორივე მხარე შეათვალიერა.

— რას მეუბნებოდი წეღან?

— არაფერს... თქვენ ისე ცუდ ფერზე ხართ... ავად ხომ არ იყავით?

— ავად? არა.

— ცუდი რამე შეგემთხვათ?

— ა... არაფერი... ისეთი არაფერი.

— მე ვერ შევძლებ დაგეხმაროთ?

— რაა?

— მე ვერაფერში დაგეხმარებით? შეიძლება რამეში გამოგადგეთ...

ირაკლის გაეცინა უნებურად.

— მაინც რაში გინდა დამეხმარო? — ჰკითხა მან.

— რა ვიცი... მე ვიფიქრე, რომ თქვენ რაღაც გიჭირთ... — ნათიამ განზე გაიხედა. ახლა აღარ უყურებდა ირაკლის თვალებში. — თქვენ ისე ნაღვლიანად გამოიყურებით... ისე შეცვლილი ხართ...

ირაკლიმ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ქვემოთ, შუა ქუჩაზე მდგარი ქალიშვილი. დიახ, უკვე ქალიშვილი, რომელსაც ღია წაბლისფერი თმა თავისუფლად ჩამოშლოდა მხრებზე, მეტიჩარა, ასკვინტილებული კოხტა ცხვირი ჰქონდა და თავისი ცვილისფერი, ლამაზი და თანაგრძნობით სავსე თვალებით შეჰყურებდა მას.

— გამიგონე... ნათია! ნათია გქვია, არა?

— დიახ, ნათია.

— გამიგონე, ნათია, რომელ კლასში ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელ კლასში ვარ? — ნათია არ მოელოდა ასეთ შეკითხვას.

— ჰო, რომელ კლასში ხარ?

— მმ...მეცხრეში — თქვა ნათიამ. კინაღამ არ წამოცდა, მეათეშიო, მაგრამ დროზე სძლია ცდუნებას. „ვერ მოვატყუებ... არ შემიძლია“.

— მეცხრეში. — გაიმეორა ირაკლიმ და გაჩუმდა.

ნათია ელოდა. ირაკლი არაფერს ეუბნებოდა. „ნეტავი მეთქვა, მეათეშითქო“, — გაიფიქრა ნათიამ. მერე გულისფანცქალით და ფრთხილად თქვა:

— რატომ შემეკითხეთ?

— ისე... — უპასუხა ირაკლიმ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ნათია ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ჰკითხა:

— თქვენ... თქვენ რა გქვიათ?

— ირაკლი.

— ირაკლი?!

— რა იყო, ცუდი სახელია? — ირაკლის გაეცინა.

— ცუდი სახელი არ არის, მაგრამ... მე მეგონა, ბეშქენი გერქვათ...

— ბეშქენი? რატომ გეგონა?

— არ ვიცი. — თქვა ნათიამ. ცოტა ხანს ჩუმად იყო. — თუმცა... არა... თქვენ ირაკლი უნდა გერქვათ.

ირაკლიმ გულიანად გაიცინა.

— რა თქმა უნდა, ირაკლი! — თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა ნათია. — მე კი ბეშქენს ვფიქრობდი...

ირაკლის კვლავ გულიანად გაეცინა. მერე ანაზდად შენიშნა, რომ იცინოდა, თანაც გულიანად იცინოდა! განცვიფრდა. „ნუთუ ამ პაჭუა გოგონამ გამამხიარულა ასე?!“ — ფიქრობდა გაკვირვებული.

*

ირაკლი უმცროსი ბუღალტრის ადგილზე დანიშნეს იმ დაწესებულებაში, სადაც ოთარ კავაზაშვილი ეკონომისტად მუშაობდა. ახლა იგი კვირაში ექვს დღეს დილაადრიან სამსახურში მიეშურებოდა. დილით წავიდოდა და საღამოს ბრუნდებოდა შინ. საქმე გაუჩნდა.

ყოველ დილით დათო გამოიყვანდა მანქანას გარაჟიდან, დააყენებდა კიბის წინ და შემდეგ ჩასვლაში შველოდა ირაკლის.

ერთმანეთს გადაება საოცრად მსგავსი, ერთფეროვანი დღეები. იმ ოთახში, სადაც ირაკლის მაგიდა იდგა, სამი კაცი და ორი ქალი იჯდა კიდევ. ოთახი მოზრდილი იყო, მაგრამ მაგიდები მაინც ერთმანეთზე მიედგათ. დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ ისმოდა საანგარიშოს კოჭების რაწკუნი...

ირაკლი გვიან საღამოს დაბრუნდა იმ დღეს შინ. დედას რეზო უჯდა ოთახში, ჯაკლის მურაბა მიერთმია და რაღაცაზე ეხუმრებოდა.

— ძძ... ძია ირრ...რაკლი, გექნებათ დდ...დღეს დრო? — ჰკითხა რეზომ.

— რა თქმა უნდა, რეზო, აბა დაწყებულ საქმეს შუაგზაზე ხომ არ მივაგდებთ. — უთხრა ირაკლიმ. იგი ცდილობდა, მთელი დღე ისე ჰქონოდა შევსებული საქმით, რომ თავისუფალი დრო სავსებით არ დარჩენოდა.

ირაკლიმ ისადილა. შემდეგ რეზო თავის ოთახში გაიყვანა.

— დდ...დღეს დეიდა ხხათუნა შემხვდა. — თქვა რეზომ და გაიცინა.

ირაკლი შეკრთა. რეზოს გამომცდელად შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ შეგხვდა? — ჰკითხა მკაცრად.

— დეიდა ხხათუნა. — რეზომ კვლავ გაიცინა.

— რატომ იცინი? — ირაკლი იჭვიანად დააკვირდა.

— ისე. როცა მმ...მივესალმე, ქუდი მმოვუხადე, ხხ...ხელები ჩამოვუშვი და კკ...კედელთან გგავჩერდი...

— მერე მაგაში რა ნახე სასაცილო?

— დეიდა ხხათუნამ დდ...დამიძახა და მმ...მითხრა, მმასწავლებელი ხომ არა ვარ შშ...შენი, ასე რომ მმ...მესალმებიო...

— ჰო, მერე?

— მერე იმ კკ...კაცმა, რომელიც ხხათუნას ახლდა, თქვა...

— ვინ კაცი ახლდა ხათუნას?

— სახელი არ ვვ...ვიცი, თქვენთან დადის ხშირად.

— ჩემთან დადის? — ირაკლი ჩაფიქრდა. — როგორია შესახედავად?

— მმ...მაღალია. თქვენთან რომ ორი კკ...კაცი დადის, ერთი დდაბალი, არჩილი ჰქვია და მმეორე მმ...მაღალი...

— ჯიბო?

— ჰო, ჯჯიბო, მმ...მაღალი რომ არის. ჰოდა ძძ...ძია ჯიბომ უთხრა: რას ერჩი მმაგ ბავშვს, შშ...შეხვედრისას ნნაცნობს ქუდი უნდა მმ...მოუხადო, მმასწავლებელი რა შშ...შუამიაო.

— მერე?

— დეიდა ხათუნამ თთავზე ხელი გგ...გადამისვა, კკ...კარგი ბიჭი ხხარო. — რეზომ გაიცინა და გაწითლდა.

— კიდევ რა გითხრა დეიდა ხათუნამ?

— კკ...კიდევ? — რეზო ჩაფიქრდა. კკ...კიდევ ძძ...ძია ირრ...რაკლი, ესე იგი თქვენზე, როგორ არისო.

— მეტი? მეტი რა გკითხა?

— მმ... მეტი არაფერი. — რეზო გაწითლდა.

— კიდევ გკითხავდა რამეს, ნუ მიმაღავ.

— მმ...მეტი არაფერი უკკ...კითხავს. — რეზო უფრო გაწითლდა.

— არ გრცხვენია, ტყუილს ამბობ!

— კკ...კიდევ მმკითხა, ძძ...ძია ირრ...აკლი გიყვარსო?

— ჰოოო. — თქვა ირაკლიმ. — მერე შენ რა უპასუხე?

— ძძ..ძია ირრ...რაკლი, არ ვვ...ვიმუშაოთ?

— ცხადია ვიმუშაოთ. მაშ მეტი არაფერი უთქვამს ხომ დეიდა ხათუნას?

— მმ...მეტი არაფერი. თუმცა დეიდა ხხათუნას კკ...კიდევ უნდოდა ჩჩემთან ლაპარაკი, მმ...მაგრამ ძძ...ძია ჯჯიბომ უთხრა, წწ... წამოდი, დდაგვაგვიანდებაო და წწ...წავიდნენ.

— წამოდი, დაგვაგვიანდებაო, ასე უთხრა?

— ჰო, წწ...წამოდი, დდაგვაგვიანდებაო.

— ახლა ვიმუშაოთ. — თქვა ირაკლიმ.

— ვვ...ვიმუშაოთ. — რეზომ გაშალა სახაზავი ქაღალდები. — ძძ...ძია ირრ... რაკლი, გგახსოვთ კკ...კინოში დეიდა ხხათუნა? რა კკ...კარგია, არა?

— ჰო. ახლა ვიმუშაოთ. — თქვა ირაკლიმ.

*

ირაკლის გაიოზმა გაუღო კარი და წინ გაუძღვა. ჩვეულებრივ, არც თუ ძალიან დიდ ოთახში შეიყვანა, რომელიც მის სახელოსნოს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი გაჩახჩახებული იყო. მინის ჭერიდან უხვად იღვრებოდა სინათლე. მოლბერტზე შემდგარ ფართო ტილოს ჯერაც არ შეშრობოდა საღებავი.

გაიოზმა პალიტრა მაგიდაზე დადო, დასვრილი ხელის მტევანი მოღუნა და ირაკლის მაჯა გაუწოდა ჩამოსართმევად. მერე სახელოთი ფრთხილად მოიწმინდა ოფლის მძივებით შეჟონილი შუბლი.

— მუშაობ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ჰო. — თქვა გაიოზმა. — ჩამოჯექი, სადაც გაგეხარდება.

— ხელს არ შეგიშლი?

— არა. მე ყოველგვარ პირობებში შემიძლია მუშაობა.

ირაკლიმ თვალი მოავლო სახელოსნოს, რომელშიც რამდენიმე სხვადასხვა ზომის სკამი იდგა. ერთ კუთხეში დაგორგალებული მატერია იდო. კედლებზე და იატაკზე სხვადასხვა სიდიდის ტილოები ელაგა. ისინი ერთმანეთზე იყო შიდგმული.

ირაკლი ერთ ტილოსთან შეჩერდა, რომელიც სკამზე იდგა. ტილოზე სხვადასხვა პატარა სიუჟეტები იყო დახატული ერთმანეთის გვერდით.

— ერეკლე, დააკვირდი, მაგ ტილოზე არის ერთი ეტიუდი — ქალიშვილის თავი.

— ჰო, ვხედავ.

— მაგ ქალიშვილისაგან უფრო გვიან დიდი პორტრეტი დავხატე, მაგრამ ეტიუდში უფრო სრულყოფილად მივაღწიე პორტრეტულ მსგავსებას. ამიტომაც შემოვინახე ეგ ტილო.

ზოგიერთი მხატვრისგან განსხვავებით, გაიოზს მუშაობისას შეეძლო ელაპარაკა და ხელი არ შეშლოდა. იგი არც ახლომყოფებისაგან მოითხოვდა სიჩუმეს. ირაკლი თვალს ადევნებდა მისი ფუნჯის მოძრაობას. მერე რატომღაც გაახსენდა, არჩილმა რომ უთხრა:

— გაიოზს იუმორის გრძნობა შერჩენილი აქვს. ამით იგი შენზე ძლიერიაო.

არჩილს ძალიან მოეწონა გაიოზი. როცა ისინი ერთმანეთს გააცნო, ირაკლის რატომღაც ეშინოდა, რადგან ორივენი უყვარდა და უნდოდა, მათაც მოსწონებოდათ ერთმანეთი. არჩილი და გაიოზი კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს. ირაკლის გასაოცრად, ჯიბომაც შესანიშნავად იგრძნო თავი გაიოზთან.

— ბრწყინვალე დღეა. — თქვა გაიოზმა. — რა სინათლეა, რა მზე! შენ ალბათ არ იცი, ერეკლე, რა ჯადოქარია მზე! ერთხელ კახეთში ვიყავი, სოფლად. უცბათ შევამჩნიე, შორიდან ვიღაც ზღაპრული პერსონაჟი მიახლოვდებოდა, სახედარზე ამხედრებული. და როცა ახლოს მოვიდა, იცი ვინ აღმოჩნდა? სოფლის გლახა... მზემ კი მისი ძონძები ზღაპრულ სამკაულად მომაჩვენა!

გაიოზი ნერვიულად ამოძრავებდა ფუნჯს. ირაკლის ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გაიოზი კომპოზიციის წინასწარი გაანგარიშების გარეშე ხატავდა. ტილოზე ჩნდებოდა ლაქები, მხოლოდ ლაქები... და მერე რამდენიმე მოსმაც და მოულოდნელად „ამ ნადღაბნიდან“ სიუჟეტი გამოიკვეთებოდა.

ირაკლიმ თავის სამსახურზე უამბო გაიოზს.

— ცხოვრების სიხარული... და სიხარული შრომისაგან... ეს თითქმის ერთი და იგივეა. შენ შეამჩნიე, ერეკლე, რომ ჩემი სურათების უმრავლესობა ამ თემაზეა დაწერილი? ისინი ცხოვრებისა და სიცოცხლის სიხარულზე ლაპარაკობენ...

— შევამჩნიე. — თქვა ირაკლიმ. — შენს სურათებში არის მზე, სინათლე, მხიარული, სადღესასწაულო განწყობილება... და ადამიანების გაბრწყინებული,

ბედნიერი სახეები... მაგრამ, გაიოზ, ქვეყნად დარდიც არსებობს, მწუხარებაც, უსამართლობაც...

— რა თქმა უნდა, მაგრამ ბედნიერებაც უხვად არის გაბნეული ბუნებაში, მიწაზე... მე მინდა გიატო ადამიანებზე, რომლებიც ეძიებენ და პოულობენ კიდეც ბედნიერებას... მე მინდა ოდესმე თქვან ჩემზე: იგი იყო კაცი და მხატვარი, რომელმაც დახატა ბედნიერება, და არა ერთხელ!

— ტიციანმა ბევრჯერ ასახა ბედნიერება, მაგრამ მას აქვს სხვა რამეც მას აქვს მსოფლიო ტრაგედია... აქვს ჭეშმარიტად საშინელი კაენი, რომელიც ჰკლავს აბელს.

გაიოზმა არ უპასუხა. იგი ირაკლის შესაქქროდა დაჟინებით.

— მთლიანად გცვლის ეს პიჯაკი... — თქვა მან. — ეგ ფერი... მოდი, აი აქ დაჯექი, ამ სკამზე... თუმცა აქ ძალიან უცნაურად ხარ განათებული. დავწიოთ სკამი. შემობრუნდი. ასე... კარგი მხატვარი ყოველგვარ განათებას უნდა შეეგუოს...

ირაკლი ისე დაჯდა, როგორც გაიოზმა უთხრა.

— მგონი არ იცი, სად წაიღო ხელები, არა? ახლავე! — გაიოზმა ჩიბუხი ამოიღო ჯიბიდან და მიაწოდა. — დატენე თუთუნით...

— პაპიროსს მოვწევ...

— კარგი, პაპიროსი მოსწიე... — გაიოზმა ალბომი აიღო და სწრაფად დაიწყო ხატვა. ცოტა ხანში ამოხია ფურცელი და გადააგდო. კიდევ ჩახატა. ისიც ამოხია.

ასე ამოხია და გადაყარა რამდენიმე ფურცელი და მერე სულ რამდენიმე წუთში ისეთი სრულყოფილი ნახატი გააკეთა, თითქოს ერთი საათი კი არა, რამდენიმე დღე ემუშაოს.

უეცრად გაიოზი წაბარბაცდა. შემდეგ მოლბერტს ჩასჭიდა ხელი და ამ პოზაში გაიყინა. სახეზე მიცვალებულის ფერი დაედო. თვალები დახუჭული ჰქონდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— დამეწყო... — თქვა გაიოზმა ჩურჩულით და მძიმედ გაახილა თვალები. — დამეწყო...

ირაკლი თვალს არ აცილებდა გაიოზს, რომელიც ბარბაცით მივიდა სკამამდე და ჩამოჯდა.

— უკვე დაიწყო სალტეების ჩამოცმა, როგორც ღვინის კასრზე... აი ჩაქუჩებს ურტყამენ ზემოდან და თანდათან მაგრად უჭერენ...

— გაიოზ, რითი გშველიან ამ დროს? მე ვერაფრით დაგეხმარები?

გაიოზმა გაღიმება სცადა, მაგრამ მხოლოდ ტუჩები მოეღრიცა.

— ვერც შენ, ვერც სხვა, ერეკლე. — თქვა მან. — გავიდეთ ოთახში.

გამოვიდნენ. გაიოზი სავარძელში გაიშოტა. თავი საზურგეზე მიაყრდნო.

— თუ დაწოლა გინდა, დაწექი, — უთხრა ირაკლიმ. — მე ნუ მომერიდები.

— არა, ასე უკეთესია... ჯერჯერობით ასე უკეთესია.

— მე წავალ. მარტო უფრო დაისვენებ.

— არა. დარჩი, დარჩი, თუ ძმა ხარ! შენთან ყოფნა მამშვიდებს.

ირაკლისათვის ძალიან გასაგები იყო, რაც ახლა გაიოზმა უთხრა. თვითონაც ხშირად ჰქონია ასეთი გრძნობა.

— მაშ დაისვენე და მოიქეცი ისე, როგორც გესიამოვნება. — თქვა ირაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმ. — ყურადღებას ნუ მომაქცევ. მე მიჩვეული ვარ სიჩუმეს და კარგად შეძიძლია გავირთო საკუთარი თავი.

— ვიცოდი, რომ ასე ამტკივდებოდა... დღეს ბევრი ვიმუშავე. თანაც აღგზნებული ვიყავი...

ირაკლი გაიოზის ტკივილებისაგან გაფითრებულ სახეს შეჰყურებდა.

— მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია, რომ არ ვიმუშაო... ჩემთვის უფრო ძნელია არ ვიმუშაო, ვიდრე ამ ტკივილების ატახა.

— გასაგებია.

გაიოზი წამოდგა და ბუფეტიდან ალუბლის ნაყენი გამოიღო. ირაკლის დაუდგა წინ. სირჩა გაუვსო და უთხრა:

— დალიე.

— არ მინდა.

— მე ნუ მიყურებ. ჩემთვის ახლა არ შეიძლება სმა. დალიე.

— არ მინდა, გაიოზ.

— აბა ეგრე ხომ არ იჯდები?

— ვიჯდები. და გთხოვ, ჩემთვის ნუ წუხდები.

— კარგი. მაშინ მე ყავას დავლევ, შენ ალუბლის ნაყენს. ანდა მეც ალუბლის ნაყენს დავლევ, არ მომკლავს. — გაიოზმა თავისთვისაც შეივსო სირჩა.

— გაიოზ, — შეაჩერა ირაკლიმ. — ძალიანა მწყინს, რომ ისე მექცევი, როგორც სტუმარს. მე დალევის გარეშეც კარგად ვგრძნობ შენთან თავს.

— გამხიარულდებოდი. ისე მოგწყინდება...

— სისულელეა. ახლა მეც ისევე მავნებს დალევა, როგორც შენ. უფრო დიდი სიამოვნებათ თურქულ ყავას გეახლებოდი.

... გაიოზს ფინჯანით ყავა ეჭირა ხელში. უბრალოდ კი არ ეჭირა, არაშედ რაღაც საოცარი მოხდენილობით. ირაკლი განცვიფრებული იყო: ფინჯანი გაიოზის ხელში აღარ იყო მხოლოდ ფინჯანი, იგი მისი გამოსახულების შემადგენელ ნაწილად, აუცილებელ საგნად ქცეულიყო...

ასევე ხდებოდა, როცა გაიოზი ჩიბუხს ეწეოდა, ან ფუნჯი ეჭირა ხელში, ან ალბომი და ფანქარი...

ირაკლის უკვირდა ის საოცარი შეგრძნება ნივთებისა, რომელიც გაიოზს ჰქონდა, შეგრძნება გარეშე სამყაროსი, ყველაფრისა, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა. ნივთი მის ხელში ცოცხლდებოდა. იგი კარგავდა თავისთავადს, დამოუკიდებელ მნიშვნელობას და იქცეოდა ნივთად, რომელიც გაიოზს ეჭირა.

ამიტომ იყო, ალბათ, რომ ირაკლის ებადებოდა სურვილი, ეამბნა სხვებისთვის, როგორ ეჭირა ფინჯანი გაიოზს, როგორ ეწეოდა ჩიბუხს, როგორ მომართა საათი, ან როგორ დაიხურა შლაპა.

და ირაკლის რატომღაც გაახსენდა, როგორ ხვრეპდა გაიოზი საერთო ქვაბიდან ბალანდას ალუმინის კოვზით ფრონტზე... როგორ ეგუება კაცი ყოველგვარ პირობებს! შემდეგ ირაკლის მოაგონდა სადღაც ყურმოკრული დიალოგი. ერთი ამბობდა:

— კარგი ჩვევები კარგ პრინციპებს სჯობსო.

მეორემ უპასუხა:

— კარგი მანერები კი კარგ ჩვევებზე უკეთესიაო.

ირაკლის გაეცინა.

— რატომ იცინი? — ჰკითხა გაიოზმა.

— აკი გითხარი, კარგად შემიძლია გავირთო საკუთარი თავი-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიოზი როიალთან მივიდა, თავი ახადა.

თითქოს გამიარა ტკივილებმა. — თქვა მან. — ესე იგი შუაღამეზე შემომიტევს უფრო ძლიერად.

— ეგრე იცის?

— ეგრე იცის, ერეკლე! — გაიოზმა გაიცინა. — რა დავუკრა, რისი მოსმენა გესიამოვნება?

— რაიმე მხიარულის. — თქვა ირაკლიმ.

გაიოზმა დაუკრა. ირაკლი ჭერს შესცქეროდა. მერე მზერა ქალიშვილის პორტრეტზე გადაიტანა, რომელიც ძვირფას ჩარჩოში იყო ჩასმული და კედელზე ეკიდა თვალსაჩინო ადგილას. ქალიშვილი სავარძელში იჯდა, ბუხართან. ყელი მოეღერებინა. მისი წაგრძელებული, ლამაზი თვალები გულუბრყვილოდ, მაგრამ ამაყად იცქირებოდნენ შორს, მომავლისაკენ... გულთან და ზურგზე ღრმად ამოჭრილი შავი კაბა ეცვა. ხშირი, აბრეშუმივით სრიალა თმის ბირთვი კეფაზე დაემაგრებინა. ყურისძირებთან ისე გარკვევით მოჩანდა, ვერცხლისფერი ბუსუსები... ბუსუსები ძალიან ხელშესახებად იყო დახატული.

ირაკლიმ გაიფიქრა, რომ სადღაც უნახავს ეს ქალიშვილი. ოღონდ ვერ მოიფიქრა სად. გონებას ძალა დაატანა. აა! ეს ხომ გაიოზის საცოლეა! ფრონტზე აჩვენებდა ხოლმე გაიოზი მის ფოტოსურათს.

არ იცოდა რატომ, მაგრამ რატომღაც ფრთხილად შეეკითხა:

— გაიოზ, ეს პორტრეტი... მმ... ინასი არ არის?

გაიოზი სწრაფად შემოტრიალდა როიალის მბრუნავ სკამზე და პორტრეტს შეხედა. ცოტა ხანს უყურა. მერე ხმადაბლა თქვა:

— ჰო, ინას პორტრეტია.

ირაკლი თავის თავზე ბრაზობდა, რომ ასე ფრთხილობდა, მაგრამ გუმანმ. უკარნახა და ახლაც მორიდებით ჰკითხა:

— ხვდები კიდევ ინას?

— ჰა? — გაიოზი სკამიდან წამოდგა.

— მმ... მმ... სად არის ახლა ინა?

გაიოზი პორტრეტისკენ მობრუნდა, ირაკლის ზურგი შეაქცია. დიდხანს იდგა და ხმას არ იღებდა.

ირაკლიმ უხერხულად იგრძნო თავი. მიხვდა, რომ ისეთი რამე თქვა, რაც არ უნდა ეთქვა. მაგრამ რატომ არ უნდა ეთქვა, არ იცოდა.

გაიოზმა ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და ნერვიულად დაიწყო წინ და უკან სიარული. ირაკლის უცნაური მოკრძალება დაეუფლა, გუმანით გრძნობდა რაღაც უბედურებას. შემდეგ მაინც ჰკითხა:

— სად არის ახლა ინა, გაიოზ?

— სად არის? სად არის და ცაში, მიწაში, ჰაერში, ყველგან, ყველაფერში...

გაიოზი სავარძელში ჩაჯდა.

— დაიღუპა. — თქვა მან. — სანიტარული მანქანა, რომელშიც ის იჯდა, ნაცარტუტად იქცა.

ირაკლი გაიოზის სახემ განაცვიფრა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა მას ამ დროს.

— როგორც კი სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ჯარში გაიწვიეს და მეხუთე თვეს დაიღუპა...

ირაკლიმ ვერაფერი თქვა. არც იცოდა, რა უნდა ეთქვა.

„რა უნდა ვუთხრა? ფიქრობდა იგი. — ლაპარაკი კარგია მაშინ, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვების იქით ბედნიერებაა... ასეთ დროს სათქმელიც თავისუფლად მოდის. მაგრამ რა უნდა უთხრა კაცს, როცა იგი უბედურია? განა თანაგრძნობის სიტყვებს, როგორიც უნდა იყვნენ ისინი, შეუძლიათ რაიმეში დაეხმარონ? ასეთი სიტყვებისაგან უფრო გიჭირს".

ინას პორტრეტს ახედა კვლავ. კარგად არის შესრულებულიო, გაიფიქრა. განსაკუთრებით ბუსუსები ყურებთან და წაგრძელებული თვალები...

— კარგად არის შესრულებული. — თქვა ირაკლიმ ისე, რომ პორტრეტისათვის თვალი არ მოუშორებია. და მერე რატომღაც შერცხვა. ალბათ, ახლაც უადგილოდ თქვა. ასეთ წუთებში, ასეთ რამეზე...

გაიოზს არც გაუგონია ირაკლის ნათქვამი. ჩიბუხს მოუკიდა და ხარბად მოქაჩა. მას დაუდგრომელი, ცოცხალი თვალები ჰქონდა.

„ასეთ თვალებს ძნელად გამოაპარებ გულისწადილს", — გაიფიქრა ირაკლიმ.

გაიოზი ისე ნერვიულად მოძრაობდა და ისეთი ექსცენტრული მიმოხრა ჰქონდა, თითქოს თავს ძალას ატანდა, რომ როგორმე ერთ ადგილზე გაჩერებულიყო.

— დამთავრდა ომი, ჩამოვედი თბილისში, — ყრუ ხმით დაიწყო გაიოზმა. — ინას დაღუპვის ამბავი დამახვედრეს... და იცი რა ვქენი, ერეკლე? ერთი წლის შემდეგ ცოლი შევირთე...

— რა თქვი?

— ერთი წლის შემდეგ შევირთე ქალი, რომელსაც, როგორც მეგონა, ვუყვარდი. ნუ გიკვირს... ეს ყველაფერი ისე რთულია... ნუ გიკვირს...

— არ მიკვირს. — იცრუა ირაკლიმ.

— ჩვენ ინსტიტუტიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მას, მგონი, მართლაც ვუყვარდი ოდესღაც. მაგრამ მე სხვა მიყვარდა... როცა დავბრუნდი, ის სხვა აღარ იყო ცოცხალი... ჰოდა, ჩემმა მომავალმა ცოლმა მომნახა, კვლავ დამიახლოვდა...

— მერე?

—დედას მოსწონდა იგი. თანაც ბავშვი უნდოდა, ჩემი ბავშვი. ნათესავებიც შემომიჩნდნენ, მეგობრები... მეც ისე მარტოდ ვგრძნობდი თავს... თანაც მეგონა, რომ მისთვის აუცილებელი ვიყავი, მეგონა, მას ძალიან ვუყვარდი.

ირაკლის მოეჩვენა, რომ გაიოზი თავს იმართლებდა. არ ესიამოვნა.

—... მოვაწერეთ ხელი. — განაგრძო გაიოზმა. — სულ მალე აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის შესაფერნი არ ვიყავით. მარტო იმის გამო კი არა, რომ იგი ჯანსაღი და სიცოცხლემოჭარბებული ქალი იყო, ხოლო მე ავადმყოფი და ჯანღონედაკარგული... არა, მთავარი ეს არ იყო მაინც. ეს სრულიადაც არ იყო მთავარი. არ ვიცი, გამიგებ თუ არა...

— განაგრძე, მესმის.

— ჩვენ საერთოდ ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. პირველად ვითმენდით. მერე კი უბრალოდ აუტანელი გახდა ერთად ყოფნა და დავცილდით.

— განქორწინდით?

— განვქორწინდით. ეს აუცილებელი იყო. მე არ შემეძლო... არასდროს აღარ მომიბრუნდებოდა გული... ჩემთვის ტანჯვა-წამება იყო მასთან ყოფნა, რადგან ყოველთვის მახსენდებოდა...

გაიოზმა სული მოითქვა. ცოტა ხანს ჩუმად იყო. მერე განაგრძო:

— ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მას არ სიამოვნებდა, ინას პორტრეტი რომ მქონდა ჩამოკიდებული... ცხადია, მე არ მივეცი ჩამოხსნის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ ამაზე კრინტიც არ ამოვაღებინე. სამაგიეროდ თავისი პორტრეტი დამახატვინა და იქ ჩამოკიდა... ინას გვერდით.

ირაკლი დააკვირდა და ინას პორტრეტის გვერდით, კედელზე მოზრდილი ოთხკუთხა ნათელი ლაქა შეამჩნია. ლაქის ზემოთ ოდნავ შეჟანგული ლურსმანი მოჩანდა. „ალბათ იქ ეკიდა“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— ამის შემდეგ ვეღარ ვუცქერდი ინას... არ შემეძლო დამენახა ისინი ერთმანეთის გვერდით...

ირაკლი შეინძრა, რაღაცის თქმა დააპირა.

— უცნაურია, ხომ? მაგრამ ასეა. იგი ჩემი ცოლი იყო და ეს თითქოს არაფერი, მაგრამ თავის სურათი ინას გვერდით რომ ჩამოჰკიდა...

გაიოზი დაბალი, სასიამოვნოდ მჟღერი ხმით ლაპარაკობდა. და ნათქვამს ყოველთვის ეხმარებოდა ხელებით. მოგრძო, შხვართი თითები ჰქონდა. ლაპარაკისას ხელები თითქოს მუსიკის აკომპანიმენტის ქვეშ მოძრაობდნენ და გეგონათ, რომ მათ ჰქონდათ თავისი, საკუთარი ენა.

— ... მერე როცა დამცილდა, თავისი პორტრეტიც თან წაიღო.

— უცნაურია. — თქვა ირაკლიმ. — თითქოს შენი დახატული აღარ უნდა წაეღო, რადგანაც დაგცილდა.

— ჩემი ცოლი სხვანაირად ფიქრობდა. წასვლისას მან ასე მითხრა: „ჩვენ ყოველთვის დავრჩებით ინტელექტუალურ მეგობრებად. ყოველთვის პატივს გცემ, როგორც ხელოვანს, მაგრამ სხვა მხრივ“... მან ხელი ჩაიქნია.

ირაკლის გაეცინა.

— საინტერესო ქალი ყოფილა. — თქვა მან.

— ერთობ. — გაიოზმაც გაიცინა. — ამბობენ, ხანდახან სიყვარულზე ძლიერი შეჩვევაო, მაგრამ მე სულ არ გამჭირვებია დაცილება, პირიქით თავისუფლად ამოვისუნთქე.

— დიდი ხანია, რაც დაცილდი?

— არ არის დიდი ხანი, მაგრამ მაინც იშვიათად მახსენდება. მისგან არაფერი დამრჩენია, არც ბავშვი, არც სხვა რამ, სრულიად არაფერი... შენ წარმოიდგინე სინანულიც კი არა. წავიდა და წავიდა. მოგონებაც კი არა დაუტოვებია, თითქოს არასდროს ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

გაიოზი გაჩუმდა. არც ირაკლი იღებდა ხმას.

— აი ყველაფერი, ერეკლე...

ირაკლის არაფერი უთქვამს.

„ნუთუ ყველაფერი? — გაიფიქრა გაიოზმა. — განა შეიძლება უთხრა მეორე კაცს მთლიანად ის, რასაც გრძნობ, თუნდაც იგი შენი მეგობარი იყოს! აი მე მინდოდა მეთქვა ყველაფერი ირაკლისათვის, მაგრამ განა შეიძლება უთხრა ყველაფერი...“

განა შეუძლია უთხრას, რას განიცდიდა, ინას დაღუპვა რომ გაიგო, ან როცა მარტო დარჩა თავის ცოლთან იმ ოთახში, სადაც ინას სურათი ეკიდა კედელზე...

გაიოზი ახლა ხედავდა ინას თეთრ ხალათში და თეთრ ჩაჩში, როგორც იხილა იგი პირველად... თვალწინ ედგა უსაზღვროდ ძვირფასი სახე... ხედავდა მის ნაკვთთა და ფერთა განუმეორებელ შეხამებას. ეს სახე ხშირად წარმოუდგებოდა და მუდამ აღიზიანებდა მასში მხატვარს.

მთელ თავის სასიცოცხლო ძალას, თავის სულს, ფანტაზიას დაუნანებლად შეახარჯავდა, ოღონდ ეს მოგონება გააცოცხლებინა ისე, როგორც ხედავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გვერდით რომ ინა იყოს... იგი რომ არსებობდეს საერთოდ ცოცხალი ამ ქვეყნად...

— მარტოობა ადვილი ასატანია, თუ ვინმე გიყვარს. — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ გაიოზმა. — ოღონდ ცოცხალი უნდა იყოს, ვინც გიყვარს... განუწყვეტლივ შეგიძლია იფიქრო საყვარელ ადამიანზე...

— არა ხარ მართალი. — უთხრა ირაკლიმ.

— რატომ?

— ახსნა არ შემიძლია, მაგრამ მართალი ნამდვილად არა ხარ.

„ხათუნა ცოცხალია... მე მართლაც განუწყვეტლივ ვფიქრობ მასზე, ნახვაც კი შემიძლია მისი ეკრანზე. მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო მწვავედ ვგრძნობ მარტოობას“ — გაიფიქრა ირაკლიმ.

— სიყვარულის სადღეგრძელო იყოს და ბედნიერების? — გაიოზმა ყავის ფინჯანი მიუჭახუნა ირაკლის ფინჯანს. — ერთი შენც გამოსცადე და მეც. მეორე კი არც ერთს არ გამოგვიცდია.

ირაკლიმ ყავა მოსვა. იგრძნო, რომ შეეძლო დაუფარავად ეამბნა გაიოზისათვის ყველაფერი ხათუნაზე. მასთან ნამდვილად არ იგრძნობდა უხერხულობას. პირიქით, ალბათ გულს მოეშვებოდა. დარწმუნებული იყო, რომ გაიოზი ყველაფერს ისე გაუგებდა, როგორც საჭირო იყო, როგორც მას — ირაკლის სურდა...

მშვენივრად გრძნობდა თავს ფრონტელი მეგობრის გვერდით, ამ ოთახში, სადაც საოცარი სიმყუდროვე და სიმშვიდის მომგვრელი ატმოსფერო სუფევდა. ირაკლის უყვარდა გაიოზი. მას ძალიან უყვარდა გაიოზი. ისე, როგორც დათო. უნდა კიდეც ეთქვა ეს, მაგრამ არა თქვა. გრძნობებიხ გამომჟღავნებას მოერიდა.

*

გუშინწინ და გუშინ თოვდა. ყველაფერი დაბარდნა, ქალაქი გადაათეთრა. წუხელ კი გადაიდარა და მოყინა. ციოდა.

ირაკლი საამსახურიდან ბრუნდებოდა. ასფალტზე უკვე აეღოთ თოვლი, მაგრამ დარჩენილი თხელი ფენა გასიპულიყო და მინასავით კრიალებდა. ყინავდა. სილურჯე შეეპარა ჰაერს. ხეებს ჯერ კიდევ არ სცვივოდა თოვლი. შეცივნული და მობუზული ფეხით მოსიარულენი ფრთხილად და აჩქარებით მიბაკუნობდნენ.

ზუსტად ოცდარვა წლის იყო ირაკლი, როცა პირველი ჯამაგირი აიღო, პირველი ფული, რომელიც მას შრომისთვის მისცეს. იგი ჯამაგირად არ თვლიდა ფულს, რომელსაც ფრონტზე იღებდა, არც პენსიას, ინვალიდობის გამო რომ ეძლეოდა.

პირველი ჯამაგირი ოცდარვა წლის ასაკში აიღო! თავისებურად ოხუნჯობდნენ ამის გამო არჩილი, გაიოზი, ჯიბო...

თეატრალური ინსტიტუტის წინ ირაკლიმ ხათუნას მოჰკრა თვალი, ვიღაც ყმაწვილ კაცს გუნდა მოეღერებინა მისთვის. ხათუნას ხელები გაეშვირა და იცინოდა. გულმა რეჩხი უყო ირაკლის. სიჩქარე მოუმატა მანქანას და სწრაფად გასცილდა ამ ადგილს. მერე შეუნელა, უკან მოიხედა. ყმაწვილი კაცი კვლავ უმიზნებდა თოვლის გუნდას, ხათუნამ კი ქუჩა გადაირბინა და ოფიცერთა სახლთან გაჩერდა.

ირაკლის აჩქარებით უცემდა გული. ხათუნა აღარ ენახა მას შემდეგ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს დაშორდნენ. არც უნახავს და არც ვინმეს უხსენებია მისი სახელი ირაკლისთან, არც დედას, არც დათოს, არც მეგობრებს... თითქოს ხათუნა არც არსებობდა მის ცხოვრებაში, თითქოს ყველანი მოელოდნენ, რომ ერთ დღეს იგი წავიდოდა, თითქოს ყველამ წინასწარ იცოდა, რომ ხათუნა წავიდოდა და მერე ერთხელაც აღარ ნახავდა ირაკლის...

გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. შენიშნა, რომ მანქანა გაეჩერებინა. ხათუნასთან ორი ქალიშვილი მივიდა, აქეთ-იქით ამოუდგნენ და შემდეგ სამივენი ზემოთ გაემართნენ, რუსთაველის ძეგლის მიმართულებით.

ირაკლიმ დაძრა მანქანა, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციასთან მოუხვია და უკან დაბრუნდა. ასე აკეთებდა ბავშვობაშიაც, ერთ გოგოს რომ შეხვედროდა, რომელიც ძალიან მოსწონდა მაშინ, გაიქცეოდა, თავს დაუვლიდა და თითქოს შემთხვევით, წინ შეეჩეხებოდა...

ნელა მოჰყავდა მანქანა. შორიდანვე შეამჩნია ქალიშვილებში ჩამდგარი ხათუნა. შეჩერდა. ფილაქანის მხარეს გადმოჯდა, ფანჯარას აეკრა. გული აჩქარებით უძგერდა და ატყობდა, რომ ფერი მისდი-მოსდიოდა.

პაპიროსს მოუკიდა.

ხათუნა მიუახლოვდა. ირაკლი აწრიალდა. ხომ შეიძლება ვერ დამინახოს? არ იცოდა, ეყოფოდა თუ არა გამბედაობა თვითონ დაეძახნა, ხათუნა თუ ვერ დაინახავდა.

თავის თავზე ბრაზობდა, რომ მოსწავლე ბიჭივით იქცეოდა. რა მოხდა? რას მოველი? ნუთუ კიდევ რაიმეს მოველი?

ხათუნა გაუსწორდა. ცოტაც და გასცილდება კიდეც და მერე ვეღარ დაინახავს ირაკლის. მერე ვეღარ დაინახავს, თუ უკან არ მოახედეს.

ირაკლი აწრიალდა, პირი დააღო დასაძახებლად და სწორედ ამ დროს ხათუნამ მოიხედა მისკენ. ირაკლის სუნთქვა შეეკრა. ხათუნამ თითქოს დაინახა მისი მანქანა და უმალ მიიბრუნა თავი...

შემდეგ კვლავ მოიხედა და ირაკლიმ შეამჩნია, რომ ხათუნამ დაინახა, იცნო იგი.

ხათუნა შედგა.

ირაკლიმ კარი გამოაღო.

ასე შორიდან შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ირაკლიმ შეამჩნია, რომ ხათუნამ მძიმედ დააფაჩუნა თავისი გრძელი წამწამები. მას მორუხო, ალაგ-ალაგ ბაც ყავისფერში გარდამავალი ძვირფასი ბეწვის ქურქი ეცვა. უქუდოდ იყო. ღაწვები შეფაკვლოდა სიცივისაგან.

ხათუნა თითქოს ყოყმანობდა. ერთი ნაბიჯი გადმოდგა ირაკლისკენ, მაგრამ შემდეგ უკან გაბრუნდა. თანამგზავრ ქალიშვილებთან მივიდა და რაღაც უთხრა. ქალიშვილებმაც უთხრეს რაღაც და წავიდნენ. ათი ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ მოტრიალდნენ და ხათუნას ხელი დაუქნიეს.

ირაკლის მანქანის კარი ღია ჰქონდა. უეცრად დიდი უხერხულობა და დამცირება იგრძნო. სიამოვნებით გაიქცეოდა ახლა ამ ადგილიდან, ირბენდა დიდხანს და მერე სადმე, უკაცრიელ ველზე თავისუფლად ამოისუნთქავდა. მუშტები თავისთავად შეეკრა.

ხათუნა წამოვიდა მისკენ. გზაში ხელთათმანები წაიძრო. იგი უკვე მანქანასთან იდგა, მაგრამ არც ერთი არ იღებდა ხმას. ირაკლი გაოგნებული იყო. იგი ძალიანად თვალებად იქცა. ხათუნას შეფაკლული ღაწვები, მუქი თვალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილი თმა... ადრე სხვანაირად ჰქონდა გადავარცხნილი თმები. და ეს სურნელება!

ხათუნამ ხელი წამოიღო და მხარზე დაადო ირაკლის.

— ჩაიწი, ჩამსვი მანქანაში.

... ბეწვის პალტო საოცრად თბილი და გაჟღენთილი ხათუნას სურნელებით!

— უხერხულია ასე დგომა... ჩამსვი!

ირაკლის მოეჩვენა, რომ ხათუნას შეცვლილი ჰქონდა ხმა.

— აქ ნუ ვიდგებით, დასძარი.

„სხვანაირი გახდომია ხმა, უფრო ქალური და თან რაღაცნაირად მოღლილი, გულგრილი...“

ირაკლიმ დაძრა მანქანა. სოლოლაკისკენ წაიყვანა. მერე შეამჩნია, რომ ბეწვის პალტოს განიერი და გრძელი სახელოებიდან ოდნავ მოუჩანდა ხათუნას პატარა, თხელი და ვარდისფერი ხელები. ხელში ხელთათმანები ეჭირა და აწვალებდა.

ირაკლიმ ჩაახველა. ხათუნამ გადახედა მას და მერე კვლავ ჩაქინდრა თავი. ანქანა სოლოლაკის აღმართიან და წყნარ ქუჩებში მიდიოდა. ირაკლიმ კვლავ ჩაახველა და თქვა:

— რატომ არაფერს ამბობ?

— რა უნდა ვთქვა?

— რა ვიცი... არაფერი...

„საოცრად მოღლილი და გულგრილი ხმა აქვს. და ქალური“, კვლავ გაიფიქრა ირაკლიმ.

დუმდნენ. მანქანა მიძვრებოდა სოლოლაკის აღმართიან და წყნარ ქუჩებში. ირაკლი ფიქრობდა, რომ მათ ბევრჯერ უვლიათ ამ ქუჩებში ერთად, გაჩერებულან თითქმის ყოველი ხის ქვეშ, შეფარებიან შესასვლელების ქოლგებს, როცა წვიმა წამოსულა. თუ ახლომახლო არავინ ყოფილა, ჩახვევიან ერთმანეთს და ირაკლის დაუკოცნია ეს ტუჩები, თვალები, ყვრიმალები, ყელი...

ირაკლი ფიქრობდა ამაებზე, მაგრამ არაფერს ამბობდა. მანქანა მიძვრებოდა იმ ქუჩებში, რომლებსაც შეეძლოთ ბევრი რამ გაეხსენებინა მათთვის, ორივესთვის.

— ირა, დაიწყე მუშაობა?

— დავიწყე, უკვე სამი თვეა. — უპასუხა ირაკლიმ.

— მიხარია, რომ მუშაობ. — თქვა ხათუნამ.

ირაკლი ფიქრობდა, ეთქვა თუ არა ხათუნასთვის, რომ პირველი ჯამაგირით საყურეები უყიდა, როგორც ოდესღაც პირველი სტიპენდიით. ყურებზე შეხედა, არაფერი ეკეთა. „ნეტავ თუ ინახავს იმ საყურეებს?“

— ერთ დროს საყურეებს ატარებდი. — უთხრა ირაკლიმ.

— ჰო.

— ახლა აღარ გიყვარს?

ხათუნამ მხრები აიჩეჩა. მერე რატომღაც ხელი თავის პატარა და ძალიან ლამაზ ყურებზე მოისვა. გაშლილი თმა სანახევროდ უფარავდა ყურებს.

ირაკლიმ იცოდა, რომ ხათუნას მეორე ფილმში იღებდნენ. ამის შესახებ წერდნენ გაზეთებში.

— მეორე ფილმში გიღებენ?

— ჰო. — თქვა ხათუნამ.

— მთავარი როლი გაქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო.

— როდის დამთავრდება გადაღება?

— კიდევ დიდხანს არა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაპატიე, დღეს ისე ცუდ გუნებაზე ვარ... — თქვა ხათუნამ.

ირაკლიმ არ ჰკითხა, რატომ იყო ცუდ გუნებაზე. იგი ახლა ჯავრობდა, რომ ხათუნა მანქანაში ჩაისვა. არ იყო საჭირო. ნუთუ კიდევ აქვს იმედი? ნუთუ კიდევ ფიქრობს, რომ შეიძლება...

რა სისულელეა! ცხადია, არა! და ამიტომ არ იყო საჭირო ეს შეხვედრა.

— მგონი ამხანაგებს ჩამოგაშორე. — თქვა ირაკლიმ.

ხათუნამ შეხედა, არაფერი უპასუხა.

— ვნანობ, რომ ამხანაგებს ჩამოგაშორე. არ იყო საჭირო.

— რისი თქმა გინდა, ირა?

— არ უნდა მოვქცეულიყავი ასე, მაგრამ დაგინახე და უეცრად ავღელდი...

ხათუნას თავი ჩაექინდრა. ბეწვის პალტოს განიერი და გრძელი სახელოებიდან მოჩანდა პატარა, ვარდისფერი ხელები, რომლებშიც ტყავის ხელთათმანები ეჭირა და აწვალებდა ირაკლი ფიქრობდა, რომ ხელები ცხელი და საოცრად ტკბილი იქნებოდა.

— თუ გინდა მიგაცილებ სახლამდე...

ხათუნამ ყურადღებით შეათვალიერა.

— შევცდი, არ უნდა მოვქცეულიყავი ასე... თუ გინდა, მიგაცილებ სახლამდე.

— არა, აქ გააჩერე. ჩამოვალ. — თქვა ხათუნამ.

„საოცრად დაღლილი და გულგრილი ხმა აქვს. და ქალური“.

— მიგაცილებ სახლამდე.

— აქ გააჩერე. ჩამოვალ.

ირაკლი გაჰყურებდა, ვიდრე ხათუნა მოსახვევში არ მიიმალა. შემდეგ მიეყრდნო საზურგეს და მანქანის დამრეცი მინიდან გასცქეროდა ვიწრო და ბნელ ქუჩას, დაღამდა და ყინვა გაძლიერდა. ხიდან გაქერქეშებული თოვლი ჩამოიყარა და ფილაქანზე დაიშალა.

მაღალ კაცს ბიჭუნა მიჰყავდა ხელჩაკიდებული. ბიჭუნას პალტოს საყელო ამოწეული ჰქონდა. მან ჩამოყრილ თოვლს ფეხსაცმლის წვერი გაჰკრა და უფრო წვრილად დაშალა.

ირაკლიმ რატომღაც გაიფიქრა, რომ დიდიხანია ცოცხლობს. მას ახსოვს უამრავი ამბავი, უნახავს უამრავი ხალხი და მის ცხოვრებაში უამრავი რამ ჰომხდარა. ხანდახან უფიქრია, რომ ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა. ეს არ არის მართალი. ირაკლი დიდიხანია ცოცხლობს და უამრავი რამ გადახდენია თავს...

რა დიდი ხნის წინათ იყო, მაგალითად ის დღე, როცა ის და ხათუნა სამხატვრო გალერეაში იდგნენ ერთმანეთის გვერდით, ხელიხელჩაკიდებული და სუნთქვაშეკრული შესცქეროდნენ სურათს, რომელზეც ახალგაზრდა კაცი თავის სატრფოს ეთხოვებოდა ფრონტზე წასვლის წინ...

რა შორეულად და მიუწვდომლად ეჩვენება ის დრო, რა დიდი ხნის წინათ იყო ეს... ცხადია, დიდი ხანია ცოცხლობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე

— მგელივით მშია. — თქვა დათომ და საჭმელს ეცა.

ისე მამაკაცურად, მადიანად ილუკმებოდა, რომ ირაკლის სიამოვნებდა ყურება. დათო ამ დილით ჩამოვიდა ოდესიდან. მისმა გუნდმა პირველი ადგილი აიღო შეჯიბრებაში. მზე მოჰკიდებოდა, გამხდარიყო.

ირაკლი მაგიდასთან იჯდა. იგი გვერდიდან შესცქეროდა ძმას. დათო გადმოიწია, პური აიღო, შუაზე გატეხა და უკბიჩა. ირაკლიმ უეცრად შენიშნა, რომ ამ მოძრაობაში დათო ძალიან ჰგავდა მას.

— კარგი ქალაქი ყოფილა ოდესა. — ილუკმებოდა და თან ლაპარაკობდა დათო.— განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ მთავარ ქუჩებზე ასფალტი კი არაა ფოსხმული, არამედ ლამაზი ოთხკუთხა ფილებია ჩაწყობილი... და არავითარი კვალი, რომ ქალაქი დანგრეული იყო! ყველა ქუჩა, ყველა სახლი ისეა აღდგენილი, რომ ოდესელებს ვეკითხებოდი, რომელი დაანგრიეს ომის დროს და რომელი გადარჩა-მეთქი...

„ლაპარაკითაც ძალიან მგავს“. — ფიქრობდა ირაკლი.

— და რა ლამაზი ქალები! — განაგრძობდა დათო. — ათ ქალში თუ არა, ოცში მაინც ერთი ძალიან ლამაზი გვხვდებოდა... მზემოდებულები, სარაფანებში, სისხლჭარბი ქალები...

— იმიტომ დაბრუნდი ეგრე გამხდარი? — ირაკლიმ გაიცინა.

— რას ამბობ, შეჯიბრის დროს არ შეიძლება. — თქვა დათომ.

ირაკლიმ თვალი ჩაუკრა ძმას და კვლავ გაიცინა.

დათო დანაყრდა. მერე პაპიროსს მოუკიდა. პაპიროსსაც ისე გემოიანად აბოლებდა, ახალი გადაგდებული რომ გქონოდა, მეორეს მოუკიდებდი მისი შაყურებელი.

დათოს ლაპარაკში, ქცევაში ირაკლი ამჩნევდა თანდაყოლილ და გულუბრყვილო მიდრეკილებას, ბედნიერება ეპოვნა ყველაფერში, რაც კი მის ცხოვრებას ავსებდა. პაპიროსსაც კი რაღაცნაირი ნეტარებით ეწეოდა.

მოვიდა ჯიმშერი. ირაკლიმ იცოდა, რომ იგი დათოს უახლოესი მეგობარი იყო. მოსწონდა ჯიმშერი. საერთოდ დათოს ყველა მეგობარი მოსწონდა.

— გაუმარჯოს! — ჯიმშერმა გადაკოცნა დათო. — როგორ მოიარე?

— კარგად. — თქვა დათომ და თავადაც მოიკითხა მეგობარი.

— ვაჟამ მითხრა, კარგად გითამაშნია, ყველა გუნდს კალათები ამოუტენაო.

— ჩავიდინე ასეთი ცოდვა. — უეცრად დათომ თვალი მოჰკრა, რომ ჯიმშერს, ახალი, საზაფხულო ფეხსაცმელი ეცვა. განცვიფრდა. როგორ მოხდაო, ჰკითხა და თვალით ფეხსაცმელზე ანიშნა.

ჯიმშერმა არ შეიმჩნია. საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

ირაკლის გაეცინა. მან იცოდა, რომ ჯიმშერი ზამთარ-ზაფხულ სათხილამურო, უზომოდ სქელლანჩიანი ფეხსაცმელით დადიოდა.

— სათხილამურო ბატინკები გადააბრუნებინე? — ჰკითხა დათომ.

— მორჩი. — თქვა ჯიმშერმა და გაიღიმა.

— კარგი ფეხსაცმელები გამოგსვლია. აბა ბატინკებიდან მეტი რა გინდოდა... რომელ ხარაზს გადააბრუნებინე? — არ მოეშვა დათო.

ჯიმშერმა ჩაიცინა.

— ახლა ბარემ მოკლე შარვალიც ჩაიცვი.

— ევროპაში გაცილებით გრილი ზაფხული იცის, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ ძოკლე შარვლებით დადიან. — თქვა ჯიმშერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენც ხომ გაიარე შარშან ზაფხულზე მოკლე შარვლით, რატომ შემდგომაც არ ჩაიცვი?

— ჩავიცვამ, ნუ სწუხარ. მთავარი დაწყებაა, თორემ შემდეგ ყველა მიხვდება, რომ სისულელეა გრძელ შარვალში იხუთებოდე, როცა თაკარა მზე აცხუნებს. — თქვა ჯიმშერმა. — გადაწყვეტილი მაქვს, გაის ზაფხულიდან მოკლე შარვლით უნდა ვიარო.

— ეგღა გაკლია. — გაიცინა დათომ. — არაფერი საჭიროა გამოაჩინო შენი ძრუდე და ბანჯგვლიანი ფეხები.

ირაკლიმ ჟურნალ-გაზეთები იღლიაში ამოიჩარა და თავის ოთახში გაჩოჩდა. დათომ წვერის გასაპარსი მოწყობილობა გაამზადა.

— ჯიმშერ, არ მოიწყინო, უცბათ გავიპარსავ. — თქვა მან. — მატარებელში საერთოდ ვერ ვიპარსავ, არა და ვერ ვგუობ წვერს. მანამდე, თუ გინდა, ოდესაში გადაღებული სურათები დაათვალიერე.

დათომ ლამბაქში საპონი ააქაფა.

— მაია არ გინახავს? — ჰკითხა ჯიმშერმა.

— არა. — თქვა დათომ.

— არც დაგირეკავს?

— არა. დილის ხუთ საათზე ჩამოვედი. ასე უთენია ხომ არ დავურეკავდი?

— მერე როგორ ითმენ?

— ნებისყოფას ვიკაჟებ. — დათომ გაიცინა. — აი წვერს გავიპარსავ და ვნახავ.

— შენს ადგილზე მე არ გავიპარსავდი. წვერი გიხდება.

— მაგას მოვეშვათ. როგორ არის მაია?

— შენს ადგილზე ვიწრო წვერს მოვუშვებდი, როგორც ძველ ქართველებს ჰქონდათ. — თქვა ჯიმშერმა ისე, თითქოს შეკითხვა არც გაეგონოს.

— ნუ ლაყბობ. — მიუხვდა დათო ეშმაკობას. — ნახულობდი?

— ვნახულობდი.

— მერე?

— რა მერე?

— ჯიმშერ, ამ სარკეს დაგარტყამ თავში აბა! ყველაფერი ჩამომიკაკლე, არაფერი გამოტოვო! მაინცდამაინც უნდა შეგეკითხო?

— ბუღა კიდევ არ ეშვება. თურმე ყოველდღე ხვდებოდა ლექციების დამთავრების შემდეგ...

დათოს სამართებელი ჰაერში გაუშეშდა.

— გუშინწინაც დახვედრია და სახლამდე მიუცილებია მაია. — განაგრძო ჯიმშერმა. — მოკლედ, გასაქანს არ აძლევს.

დათომ წვერის პარსვას თავი ანება. ჩაფიქრებული შეჰყურებდა თავის ორეულს მაგიდის პატარა სარკეში.

— ჯიმშერ, რა მოვუხერხო ბუღას?

— არ ვიცი. მეც მაგაზე ვფიქრობ ამდენი ხანია.

— როგორ ჩამოვაშორო? — უფრო თავის თავს შეეკითხა დათო.

— სხვა ვინმე მაინც იყოს. — თქვა ჯიმშერმა. — ბუღასთან მეტოქეობა ხუმრობა საქმე არ არის...

— ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. — დათო ფეხზე წამოდგა. — აქამდე ვერიდებოდი აყალმაყალს, მითქმა-მოთქმას... მეგონა ისე მოგვარდებოდა ყველაფერი, მაგრამ როგორც ვატყობ, უამისოდ მაინც არ გამოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მზის სინათლის ყვითელი რომბი ოთახის ერთ კედელს მოსდებოდა და ფართოვდებოდა თანდათან. ირაკლი საწოლიდან გადმოიხარა. სკამიდან საათი აიღო. რვის ნახევარი იყო.

ღია ფანჯრებიდან დილის გრილი, გამაცოცხლებელი ნიავი უქიქინებდა. ძშვიდი დილა იყო, სასიამოვნო. ირაკლი წამოჯდა ლოგინში, მკლავები გაშალა. წელში მოიხარა. საწოლის გვერდის რკინას ხელები ჩასჭიდა, მარდად ჩასრიალდა იატაკზე.

სკამის საზურგიდან შარვალი ჩამოიღო. საწოლის წინ გაგებულ ფარდაგზე ზურგით გადაწვა, ქვედა ტანი აიწია და შარვალი ჩამოიცვა. საბიჯგები მოიძარჯვა. გადაადგილებისას მკლავებისა და ბრტყელი, განიერი მხრების კუნთები ეძაგრებოდა, თვალსაჩინო უხდებოდა. ოთახის კარი გააღო და საბიჯგები ძალიან წინ წასწია, რომ ზღურბლზე არ დამჯდარიყო.

— როგორ მოხდა, დღეს დაგასწარი ადგომა. — უთხრა დედამ. მას ჩაიდანი წყლით გაევსო და ახლა ელექტროქურაზე ადგამდა.

— დამასწარი. — თქვა ირაკლიმ.

— თუ ოთახში დაიბან პირს, ტაშტს შემოგიტან.

— არა, ონკანზე დავიბან.

... ირაკლიმ სასწრაფოდ ისაუზმა, ჩქარობდა. უნდოდა სამსახურში ყველაზე ადრე მისულიყო. დათომ მისი მანქანა გარაჟიდან გამოიყვანა და კიბესთან გააჩერა.

უკვე ცხრის ნახევარი იყო. ირაკლი ჩქარობდა. სწრაფად მიაქროლებდა მანქანას. „დამაგვიანდა, — ფიქრობდა იგი. — ახლა ალბათ უამრავი მოსამსახურე ადი-ჩამოდის კიბეებზე“.

მუდამ პირველი მიდიოდა ხოლმე სამსახურში, რადგან არ უნდოდა ვინმე შესწრებოდა, თუ როგორ ჯახირობდა ასვლისას.

მანქანა დაწესებულების ეზოში დააყენა და გადმოძვრა. კარი მიხურა. საბიჯგები მოიმარჯვა და შენობის შესასვლელი კარი შეაღო. ოთახი, რომელშიც მისი მაგიდა იდგა, მესამე სართულზე იყო.

ჯახირით მიიწევდა ზემოთ. შენობაში რამდენიმე დაწესებულება იყო მოთავსებული. ამოდიოდნენ და ამოდიოდნენ მოსამსახურეები კიბეზე და უსწრებდნენ ირაკლის. ზოგიერთი სწრაფად გარბოდა, მარდად ახტებოდა საფეხურებს. ზოგიერთი კი სვენებ-სვენებით ადიოდა, მაგრამ ისინიც ასწრებდნენ ირაკლის.

ირაკლიმ იცოდა, იგი გრძნობდა, რომ ამომსვლელები აკვირდებოდნენ მას. წამოეწეოდნენ, ცოტას გაუსწრებდნენ და მერე მოუხედავდნენ. სხვადასხვანაირი გამომეტყველება ჰქონდათ მათ ამ დროს. ზოგი დღეს პირველად ჩაფიქრდა განახევრებული ადამიანების ბედზე და იმაზე, რომ ამ ადამიანებისთვის მთელი დავიდარაბაა კიბეზე ასვლა. ზოგს სახეზე თანაგრძნობა ეხატებოდა, ზოგს სიბრალული, ზოგს კი შიში, რომ ისიც ადამიანის შვილია და შეიძლება თვითონაც დაემართოს ასეთი რამ, თვითონაც განახევრდეს....

მაგრამ ჯერჯერობით მათ ჰქონდათ ფეხები, ჯერჯერობით შეეძლოთ სწრაფად აერბინათ საფეხურები და ისინიც არბოდნენ. ირაკლი ქვემოთ რჩებოდა. იგი ნელა მიიწევდა ზემოთ. და გრძნობდა ამსვლელთა გამოხედვაში რაღაც დამამცირებელს, უსიამოვნოს, გულისმომკვლელს...

ოთარ კავაზაშვილი წამოეწია. იგი მიესალმა ირაკლის და გვერდით გაჰყვა.

ირაკლი ქვემოდან ზემოთ შესცქეროდა მას. ოთარი ზორბა, ჯანიანი ვაჟკაცი იყო და, ცხადია, შეეძლო რამდენიმე წამში აერბინა კიბეები...

ირაკლი ერთობ უხერხულად გრძნობდა თავს. უცნობები არ ჩერდებოდნენ ძაინც მასთან, წამოეწეოდნენ, მოუხედავდნენ და მერე გაუსწრებდნენ. ოთარი კი ცდილობდა მის გვერდით ევლო. მას ალბათ უჭირდა ასე ნელა ასვლა, მაგრამ გასწრებაც ეხათრებოდა. ალბათ თვითონ ირაკლიზე უხერხულად გრძნობდა თავს და რცხვენოდა, რომ მას ჰქონდა ფეხები და შეეძლო მარდად აერბინა კიბე. არ იცოდა რა ექნა. უხერხულობისაგან გაიტანჯა. იგი სიამოვნებით აიტატებდა ირაკლის და აიტანდა ზემოთ, მაგრამ, ცხადია, ამას არ აკეთებდა. იცოდა, რა მდგომარეობაშიც ჩააყენებდა ასეთი საქციელით ამხანაგს.

— იყავი გუშინ სტადიონზე? — ჰკითხა ოთარმა. — „ღმერთო ჩემო, როგორ გაგრძელდა ეს კიბე!“

— ვიყავი. — უპასუხა ირაკლიმ. „ოთარ, გაფიცებ, წადი, მომცილდი, აირბინე კიბე. ნუ მტანჯავ და ნურც შენ იტანჯები“.

— კარგი თამაში იყო. — „ეგ უპატრონო მესამე სართული მეექვსეზე ხომ არ გადაიტანეს?!“

— ძალიან კარგი. — „ჯანდაბას! ჯანდაბას! მომცილდი!“

ირაკლი საშინლად ანერვიულდა. მერე უკნიდან შარიშური და ქალის ფეხსაცმელების ბაკუნი მოესმა. ვიღაც კოპწია, საუცხოო ტანის ქალიშვილმა გაუსწრო და მოუხედა. ირაკლიმ შენიშნა, რომ ქალიშვილს ლამაზი სახე ჰქონდა... და შემდეგ ეს ლამაზი სახე დაიმანჭა, გაფითრდა, წამწამები ზედიზედ დააფახულა და ისეთი თანაგრძნობა გამოეხატა...

„საცოდავო, როგორ მებრალები!“

ირაკლიმ კბილები ერთმანეთს დააჭირა. თვალები მოხუჭა. პატარა გუბეში კენჭი ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რგოლები გაჩნდა...

სიბრალული! რა საზიზღარი გრძნობაა სიბრალული!

როგორც იქნა, ააღწიეს მესამე სართულამდე. ირაკლი შევიდა კანტორაში. თავის სკამზე შებობღდა.

„საცოდავო, როგორ მებრალები!“ — და ქალიშვილს ისეთი თანაგრძნობა გამოეხატა გაფითრებულ სახეზე...

ვის რაში უნდა შენი შებრალება! შეგეშინდეს, აძაგძაგდი ჩემს დანახვაზე, ან თუ გინდა შემიზიზღე! რას აფახულებ წამწამებს? რა თავში ვიხლი ასეთ თანაგრძნობას, რად მინდა შენი შებრალება!

მკლავებზე ლურჯი სატინის სახელურები წამოიცვა. საანგარიშო ხელძარჯვნივ დაიდო, სამელნეც გაასწორა, კალმისტარსაც კალამი გაუსუფთავა, ძაგრამ ქალიშვილის თვალები ვერ მოიშორა:

„საცოდავო, როგორ მებრალები!“

... პატარა გუბეში კვლავ გაჩნდა რგოლები. მერე რგოლები გაგანიერდა თანდათანობით და ნაპირს მიაწყდა.

ძია მიხეილი მოვიდა, ხნიერი. მხიარული და საყვარელი კაცი — „ნიკოლოზისდროინდელი“ ბუღალტერი. მხიარული სალამი და ხმაური შემოიტანა. თავის მაგიდასთან მივიდა, ყვითელი ტყავის დიდი პორთფელი ხმაურით დააგდო, შემდეგ საანგარიშო აიღო ჩვეულებისამებრ და კენჭები ერთ მხარეს ჩაჰყარა. მერე ირაკლის მიუბრუნდა:

— სანამ სხვებიც მოვიდოდნენ, ერთ ანეკდოტს გეტყვი.

— ბრძანეთ, ბატონო მიხეილ! — თქვა ირაკლიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეკდოტები ძია მიხეილის სუსტი მხარე იყო. მას წესად ჰქონდა, ყოველ-დღე თითო ანეკდოტი მაინც უნდა ეთქვა თანამოსამსახურეთათვის. იტყოდა და თვითონ ყველაზე ხმამაღლა და გულიანად იცინოდა. იცინოდა მთელი სახით. ცოცხალი, შუქიანი თვალები საოცრად უბრწყინავდა. ჭკვიანი, ახალგაზრდული თვალები ჰქონდა. ძია მიხეილს, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაღლილიყვნენ ამ ქვეყნის ცქერით და რომლებიც კვლავ ეძიებდნენ ბედნიერებას დედამიწაზე.

ირაკლიმ ნაძალადევად გაიღიმა. პატივს სცემდა ძია მიხეილს და იცოდა აწყენინებდა, თორემ გაღიმების თავი არ ჰქონდა.

— ჰა, არ არის ბრწყინვალე ანეკდოტი? — იცინოდა ძია მიხეილი.

— ბრწყინვალეა, ბატონო მიხეილ. — დაეთანხმა ირაკლი.

ირაკლის მოსწონდა, რომ ძია მიხეილმა იცოდა თავისი საქმე. არა მარტო იცოდა, არამედ უყვარდა კიდეც.

„კაცმა უნდა იცოდეს თავისი საქმე — ფიქრობდა ირაკლი, — უამისოდ არ იქნება“. იგი ვერ დააფასებდა კაცს, რომელმაც თავისი საქმე არ იცოდა. უნდა იცოდე! სხვა ამბავია სიყვარული. ირაკლის, მაგალითად, არ უყვარს, არ მოსწონს ბუღალტრობა, მაგრამ მას თავისი ნებით არ ამოურჩევია ეგ პროფესია...

იძულებული გახდა.

სამუშაო დღე დაიწყო. არაწკუნდა საანგარიშო კენჭები. გულისწამღებად აჩხაკუნდა საბეჭდი მანქანა მეზობელ ოთახში, წრიპინებს კალამი...

ციფრები, მშრალი ციფრები!

ერთმანეთზე მწყობრად მიჯრილი, ერთმანეთის ქვემოთ მიწერილი გარკვევით გამოყვანილი ციფრები...

*

მაგიდაზე ახალი გაზეთები და ჟურნალები იყო გაშლილი. ირაკლიმ მეშვიდე გაზეთი გადაიკითხა.

ვიღაც გენერალი, ომით იმუქრებოდა. წყნარ ოკეანეში წყალბადის ბომბი გამოუცდიათ და იაპონელი მეთევზეები დაზარალებულან. საცოდავი იაპონელები! ისინი პროტესტს აცხადებდნენ...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ განიარაღებაზე და ატომური ბომბის აკრძალვის თაობაზე.

ბოლო დროს ირაკლი დილიდან საღამომდე სამსახურში იყო. შინდაბრუნებული ან კითხულობდა, ან ჭადრაკს ეთამაშებოდა დათოსა და მეზობლებს. უფრო მეტად კითხულობდა. კითხვა ძალიან შველოდა. ატყობდა, რომ მდიდრდებოდა გონებრივად.

ერთგვარად თითქოს დაუბრუნდა ინტელექტუალურ ცხოვრებას. ირაკლის ეწადა ბევრი ეკითხა, ბევრი გაეგო და შეესწავლა. მას მოცდენილი დროის ანაზღაურება უნდოდა. როცა კითხვით დაიღლებოდა, აუცილებლად შეარჩევდა რომელიმე საინტერესო აზრს და ფიქრობდა, ან მეგობრებს მოინახულებდა.

ირაკლიმ ჟურნალ-გაზეთები განზე გასწია. ვერსად ვერ გაექცა ომს. რადიო, ჟურნალები, გაზეთები... ყველგან ომის საშიშროებაზე ლაპარაკობდნენ. დაიღალა. დათოს მანქანა გამოაყვანინა და გაისეირნა. ქალაქგარეთ გავიდა, დილმის მიმართულებით.

ზამთარი სულს ღაფავდა. უკანასკნელად თითქმის მუხლამდე მოთოვა და ორი დღის განმავლობაში მთლიანად დადნა. მხოლოდ ჩრდილოებში შერჩენი-

ლიყო თოვლის თხელი, ჩაშავებული ფენები. მიწა დამბალი და გაჟღენთილი იყო. მანქანა დიღმის ველზე გარბოდა.

ირგვლივ ყველაფერი მოტიტვლებულიყო. ამ მოტიტვლებულობის შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა გამდნარი თოვლი, რომელსაც გაერეცხა და გამოეთეთრებინა მიწა. ხეები გაქუცულიყვნენ. მხოლოდ მუხები ჯიუტად არ ეთხოვებოდნენ აქა-იქ შერჩენილ, გამხმარ, გაყვითლებულ ფოთლებს.

გარბოდა მანქანა დიღმის ველზე. ირაკლი ფიქრობდა ამ დილით ჟურნალში წაკითხულ სტატიაზე. სტატია ცნობილი ატომისტი მეცნიერის დაწერილი იყო. მას ერქვა „წყალბადის ბომბი და კაცობრიობის მომავალი“ ატომური და წყალბადის ბომბების მარაგი... ისინი შენახულია და თვითეულ მათგანში გამომწყვდეულია ასიათასობით ადამიანის სიკვდილი, აყვავებული, ცივილიზებული მოზრდილი ქალაქის მიწის პირისაგან აღგვა. ხიროსიმა და ნაგასაკი უმნიშვნელო სიძლიერის ატომური ბომბის მსხვერპლნი გახდნენ. იმ ბომბების შედარებაც კი არ შეიძლება წყალბადის ბომბთან...

ადამიანებს აქვთ ამ საშინელი ბომბის მარაგი, და თვითონ ადამიანებისვე ხელში, მათ სურვილზეა დამოკიდებული, გაათავისუფლებენ თუ არა ამ ბომბებში გამომწყვდეულ მილიონობით სიკვდილს.

ქარი ამოვარდა და მოიღრუბლა. გაშმაგებით გარბოდნენ ცაზე მწვირიანი ღრუბლები. ცა გადმოპირქვავებულ, გაქონილ ჯარისკაცულ ალუმინის ჯამს დაემსგავსა. ირაკლიმ მანქანა მოაბრუნა და თბილისისაკენ წამოვიდა. გზაში ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ დაოსტატდნენ ადამიანები მნგრეველ და კაცობრიობის გამჟღეტ საშუალებათა გამოგონებაში.

საომარ იარაღებს განუწყვეტლივ აუმჯობესებენ ახალი, უფრო მძლავრი იარაღებით. ის, რაც ორი წლის წინათ იხმარებოდა შეიარაღებაში, დღეს მოძველებულად ითვლება... საუკუნეების წინათ ნაგები ტაძრებისა და ციხეების ძშენებლობის ხერხები კი დღესაც გაოცებას იწვევს.

ირაკლის შინ არჩილი დახვდა. გაეხარდა. უყვარდა მასთან მუსაიფი.

მართალია, არჩილი გარეგნულად არ ტოვებდა თავაზიანი კაცის შთაბეჭდილებას, მაგრამ ირაკლიმ იცოდა, რომ მასში იყო რაღაც შინაგანი გულისხმიერება, სითბო, რომელიც გიზიდავდა და მიგინდობდა.

მალე ჯიბოც მოვიდა. ირაკლიმ მეგობრებს „წყალბადის ბომბი და კაცობრიობის მომავალი“ წააკითხა. როცა ჟურნალი ჯიბოს მიაწოდა, მან სიამოვნებით აიღო და წინასწარ ღიმილი გამოისახა სახეზე. კითხულობდა და ღიმილი თანდათან შეაშრა. მერე ჟურნალი მაგიდაზე დააგდო და თქვა:

— რას მაკითხებ, კაცო?! მე უცხოური იუმორი მეგონა...

არჩილმა გულიანად გადაიხარხარა.

— უკვდავი ხარ, ჯიბო, უკვდავი. არასდროს არ დაბერდები.

— ნეტავი შენ! — უთხრა ირაკლიმ და ჟურნალი აიღო.

— ჟურნალებს მოეშვით, მე გეტყვით უკეთესს. — თქვა ჯიბომ. — მამაჩ თავის ბიჭუნას პრომეთეზე უამბო. უთხრა, არწივი ყოველდღე ღვიძლს უკორტნის პრომეთესო. „საბრალო არწივი“, — თქვა ბიჭუნამ, — ყოველდღე რა აჭმევდა ღვიძლს!“

— ჯიბო ნამთვრალევია. წუხელ თეთრ დუქანში უქეიფნია. — თქვა არჩილმა.

— მოვკვდე, თუ შემეხარბოს. — ჩაილაპარაკა ირაკლიმ და ჯიბოს „ნიანგის“ ახალი ნომერი მიაწოდა: — ჰა, ეს მაინც წაიკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამთვრალევზე გამომიყვანდე, ყველაფერს მირჩევნია. თავი გასკდომაზე მაქვს, სამ ბოთლზე მეტი დავლიე.

ირაკლიმ ყური არ ათხოვა ჯიბოს.

— ბორჯომი მაინც დამალევინე, კაცო, რამ დაგწვა ასე?!

— დათო, ორი ბოთლი დაძმარებული ღვინოა სადღაც მიგდებული და მოიტანე, ჩახეთქოს. — გასძახა ძმას ირაკლიმ.

— უჰ, კარგი გამახსენე, — გამოცოცხლდა ჯიბო. — მაგაზე გითხრათ: ნოდარ მჟავიას ორივენი იცნობთ, აი, ფილარმონიის სოლისტს. ჰოდა აგვიკლო, დედაჩემი სოფელშია წასული და ერთ კასრ ღვინოს ჩამოიტანსო... ყურები გამოგვიჭედა. როგორც იქნა, ჩამობრძანდა დედამისი და წაგვიყვანა ხუთი კაცი შინ. სასოებით მოვამზადეთ ბოთლები, რეზინის მილი და ამოვაძრეთ საცობი კასრს. იმ წამში ძმრის მჭახე სუნი დადგა ოთახში. მაშინვე არ მესიამოვნა. დავაჭაშნიკეთ — ძმარია.

რა ვქნათ? არადა პურმარილი ნაყიდი გვაქვს, მოტანილი და თანაც ისე ვემზადებოდით სასმელად... ავდექით და ერთ ბოთლ ძმარს ორი ბოთლი წყალი გავურიეთ და ისე ვსვით. რომ იცოდეთ, რა სასმელი იყო! ახლაც ტანში მაზრიალებს გახსენებაზე, მაგრამ მაინც დავლიეთ. მერე ერთ კვირას დაძმარებული დავდიოდით. სადაც კი წითელ პამიდორებს წავაწყდებოდით, ეგრევე ვყლაპავდით და მუცელში თავისით კეთდებოდა სალათა.

— უკვდავი ხარ, ჯიბო, უკვდავი. — იცინოდა არჩილი.

დათომ მოიტანა ღვინო ბოთლებით და საუზმე. ჯიბომ ენა ააწკლაპუნა. ირაკლის გაეცინა.

— ღვინო გაიოზთან რომ დავლიეთ! ჰა — ჰა — ჰა! — თქვა ჯიბომ.

— მართლა კარგი ღვინო იყო. — დაეთანხმა არჩილი.

— ძალიან პატივი გვცა გაიოზმა. რა პურმარილი იყო, რა ღვინო! ჭიქას სინათლეზე რომ გავხედავდი, მის ყურებას არაფერი სჯობდა. პირზე რომ მივიყუდებდი, ჩამოღება მეზარებოდა. მართალი გითხრათ, ე, მაშინ ვგრძნობდი სრულ ბედნიერებას. — ხითხითებდა ჯიბო.

— სიამოვნების მიღებას ვერ ანსხვავებ ბედნიერებისაგან... — უთხრა ირაკლიმ.

— ნუ გესლიანობ. აბა წიგნები? რა დაგრჩენია წიგნებში? რა დაკარგე, რომ ეძებ?! — ჯიბომ ჩაიხითხითა. — ერთი რამ, რაც უნდა იყოს, მე ხანგრძლივად მაინც ვერ დამაკმაყოფილებს. კაცმა ყოველდღე ახალ-ახალი სიხარული უნდა ეძებო, რომელიც განსხვავებული იქნება ყველა წინანდელი სიხარულისაგან.

— შენ და შენი სიხარული... — ირაკლიმ ხელი ჩაიქნია.

— გაჩუმდი, ირა, შენ ნაღველითა ხარ გაჟღენთილი...

— შენ კი არასდროს მოგრევია ნაღველი? შენ რა, ვარსკვლავებს ეთამაშები? შენ ბედნიერი ხარ? თვითკმაყოფილო იდიოტო! შენ ყველაფერი გაქვს, რაც გინდა?... თურმე მე გაჟღენთილი ვყოფილვარ ნაღველით...

— გბარდები! — ჯიბომ ხელები ასწია.

„თვითკმაყოფილი იდიოტი“... — გაიფიქრა ირაკლიმ და სკამიდან ჩამოძვრა.

— მე ახლავე მოვალ. — თქვა მან და ოთახიდან გავიდა.

— გრძელი ენა გაქვს. დაუკვირდი, რას ამბობ ხოლმე. — უთხრა არჩილმა ჯიბოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ჩემი ბრალია! თვითონ უბედურია და უნდა სხვამაც იტანჯოს, თქვა ჯიბომ.

— ძალიანაც ცდები. ირაკლი შენზე და ჩემზე გაცილებით ძლიერია და იშვიათად ვინმე ისე უფრთხილდებოდეს სხვის ბედნიერებას და სხვის სიცოცხლეს, როგორც იგი.

ჯიბომ მხრები აიჩეჩა და ღვინო მოსვა.

— ირაკლის უბედურება არაფერ შუაშია. უბედურება და ტანჯვა, ცეცხლის არ იყოს, ზოგს ფუტკრავს და ნაცრავს, ირაკლი კი გამოაწრთო. ხანდახან მიკვირს კიდეც, როგორ გაუძლო ამდენ დარტყმას ერთად... — ხმადაბლა თქვა არჩილმა.

ჯიბომ პურის ნამცეცი დააგორგალა და ახლა თითებით ზელდა. წამით ჩაფიქრდა. შემდეგ თვითონაც ხმადაბლა თქვა:

— მგონი აჭარბებ, არჩილ. გაიოზი ავიღოთ. გაიოზი ნაკლებად უბედურია? მაგრამ არ გესლიანობს და ჯანმრთელი კაცივით ხალისიანია.

— დამერწმუნე, გაიოზი ირაკლიზე ნაკლებად არ განიცდის, მაგრამ ამას გარეგნულად არ აჩვენებს. ირაკლის კი ეს არ შეუძლია. და მერე, შენ ხომ იცი რას წარმოადგენდა მისთვის ხათუნა...

— მერე? სულელურად მოიქცა. ადგა და თვითონ მოიშორა. ჩვენც ვერაფერი ვუთხარით. როგორც კი ამის თაობაზე ლაპარაკს დავუწყებდით, ყალყზე დგებოდა...

ხმაური მოისმა. არჩილს ირაკლი ეგონა და ჯიბოს ანიშნა, გაჩუმდიო, მაგრამ არავინ ჩანდა.

— ხათუნას ეგრე დაკარგვა... სულელურად მოიქცა!

— პირიქით... მანდ გამოჩნდა ირაკლის დიდი ბუნება... — თქვა არჩილმა და მცირე პაუზის შემდეგ შეცვლილი ხმით განაგრძო:

— იცი, ჯიბო, არასდროს დამავიწყდება... არასდროს დამავიწყდება ირას იმდღევანდელი გამომეტყველება... ხათუნას იმ კვირაში დასცილდა. დეიდა თამარმა მოირბინა ჩემთან, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოდიოდა, სულს ძლივს ითქვამდა, გაფითრებულიყო. მიშველეო, მთხოვა.

წამოვედით. უნდა გენახა რას ჰგავდა, როგორი გამომეტყველება ჰქონდა ირას! სახეზე ფერი არ ადევს, თვალები სადღაც შორს გაქცევია და საოცრად მოტეხილა, გაყუჩებულა, მოკრუნჩხულა... მე ხომ ვიცოდი, რას ნიშნავდა ხათუნა მისთვის, ისიც ხომ ვიცოდი, რატომ თქვა უარი ხათუნაზე...

სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ირაკლის აქვს ის, რაც ადამიანს ამშვენებს, რაც ადამიანს თავის ცხოვრებაზე მაღლა აყენებს: ეგ არის სხვისი სიცოცხლის, სხვისი ბედნიერების გაფრთხილება და პატივისცემა. ვუყურებდი ირაკლის და მეგონა ამბობდა: — მე არა ვარ სიკვდილზე ძლიერი, მაგრამ იმას მაინც არ ვიზამ, სხვისი სიცოცხლე შევიწირო, სხვას ცხოვრება მოვუშხამო...

კარი გაიღო. ირაკლი შემოვიდა. არჩილი გაჩუმდა.

ღვინო მხოლოდ ორი ბოთლი იყო და მალე გამოცალეს.

— აფსუს, რომ მეტი აღარ არის, სმის ეშხზე ახლა მოვედი. — თქვა ჯიბომ.

— გირჩევნია ხმას გაუფრთხილდე... და ცხვირს, ბადრიჯნის ფერი რომ გაგხდომია. — უთხრა არჩილმა და ირაკლის თვალი ჩაუკრა.

— ეგ არაკი უკვე ვუთხარი ერთხელ, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. — თქვა ირაკლიმ.

— სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია... — დაიწყო ჯიბომ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

*

იმ საღამოს ირაკლი გაიოზთან წავიდა. საოცრად მშვიდდებოდა მასთან საუბარში, ყველაფერი თავის ადგილს იჭერდა. ბევრი ლაპარაკი არ იყო საჭირო, დაუმთავრებელი ფრაზითაც ესმოდათ ერთმანეთის. ყოველთვის უკეთეს გუნებაზე ბრუნდებოდა შინ გაიოზთან ყოფნის შემდეგ. როგორღაც ეს კაფანდარა, უდროოდ გაჭაღარავებული კაცი სიმშვიდესა და რწმენას უნერგავდა.

ერთხელ გაიოზმა უთხრა ირაკლის:

— ცხადია, მაწუხებს ჩემი მდგომარეობა. მაწუხებს, რომ ასეთი გავხდი და ვეღარასდროს მივაღწევ იმას, რაც ჩემი ცხოვრების მიზანს შეადგენდა, რისთვისაც მთელი სიცოცხლე მინდოდა შემეწირა... ეს ყოველთვის შეგვაწუხებს მეც, შენც, სხვა ჩვენისთანებსაც, მაგრამ მე ვფიქრობ მათზე ვინც ყოფილა ჩვენს მდგომარეობაში, ვინც ჩვენზე ადრე გამოსცადა იმედების გაქარწყლება... და მე ვამბობ: თუ მათ გაუძლეს, გავუძლებ მეც.

ირაკლის უჭირდა მეხუთე სართულზე ასვლა, მაგრამ როგორღაც ამას არად აგდებდა. იგი ამ დროს ფიქრობდა, რომ ნახავდა გაიოზს და აგრეთვე იმაზე, რომ ახლა ეშმაკურად აშენებენ სახლებს — ხუთსართულიანებს, რათა ლიფტი არ გაუკეთონ. თითქოს ხუთსართულიან სახლს ლიფტი არ სჭირდებოდეს.

კარი გაიოზმა გაუღო.

— კარგ დროს მოხვედი. — უთხრა მან.

— რა მოხდა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მუშაობას გული ვერ დავუდე და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა.

სავარძლებში ჩასხდნენ ერთმანეთის პირისპირ. ირაკლის მოსწონდა ღრმა, მოხერხებულად ჩასაჯდომი სავარძელი.

— მუშაობდი ამ ხანში? რა დახატე? — ჰკითხა ირაკლიმ.

— თითქმის არაფერი. აი დღესაც დილიდან ვწვალობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. გავიტანჯე. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი.

— სასოწარკვეთილება წარმავალი გრძნობაა. გაგივლის.

— არასდროს ისე არ გამილანძღავს ჩემი თავი, როგორც დღეს, რა არ ვუძახე: უნიჭო, დეგენერატი, გამოფიტული...

ირაკლიმ გაიცინა.

— საკმარისია თუნდაც ერთხელ არ გამოგივიდეს ისე, როგორც საჭიროა, და იმ მომენტში დარწმუნებული ხარ, რომ შენზე უნიჭო კაცი მეორე არ მოიძებნება. — გაიოზმა ჩიბუხი გააწყო და გააბოლა.

— გაიხსენე შენი ადრინდელი სურათები. არა მჯერა, რომ იმ სურათების შემქმნელმა კვლავ არ შექმნას რაღაც დიდი და მშვენიერი...

— ნეტავი მართლა.

— ბოლოსდაბოლოს ხომ იგივე კაცი ხარ, იგივე ნიჭის პატრონი!

— ნიჭს ვარჯიში უნდა, ერეკლე, გაღრმავება... მე კი... ვეღარ ვახერხებ. აი მოფიქრებული მქონდა რაღაც, დავიწყე კიდეც და სწორედ მაშინ გავხდი ცუდად. ორი დღე ვიწექი. როცა მოვმჯობინდი, შევეცადე გამეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ წინანდელი აღტკინება გამქრობოდა...

— მერე? — ჰკითხა ირაკლიმ.

— რაც მაშინ დავინახე და რამაც მაშინ ამაღელვა, რამდენიმე დღის შემდეგ სასაცილოდ მომეჩვენა... რადგან ყველაფერი სულელური და სასაცილოა... მხოლოდ შთაგონება და განწყობა აძლევს ყველაფერს მნიშვნელობას და ჰქმნის მშვენიერსა და დიადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნიჭი მაინც ნიჭია. ისე როგორ დავარდები, რომ... ხომ გაგიგონია, აქლემი ისე არ დავარდებაო...

— დავარდება. თურმე დავარდება, ერეკლე... თუ სისტემატურად არ მუშაობ, ფუნჯიც აღარ გემორჩილება, რასაც ხედავ, ვეღარ გადაგაქვს ტილოზე.

ირაკლიმ პაპიროსს მოუკიდა. ჩუმად უსმენდა გაიოზს, რომელიც აღელვებული ლაპარაკობდა თავის სატკივარზე. ფერფლისფერი თმები შუბლზე ჩამოშლოდა და ეს საოცრად უხდებოდა.

— ხანდახან მართლაც გამიელვებს ბრწყინვალე აზრი, — განაგრძობდა გაიოზი. — დავიწყებ მუშაობას, მაგრამ რასაც ვხედავ, იმას ვეღარ ვხატავ და ამასობაში ჩემი დანახულიც ქრება, უბრალოვდება, უმნიშვნელო ხდება.

— არა მგონია, გულწრფელად გჯეროდეს, რომ ვერაფერს შექმნი. აბა ისე რაღა სიცოცხლეა...

— მეც ასე ვფიქრობ.

— არა... — ირაკლი შეეცადა გამოესწორებინა.

— მართალს ამბობ. ისე ნამდვილად რაღა სიცოცხლეა, თუ ვეღარაფერს შევქმნი... მაგრამ სადღაც მჯერა, სადღაც კიდევ მაქვს იმედი, რომ სანამ ცოცხალი ვარ, მაინც შევქმნი რაღაც მნიშვნელოვანს.

— დარწმუნებული ვარ.

— ამ იმედით ვცოცხლობ, ერეკლე, ეს მაძლევს ძალას, ვებრძოლო ავადმყოფობას და ეს მახარებს, როცა წამოვდგები... მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველაფერი დიადი, ყველაფერი მნიშვნელოვანი მხოლოდ უზარმაზარი შრომით შექმნილა, ხანგრძლივი, თავდაუზოგავი შრომით. მხოლოდ ბუნება ჰქმნის გარჯის გარეშე დიადსა და მშვენიერს.

ირაკლიმ დამწვარი პაპიროსი მაგიდაზე მდგარ მასიურ საფერფლეში ჩაჭყლიტა. უნდოდა ახალი ღერისათვის მოეკიდებინა, მაგრამ გადაიფიქრა.

— სხვათა შორის, ხშირად მიფიქრია, რომ ბევრმა ჩემმა ნაცნობმა არ იცის საუბარი. — თქვა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ირაკლიმ.

— როგორ? — ჰკითხა გაიოზმა.

— არ დაკვირვებიხარ, მოგინახულებს ან შეგხვდება ამხანაგი, დაგიწყებს ლაპარაკს და რატომღაც თავიდანვე ცდილობს, რაღაც ისეთი გითხრას, რომ როგორმე გაგაღრიჭოს. მოკლედ — გეღლაბუცება.

— არ მესმის.

— ის მინდა გითხრა, რომ ჩვენი საუბარი ხშირად მხოლოდ სიტყვებით კინკლაობაა, ღლაბუცია და სხვა არაფერი. ანდა დაწვრილებით გიამბობენ, როგორ დათვრა გუშინ, რამდენი ბოთლი დალია, ვინ იყო თამადა და ბოლოს გთხოვს, ნამთვრალევზე გამომიყვანეო...

გაიოზმა გაიცინა.

— ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით საუბარი, საინტერესო და სასარგებლო საუბარი, ისეთი, რომ ჩაგაფიქროს, რაიმე აზრი აღგიძრას... — დაამთავრა ირაკლიმ.

— მართალს ამბობ. მაგრამ სერიოზულ საუბარს ზოგჯერ განზრახ ერიდებიან. შენ კი რატომ ლაპარაკობ ასე აღშფოთებული? დღეს ვინ „გეღლაბუცა“?

ირაკლიმ არ უპასუხა.

— ძალიან კარგი სიტყვაა „ღლაბუცი“; — გაიოზმა გაიცინა.

ამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. არც ერთი არ ცდილობდა საუბრის განახლებას. საერთოდ ყურადღებაც არ მიუქცევიათ, რომ დუმდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიოზმა შეამჩნია, რომ ირაკლი ჩაფიქრდა, მას ეგონა, ირაკლი ხათუნაზე ფიქრობსო. და ეგონა იტანჯებაო, მაგრამ სრულიადაც არ ებრალებოდა. რა სისულელეა გებრალებოდეს კაცი, რომელსაც უყვარს!

რა იქნება იმაზე ტკბილი, გაიმეორო ჩუმად, გულში, შენთვის ძვირფასი სახელი, მოუჩლიქო ენა, მოუალერსო... მარტო ის, რომ შეგიძლია იფიქრო, სად არის ახლა შენი საყვარელი ადამიანი, რას აკეთებს, შემდეგ წარმოიდგინო, როგორ დაბრუნდა იგი შინ დაღლილი, გაიძრო ტანზე და დაწვა... აი იგი სუნთქავს, ლოყა მარჯვენა ხელისგულზე უდევს და იძინებს...

რა შეიძლება იყოს ამ წარმოდგენაზე უფრო ტკბილი! გაიოზს სრულიადაც არ ებრალებოდა ირაკლი.

სისულელეა გებრალებოდეს კაცი, რომელსაც უყვარს!

თავი მერვე

სულ ერთი ღამის განმავლობაში აყვავილდა ტყემლები. ჯერ კიდევ გუშინ ზამთარი იყო. დღეს კი გაზაფხული დადგა. გაზაფხული იგრძნობოდა ყველაფერში... თუმცა ასე დათო ამბობდა.

ირაკლი ჯერ ვერ გრძნობდა გაზაფხულს. მის სისხლს არ უგრძვნია გაზაფხულის დუღილი.

ამ დილით დათო აღტკინებული შეიჭრა მის ოთახში და ახარა:

— გაზაფხულდა! ირა, გაზაფხული დადგა!

შემდეგ ირაკლი აივანზე გაიყვანა და სულ ერთი ღამის განმავლობაში თეთრად აყვავილებული ტყემლის ხეები დაანახა.

საღამოსაც თბილოდა და ირაკლიმ ფანჯარა გამოაღო. რომ თბილოდა, ამას გრძნობდა, მაგრამ გაზაფხული არ უგრძვნია. ფანჯრის წინ დარგულ აკაციებსაც არ ეგრძნოთ ჯერ გაზაფხული. გატიტვლებული იყო მათი ტოტები.

ირაკლი ფიქრობდა, რომ ტყემლები აკაციებზე და სხვა ხეებზე ადრე გრძნობენ გაზაფხულს, როგორც დათომ იგრძნო მასზე და სხვებზე ადრე.

— გამარჯობათ! — მოესმა ირაკლის.

— ო, ნათია! გამარჯობა. სად დაიკარგე? — ირაკლიმ ფართოდ გაუღიმა ნათიას, რომელიც საოცრად შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ნახა.

— მე არ დავკარგულვარ. თქვენ წასული იყავით თბილისიდან?

— არა. — თქვა ირაკლიმ. „როგორ გაზრდილა! უკვე სავსებით დასრულებული ქალიშვილია...“

— აბა რატომ ვერ გნახულობდით? რამდენი ხანია აღარ მინახავხართ...

— მართლაც დიდი ხანია. — „და ძალიან დამშვენებულა“.

— მე ხშირად დავდიოდი აქეთ, მაგრამ ერთხელაც ვერ მოგკარით თვალი.

— ჰო, ახლა იშვიათად ვარ შინ. დილით გავდივარ სახლიდან და საღამოს ვბრუნდები. მუშაობა დავიწყე. — „მოხდენილადაც აცვია, გემოვნებით. მოკლედ, ერთი კარგი, ლამაზი გოგო დამდგარა“.

— აა! ალბათ სხვა სამუშაოზე გადახვედით, არა? სად დაიწყეთ მუშაობა?

— კანტორაში...

— საად?!

— კანტორაში, უმცროს ბუღალტრად.

ნათიამ გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცით, — თქვა მან, — მე რატომღაც ვერ ვახერხებ თქვენზე გაჯავრებას, თორემ ძალიან მწყინს, რომ ისე მექცევით, როგორც პატარა გოგონას. თქვენ არასოდეს არ მელაპარაკებით სერიოზულად. ყოველთვის მეხუმრებით.

ირაკლის ხმამაღლა გაეცინა. ნათია მართლაც ნაწყენი, შეურაცხყოფილი ტონით ლაპარაკობდა. და თანაც ეს პრეტენზია, რომ უკვე დასრულებული ქალიშვილია...

— მართლაც, სად მუშაობთ? — ჰკითხა ნათიამ.

— კანტორაში, უმცროს ბუღალტრად.

— გასაგებია. არ გინდათ, რომ გამიმხილოთ. — ნათიას წყენა დაეტყო.

ირაკლის კვლავ ხმამაღლა გაეცინა.

— ანდა გამხელა არ შეიძლება! საიდუმლოა, ხომ?

— მართლა, ნათია... — თქვა ირაკლიმ. — ამოდი სახლში. ყოველთვის ქუჩიდან მელაპარაკები და როგორღაც ვერასდროს ვერ მიგიწვიე შინ. ამოდი!

— ო! — ნათია სიამოვნებისაგან გაწითლდა. — თუმცა... ვერ ამოვალ.

— რატომ?

— მე... მე სასეირნოდა ვარ გამოსული... უნდა ვისეირნო.

— ასე გვიან? ახლა უკვე შენი დაძინების დროა. — ირაკლიმ გაიცინა.

— რატომ ცდილობთ ჩემს გაბრაზებას?!

ნათიამ ისეთი სახე მიიღო, რომ ირაკლის კვლავ გაეცინა.

— ... მაგრამ მე არა მწყინს. თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჩემოდენა ქალიშვილს საღამოობით სეირნობის უფლება აქვს. მე ხომ უკვე სტუდენტი ვარ... წელს სტუდენტი გავხდი.

— ოჰო, მომილოცავს. რადგანაც ასეა...

— თქვენ არ გამოისეირნებთ? ძალიან კარგი საღამოა. გაზაფხული ისე იგრძნობა... — თქვა ნათიამ.

ირაკლი ჩუმად იყო. „გაზაფხული ისე იგრძნობა... აი ნათიაც გრძნობს გაზაფხულს, მე კი ვერა“... — ფიქრობდა იგი.

— თქვენ მე ბავშვად მთვლით და იმიტომ არ გინდათ ჩემთან ერთად გასეირნება... ხომ მართალია?

— რა სისულელეა!—ირაკლი გამოერკვა.—კარგი, გავისეირნოთ. თუმცა...

— რა თუმცა?

— არაფერი, ახლავე ჩამოვალ. — თქვა ირაკლიმ.

მანქანა კიბესთან ეყენა. ირაკლი ჩაჯდა და გამოვიდა ეზოდან. ნათია ფილაქანზე იდგა, აკაციის ხესთან. იგი გაღიმებული, გაბრწყინებული სახით წამოვიდა მანქანისაკენ. ირაკლიმ ხელი გაუწოდა.

— ამდენი ხანია გიცნობთ და ხელი კი პირველად ჩამოგართვით. — თქვა ნათიამ.

ირაკლიმ გაუღიმა.

— ჩაჯექი, გავისეირნოთ. — უთხრა მან და უნდოდა კარი გაეღო მეორე მხარეს. მაგრამ ამ დროს დაინახა, როგორ გაუფართოვდა თვალები ნათიას, სახეზე მკვდრის ფერმა გადაუარა და ხელი, რომელიც კვლავ ეჭირა ირაკლის თავის ხელში, ჩამოუვარდა, მოუდუნდა, ჩვარივით გაუხდა...

— რა მოხდა? — ამის თქმა კი მოასწრო ირაკლიმ, რომ ნათიამ თვალებზე ხელი აიფარა და ხმამაღლა აქვითინდა. უცბათ გადმოხეთქა ცრემლებმა და ღაწვებზე ჩამოედინა.

ირაკლი სახტად დარჩა. გარშემო მიმოიხედა. ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა. ნათიამ ხელი გამოართვა, სახე განზე წაიღო და თვალებზე ხელაფარებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულამომჯდარი, ლასლასით წავიდა. ირაკლი გაშრა. ადგილიდან ვერ დაიძრა. ხმაც ვერ ამოიღო. თავზარდაცემული გაჰყურებდა ნათიას, რომელიც ფეხარეული მილასლასებდა და ტირილისაგან მხრები უხტოდა...

ირაკლი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს. რა მოხდა? რას ნიშნავდა ყოველივე ეს? ნუთუ ნათიამ ახლა დაინახა პირველად, რომ...

მანქანა მიუშვა ისეთი სიჩქარით, როგორიც კი შესაძლებელი იყო. დიდხანს იხეტიალა აღმა-დაღმა და გვიან დაბრუნდა შინ. თავის ოთახში ჩაიკეტა. არაფერზე არ უნდოდა ეფიქრა. რადიომიმღები ჩართო. ეგონა მუსიკის მოსმენას შეძლებდა, მაგრამ ვერ შეძლო. ვერც წიგნი წაიკითხა. მერე ჩემოდნიდან დღიურები ამოიღო და გადაფურცლა.

... ერთხელ ირაკლიმ, დროის დაკარგვის მიზნით, დაწერა, თუ რას გრძნობდა იმ წამში და რაზე ფიქრობდა იმ დღეს. კარგა ხანს წერდა. მერე შენიშნა, რომ ტკივილმა და უსიამოვნო ფიქრებმა ერთგვარად გაუარა. ქაღალდმა თითქოს თავისთავზე მიიღო მისი ტანჯვის ნაწილი.

შემდეგშიც ირაკლი ხშირად იქცეოდა ასე და დღიურების მსგავსი რაღაც შექმნა. საოცრად ეხმარებოდა თავისი დარდების ქაღალდზე გადატანა. ტკივილსა და ტანჯვას უნელებდა.

ამის შემდეგ ყოველთვის, როცა ცუდ გუნებაზე იყო, ირაკლი ან წერდა, ან კითხულობდა დღიურებს და ეს ასე თუ ისე შველოდა. დღიურებში ეწერა, ზოგჯერ აღელვებული, გუნებაწამხდარი როგორ მისულა სასოწარკვეთამდე...

...ბოლომდე გადაიკითხა დღიურები და იგრძნო, რომ ერთგვარად დამშვიდდა. უცნაურად იმოქმედა გამოვლილი ტანჯვისა და სასოწარკვეთის გახსენებამ. ცხადია, ამაზე უარესის გადატანა აწი აღარ მოუხდება. იმაზე უარესი, რაც გადაიტანა, უბრალოდ ვერც წარმოუდგენია. რა უნდა გადაიტანოს იმაზე უარესი, რაც გადაიტანა?

და მაინც ყველაფერს გაუძლო... და მაინც აქამდე მოაღწია!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ხაროგდეს მიწა ამ მზით, ამ დარით

დაგვკრა ზაფხულის ცხელმა ქარებმა,
იმ პირველ ღელვას გული ვერც იტევს,
და სიყვარულის კართან მდგარებმა
კარი შევუღეთ უნივერსიტეტს.

მაშინ ზაფხული იდგა ზღაპრული,
თურმე ავდრის წინ იცის თაკარა,
ისე ღვიოდა ის მზე ზაფხულის,
სიგრილე წუთით არ გამაკარა.

ცისფერი ბუღი ბრუნავდა ირგვლივ,
აღარ შემეძლო მე უშენობა,
თმებში გიწნავდი მზის სხივთა გვირგვინს,
გიშრისფერ თმებს რომ ასე შვენოდა.

ვფიქრობდი, ყინვა ჯერ ადრე არი,
დაე, დამბუგოს ზაფხულის დარმა,
მაგრამ მოვარდა დღე ავდრიანი
და ჩვენს მერხებსაც ფრთა გაჰკრა ქარმა.

და იმ თეთრ კედლებს ისე გამოვცდი,
ისე დამთავრდა ჩვენი ზღაპარი,
რომ სიყვარულის დიდი გამოცდა
ამ გულის მოძღვარს ვერ ჩაგაბარე.

ნამეხარ მიწის ცრემლები მოვსვი,
სხვა გამოცდის წინ დავდექი მაშინ,
გზებზე ვიარე ქარში და თოვლში
და ფიფქი აღარ გამილხვა თმაში.

გასულან წლები...
ისევ ღვივის მზე,
სიჭაბუკეს რომ ეალერსება;
როს ფიქრს გავივლებ იმ ძველ ტკივილზე,
ახალ ტკივილით გული მევსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრით, ოცნებით გხედავდი დღემდე,
ისეთს, როგორიც იყავი მაშინ,
ახლა შეგხვდი და ოცი წლის შემდეგ
დღეს მე პირველად ჩაგხედე თვალში.

თვალწინ დამიდგა ზაფხული იგი,
გულს რომ ტკივილად შემომრჩენოდა,
როცა გიწნავდი მზის სხივთა გვირგვინს,
გიშრისფერ თმებს რომ ასე შვენოდა.

და... ერთი ბღუჯა იმ მზის სხივების
ვნახე შენს თმებში თეთრად ჩაწნული.
სადღაც შეთრთოლდნენ სულის სიმები,
სადღაც ბჟუტავდა ის დღე ზაფხულის.

...ვაგლახ, ზამთარი შხამმორეული
პირველ ზაფხულსვე დაგვიდარაჯდა...
გამოვიარე გზა შორეული
და შორეულად დაგრჩი მარადჟამ.

...დე, ცას ათრობდეს სუნთქვა ხნულისა,
ხარობდეს მიწა ამ მზით, ამ დარით
და ყველა ზაფხულს სიყვარულისას
ასცდეს სისხლის და ცრემლის ავდარი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

არ ვინატრო

თუ ბუნებამ ხელმეორედ
მე სიცოცხლით მამწყალობა,
თუ ამ მიწამ მიწილადა,
თავს არ ჩავთვლი საწყალობლად.
არ ვინატრო საბინადროდ
არც ტაიგა, არც ტრამალი,
ჩემი შავი მიწის გარდა
არ ვინდომო სხვა წამალი.
მე არ მინდა ფოთოლივით
ჩამოვვარდე ალალბედზე,
ზენა ქარო, ჩამომბერტყე
მამაპაპის ნავალ გზებზე.
რად ვინატრებ ანდა ქვეყნად
სხვის ნამსა და მიწის ღერსა,
რაკი დიდი საქართველო
მოუცია ჩემთვის ღმერთსა.

არ შეიძლება!

ვარ გაზაფხულის წვიმებით სავსე,
გული მარტივით ასჯერ იცვლება,
არ შეიძლება მიყვარდე ასე,
რომ არ მიყვარდე, არ შეიძლება.
არც ისე მინდა, დაუნანებლად
თუ სიმშვიდე და ძილი წამართვი,
მთვარიან ბილიკს თავი ვანებო
და გზად ჩავთვალო უგზო წარაფი.
არც ისე მინდა, ჩამიწყდეს რიხი,
არც ისე მინდა, ვიქცე სამიწედ,
რომ ერთხელ მაინც სიმღერით დიდით
გულის ძარღვები არ გადამიწყდეს.
არც ისე მინდა, მიყვარდეს ვინმე,
რომ დავიწყევლო ჩემი თავბედი.
მე მინდა წლები წავიდეს ისე,
რომ ვერ გავიგო, როგორ დავბერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გაზაფხულის წვიმები მავსებს,
გული მარტივით ასჯერ იცვლება,
არ შეიძლება
მიყვარდე ასე,
რომ არც მიყვარდე,
არ შეიძლება!..

მერე რა ვუყოთ!

ქარი ნისლს ართავს სადღაც მინდორზე,
და შენც ქარებმა სადღაც დაგკარგეს,
მე კი გაზაფხულს ტანზე ვიზომებ,
ვით ახლად დაჭრილ ჩითის საკაბეს.
მერე რა ვუყოთ,
თუ ჩემზე მეტად,
შენზე სხვასა აქვს მეტი უფლება,
თუ შენ უჩემოდ არა ხარ კენტად,
ვიღაც ჩემს ნაცვლად გესაუბრება.
მერე რა ვუყოთ,
ასე თუ არის,
სხვას უწილადე თავსასთუმალი,
მერე რა ვუყოთ, თუ ჩემს ოჯახში
არც მასპინძლობ და არც ხარ სტუმარი,
მერე რა ვუყოთ, თუ სხვამ აანთო,
შენს კერიაზე ცეცხლის ღადარი,
რაც მე თვალსა და გულში დაგინთე,
სულში ათასჯერ უფრო ღრმად არი.
მერე რა ვუყოთ, თუ მე არა ვარ,
შენი ჭერის და სახლის მეუფე,
ეს სატკენია ათასჯერ უფრო,
თუ შენს სიმშვიდეს მე დავეუფლე.
მე ვიცი, რომ თქვენ არც არასოდეს,
არ დააღამებთ მთელ დღეს უბრებად,
და რაგინდ დიდი ტკივილი გქონდეს,
ვერ მიგიხვდება სათქმელს უთქმელად.
შენ რაგინდ კარგად თავს გრძნობდე ეხლა,
და რაგინდ იყო გავლენიანი,
უჩემოდ შენ ვერ შეამჩნევ ქვეყნად,
როგორ მოვლენ და წავლენ იანი.
ის თუმც იქნება შენი ზიარი,
ერთი გექნებათ თავსასთუმალი,
და ვერ მიხვდება, თუნდაც გუმანით,
რომ ის შენს სახლში არის სტუმარი.
ქარი ნისლს ართავს, სადღაც მინდორზე,
და შენც ქარებმა სადღაც დაგკარგეს,
მე კი გაზაფხულს ტანზე ვიზომებ,
ვით ახლად დაჭრილ ჩითის საკაბეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაქრო სამადაშვილი

ძაღვი

კარგა ხანია გაყრილები არიან ძმები: სარდიონი და სიკა. სარდიონი უფროსია, სიკა უმცროსი. პირველის ოჯახში უშვილობით გამოწვეული უკმაყოფილება და წუხილი იგრძნობა.

საქმეში ჩარეულმა ოფიციალურმა და პატიოსანმა ადამიანებმა სარდიონს და სიკას თავის დროზე უძრავ-მოძრავი ქონება აფთიაქის სასწორის სიზუსტით გაუყვეს. უმცროსი ძმა მამისეულ კერაზე, ძველ სახლში დატოვეს, ხოლო სარდიონს ახალი სახლის აშენების უფლება და საშუალება მიანიჭეს.

სარდიონი თილისმით შეზავებული, მაცთუნებელი სიტყვის ამყოლია, დროდა დრო მუზმუზელობასაც იჩენს, მაგრამ ზოგ უშვილოს რომ ახასიათებს, არც პურძვირია და არც ხარბი. მისი ავკაცობის სათავე ერთი ახირებული და ავადმყოფური რწმენაა: იქვე, ახლოს, გვერდით დასახლებულ სარდიონს ეჩვენება, თითქოს მის ძმას ცხოვრების დაულეველი წყარო დარჩა. სარდიონი ძმის ეზოზე გადავლისას მუდამ იმის ცდაშია, ხელს გააყოლოს რამე. სიკას ეზოში ცხენის ნახმარი ნალიც კი რომ იპოვოს, იმასაც შინ მიარბენინებს. ეს მამისეულია, გამომადგებაო.

დათმობა, გაგება, სიკეთე, სიყვარული... აი, რა სწამს ძმურ ურთიერთობაში სიკას. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ძმობისათვის შეუფერებელი ურთიერთობა მძაფრ ხასიათს არა ღებულობს. ერთი უსიამოვნების ისტორია კი ძალიან საგულისხმოა და ღირს მასზე სიტყვის ჩამოგდება:

... ერთ დილას სარდიონი სიკას ეწვია და ყურძნის საწურავი სთხოვა. სიკამ შვილები მოიხმარა და სარდიონს საწურავი გაატანა. ბიძის ეზოდან გადმოსული ბიჭები ცოტა ხანს შედგნენ და ერთმა ჰკითხა მეორეს:

— ვანო, გიყვარს ძია სარდიონი?

— კი...

— უსამართლოდ რომ გვექცევა?

— რა ვქნათ, ჩვენია, მამას უყვარს...

— სიძულვილით არ მძულს, მაგრამ გულს მაგრე რიგად არ ეცხობა მისი სიყვარული.

— ეგ არ თქვა მამასთან, ეწყინება! — გააფრთხილა ვანომ ნუგზარი და შორიახლო მდგომ მამისკენ გასწია.

სიკას სახე დღევანდელი დღით კმაყოფილებას გამოხატავდა. ბიჭებს წყვილ-წყვილი ატამი ეჭირათ ხელში და არც ერთი არ იწყებდა ჭამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიძამ ატმები გითავაზათ?

— კი, გაიმეტა. — თქვა ნუგზარმა და მწიფე ატამი ჩაკბიჩა.

მამა ვანოს დააკვირდა, ჰკითხა:

— შენ რატომ არ ჭამ?

— დედას ვუნახავ.

— ჭამე, დედას არ უნდა!

— უნდა...

— ნება შენია!

სიკამ წალდი აიღო და ეზოს ვენახისკენ ღიღინით გასწია.

ვანო ძვალმსხვილი, მაღალი, მხრებგანიერი, საოცარი ღონის პატრონია. სოფლისა და რაიონის რჩეული მოჭიდავე. ბევრი დაუდვია თავის სოფელში თუ სოფლის გარეთ გამართულ ასპარეზობებზე. ამ კეთილსა და მოყვარულ ახალგაზრდას ერთი ფიზიკური ნაკლი დაჰყვა: ცალი თვალი ოდნავ ელამი აქვს: ამის გამო თითო-ოროლა თავზეხელაღებული ბედავს ხოლმე და „ბრუცას“ ეძახის.

— ვანო, — მიაძახა მამამ ერთ დღეს შვილს, — გადაირბინე ბიძაშენთან, მოახსენე, ყურძნის საწურავი გარეთ დასტოვოს, ხვალ დაგვჭირდება და საღამოს გადმოვიტანოთ!

ვანო მალე დაბრუნდა ბიძისაგან პასუხით: საწურავზე უარი გეთქვასო.

სიკომ იმ დღით წყენა არ შეიმჩნია, მეორე დღეს ატმის ქვეშ მდგარ ძმას თვალი შეასწრო და ჰკითხა:

— ძმაო, საწურავს მართლა არ მაძლევ?

— მართლა!

— რატომ, რაში მიჭერ?

— იმაში, რომ მამაჩემის შეძენილია, მეც იმისი შვილი ვარ, შენ ხომ გქონდა დიდხანს, ახლა ჩემთან ამყოფე.

— კი მაგრამ გაყოფის დროს ხომ იცი, საწურავი მე შემხვდა, განაჩენში იგი მე მიწერია.

— განაჩენი! განაჩენი გალესე და დალიე!

ვანო იქვე იდგა და ისმენდა ძმების საუბარს. ბიძის უკანასკნელმა აგდებულმა პასუხმა უსიამოვნო სურვილები აღუძრა, კარგად დაფიქრდა, გონების თვალით აწონდაწონა ყველაფერი და ძლია ცდუნებას. მაგრად მოკუმული მუშტი გაშალა, იქაურობას გაერიდა და შორიდან დაუწყო ცქერა მამას, რომელიც მშვიდად და წყნარად, მოხათრებული და შესმენილი კაცის გამოცდილებით არიგებდა ძმას: ასე არ აჯობებს, თორემ შენ იცი, ძმის დაბრიყვება ვერაფერი კაცობაო.

სარდიონმა ძმის სიტყვები ბოლომდის არც-კი მოისმინა, ბურდღუნით წავიდა და საწურავის დაბრუნებაზე ცივი უარი დატოვა.

სამი დღის მერე სიკა, მისი მეუღლე, სარდიონი და ვანო კვლავ იმ ატამთან შეიყარნენ.

— რა გინდა ძმაო, არ დამანებებ თავსა. — მართალი კაცივით მიმართა სარდიონმა სიკას.

— რას მიჩივი?

— რასა და ე, მგლის ლეკვებს რატომ არ დამხსნი?

„მგლის ლეკვები“ სარდიონმა ცოლისა და ცოლის ნათესავების ლექსიკონიდან გამოიყენა.

— რას გიშლიან ჩემი ბავშვები?

— აბა დახედე, ატამი რა დღეშია!

სიკამ ღობის იქით უფრო კარგად გადაიხედა და შენიშნა: ძირს ბლომად ატამი ეყარა, ერთი პატარა ტოტიც იყო მოტეხილი.

— ხედავ იმას? — ხმას უფრო იმაღლებდა სარდიონი.

— ვხედავ, მერე...

— ეს ველურობაა და ამის ჩამდენი შენი ბიჭები არიან.

— რატომ ეგრე დაბეჯითებით აბრალებ ჩემს შვილებს, ხომ შეიძლება სხვას ექნა ასე?!

— არავითარი სხვა. შენი „ბრუცას“ მეტი ვერავინ გაბედავდა ამას.

რაო, ბრუცაო!

ახლა კი მოთმინების ფიალა აევსო ვანოს. მამას ხელიდან გაუსხლტა, ღობეზე გადახტა, განრისხებული მიაჩერდა ბიძას, მერე ორივე ხელით სწვდა ყელში. შეანჯღრია, ძლია, თავი ხეს მიუდო, მიაწვა, კიდევ მიაწვა და მოწინააღმდეგემ მომაკვდავის თვალები დასხა.

სიკა და მისი მეუღლე შვილს ეცნენ. სარდიონის ყელიდან ხელები გააშვებინეს, სარდიონმა თავისუფლებით ისარგებლა და მარჯვენა ხელი მწვავედ ამოჰკრა ნიკაპში ვანოს. ვანო გაუსხლტა მშობლებს ხელიდან, უფრო მძვინვარედ ეცა ბიძას, ბეჭზე მოიგდო და მიწაზე დაანარცხა. ახლა კი გულმოდგინედ დაუწყო ჟექვა უსამართლო ბიძის გვერდებსა და თავს...

ნაცემი სარდიონი ერთი კვირა იწვა ლოგინში. ერთ დღეს ცოლის ნათესავი კუკური ეწვია. კუკურიმ რომ გაიგო მიზეზი ჩხუბისა, სიცილი აუტყდა, გემრიელად იცინა და სიცილითვე თქვა:

— რას ერჩოდით იმ ბავშვს, ატამი მე დავაქანე, ტოტიც მე მომიტყდა. მთვრალი ვიყავი და სიფრთხილის გრძნობა აღარ მქონდა.

— სად ჯანდაბას იყავი, რატომ არ გვეჩვენე? — ჰკითხეს კუკურის.

— აქეთ გზად ჩამოვიარე, ერთ წუთს თქვენს ეზოში შემოვძლაგუნდი, თქვენ შინ არ ჩანდით, ეზოდან ატმით გამძღარი და ჯიბეებგატენილი მალე გავიძურწე. — იყო კუკურის პასუხი.

სარდიონი კუკურის სიტყვამ და ყოვლად გაუმართლებელმა სიცილმა ძლიერ ჩააფიქრა: „მე კი რა ცოდოს ვატრიალებდი!“ — გაივლო გულში და ენას კბილი დააჭირა.

ამის შემდეგ სამი კვირა გავიდა.

სარდიონი გამოკეთდა, ტკივილებს აღარსად არ გრძნობდა, ვანო თავის თავზე ნაწყენი იყო: როგორ გავიმეტე ბიძა საცემადო. მერწმუნე, შენი არაფერი მომიპარავს, არც მოგპარავ, ცემაზე ბოდიშს ვიხდი და გთხოვ მაპატიე დანაშაულიო, — უთვლიდა ვანო ბიძას. სარდიონი დუმდა, ვანოს არაფერს არ ეუბნებოდა, ვანო ყოველ შეხვედრისას სარდიონს სალამს აძლევდა, სალამზე პასუხს არ ღებულობდა, მაგრამ მაინც ყოველთვის ზრდილობიანად ესალმებოდა.

წინდაუხედაობა და ჯიბრი ქეიფში უფრო მეტად იცოდა სარდიონმა. ერთ დიდ ლხინში, რომელიც მათი სოფლის მახლობლად გაიმართა, სარდიონს ახალგაზრდებთან შელაპარაკება მოუხდა. სარდიონმა სამ ახალგაზრდას რაღაც უსაფუძვლო ეჭვის გამო გინება დაუწყო. ახალგაზრდებმა მიიწიეს, მაგრამ საზოგადოებას ანგარიში გაუწიეს და მალე დაშოშმინდნენ.

გათენებამდე კარგა დრო იყო დარჩენილი, როცა მოქეიფენი აიშალნენ. სამი ნაწყენი მოქეიფე განაპირდა, სარდიონს თვალიერება დაუწყო. სარდიონი მთვრალი დაბანდალებდა და მასპინძლებს ქალსა თუ კაცს ემშვიდობებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო მზერას არ აშორებდა ხან ბიძას, ხან იმ ბიჭებს, რომლებიც ავი თვალით უმზერდნენ სარდიონს.

— ადრე რომ მოვითმინე, სტუმრებისა და მასპინძელის ხათრი იყო, მაგას თავი თუ არ ვაცანი, რაღა ბიჭი ვარ! — თქვა ერთმა სამთაგანმა.

— ორიოდე წიხლი მოუხდება გვერდში, — უპასუხა პირველს მეორემ.

— არც მე შევაწევ გინებას, — დაუმატა მესამე შეთქმულმა.

მალე სამნი შორიახლო აედევნენ სახლისკენ მარტო მიმავალ სარდიონს.

ვანომ შეთქმულთ თვალი გააყოლა და უკან ფრთხილად აედევნა. მიდიოდა ვანო და ფიქრობდა: არა, საცემი კია, რას ერჩოდა იმ ახალგაზრდებს! რა იმათი ტოლი და ამხანაგი იყო! საცემია, მაგრამ ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი ჯილაგი სხვას როგორ ვაცემინო!?

ღამე იწმინდებოდა, სიბნელე ბაცდებოდა, მთვარის ნათელი უფრო სააშკარაოზედ გამოდიოდა, ვარსკვლავები დიდ მნათობს ბაძავდნენ, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა მათი კამკამის დასასრულის მოახლოება. საგანთიადო ღიმილი ნელინელ ეპარებოდა ცის პირს.

კეტივით კაცია სარდიონი, გაბედული, უშიშარი, როცა დალეულია, მაშინ უფრო მაგარია და ფხვნა არა აქვს მის სიმტკიცეს.

ღამის ბყუდროებაში ნაბიჯების ხმაური არ გამოპარვია მახვილ სმენას.

— მანდ ვინა ხართ, მე მომდევთ ხომ! არაფერი გაბედოთ, თორემ დედას გიტირებთ!

მალე ლანდები წინ დაუდგნენ მთვრალ მგზავრს.

— ვის უტირებ დედას?

— აკსა და მამაძაღლსა.

— ვინაა ასეთი?

— თქვენ! — იყო სარდიონის პასუხი.

პირველი ძლიერი დარტყმა სარდიონმა კოხორა ცხვირში იგრძნო, წაიქცა და წაქცეულს ადგომა გაუჭირდა.

ვანო ელვის სისწრაფით ეძგერა ბიძის შემომრტყმელს, მოჭყუნა, მერე გაიქნია და სადღაც, გზის იქით ბღუნვა დააწყებინა, ჯერ კიდევ ასადგომად მფოფხავ სარდიონს გვერდით გაებოტა. პირველი თავდამსხმელი მიწას არ მოშორებოდა, რომ მეორემ ვანოს ზურგზე კატასავით მიხტომა მოახერხა. ვანომ გადასწია ორივე ხელები უკან, ტვირთს დაეჭიდა, ოდნავ წაიწია წინ, მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა მხრები მძლავრად დაიქნია მიწისკენ, ტვირთი ვანოს მხრებს მოსწყდა და მიწას მთელი ძალით დაენარცხა, ვანომ საშუალება მისცა მის წინ დაგდებულს ამდგარიყო და გამოსდგომოდა ამხანაგებს, რომლებსაც ახალახალი გარტყმის შიშის ძალით კარგა მანძილი ჰქონდათ უკვე გავლილი.

სიარულით დაღლილი, ღამენათევი, ცხვირდაჟეჟილი, სახეზე სისხლშემხმარი, ღვინით შეწუხებული, გათხუნული სარდიონი ვანომ კარგა გათენებულში მიიყვანა შინ. სარდიონის ცოლმა კივილი ატეხა და ახლომახლო მეზობლებმა მათ ეზოში მოიყარეს თავი.

— რა ამბავია შენს თავს, სარდიონ, აღარ იტყვი?

— მცემეს და ეგ არის! — მოკლედ მიუგო პასუხი სარდიონმა მეზობლებს.

ვანო არაფერს არ ამბობდა, იდგა და დუმდა.

— შენ სცემე ბიჭო? — შიშით ჰკითხა სიკამ ვანოს.

— მე რატომ ვცემდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა ვინ გაარტყა?

— თვითონ იტყვის.

— რომ არ ამბობს!

— იტყვის.

კაცი კაცია, ადამიანი; ადამიანი იმიტომაა ადამიანი, რომ ავი და კარგი კარგად ასწონდასწონოს, ყველაფერს სამართლიანი შეფასება მისცეს, სწორი აზრი გამოიტანოს! ამ შემთხვევაში ასე მოიქცა სარდიონი. მან, გულაჩუყებულმა, მზრუნველ წრეში რომ იგულა თავი, თავი ვეღარ შეიკავა, ცრემლები გადმოსცვივდა და ვანოს მიმართა:

— ვანიკო, მოდი აქ, მოდი, ჩემი ჯილაგი ხარ, ჩემი!

ვანო მიუახლოვდა ბიძას. სარდიონი მოეხვია, კოცნა დაუწყო, ბიძას და ძმისწულს ცრემლები სცვიოდათ.

ამ სურათს სიკა გაბადრული, ნასიამოვნები უცქეროდა.

მეორე დღეს აივანზე გადმომდგარმა სიკამ თავის ეზოში სარდიონს მოჰკრა თვალი, იქვე იდგა ყურძნის საწურავი.

— ამოდი ძმაო, რა შორიდან იცქირები!

— ვანო სახლშია?

— სახლშია, ახლავე გამოვა.

— რომ გამოვა, ამას დახედოს.

— ამოდი ზევით.

— ახლა არა მცალია, სხვაგან მიმეჩქარება, მერე გნახავთ.

— ხუთი წუთით!

სარდიონი წავიდა.

სიკა დაბლა ჩავიდა, საწურს დააკვირდა, ესიამოვნა. ზედ ქაღალდი იდო, სიკამ ქაღალდი ხელში აიღო, გაშალა და წაიკითხა: „ჩემი მზრუნველი თვალი არ მოშორდება ვანოს — ჩემს სისხლს, ხორცსა და ჯილაგს“.

სიკამ ბარათი ჩაკოცნა, მერე ფრთხილად დაკეცა, მარცხენა უბეში შეინახა, გახედა ეზოს, გაახსენდა ბავშვობა, ძმასთან კოტრიალი, თამაში, უეცრად მძლავრად მოასქდა მის მკერდს ძმური სიყვარულის ტალღა და არაჩვეულებრივად სასიამოვნო გრძნობამ მოიცვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

პატარა გოგოს მამიკო უყვარს

არ აპანტურებს მურია ყურებს,
არ აფახულებს თოჯინა თვალებს.
პატარა გოგო სარკმელს გაჰყურებს —
უნდა მოვიდეს მამიკო მალე.

მხიარულ ქუჩებს მოწყენით უმზერს,
პატარა გული ვერ უძლებს ლოდინს,
პაწაწა ხელებს შემოკრავს უცებ:
— მამიკო მოდის...
— მამიკო მოდის...

პატარა გოგოს მამიკო უყვარს...

მეც კიბეებზე ავრბივარ ხვნეშით,
სულმოუთქმელად ავრბივარ, ვჩქარობ,
კალაპოტივით გაწვდილ ხელებში
რომ ჩამეღვაროს სიცოცხლის წყარო.

„რა მომიტანე?“, წივის, კისკისებს,
მიჩხრიკავს ჯიბეს ჩვეულ ლაღობით
და კონწიალებს ყელზე, კისერზე,
როგორც მშობლიურ ტოტზე ნაყოფი.

პატარა გოგოს მამიკო უყვარს...

ვინ რას დაუშლის პაწაწა თითებს,
ბუნჩულა თითებს, საყვარელ თითებს,
და რას არ ითმენს, ო, რას არ ითმენს
მამიკოს ქუდი, მამიკოს მხრები,
მამიკოს თმები (თუ ჰქვია თმები).

პატარა გოგო მამიკოს უყვარს...

ან რა სჯობია მამასთან თამაშს,
მამიკო გოგოს აცინებს მუდამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის გალახვა არ იცის მამამ,
ბავშვმა რაიმე გატეხოს თუნდა.

დარიალებენ აქეთ და იქით,
თამაშში ნეტა რა არის ცუდი?
ვეღარ მონახა მამიკომ წიგნი?!
ვერსად იპოვნა მამიკომ ქუდი?!

„მამიკო მიდის?
მამიკო მიდის?“
ატეხავს განგაშს ხმა მოტიტინე
და იმუქრება პაწია თითით:
მეც წამიყვანე, თორემ ვიტირებ...

პატარა გოგოს მამიკო უყვარს...

გზებზე, ქუჩაში, კარიდან კარად
მომსდევენ ხმები, ჟღურტულა ხმები,
„მამიკო ჩქარა, მამიკო ჩქარა,
ნუ გვიანდები, ნუ გვიანდები!..“

და ჰე, ხელებზე,
სახეზე,
თმებზე,
ჰო თმებზე (ამას თუ ჰქვია თმები)
სხივივით თბილი და მოალერსე
მიღიტინებენ ჟღურტულა ხმები.

. . . . . .

სულგანაბულა პატარა ბინა,
თოჯინას უკვე ღრმა ძილით სძინავს,
პატარა დედის კალთაში ყვინთავს,
თვალებზე ძილი ფარფატებს ბინდად.
ნუღარ უწყრები, დედიკო, ნუღარ,
თვალები ისეც ცრემლით აქვს სველი,
პატარა გოგოს მამიკო უყვარს,
პატარა გოგო მამიკოს ელის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შაღამბერიძე

*

ახლოს ნუ დაჰფრენ, ჩემო თოლია,
ვინ დაგიბედა ზღვასთან თამაში;
ზღვა ჩემი ცრემლი ხომ არ გგონია, —
ჩაუქროლო და ფრთებზე დაგაშრეს!..

ახლოს ნუ დაჰფრენ, ჩემო თოლია,
არ გაპატიებს ტალღა უძღები;
ზღვა ჩემი ფიქრი ხომ არ გგონია, —
ასე ლაღად რომ ეკეკლუცები!.

ახლოს ნუ დაჰფრენ, ჩემო თოლია
და ნუ გიზიდავს ვერცხლის ეჟვნები;
ზღვა ჩემი გული ხომ არ გგონია, —
შეიყვარე და აღარ ეშვები!..

გულს არაფერი აქვს სარიდალი

წელს საქართველოს მზიან მინდვრებზე
მე შენ ჟუჟუნებს დაგიკრეფ, ჟუჟუ.

ჟუჟუნა მინდვრის არის ყვავილი,
ვერცხლისფრად ბზინავს ცვარგადაყრილი.
და ვით მიხაკი ერთ პოეტს ერთ დროს
მთრთოლვარე მკერდზე ცეცხლივით ენთო,

შემყვარებია მეც ასე ძლიერ
ჟუჟუნა — მინდვრის სუსტი ყვავილი.
ამ სიყვარულში თუ დავილიე,
დე, ჟუჟუნებთან მეღირსოს ძილი.

წელს იმერეთის მზიან მინდვრებში
ბევრი უმანკო ჟუჟუნა მოვა.
მათი სურნელით მე დავითვრები
და დროზე ვიტყვი, რომ თრობის დროა.

ლევანიანული
ბიბლიოთეკა

საქართველოში რომელი დროა,
რომ არ თვრებოდე,
რომ არ იწვოდე;
არცერთი წუთი კაცს არ ეთმობა
ისე ტკბილია მაინც სიცოცხლე.

ორბელიანი, თვითონ სარდალი,
ამ წვამ მოდრიკა და გაათავა.
გულს არა აქვს რა მოსარიდალი
და ეზიდება ცეცხლს თავისთავად.

წელს საქართველოს მზიან მინდვრებზე
მე შენ ჟუჟუნებს დაკიკრეფ, ჟუჟუ.

ლეგარდე

მართლაც ლამაზია ლებარდე,
სტუმარი ვარ და თრთოლვით ვივსები.
დაღამებიდან გათენებამდე
თავზე მახვევია თეთრი ნისლები.

არ ვიცი, რა მაქვს დასაწუნი,
რომ დღემდე არსად არ შემიყვარეს;
კარვებში ძინავთ მეგრელ ქალწულებს,
მე კი ძაღლივით ვდარაჯობ კარვებს.

ციცინათელაც, ვხედავ, გამირბის, —
ხელს შევახებ და ქრება მაშინვე.
დავალ მთვარიანში, როგორც ყარიბი
და საკუთარი ლანდი მაშინებს...

მართლაც ლამაზია ლებარდე
დიდი მთებით და მაღალი ნაძვებით.
დაღამებიდან გათენებამდე
ვგმობ ჩემს გაჩენას და ვილანძღები,—
რომ არ შევუყვარდი დღემდე არავის
და დახშულია ყველა კარავი.

მაინც ლამაზია ლებარდე,
სტუმარი ვარ და მგონია ასე,—
დაღამებიდან გათენებამდე
ნიავი ნისლის თეთრ ღვინის მასმევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიო ვიტორინი

ერიკა

I

ომი უკვე დამთავრებული იყო, როცა ერიკა დიდ ქალაქში მოხვდა. სუსხიან ზამთარს მოედნებზე შადრევნები გაეყინა. ერიკას ოჯახი ერთ-ერთი დიდი სახლის ბნელ, ჭუჭყიან სარდაფში დაბინავდა. სახლის ბინძურ და ჩაშავებულ აივნებზე გამუდმებით ყვიროდნენ და ერთმანეთს ებუტებოდნენ ბავშვები. ერიკა მაშინ ხუთი წლის გოგონა იყო და ძალიან მალე დაივიწყა ის სამყარო, სადაც წინათ ცხოვრობდა. მხოლოდ სიზმრებს ხედავდა უწინდებურს. მანამდე ერიკას ესიზმრებოდა ყურძენი, ტკბილი, ოქროსფერი, ოდნავ გაყინული. არა, ის არ აპირებდა პირის ჩატკბარუნებას, უბრალოდ, ძალზე სიამოვნებდა უცბათ ვენახში რომ გაჩნდებოდა. სიზმარში ყურძენი ბროლივით თეთრი იყო. მღეროდნენ უჩინარი ჩიტუნები, თვითონ კი ვენახში იჯდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. მან იცოდა, რომ ასეთი რამ სხვა ბავშვებსაც ესიზმრებოდათ და მათთან ამხანაგობაზე ოცნებობდა. რა ბედნიერებაა როცა იცი, რომ მარტო არა ხარ და მეგობრები გყავს!.. რა საშინელება იქნება, რომ უეცრად გაქრეს ყველა კატა და წითელი კაბა? — ფიქრობდა ხოლმე დიდხანს ერიკა და შიში იპყრობდა. ერიკას მგლებისა და მოჩვენებებისა არ ეშინოდა. როცა იღვიძებდა, მას მხოლოდ ერთი რამ აშინებდა ამ ქვეყნად: ვაი თუ უეცრად სამყაროდან რაიმე გაქრესო.

ასეთივე სიზმრები ესიზმრებოდა ერიკას დიდ ქალაქში.

გაუთავებელმა ზამთრის ყინვამ ბოლოს უკან დაიხია. იგი გაზაფხულმა შეცვალა, მერე ზაფხულმა. ქალაქი თითქოს ზღვის ჰაერით იყო გაჟღენთილი. შუადღისას ქუჩებში სამხედრო ხომალდების მეზღვაურები სეირნობდნენ.

ერიკას ოთახში ყველა ხვრელიდან მოძვრებოდნენ ხოჭოები, თუმცა სიცხე აქ ისე სულშემხუთავი არ იყო, როგორც იქ, სადაც წინათ ცხოვრობდნენ. ერთი სიტყვით, ისევ მალე მოვიდა ზამთარი, მერე მეორე, მას მოყვა მესამე, მოდიოდა თოვლი და ერიკას ესიზმრებოდა დათოვლილი ზღაპრული ჩიტები და მათთან დამეგობრებაზე ოცნებობდა. მას სულ უფრო და უფრო უხაროდა სიცოცხლე, უხაროდა ისიც, რომ სკოლაში დადიოდა, ეზოში რომ ბევრი ბავშვები იყვნენ, ცხელი პურისათვის მეფუნთუშესთან რომ აგზავნიდნენ ხშირად, და რომ უეცრად ქვეყანას მისი პატარა ძამიკო მოევლინა. ახლა ორ პატარა ოთახში უკვე ხუთნი ცხოვრობდნენ — მამა, დედა, თვითონ, მასზე ოთხი წლით უმცროსი და ლუკრეცია და ახლადდაბადებული ძამიკო. რასაკვირველია, პატარა მალე წამოიზრდებოდა და ერთადაც ითამაშებდნენ, მაგრამ ეს არც თუ ისე სახარბიელო იყო. მას ისედაც ბევრი მეგობრები ჰყავდა. კვლავ გაფრინდა ზაფხული, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ხშირმა წვიმებმა შეცვალა. ეზოში ბავშვები ტალახსა და გუბეებში თამაშობდნენ. ერიკას დედა კი თეთრეულს ოთახში გასაშრობად ჰფენდა.

II

ერიკას ყველაზე უფრო ის დრო უყვარდა, როცა ქუჩაში წვიმა მოდიოდა და დედა იძულებული იყო თეთრეული ოთახში გაეფინა. ასეთ სივიწროვეში დედა ოთახს ვერ ალაგებდა და ერიკას ნებას აძლევდა სათამაშოდ მეზობლის გოგონა მოეყვანა. ყველანი ჯდებოდნენ ღუმელის გარშემო და დედა ზღაპრის მოყოლას იწყებდა. ცოტა მოგვიანებით მამა ბრუნდებოდა სამუშაოდან. იგი იღიმებოდა, როცა ბუხართან მჯდომ ცოლსა და ბავშვებს უყურებდა, მეუღლეს ზღაპრის მოყოლას აწყვეტინებდა და თვითონ განაგრძობდა.

ასე მიჰყვებოდა ზამთარი ზამთარს. ერიკას შეუსრულდა შვიდი, მერე რვა, და ბოლოს ცხრა წელი. მამა ადრინდელივით მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა (მემონტაჟე იყო და მისი ხელფასი ძლივს ჰყოფნიდათ საცხოვრებლად). მალე ერიკა მიხვდა, რომ მისი მშობლები ღარიბები იყვნენ და ძალიან გვანდნენ იმათ, ვიზედაც ზღაპრები შეეთხზათ. მან ფრთხილად თვალყურის დევნება დაუწყო მათ, რადგან ზღაპრებში ღარიბები ხშირად ბოროტები იყვნენ, მიჰყავდათ თავისი ბავშვები ტყეში და იქ სტოვებდნენ. ახლა იგი ყურადღებით უსმენდა მშობლების საუბარს. მამა არ მოისურვებდა ტყეში მათ მიტოვებას, მაგრამ დედისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, რადგან იგი არასოდეს არ ყოფილა მათთან კეთილი და მხოლოდ მაშინ დგებოდა კარგ ხასიათზე, როცა მამა ბრუნდებოდა სახლში. მხოლოდ მას უღიმოდა და მხოლოდ მასთან უყვარდა საუბარი. ერიკას ეს სწყინდა. ერთ საღამოს, როდესაც ისინი სიბნელეში იცინოდნენ და საუბრობდნენ, ერიკამ რამდენჯერმე შეუძახა, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსა. ამის შემდეგ ერიკას მამისაც აღარ სჯეროდა და უფრო ყურადღებით უსმენდა მათ ჩურჩულს.

უფრო ხშირად ისინი სიღარიბეზე ლაპარაკობდნენ. მამას ახალი ყელიანი ფეხსაცმელი უნდოდა, დედა ღამის პერანგზე ოცნებობდა. ქარხანაში კი კვლავ დაუკლეს ხელფასი. ასე თუ გაგრძელდა, მხოლოდ ქაშაყით თუ გავლენ იოლად. „მერე რა?“ — ფიქრობდა ერიკა. — განა არ შეიძლება მარტო ქაშაყის ჭამა. რა არის აქ ისეთი საშიში“? — უფრო საშინელი არ იქნება დედამ ისინი ტყეში რომ მიატოვოს? ერიკა გრძნობდა, რომ ეს მართლაც შესაძლებელი იყო და ყოველდღიურად შიში სულ უფრო და უფრო იპყრობდა. მან იცოდა, რომ ღამით მშობლები საიდუმლოდ რაღაცაზე ჩურჩულებდნენ და არაფრის დარდი არ ჰქონდათ. სწორედ ეს აშინებდა ერიკას. მარტოდ რომ დარჩნენ, დედას და მამას ხომ შეუძლიათ, დახოცონ ბავშვები? ერიკას შიშით აჟრჟოლებდა კიდეც.

შესძლებს თუ არა ის ძმისა და ლუკრეციას გადარჩენას? ბნელი ტყიდან მათ გამოყვანას და სახლისკენ გზის გაგნებას? ერიკას მოაგონდა ერთი ზღაპრის გონიერი ბიჭი და წინასწარ შეაგროვა კენჭები. შემდეგ მას შეუსრულდა ათი წელი და აღარ ეშინოდა დაკარგვისა. მან აქ ყველა ბილიკი იცოდა. მაგრამ გინდაც დაბრუნებულიყო სახლში, რა ელოდა იქ? ყოველ დღე დედისა და მამის საუბარი სულ უფრო ნაღვლიანი ხდებოდა. ერთხელ მამა სამსახურში ცუდად გახდა, რადგან ძალიან ცოტას ჭამდა და სამუშაოს დამთავრებისას თავბრუ ეხვეოდა. ავად რომ გახდეს, უბედურება დატრიალდება. რა ეშველებათ ბავშვებს! დედაც წუხდა და მამას საყვედურობდა: გავხდი და დავუშნოვდი, ქალს აღარ ვგავარ და მცხვენია, როდესაც გეხვევიო...

დადგა ზამთარი. ერთი ღერი შეშაც არა ჰქონდათ. ერიკა სიცივით კანკალებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. დედამ უეცრად სიკვდილზე ჩამოაგდო საუბარი, ორი დღე იყო, რაც არაფერი ეჭამათ. შიმშილსა და სიცივეს ადამიანი შეუძლია სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოს. ერიკას თოვლის ჩიტუნები ესიზმრებოდა და მათ მიერ ამონასუნთქი, გათოშილი ჰაერი ბავშვს სულს უგუბებდა. ვერავის ენდობი, მეგობრებსაც კი!

— მე ისევ მომიკლეს ხელფასი — ყოველ კვირას აცხადებდა მამა.

დედა კვლავ ყვიროდა.

— მაშ ასე! რას გვიბრძანებ გავაკეთოთ? — თავის თავზე აღარ ფიქრობდა. მხოლოდ ბავშვებზე დარდობდა — ლუკრეცია ტიტველია, ერიკას პერანგი არა აქვს...

მაგრამ დედის ეს მზრუნველობა ვერ აწყნარებდა ერიკას, პირიქით, მან ზღაპრებიდან შესანიშნავად იცოდა, რომ ყველა უბედურების მიზეზი ბავშვები იყვნენ. მშობლები იტირებდნენ, შეიცოდებდნენ, მერე კი მოკლავდნენ. ყველაზე უფრო დედისა ეშინოდა.

ერიკას ათი წელი შეუსრულდა და ძმასა და დასთან ერთად გაქცევა გადაწყვიტა. მან სცადა და დას აუხსნა თუ რა უბედურება შეიძლებოდა თავს დასტყომოდათ, მაგრამ ლუკრეციამ არ დაუჯერა. მას, არაფრის არ ეშინოდა, არც ის ესმოდა, რომ ღარიბები იყვნენ, რომ სახლში ციოდა და საჭმელი არა ჰქონდათ. საკვირველია! ნუთუ წინათ ერიკაც ასეთი სულელი იყო? იგი დაეჭვდა: მათ ალბთ ადრეც ემუქრებოდათ საფრთხე, რადგან სახლში მუდამ იყო სიცივე და შიმშილი. მშობლები კი ყოველთვის მოსაწყენ საგნებზე ლაპარაკობდნენ. ოჰ, ღმერთო ჩემო! ფიქრობდა ერიკა. ნუთუ საშიშროება წინათაც იყო? ის კი გუმანით ვერაფერს გრძნობდა. დედას ხომ შეეძლო ტყეში მიეტოვებინა ისინი — სუსტი და უმწეონი!

III

ერიკას შეუსრულდა თერთმეტი წელი, მერე თორმეტი. შესანიშნავი ზაფხული იდგა. სამსახურიდან დაბრუნებისას მამა მხიარულ სიმღერას უსტვენდა. ცხოვრება ოდნავ გაუადვილდათ.

ერიკა თამაშობდა უკაცრიელი, ნახევრად დანგრეული სახლის მახლობლად, სადაც მსხვილი ასოებით ეწერა: „ნაკვეთი იყიდება მშენებლობისათვის“. ერიკა წამოიზარდა, — მეგობრებთან ერთად ხშირად დადიოდა ზღვის ნაპირზე, მობანავეთა სანახავად. ერთხელ ამხანაგებმა ურჩიეს მასაც ებანავა. ერიკა უკვე აღარ იყო ის პატარა, სულელი გოგონა, რომელსაც ტყეში მიტოვებისა ეშინოდა. ახლა ის თავის თავში დარწმუნებული გახლდათ და წინანდელი შიშიც სადღაც გაქრა. მას აღარ აწუხებდა პატარა ძამიკოსა და ლუკრეციას დარდი, მაგრამ მშობლებს მაინც არ ენდობოდა. მისთვის დედ-მამა ორი ბოროტი არსება იყო, რომელიც გაჭირვებამ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

შეუმჩნევლად გაირბინა ზამთარმა, გაზაფხულმა, ისევ დადგა ზაფხული. ერიკას შეუსრულდა ცამეტი წელი. მისი გული შიშით აღარ ფეთქავდა, მაგრამ ადრინდელივით დაჟინებით შეყურებდა მშობლების გატანჯულ სახეებს და თავის ეჭვებზე თვითონვე ეცინებოდა, რადგან კვალიც აღარ დარჩა უწინდელი სიმხდალისა. ერიკა უფრო გონიერი გახდა. ყველა უბედურებაში მშობლებს აღარ ადანაშაულებდა. თოთხმეტი წელი ცოტა როდია და ერიკამ სკოლაში სიარულს თავი დაანება. იგი შრომისმოყვარე, კეთილგონიერი გოგონა იზრდებოდა და მარტო უძღვებოდა ოჯახს. დედა ვერაფერში ესაყვედურებოდა, მაგრამ ისევე ექცეოდა, როგორც ბავშვობაში — არასოდეს გაუცინებდა, არც ტკბილ სიტყვას ეტყოდა, მხოლოდ ზოგჯერ ამღვრეული თვალებით შეხედავდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ერიკამ ყური მოჰკრა მშობლების საუბარს:

— ვნანობ, რომ ერიკა ბიჭად არ დაიბადა, მუშაობას შესძლებდა და შენც აგრე არ გაგიჭირდებოდა. მამამ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ვინ იცის იშოვნიდა კი სამუშაოს?

გარეთ ზამთარი იდგა. ოთახს ვერ ათბობდნენ. გაძნელდა პურის ფულის შოვნა, არავის სურდა მუშახელის აყვანა. თუ სამუშაო გაქვს, მაშინ კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ არა გაქვს, — საჭმელსაც ვერ შეჭამ. გუშინ გააგდეს ერთი მუშა, დღეს — მეორე, და ასე მეორდება ყოველდღე... ყველგან ხოლერის ეპიდემია გავრცელდა თითქოს. ამგვარად გაირბინა ზამთარმა. ერიკას მეზობლები ქუჩაში როცა მიდიოდნენ, კედელს ეკვროდნენ, სახეები დაღვრემილი და სასოწარკვეთილი ჰქონდათ. ერიკა ამჩნევდა, რომ ისინი ერთმანეთს ერიდებოდნენ, მხოლოდ თავს უქნევდნენ და თითქოს რაღაცის ეშინიათო, სწრაფად შორდებოდნენ ერთმანეთს. მეოთხე სართულზე მცხოვრებ ერთ-ერთ ძველ მუშას ცოლი მოუკვდა. იძულებული იყო ერთი დღე ბავშვებთან დარჩენილიყო სახლში და როცა სამუშაოზე გამოცხადდა, უთხრეს, მოგხსნესო.

— საკმარისია სამუშაოდ არ გავიდეს ვინმე, რომ მეორე დღესვე ხსნიან, — თქვა მამამ.

დადგა გაზაფხული, მაგრამ ზაფხულს შვება არ მოუტანია. სახლში კვლავ სევდიანი საუბარი ისმოდა. არც ისე დიდი ხნის წინათ ეზოში მცხოვრებმა ორმა მუშამ სამუშაო დაკარგა. სახლის პატრონებმა ვერ შესძლეს მათი გასახლება, მაგრამ უბედურებს წაართვეს მთელი აქეჯი, გამოუთიშეს შუქი და გაზი. ერიკამ ყური მოკრა მამის ნათქვამს: ქარხანაშიც დაიწყეს ხალხის გარეკვა, საჩამომსხმელო საამქროში ხუთ კაცს გაუსწორეს ანგარიში. ახლა რიგი სამონტაჟოზე მიდგა. მამა სამონტაჟოში მუშაობდა. დედას უეცრად სახე აელეწა.

— არ უნდა გეშინოდეს, — აწყნარებდა იგი, — შენ ხომ ერთ-ერთი საუკეთესო მუშა ხარ.

პასუხად მამამ მხოლოდ თავი გადაიქნია. საქმე ის კი არ არის ვინ უკეთესია და ვინ უარესი. ახლა არც თუ ისე დიდი საშინელებაა სამუშაოს დაკარგვა. მომუშავენიც და უმუშევრებიც ერთნაირად კვდებიან შიმშილით. გარდა ამისა ხელფასი კვლავ შეამციროს. საათში თორმეტ ჩენტეზიმოთი ნაკლებს იძლევიან. განა ამაზე ცოტა შეიძლება ჭამონ ადამიანებმა, რასაც ახლა ჭამენ?

— კიდევ რას იტყვი! — დაიყვირა დედამ.

სადილობის დრო იყო, დედამ მაგიდაზე თეფშით დადო ცოტაოდენი ბოლოკი, რომელიც ბეღურებს საკენკადაც არ ეყოფოდა.

— ვეცდები შინამოსამსახურედ მოვეწყო, —თქვა დედამ. და მართლაც მოეწყო ჭურჭლის მრეცხავად საგადასახადო ინსპექტორთან, რომელიც ახლად შეუღლებული იყო და მათ ეზოში „კეთილშობილ ბელეტაჟზე“ ცხოვრობდა. მისი ოთახის ფანჯრები მოედანს გადასცქეროდა. ინსპექტორს თხელი ულვაშები ჰქონდა და ბადრიჯნის ფერის დიდ შლიაპას ატარებდა.

აივანზე ფერად პიჯაკში გამოწყობილი მისი ახალგაზრდა მსუქანი მეუღლე, მანდალინის აკომპანიმენტზე „ტრავიატადან“ არიებს მღეროდა ხოლმე. დედა კვირაში რვა ლირას იღებდა და ოჯახს იმ ცხრა ლირასა და სამოც ჩენტიზიმოს უნაზღაურებდა, რომელიც მამას შეუმცირეს.

ერიკას ცამეტი წელი შეუსრულდა.

გავიდა ზაფხული. ბებერ თელას ფოთლები გასცვივდა. ერიკა ყოველდღე მოედანს გადასჭრიდა ხოლმე და სვეტებიან წყალსატევთან ჩერდებოდა. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერდი წამოეზარდა და ვაჟები ველოსიპედით დიდხანს უვლიდნენ წყალსატევს გარშემო, რომ მისთვის ეცქირათ.

IV

მალე დედა მიხვდა, რომ ის საცოდავი რვა ლირა, რომელსაც მსუქანი ქალი თეფშების რეცხვაში აძლევდა, ვეღარ უშველიდათ, რადგან მამას კვლავ დაუკლეს ხელფასი საათში 10 ჩენტეზიმომდე. მოკლედ დღეში 80 ჩენტეზიმოს აძლევდნენ, რაც კვირაში ოთხ ლირასა და 80 ჩენტეზიმოს შეადგენდა. მაგრამ მამას უხაროდა, რომ სამუშაო მაინც შეინარჩუნა. ქარხნიდან დაითხოვეს კიდევ ოთხი მემონტაჟე. თითქმის ყოველ დღე ვიღაცას აგდებდნენ. იმ სახლიდან, სადაც ერიკა ცხოვრობდა, ორი უმუშევარი სხვა ქალაქში წავიდა და იქ გზის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. ერთი სიტყვით, ვინც მუშაობდა, არც იმას ადგა კარგი დღე. ვერც ერთი მაცხოვრებელი ვერ იხდიდა სინათლის ფულს, ამიტომ სინათლე თითქმის ყველგან გამორთული იყო. სინათლე ენთო მხოლოდ „კეთილშობილ ბელეტაჟში“, სადაც უფროსი კონტროლიორები, ვაგონის გამცილებელნი და მდიდარი მოხელენი ცხოვრობდნენ.

საბედნიეროდ, შემოდგომა არ იყო მკაცრი. გავიდა ნოემბერი, ოქტომბერი, იმედოვნებდნენ, რომ ზამთარიც არ იქნებოდა ცივი. საღამოობით მუშები ჭუჭყისაგან ჩაშავებულ კიბეებზე ისხდნენ, ჰაერში დაფრინავდნენ ღამურები. არავინ არაფერს ამბობდა, ბავშვებიც კი დადუმებულიყვნენ. მხოლოდ „კეთილშობილ ბელეტაჟიდან“ ისმოდა რადიოს გამაყრუებელი ხმა. მაგრამ აი ერთხელ მოხდა რაღაც საოცრება. ბორბლების ხრჭიალით სახლთან მოგრიალდნენ თვალწარმტაცი ავტომანქანები, ბატონი და ქალბატონი მანქანებიდან გადმოვიდნენ და ეზოში შევიდნენ. ოხ, ისინი თამამი, საუცხოო ბატონები იყვნენ.

— ძალზე სასიამოვნოა აქ! — ერთხმად დაიძახეს მათ. შემდეგ იკითხეს უმუშევრები სად ცხოვრობენო. ერთ-ერთმა მეზობელმა აჩვენა: აი აქ და იქ.

მხიარული სტუმრები ოთახებს მოეფინენ და მალე იქიდან ბატონების მელოდიური ხმები გაისმა. მათ „საცოდავ უმუშევრებს“ 10-10 ლირა, ნახმარი პერანგები და აბრეშუმის ტრუსები აჩუქეს. ერიკას ოთახშიც შეიხედეს, რადგან ვინ იყო აქ უმუშევარი და ვინ არა, ამის გამორკვევის თავი არ ჰქონდათ. ერთ-ერთმა პრინცესასავით თვალწარმტაცმა სენიორინამ, ერიკას წყალი სთხოვა. ერიკამ ბედნიერად იგრძნო თავი, მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ გამოდგა. ქალბატონმა გოგონას 10 ლირა გაუწოდა.

— მე უმუშევარი არა ვარ — უთხრა ერიკამ და ფულის აღებაზე უარი თქვა. ყველამ გაიცინა. მაშინ ქალბატონმა ქაღალდის ფული ჩანთაში შეინახა და ორი სპილენძის ლირა გაუწოდა.

— რა ლამაზი გოგონაა, არა? — თქვა მან და ურჩია ერიკას პიტნის კამფეტები ეყიდა.

მაგრამ ერიკამ კბილების ჯაგრისი იყიდა. მას თოთხმეტი წელი უსრულდებოდა. სახლს ახლა ის უვლიდა. დედა ჭურჭელს უკვე ორ ოჯახში რეცხდა. დადგა იანვარი. დედა კვირაში თოთხმეტ ლირას ღებულობდა, მამა კი სამოცდაათს.

ზამთარი მოულოდნელად სუსხიანი გამოდგა. მოედანზე წყალსატევი გაიყინა. ფანჯრის მინები ყინულის ლოლუებმა დასერა. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ცოტაოდენი საწვავი უნდა ეშოვნათ. უეცრად მამას თავში შესანიშნავმა აზრმა გაუელვა.

ეზოს ბოლოში ნახევრად დანგრეული სახლი იდგა, რომლის ფასადიც, ყაზარმისკენ მიმავალ ვიწრო ქუჩაზე გადიოდა. ამ სახლს იღებდნენ, მაგრამ ორი სართულის ნაწილი რატომღაც დაუნგრეველი დატოვეს. მხცოვრებნი ში-

შით შეჰყურებდნენ — აი ნახეთ თუ არ ჩამოინგრევაო. მეორე სართულზე ადიოდა პატარა რიკულებიანი კიბე, რომელიც ისე მოერყიათ ბავშვებს, რომ თავს ძლივსღა იმაგრებდა. ცოტა ქვემოთ წარწერა იყო: „ნაკვეთი იყიდება მშენებლობისათვის“. კედლის ხვრელში ორი ოთახი მოჩანდა. ერთი პირველ სართულზე, ხოლო მეორე — მეორეზე. ოთახში სიარულის დროს აგურის ნამსხვრევები ხრაჭუნებდნენ ისე, როგორც შემოდგომაზე ჩამოცვენილი ფოთლები.

— იცით რა მოვისაზრე? — თქვა მამამ. —მოდით, იმ სახლში ჩავსახლდეთ. მაშინ ოთახის ქირა აღარ გვექნება გადასახდელი. იქიდან ვერავინ გამოგვაგდებს და ჩვენც ნახშირის საყიდლად ფულს შემოვინახავთ.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ვნახოთ, თუა იქ ბუხარი, — თქვა დედამ.

აზრი შესანიშნავი გამოდგა. პირველ ღამეს მამა დასაზვერად მარტო წავიდა. ერიკამ თვალი ვერ მოხუჭა, ისე მოუთმენლად ელოდა მამის დაბრუნებას.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა უკან დაბრუნებულმა მამამ.

ფანჯარა და კარი ღია ყოფილიყო. იგი ჩამონგრეულ კედელზე ამძვრალიყო, ეპოვნა კარი და თავისუფლად შესულიყო შიგ.

ორივე ოთახი შესანიშნავად გამოიყურება. ზემოთა, მართალია, საცხოვრებლად არ გამოდგება, წვიმა ჩამოდის, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვევით სამზარეულოცაა და ღუმელიც. ოთახიც დიდი და მოხერხებულია,— თქვა მან.

მეორე დღეს ოჯახის გადაბარგებას ჯიბის ფანრით შეიარაღებული მამა მეთაურობდა. ის შეძვრა ოთახში და გააღო კარები, რომელიც ეზოში გადიოდა. აღგზნებული ბავშვები მშობლებს ავეჯის გადაზიდვაში ეხმარებოდნენ. ფარნის მინა სიცივისაგან იბურებოდა. ოთახებში უფრო ბნელოდა, ვიდრე ქუჩაში.

„რა შესანიშნავია აქ!“ — გაიფიქრა ერიკამ. იმ ღამიდან მას მშობლებისა აღარ ეშინოდა, —ისინი ხომ მისი თანამოაზრენი იყვნენ? მათაც ხომ ართობდათ ეს თავშესაქცევი თავგადასავალი.

V

ახალ სახლში ზამთარი არც თუ ისე მკაცრი იყო. მეზობლებს საყვედური არ გამოუთქვამთ. როცა ერიკას ან მამამისს ხვდებოდნენ, გაკვირვებულნი კეთილი ღიმილით შეჰყურებდნენ. თითქოს და უნდოდათ ეთქვათ: „უყურე ერთი, რა მოიფიქრეს. მთელი ოჯახით პირველ სართულზე ჩასახლდნენ, ზემოთ კი საკუჭნაო მოაწყვესო“. ზევით ცხოვრება არ შეიძლებოდა, რადგან ჭერი დანგრეული იყო. ერიკას, ლუკრეციასა და მათი პატარა ძმისათვის საკუჭნაო საოცრებებით აღსავსე რამ გახლდათ. ერიკამ იქ, კუთხეში, თავისი ვიწრო საწოლი დადგა. იგი ხშირად აღებდა კარს და ძირს რომ არ ჩამოვარდნილიყო, სახელურზე ხელჩაბღუჯული გასაყიდ ნაკვეთზე მოთამაშე ბიჭებს ესაუბრებოდა. ნაკვეთზე ჭინჭარი იყო მოდებული, რომელიც ერიკას ბალახად ეჩვენებოდა.

მთელ ზამთარს ღუმელში შეშა მხიარულად ტკაცუნობდა. ნახშირზე მხოლოდ სადილს ან ვახშამს ამზადებდნენ, საღამოთი კი ნავთქურას ანთებდნენ. ახლა მშობლებს ყიდვის სიშმაგე დაეუფლათ. ბინის ქირას ისინი აღარ იხდიდნენ და დანაზოგი ფულით ნახშირს, შეშას და ნავთს ყიდულობდნენ: „ასე კიდევ შეიძლება ცხოვრება“ — კმაყოფილებით ამბობდა მამა. ის ძალზე მხიარული ჩანდა, ხშირად ადიოდა მაღლა, კარებს ფართოდ აღებდა და სივრცეში დიდხანს იყურებოდა. მას ძალიან უყვარდა თუთუნის წევა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ასეთ ფუფუნებაზე ფიქრიც არ შეეძლო. ახლა კი სიამოვნებით, ნელ-ნელა ყალიონს ტენიდა.

— გეყოფა იმ ღორებისათვის რეცხვა, — უთხრა ერთხელ მან მეუღლეს.

— ჩემო ძვირფასო, მე მინდა ერიკას კაბა შევუკერო, — უპასუხა დედამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიკა წამოიზარდა და ძველი კაბა ძალზე დაუმოკლდა. როცა ერიკამ გაიგო, რომ დედა მისთვის კაბის შეკერვას აპირებდა, სიხარულით ხტუნაობა დაიწყო. კაბა წითელი იქნება? ერიკას ძალიან მოსწონდა წითელი კაბები და იმ დღეს, როდესაც მან ახალი წითელი კაბა ჩაიცვა, მოეჩვენა, რომ მინდორზე ალისფერი ყაყაჩოები გაიშალა, ცაში უცნობმა ჩიტებმა გადაიფრინეს, მუსიკა უკრავდა და რადიო ყველას ზღვის ნაპირისაკენ მოუხმობდა.

მაგრამ ერთხელ შაბათს, მამა ღრუბელივით გაფითრებული დაბრუნდა.

— რა მოხდა? — შეეკითხა დედა.

მამა მძიმედ დაეშვა სკამზე და თავი ჩაჰკიდა.

დედამ სუფრაზე იშვიათი სადილი — მოხარშული ხორცი მოიტანა.

— მთელი ზაფხული მარტო უხორცო საჭმელს ხომ არ შევჭამთ, ამასთან დღეს შაბათია და შაბათს კი შიმშილი არ ვარგა.

— დიახ!.. — გააგრძელა მამამ. ერთი ნაჭერი ხორცი შეჭამა და თეფში განზე გასწია.

— რა მოგივიდა? — შიშით ჰკითხა დედამ.

— ის რომ, მეყოფა! მე არც უმუშევრობისა მეშინია!— უპასუხა მამამ.

ერთი წუთით ყველანი გაქვავდნენ. შემდეგ დედამ ჩუმად ისე, რომ ეზოში არავის გაეგონა, წაიჩურჩულა:

— შენ რა, დაგითხოვეს?

— ხო, გამომაგდეს, — დაიყვირა მან, — მერე რა? რად მიყურებ გაშტერებული? — იგი ისე ყვიროდა, თითქოს დამნაშავე იყო და თავის გამართლება სურდა. მერე წავიდა.

მეორე დღეს არაჩვეულებრივად მხიარული დაბრუნდა. თქვა, რომ მას შეიძლება შორეულ მთებში წასვლა მოუხდეს. იქ გამოიმუშავებს პურის ფულს. რასაკვირველია, ეს მისი სპეციალობა არ არის, მაგრამ ნიჩბით მიწის თხრა განსაკუთრებულ ცოდნას არ მოითხოვს. მთავარია სიღარიბეს არ დააღრჩობინო თავი და საჩქაროდ იშოვნო რაიმე სამუშაო.

— ჩვენც წამოვალთ შენთან, — უთხრა დედამ.

მაგრამ მამა არ დათანხმდა. მასთან წამოვიდნენ? გზის მშენებლობა ჯარისკაცის ფრონტზე ყოფნას უდრის. დღეს ერთ ადგილას მუშაობ, ხვალ მეორეზე გადაბარგდები, განა შეიძლება ყველგან თან ათრიო ცოლშვილი?

დედა შეეკამათა: შენს მუშაობას არავითარი აზრი არ აქვს. მხოლოდ შიმშილით არ ვიხოცებით, ეგ არის და ეგ. საკვირველია აქამდე ცოცხლები როგორ გადავრჩით. უმუშევრადაც თავს როგორმე გავიტანთო. დედა სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდა.

— რა მოხდა, კაცი უმუშევრად არ დაიკარგება! შეჭამანდისათვის გროშებს ყოველთვის ვიშოვნით და გარდა ამისა უმუშევართა ფონდიდან დახმარებას ხომ შისცემენ. განა წლობით არ ცხოვრობს ხალხი უმუშევრად? დაამთავრა მან მშვიდად. მამამ შიშით გადაიქნია თავი.

— ბრრრ! დავრჩე უმუშევარი!

აშკარა იყო, რომ მამა უეჭველად აპირებდა წასვლას.

VI

მამის გამგზავრების შემდეგ დედა დადარდიანებული დადიოდა. ოჯახური საქმეებით დატვირთული საერთოდ მუდამ ნაღვლიანი და მკაცრი იყო ხოლმე. იგი მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, როცა მამა სამუშაოდან ბრუნდებოდა. ახლა კი იგი სულ ჩუმად იყო, თითქოს ლაპარაკს გადაეჩვიაო. დილიდანვე თა-

ვის საქმეებზე მიდიოდა და უკან დაბრუნებული, თუ შეამჩნევდა, რომ ერიკას დალაგება არ დაემთავრებინა, უხმოდ, ბრაზიანი. ჩიფჩიფით მხრებში ხელს ჰკიდებდა და გიჟური გააფთრებით ანჯღრევდა.

ერიკა ატყობდა, რომ დედას ეჯავრებოდა თავისი ბავშვები, რადგან მხოლოდ მათ გამო ვერ გაჰყვა ქმარს. მამამ ხომ თქვა წასვლისას: „არ შეიძლება მთელი ოჯახით ერთი ადგილიდან მეორეზე მომთაბარეობაო“. ოჯახი მხოლოდ დედა კი არ არის, ოჯახში ბავშვებიც შედიან. დედას რომ შესძლებოდა, დაუყონებლივ მამასთან გაიქცეოდა. გრძელი გამხდარი ფეხები გააქანებდნენ მას წინ, შეუჩერებლივ, კურდღელზე უფრო სწრაფად, რომ შემდეგ ღამით მამასთან ერთად თავი სოროსთვის შეეფარებინა.

ერიკამ სწრაფად წარმოიდგინა თუ როგორ გაიქცეოდა დედამისი კურდღელივით. იგი ხომ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ქალი იყო. ერიკა ფარულად აკვირდებოდა დედას, და ბოლოს და ბოლოს, დაასკვნა, რომ იგი სხვებისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა.

დედის თვალებში მხოლოდ ზოგჯერ და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც შვილებს უყურებდა, სიბრაზე გაიელვებდა ხოლმე.

ერიკა გრძნობდა, რომ დედას ეჯავრებოდა სამთავე, რადგან მათი მიზეზით ვერ მიდიოდა ქმართან და მათივე მიზეზით იგი იძულებული იყო დარჩენილიყო ამ დაცარიელებულ, მოწყენილ ბინაში. ერიკას შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ იგი კვლავ შიშმა შეიპყრო, დედამ ტყეში არ მიგვატოვოსო. ახლა ეს მოახლოვებული ხიფათი გოგონას უფრო მკაცრად მოეჩვენა. დიახ, დედის თვალები გაბოროტებული სიბრაზით ელვარებდა, როდესაც თავის მტანჯველს შესცქეროდა. მას ალბათ სულაც არ სურდა მათი არსებობა და ზოგჯერ იქნებ მათ გაქრობასაც ნატრობდა. დედა წელში მოხრილი ურეცხავდა ჭურჭელს იმ „პირუტყვებს“, რომ ბავშვები მშივრები არ დარჩენილიყვნენ, მაგრამ სიბრაზით ჩამუქებული თვალები თავისდაუნებურად ამჟღავნებდა ფარულ აზრებს.

მამისაგან მოვიდა პირველი ხელფასი, იგი ძალიან მცირე იყო, რადგან მამამ მეტი გამომუშავების მიზნით ახალი პროფკავშირის ბილეთი შეიძინა. დედა მთელი დღეები ჭუჭყიან ჭურჭელს რეცხავდა და სხვის სახლებში იატაკს აპრიალებდა. ერიკა მიხვდა, რატომ უთხრა დედამ: „აი, წაიკითხე წერილიო“. ამჟამად დედას ერიკასთან არაფერი ჰქონდა დასამალი, თუმცა ეჯავრებოდა თავისი შვილები, რადგან მათი გულისათვის იგი მამასთან ვერ მიდიოდა. საოცარი ის იყო, რომ სწორედ ერიკა გახდა დედისათვის მახარობელი იმ სიყვარულისა, რომელსაც მამა თავის წერილებში გულახდილი სიტყვებით გამოხატავდა.

— „კარგი იქნება, ერთი ღამე მაინც რომ ერთად დაგვაძინა“, — კითხულობდა ერიკა და მამის სიტყვები უხეშად არ ეჩვენებოდა. იგი უკვე ბევრ რამეს ხვდებოდა. სიტყვა „დაგვაძინა“, ისე ესმოდა, როგორც ჩვეულებრივი „ჭამა“, „გასეირნება“, „დალევა“.

აქ, მთებში ჰაერი სუფთაა,—იწერებოდა მამა,—ჩვენ ყველანი ჯანმრთელად ვართ და თითქოს გავახალგაზრდავდით კიდეც. უმეტესობა ჩემსავით ოჯახის მამაა და ცოლშვილზე ფიქრი მოსვენებას არ გვაძლევს. მხოლოდ რამდენიმეა უცოლო. ისინი თავის საცოლეებს უცდიან და მანამდე აქაური გლეხის ქალებს დასდევენ. უმთავრესად აქ სერბიელები ცხოვრობენ და ჩვენი მამაკაცები ძალზე მოსწონთ, თუმცა შენ არ შეგეშინდეს, რადგან მე შაგვრემანები მომწონს, აქ კი ყველა ქალი ქერაა. არ დაგიმალავ, თუ ხელში ჩამივარდა ლამაზი, შავგვრემანი ქალი, შეიძლება შევცდე, მაგრამ მაგდაგვარი აქ არავინაა და ამიტომ შეგიძლია მშვიდად იძინო! მამა იმასაც იწერებოდა, რომ ცოტას უხდიდნენ. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ორ კვირაში მხოლოდ ორმოცდაათი დოლარის გამოგზავნას შესძლებდა. თვითონ კი სამოცს იტოვებდა და იქვე დასძენდა: ამ ფულით აქ ხელგაშლით ვერ ვიცხოვრებო. მამა ყოველ წერილში გაჭირვებაზე ჩიოდა და ჩინოვნიკებზე იყო აღშფოთებული. განსაკუთრებული სიბრაზით იწერებოდა ერთ-ერთ ჟურნალისტზე, რომელმაც გამოჰკითხა თურმე ცხოვრების პირობები, და უთხრა რომ, „იგი სხვებისთვის მაგალითიაო". „იმ ცხოველმა, — სწერდა მამა, — მითხრა: ნამდვილი პატრიოტი და მაგალითის მიმცემი ყოფილხარ სხვებისთვს, რადგან დღეში ორი ლირა გყოფნის და დანარჩენს ოჯახში აგზავნიო. მე ძაღლივით ვცხოვრობ, მატრო, უოჯახოდ, ეგ ღორები კი აღტაცებით ტაშს გვიკრავენო". იმასაც იწერებოდა აგრეთვე, რომ ღამეს ბარაკებში ათევდნენ და ღია ცის ქვეშ სადილობდნენ, მაგრამ ერიკას მაინცა და მაინც არა სჯეროდა მამის ჩივილი. გოგონას ეგონა, რომ მამა ერთობოდა და მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა.

ერთი სიტყვით, მამა მისთვის არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით მახლობელი, მას არასოდეს ჩაუსვამს პატარა ერიკა კალთაში, თუმცა ყოველთვის კეთილი იყო. ხშირად ესაუბრებოდა და უყვებოდა ზღაპრებს მასა და ლუკრეციას მაშინ, როცა დედა სახლში თეთრეულს აშრობდა, მაგრამ თავის დარდებს მხოლოდ დედას უზიარებდა: ახლა, როცა ის ნამდვილი ბოშა გახდა, ერიკა ხედავდა როგორ თავშეკავებულად მიიწევდა მისკენ დედა. მის ბავშვურ ოცნებაში მამის სამუშაო შესანიშნავ თამაშობას წარმოადგენდა. გული სტკიოდა, რომ ამ საკვირველ თამაშში, მხოლოდ დედას შეეძლო მონაწილეობა მიეღო. მამამ წასვლისას თქვა: „ხომ არ შეიძლება მთელმა ოჯახმა ვიმომთაბარეოთთო". დედა დაემორჩილა, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, და სახლში დარჩა. ერიკას ეს ყველაზე მეტად აშინებდა. ეტყობოდა მოხეტიალე ცხოვრება დედას ძლიერ იზიდავდა. მამის საყვედურები და წუხილი კი ჭუჭარე აკორდივით ისმოდა. ამიტომ დედას ქმართან წასვლის სურვილი სულ უფრო და უფრო უმძაფრდებოდა. დედას ყოველ წუთს შეეძლო დაევიწყებინა ბავშვები, თავისი მოვალეობა, მიეტოვებინა ყველაფერი და წასულიყო. ამის გაფიქრებისთანავე ერიკა იმ შიშმა აიტანა, რომელიც მას მხოლოდ მაშინ ეუფლებოდა, როცა ეგონა, რომ დედა ტყეში მიატოვებდა. მაგრამ მალე დაწყნარდა. ის იწვა თავის პატარა საწოლზე, ფანჯრიდან გასცქეროდა ჩამუქებულ მიდამოს და ფიქრებს გაეტაცა: რა ეშველებათ მაშინ?

ერთ კვირა დღეს ერიკა ამხანაგებს ქალაქ გარეთ ლუნა პარკში უნდა შეხვედროდა, მაგრამ ცოტათი დააგვიანა და როდესაც მივიდა, აღარავინ დახვდა. იგი იდგა და არ იცოდა, სად წასულიყო, მერე ქუჩაში ხეტიალი გადაწყვიტა, ბევრი იარა, დაიღალა და ბოლოს შინ წაცუნცულდა. სადღაც სახლის უკან მზე ჩადიოდა. ეზოში სულიერი არ ჭაჭანებდა. ერიკამ უხმაუროდ კარები გააღო და წყლის დასალევად სამზარეულოში ფრთხილად გავიდა, მაგრამ წყურვილს დაღლილობამ აჯობა. გოგონა უღონოდ დაეშვა ერთადერთ სკამზე, იგი თავს ძლივს იმაგრებდა, რომ ძირს არ დაცემულიყო. დანაღვლიანებულს ფანჯრიდან სურდა დაენახა ეზოში თუ როგორ ხმაურობდნენ და მხიარულობდნენ მისი ამხანაგები. მაგრამ იქ არავინ იყო. უცბათ ღია კარებში დედა დაინახა. იგი მაგიდასთან იჯდა, თავს ძალას ატანდა და კალამს ქაღალდზე ატარებდა. ერიკას მოეჩვენა, რომ ქაღალდს ხელისგულიდან შედედებული, მუქი სისხლი ეწვეთებოდა. „წერილს წერს მამას", — მიხვდა ერიკა. მას კი ეგონა, რომ დედამ წერა-კითხვა არ იცოდა, რადგან მამისაგან როცა წერილი მოდიოდა, დედა ყოველთვის ერიკას ეძახდა დინჯად და ეუბნებოდა: „წაიკითხეო". ერიკა გულმოდგინედ, სიტყვა-სიტყვით უკითხავდა წერილს და არასოდეს აზრად არ მოსდიოდა, რომ დედას პასუხი უნდა გაეგზავნა. ის ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ წერილებში მამა გამუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებით ეკითხებოდა დედას ჯანმრთელობაზე და საქმეებზე. ერიკას აშინებდა მხოლოდ ერთი რამ. მამა რაც უფრო ძლიერად უჩიოდა თავის მოხეტიალე ბოშურ ცხოვრებას, დედა მით უფრო შეუკავებლად ისწრაფვოდა მთებისაკენ. ერიკა მიხვდა, რომ დედა პირველად არ იჯდა მაგიდასთან და პირველად არ გამოჰყავდა ასე ნელა და გაჭირვებით ასოები. ეს იწვევდა დედისადმი პატივისცემას და ამასთანავე შიშს.

— „კარგი იქნებოდა უჩინარი გავმხდარიყავი, მაშინ შევძლებდი შეუმჩნევლად დავხმარებოდი“, — გაიფიქრა გულაჩუყებულმა ერიკამ. ოთახში თანდათან ჩამობნელდა. ერიკა შიშით უყურებდა დედას, რომელიც დაკოჟრებული სქელი თითებით საიდუმლო სიტყვებს უხერხულად ძერწავდა.

ერიკა გაუნძრევლად იჯდა და თვალყურს ადევნებდა დედის ყოველ მოძრაობას. დედა იჯდა და წვალებით გამოჰყავდა ჯიუტი ასოები. იგი ქაღალდზე ისე დახრილიყო, რომ მისი წაბლისფერი თმები თითქმის მაგიდას ეხებოდა.

ერიკა მიხვდა, რომ დედამ კითხვის გარდა წერაც იცოდა. წერილის წაკითხვას მხოლოდ ამიტომ სთხოვდა ხოლმე, რომ ჩქარა სურდა გაეგო მამის ამბავი. დედა კი წერილის წაკითხვას მთელ დღეს მოანდომებდა. დედას ძალზე სურდა ყველაფერი ჩქარა გაეგო და სწორედ ამიტომ მიმართავდა ხოლმე დახმარებისათვის ქალიშვილს. მან კი რატომღაც იფიქრა, რომ დედამ კითხვა არ იცოდა. „საბრალო დედა“, — გაიფიქრა ერიკამ და თვითონაც ვერ მიხვდა თუ ასე უცბად რატომ შეეცოდა იგი.

მოსაღამოვდა. ეზოში სეირნობიდან დაბრუნებული მეზობლის ხმაური გაისმა. ამ მხიარულმა ხმამ ერიკა დაამშვიდა. საბრალო დედა, მას ძალზე სურს მთაში მამასთან წასვლა. ერიკა მუდამ მშვიდი, გონიერი გოგონა იყო და ნათელ გონებას შიშიც კი ვერ უბნელებდა ხოლმე. მაგრამ კაცმა რომ თქვას რისი უნდა შინებოდა? მხოლოდ ზღაპრებში სტოვებენ დედები თავიანთ ბავშვებს ტყეში. ყველაზე ცუდი ისაა, რომ დედას წასვლა სურს და სამი ადამიანის წაყვანას ვერ შესძლებს. თუმცა რა არის აქ საშიში? დედა თუ წავა, სახლს და ქალაქს თან ხომ ვერ წაიღებს? ტყეში ხომ არ იქნებიან! სახლიდან მათ ვერავინ გააგდებს და სხვა არც არაფერი უნდათ. რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა ბოშასავით მომთაბარეობა, მაგრამ რახან შეუძლებელია მათი მამასთან წაყვანა, რას იზამ!

მამას არ მოსწონდა თავისი ბოშური ცხოვრება, შფოთავდა, ბობოქრობდა, თითქმის ყველა წერილში ემუდარებოდა ცოლს: ჩამოდიო.

მხოლოდ მას, მხოლოდ მეუღლეს ეძახდა იგი იმ ახალი მოუსვენარი ცხოვრებისაკენ. ერთი ამხანაგის ცოლი უკვე ჩამოვიდაო, — იწერებოდა მამა. მეორეც დღედღეზე ელისო. მას არსად არ მოუწერია, რომ ამხანაგს ქალიშვილი ან ვაჟიშვილი ჩამოუვიდაო. პირიქით წერილში ნანობდა კიდეც: „შვილები რომ არ გვყავდესო“. რას იზამ, ესე იგი, ის, ლუკრეცია და ძმა, ამ სახლში, ამ ქალაქში უნდა დარჩნენ. განა ეს ასე საშიშია? მათ მოსწონთ კიდეც აქ ცხოვრება. მხოლოდ ერთი რამაა ცუდი: დიდი ადამიანები მხოლოდ გაჭირვებაზე ლაპარაკობენ. ისინი ბავშვები არიან და გაჭირვებასაც მხოლოდ უფროსების ლაპარაკით გებულობენ. სიცივესაც იმით გრძნობენ, რომ მათზე დიდები ლაპარაკობენ. მაგრამ ერიკა მაინც დარწმუნებული იყო, რომ დედა არსად წავიდოდა. დედა კი უფრო და უფრო დარდობდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ასე უნდა ეშრომა. დედას გონებას უხშობდა ის აზრი, რომ უიმისოდ ბავშვები შიმშილით დაიხოცებოდნენ, და რომ იგი ამიტომ ვერასოდეს წავიდოდა ქმართან. მის გაბოროტებულ სულში თავის დაღწევის სურვილი იღვიძებდა. მაგრამ დედამ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ სანამ ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლები არიან, იგი ვერსად წავა და ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა თავიდან მოიშოროს ისინი. აი, სად იმალება ნამდვილი საშიშროება, ერიკას შიშით გააჟრჟოლა. ადრე მას შეუგნებელი შიში ეუფლებოდა ხოლმე: ვაი თუ დედამ ტყეში მიგვატოვოსო, მაგრამ ახლა უარესი იყო. სახლში უდედოდ დარჩენა, რათქმა უნდა, ცუდი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში გადარჩებოდნენ. უმჯობესია, დედა გაემგზავროს და რაც შეიძლება ჩქარა!

VIII

დედა ისევ სხვის სახლებში დარბოდა. ისე გავიდოდა კვირა, რომ არც სახეს დაიბანდა და არც თმას დაივარცხნიდა. გამგზავრებას, როგორც ეტყობა, არ აპირებდა. მას სძულდა ბავშვები, მაგრამ არ მიდიოდა. ამ სიძულვილს შეიძლება დედა თვითმკვლელობამდე მიეყვანა. მაგრამ მათი მიტოვება და გამგზავრება მაინც ვერ გადაეწყვიტა, რადგან შვილები რომ მიეტოვებინა, დარდი არ მოასვენებდა. ეს ერიკასთვისაც კი ნათელი იყო. სამუშაოდან დაბრუნებული დედა, როცა ეზოში ვერ შეამჩნევდა ხოლმე შვიდი წლის ალფრედოს, ძალზე ღელავდა. სადილობისას პირველად მას უდგამდა თეფშს. უმცროსი ბავშვი უყვარდა, მაგრამ მას უფრო უბრაზდებოდა, ვიდრე ლუკრეციასა და ერიკას. ხშირად დედა თმებს უწეწავდა და მის ფუნთუშა ლოყებს ეალერსებოდა.

— ჭამე, ჭამე რაღა! — ბუტბუტებდა და ალფრედოს თავს მათლაფაზე ძალად ახრევინებდა.

„— მაინც რატომ ვერ გადაუწყვეტია ჩვენი მიტოვება? — ეკითხებოდა თავისთავს ერიკა, — იქნებ იმისი ეშინია, რომ ჩვენ აქ მარტონი დავიღუპებით! ერიკას სურდა მოლაპარაკებოდა დედას, გაეგებინებინა მისთვის, რომ უმისოდაც როგორმე იცხოვრებდნენ, მხოლოდ ნახშირი და შეშა დაუტოვოს და ფულის გამოგზავნა არ დაავიწყდეს. მართალი რომ ითქვას, ისინი უფულოდაც შეძლებენ ცხოვრებას. დიდებს სიცივისა და შიმშილის ეშინიათ, მათ კი მხოლოდ ტყეში მიტოვებისა, რადგან უკან დასაბრუნებელი გზა შეიძლება ვერ მონახონ. მაგრამ ქალაქი ხომ ტყე არ არის! მეზობლები ხელს შეუწყობენ, რომ არ დაიღუპონ. ერიკას ძალზე სურდა ყოველივე ეს დედისთვის ეთქვა, ის განუწყვეტლივ ფიქრობდა თუ როგორ აეხსნა ყველაფერი მისთვის, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, რადგან იცოდა, რომ დალაპარაკებასაც ვერ შესძლებდა და ვერც საჭირო სიტყვებს მონახავდა. დედასთან საუბარში იგი მხოლოდ ისეთ სიტყვებს ხმარობდა, როგორიც იყო „თეფში“, „იატაკის ტილო“, „წყალი“, „პური“, „მეფუნთუშე“, განა ამგვარი სიტყვებით შეიძლებოდა რაიმეს ახსნა? ერიკა ამის გამო ატირდა კიდეც. ის ამჩნევდა, რომ დედა სიბრაზით შავდებოდა. არა, ის მანამ არ წავა, სანამ მათ არ მოიშორებს. მერე გაიქცევა მამასთან, რომ შემდეგ აღარასოდეს აღარ დაშორდეს. მხოლოდ სასწაულს თუ შეუძლია აიძულოს დედა, რომ ბავშვები ცოცხლები დატოვოს და მამასთან ისე გაემგზავროს. ასეთ სასწაულად ერიკამ მამის უკანასკნელი წერილი მიიჩნია. იგი იწერებოდა: „ჩამოდი, ავად ვარ. ას ლირას გიგზავნიო“.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა დედამ და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, — როგორ მოვიქცე? — მან დაბნეულად გადახედა ბავშვებს. ბოლოს და ბოლოს, მას შეუძლია გაემგზავროს ქმართან. მთელი დღე სახლში გაატარა, თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა, შეშინებული და აღელვებული აქეთ-იქით იყურებოდა. ჭურჭლის დასარეცხადაც არ წასულა და გაცხარებული ოთახების წმენდას შეუდგა.

გარეცხა თეთრეული, მოწმინდა იატაკი. ნოემბერი იყო, მაგრამ მზე ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანათებდა, როგორც ზაფხულში. თეთრეული ეზოში გაფინა. ერიკა ეხმარებოდა. და გული სწრაფად უცემდა.

— ქმარი გამიხდა ავად! გაიგეთ, ქმარი გამიხდა ავად! — გაიძახოდა დედა.

ერთ-ერთმა მეზობელმა ურჩია, ახლავე გაემგზავრეო. მეორემ უთხრა: თუ მძიმედ არ არის ავად უკეთესია, მოიცადოო. მაგრამ დედამ ნაშუადღევს, როგორც ეტყობა, წასვლა გადაწყვიტა. საწოლის ქვემოდან მტვრით დაფარული მუყაოს კოლოფი გამოიღო და იატაკზე დაცემულ „ხოჭოების“ სრესვას შეუდგა. ერიკამ შეამჩნია, რომ დედა ფარულად ბავშვებს შესცქეროდა.

ერიკას ისე აუჩვილდა გული, რომ კინაღამ იტირა, მაგრამ ის მაინც უნდოდა, რომ დედა დაღამებამდე წასულიყო. დედამ გაწმინდა მუყაოს ყუთი, ჩაალაგა ცოტაოდენი თეთრეული, მერე სწრაფად მოიხურა შავი პალტო, რომელსაც გაცვეთილი კურდღლის საყელო ჰქონდა, და გარეთ ისე გავიდა, რომ თმაც არ დაუვარცხნია. იგი ფართოდ ადგამდა გრძელ ფეხებს, გადაჭრა ეზო და მოედნისაკენ გაემართა, ნუთუ გადაიფიქრა გამგზავრება? ერიკა უკან გამოუდგა.

„დედა! დედა!“ — მერე გვერდში ამოუდგა. დედამ მკვახე ხმით ჰკითხა:

— რა გინდა?

ერიკას არაფრის თქმა არ სურდა, მაგრამ ალერსიანად უპასუხა:

— დედა, ნუ ღელავ. მე შენზე ნაკლებად არ მივაქცევ ყურადღებას სახლს, ლუკრეციას და ალფრედოს.

— კარგი, — უპასუხა დედამ, — მე მგონია, შესძლებ. მე უნდა გავემგზავრო, რახან მამათქვენმა შემომითვალა, ჩამოდიო, მაშასადამე, ცუდადაა.

ერიკამ შვებით ამოისუნთქა.

— მე რამდენიმე დღით მივდივარ, — გზადაგზა განაგრძობდა დედა, — შეშის ნაფოტები შარშან ზამთარში დაგვრჩა. მხოლოდ ერთად ბევრს ნუ შეუკეთებ, მთელი ზამთარი უნდა გვეყოს. საწყობში ოცი-ოცდაათ კილოგრამამდე ნახშირია, მაგრამ შენ დღეში ნახევარ კილოზე მეტს ნუ დასწვავ. როცა ბუხარს გაახურებ, სულს ძაან ნუ შეუბერავ. როცა ცეცხლის ჩაქრობას გადაწყვეტ, წყალი დაასხი, რადგან შემდეგისთვისაც გამოგადგება. გახსოვდეს: კილოგრამი ნახშირი ძალზე ძვირი ღირს. დედას თან არასოდეს დაჰყავდა ერიკა და ახლა გოგონასათვის სასიამოვნო იყო მის გვერდით სიარული.

— ერთ ბოთლ ნავთს დაგიტოვებთ, — განაგრძობდა დედა, — მაგრამ ჩამობნელდება თუ არა, მაშინვე დასაძინებლად უნდა დაწვეთ. ჩვენს ოთახს ქუჩის ფანარიც ანათებს. დღეს სამოცდათხუთმეტ ლირას მომცემენ, ორ მეზობელს მართებს. ამ ფულით გიყიდი ცოტა პურის ფქვილს, მაკარონს, ზეთს და ლობიოს, მხოლოდ ცოტას, ორი-სამი დღისთვის. მათ მოსახარშავად ნახევარ კილოზე ნაკლები ნახშირი დაგეხარჯებათ. როცა სადილის მზადებას დაიწყებ, კოვზი მხოლოდ და მხოლოდ ტაფაზე დადე, თეფშებს არ წაუსვ-წამოუსვა, თორემ ეგ კარაქი ერთ კვირასაც არ გეყოფა. დედა ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს ლექსს კითხულობსო. ხან ოდნავ ჩერდებოდა, რომ ერიკას პასუხი მოესმინა, მაგრამ გოგონა სდუმდა და ამიტომ იგი კვლავ დარიგებას განაგრძობდა.

სუპისთვის ოთხი კარტოფილი და ცოტაოდენი ფქვილი გეყოფა. ცხრა კილოგრამ კარტოფილს დაგიტოვებ. ის ძალზე მსუყეა და არც ძვირი ღირს. ჩასდებ ქვაბში რამდენიმეს, დააყრი ორ ბღუჯა ფქვილს და ნახევარ საათში ორი სავსე თეფში სუპი მოიხარშება. და მერე როგორი! ხორციან ბულიონზე უფრო გემრიელი! სუპის გასამზადებელ ფქვილს ვიყიდი. ყასაბთან ხშირად ნუ ივლი. მე მას დღეს გავუსწორდები და ყოველ სამ დღეში ერთხელ ნისიად ორას გრამ ხორცს აიღებ. მეფუნთუშე ჩემს ჩამოსვლამდე ნისიად დღეში ერთ პურს მოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემს ხოლმე. პურს ნუ დაინანებთ, რაც შეიძლება ბევრი ჭამეთ. იგი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და სიტყვებს მკაფიოდ არ გამოთქვამდა. თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო. ერიკას სიამოვნებდა, დედა გვერდით რომ მისდევდა და მოზრდილივით ელაპარაკებოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო: მშობელი ისე ესაუბრებოდა მას, როგორც თანასწორს, ისიც ალბათ იმიტომ, რომ მიემგზავრებოდა.

— უეჭველად გიყიდი ქათამს, — განაგრძობდა დედა, — ყოველდღე კვერცხს დაგიდებთ. საჭმლის ნარჩენებს აჭმევ და ერბოკვერცხი ხშირად გექნება. მხოლოდ იცოდე ეზოში არ გაუშვა.

მან ახლა იმის ანგარიში დაიწყო თუ რა დაეხარჯებოდა.

— გზა ორმოცდაათი ლირა ღირს და ხუთი ლირაც ყოველშემთხვევისათვის უნდა მქონდეს. როცა ვალებს გავისტუმრებ და იმასაც ვიყიდი, რაც მჭირდება, ხუთი ლირა დამრჩება. იმას შენ დაგიტოვებ, იმ ყუთში შეინახე, მე მძივებს რომ ვინახავდი ხოლმე. ყოველდღე აიღე ორმოცდაათი ჩენტეზიმო და ცოტაოდენი ბოსტნეული იყიდე. თუ დამაგვიანდა, ფულს გამოგიგზავნი. როცა დაიძინებ, ღუმელი ანთებული არ დაგრჩეს, კარგი იქნება თუ დაწოლამდე ჩააქრობ. ჭურჭელი და თეთრეული ცივი წყლით რეცხე. რა თქმა უნდა უკეთესია თუ თეთრეულს მანამდე გარეცხავ, სანამ იგი ჯერ კიდევ სუფთაა. ლუკრეციას მხოლოდ ერთი ხალათი აქვს, შენ შეგიძლია ათხოვო ძველი. იატაკი დღეში ორჯერ მოწმინდე, თორემ იძულებული იქნები რეცხო და ფხიკო იქამდე, სანამ წელი არ მოგწყდება. ერიკამ ეს აუხსნელადაც იცოდა, რადგან დედას ყოველთვის თვალყურს ადევნებდა. მან დიდი ხანია შეითვისა ეს სიბრძნე. მას მხოლოდ დედის საუბარი მოსწონდა და სიმღერასავით ესმოდა. დედამ ახლა პირველად აღიარა ის ნამდვილ დიასახლისად, თუმცა ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ერიკას არასდროს დაელაგებინოს ოთახი და არ გაეწმინდოს იატაკი. მაგრამ ერიკამ მაინც იგრძნო, რომ დედამ დააფასა და აღიარა მისი სიმარჯვე და ცოდნა. დედა იმაზე ესაუბრებოდა ერიკას, რის გაკეთებაც მას შეეძლო და უყვარდა კიდეც. თუმცა დედის ხმა ბრძანებლურად ისმოდა, მაგრამ ერიკა მიხვდა, რომ მშობელი მისი მადლიერი იყო.

„დედა მხოლოდ ახლა გამოცოცხლდა როცა გამგზავრება დააპირა!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა ერიკამ. დედა უეცრად გამოიცვალა, თითქოს უცხო გახდა, სრულიად არ ჰგავდა ადრინდელს. ის აჩქარებით ადგამდა გრძელ ფეხებს, ერიკა მეგობარივით გვერდზე მისდევდა. ოხ, რა კარგია დედის გვერდით სიარული! ერიკას ეჩვენებოდა თითქოს დედა უკვე მიემგზავრებოდა და ის გასაცილებლად იყო მოსული. მაგრამ ერიკა არც მწუხარებას გრძნობდა და არც სიმარტოვეს. გოგონას უხაროდა, რომ იგი ნამდვილი დიასახლისი უნდა გამხდარიყო.

— ალფრედო არ იტირებს! — წარმოსთქვა ერიკამ.

— შენ ასე ფიქრობ? — იმედიანად შეეკითხა დედა.

ღამე ორივემ უძილოდ გაატარა... დედა ადრე ადგა და გასამგზავრებლად დაიწყო მზადება. ამ უკანასკნელ წუთებში იგი სახლში თავს სტუმარივით გრძნობდა. ერიკამ, ალფრედომ და ლუკრეციამ ის სადგურში გააცილეს. დედამ ფული არ დაინანა და მეორე კლასის ვაგონის ბილეთი იყიდა. მთელი ღამე უნდა ემგზავრა.

— მომწერე ყველაფერი, — უთხრა ერიკას, გაფითრებული ტუჩებით თავზე აკოცა და ბაქანზე გავიდა. ერიკა, ალფრედო და ლუკრეცია რკინის კარს მიეკვრნენ. ერიკამ დაინახა თუ რა სწრაფად ავიდა კიბეზე დედა და გაუჩინარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

სახლში საღამოს დაბრუნდნენ. ერიკას ხელში მაგრად ჩაებღუჯა ნახევარი ლირა, ბილეთი ოთხმოცდაათ ლირაზე ნაკლები ღირდა და დედამ მორჩენილი ფული შვილს ჩაუდო ხელში. ერიკამ გადაწყვიტა, დედის გამგზავრება რაიმეთი უნდა აღინიშნოსო. ისინი სადგურის მოედანზე გავიდნენ. საათი რვის ნახევარს უჩვენებდა, მაგრამ მზე ჯერ კიდევ ანათებდა. ერიკას ვერ მოეფიქრებინა, რაზე დაეხარჯა ნახევარი ლირა. ზაფხული რომ იყოს, ნაყინს იყიდდა, ახლა გვიანაა, თორემ ლუნა-პარკში შესვლაც არ იყო ცუდი. ისინი მაინც გაემართნენ ბაღისაკენ, იმ იმედით, რომ იქ რაიმე სანახაობას მიუსწრებდნენ. პარკს ალაგებდნენ, მსახურნი წყალს ასხამდნენ გზებს და კარუსელის მოოქროვილ საჯდომებს სველი ტილოთი წმენდდნენ. მათ ბედმა გაუღიმა და მაიმუნები ნახეს, რომლებიც თავისი გრძელი გამხმარი თათებით თოკს ჩაჭიდებოდნენ და საქანელაზე კივილით ქანაობდნენ. უზარმაზარ პარკში ისინი დიდხანს დაბორიალობდნენ. შემდეგ გავიდნენ განიერ ქუჩაზე, სადაც უწინ არასოდეს ყოფილან. მიდიოდნენ მაღალი ხეების გასწვრივ, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ყვითელ ბალახს, ძველ დაჟანგებულ ლიანდაგებს, რომელზედაც ოდესღაც ტრამვაები მხიარულად დაქროდნენ. მერე გადაიარეს რკინიგზის ხიდი, რომელიც პირდაპირ გრძელ ქუჩას უერთდებოდა, სადაც უამრავი მაღაზიები იყო. ხიდი მათ მიაჩნდათ უზარმაზარ კარიბჭედ, რომლის იქითაც იწყებოდა ქალაქი.

ეს იყო არაჩვეულებრივი მოგზაურობა უცხო მხარეში, ნამდვილი მოგზაურობა ახალი კვარტალიდან ძველამდე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

ბავშვებს რატომღაც ეგონათ, რომ სულ სხვა, ლამაზი სახლი დახვდებოდათ. ერიკას ჯერ კიდევ სჯეროდა სასწაულისა. მას უნდოდა ეფრინა, ეფრინა იმ მატარებელივით, რომელმაც დედა წაიყვანა. ერიკას უხაროდა, რომ დედის გამგზავრება უნდა აღენიშნათ, მაგრამ ვერ მოისაზრა, ხელში ჩაბღუჯული ნახევარი ლირა უკეთ როგორ დაეხარჯა.

„იქნებ სჯობს ტრამვაით გავისეირნოთ," — გაიფიქრა ერიკამ, მაგრამ ტრამვაი განსაკუთრებული უნდა იყოს, საოცარი. აქ კი ჩვეულებრივი, მომაბეზრებელ ნიშნებიანი ტრამვაი გულის გამაწყალებელი ჟღარუნით მიდიოდა, როგორც ძველთა-ძველი ეტლი. გაცილებით უკეთესი იყო უცნობ ქუჩებში სიარული და ისინიც მიდიოდნენ და მიდიოდნენ, სანამ ნაცნობი შესახვევი არ დაინახეს

— თითო ჭიქა ყავა ხომ არ დაგველია? — ისინი არასოდეს ყოფილან ყავახანაში და ამიტომ პირველად გაუბედავად მიუჯდნენ მაგიდას, მაგრამ მალე მოშინაურდნენ ღვინის მუცელგაბერილი და ღიპიანი ბოთლების სამყაროში.

ოფიციანტი უხეში და ურცხვი ახალგაზრდა აღმოჩნდა. გოგონას უთხრა: ჯერ ფული მაჩვენეო. ერიკა გაბრაზდა, მაგრამ მაინც გაშალა მუშტი და ნახევარი ლირა დაინახა: ამ ფულით ჭიქაზე მეტი არ მოგივათ, — ურცხვი ღიმილით თქვა ოფიციანტმა.

ერიკამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს მათაც მხოლოდ ერთი ჭიქა უნდოდათ. ყავა მხოლოდ ალფრედომ დალია და წამოიძახა: ყავა სრულიად არა ყოფილა გემრიელიო.

მართალია, ერიკას ოფიციანტი არ მოეწონა, მაგრამ მისი აზრით ეს პატარა დღესასწაული მაინც დიდებულად ჩატარდა და დრო იყო შინ დაბრუნებულიყვნენ.

ახლა სახლი ერიკამ წარმოიდგინა თითო ბავშვად, რომლისთვისაც ყურადღება უნდა მიექცია, დაებანა და მოეკაზმა. ალფრედო და ლუკრეცია ეზოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათამაშოდ დარჩნენ. ერიკა კი მაღლა ავიდა, ოთახი დაკეტა და მოეჩვენა, რომ თითქოს სახლი კაბის ბოლოზე ბავშვივით ჩაეჭიდა. ძალზე ესიამოვნა, თავი მთლად მოზრდილად წარმოიდგინა. თუმც რამდენიმე წელი იყო, რაც ყველაფერს თვითონ ასუფთავებდა, მაგრამ გვერდით მაინც მუდამ დედა ედგა. მაშინ ერიკას სახლი უფროს ძმად წარმოედგინა, რომელიც მოვლას მოითხოვდა. უეცრად იგივე სახლი თოთო ბავშვად გადაიქცა, რომელსაც ერიკა როგორც უნდოდა ისე მოექცეოდა. აი მან დაკეტა კარები და ახლა დედა კი არა, არამედ იგი იყო ერთადერთი სრულუფლებიანი დიასახლისი. ადრინდელი ცხოვრება დამთავრდა და ერიკა იჯდა და ნაზი დედობრივი გრძნობით არწევდა თავის ოთახს. იგი ძალზე ახალგაზრდა დედა იყო და მის თავში წამდაუწუმ ახირებული აზრები იბუდებდა. გოგონას სურდა, რომ იატაკს ეპრიალა და ტილოთი ხშირად გულმოდგინედ წმენდდა. დილაობით ვერც კი ასწრებდნენ ალფრედო და ლუკრეცია ადგომას, რომ ის უკვე ქვეშაგებს ალაგებდა. ახლა ისინი სადილობდნენ დიდ მაგიდაზე, რომელზედაც თოვლივით ქათქათა სუფრა იყო გადაფარებული. წინათ, დედის აქ ყოფნის დროს, თეფშები მუხლებზე ეწყოთ და ისე ჭამდნენ. ერიკა სულ სამზარეულოში ტრიალებდა და კედლებს ჭუჭყსა და ჭვარტლს აშორებდა. როცა დალაგებას მორჩებოდა, დასა და ძმას სასეირნოდ ისტუმრებდა, თვითონ კი დარაბებს კეტავდა და ფრთხილად, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა ქურას, სადაც ქვაბში გაანჩხლებულ კატასავით შიშინებდა და ფრუტუნებდა წყალი. ერიკა ვერ ითმენდა სახლში ბუზებს და თითქმის ზამთრამდე დაუნდობელი ომი ჰქონდა გაჩაღებული. იჭერდა, აგლეჯდა ფრთებს, აგროვებდა ქილაში და მერე ფანჯრიდან ეზოში ჰყრიდა. როცა ბუზების ზუზუნი წუთით მიწყდებოდა, ერიკა გარეთ გამოდიოდა, კარს ჰკეტავდა, კიბეზე ჯდებოდა და კმაყოფილი იყო, რომ ოთახში არც-ერთი აბეზარი ბუზი არ დარჩენილიყო. მას უყვარდა, როცა უყურებდა, როგორ ნელა დაფრინავდნენ ბუზები ეზოში, რა თქმა უნდა, თუ ისინი სახლში არ შედიოდნენ. მას ეცოდებოდა ფრთებდაგლეჯილი საცოდავი ბუზები. ზემოდან ასე ჩანდა, თითქოს მიწაზე წვრილი, შავი ჭიანჭველები დადიოდნენ. ერიკა ხშირად ჩადიოდა იქ და სიამოვნებით ერთობოდა, მაგრამ შემდეგ შეამჩნია, რომ ქათამი ხარბად სჭამდა ბუზებს და ახლა თავის ნანადირევს ღორმუცელა ქოჩორას აძლევდა. პირველად ერიკას ეჯავრებოდა ეს აბეზარა ქათამი, რომელიც მხოლოდ ოთახს სვრიდა, მერე ქოჩორა დედალი საკუჭნაოში მოათავსა, სადაც ნახშირსა და შეშას ინახავდა. შემდეგ შეურიგდა კიდევაც და ფართო გალია აუშენა. ერიკა ხშირად თავის თითქმის სათამაშო საწოლზე წვებოდა, აღებდა გალიის კარებს, ამოჰყავდა ქოჩორა და სიამოვნებით ეთამაშებოდა. საკუჭნაოს ერიკა არასოდეს ალაგებდა, რადგან იგი საცხოვრებელი კი არა სათამაშოდ ძალზე მოხერხებული საიდუმლო გამოქვაბული იყო. განა სუფთა გამოქვაბული არსებობს? შესანიშნავი საჩუქარი გახლდათ კვერცხი, რომელსაც ქოჩორა თუმცა ყოველდღე არა, მაგრამ თავის დიასახლისს ხშირად აჩუქებდა ხოლმე. საკუჭნაოში დაყრილი ნაყარნუყარის სუნი თანდათან აუტანელი ხდებოდა, მაგრამ ცხოვრება ხომ ხშირად უარესდება? მაღლა ასვლა, როგორც დიდი მოაჯირდამტვრეული კიბით, ისე შიგნითა ხის კიბითაც შეიძლებოდა, მაგრამ ერიკამ ეს არ იცოდა და ნახშირიც დიდი კიბით დაჰქონდა. მეზობლები ხედავდნენ, რომ ერიკა კალათით ხელში ხშირად დადიოდა დიდი კიბით და ფიქრობდნენ: ალბათ ბავშვს არ უნდა დაბლა სართულის იატაკი გააჭუჭყიანოსო. ამჟამად მთელი ეზოს ყურადღება ერიკასადმი იყო მიპყრობილი. ყველამ იცოდა, რომ საბრალო გოგონა მარტო დარჩა, პატარა და-ძმასთან და ეცოდებოდათ. მისთვის ყველას სიკეთე უნდოდა. მათი აზრით, იგი ძალზე მონდომებული და ბეჯითი გოგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. და განა მათ იცოდნენ თუ რაზე ფიქრობდა ყოველდღე ეს დაუზარელი გოგონა? მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ერიკა წყნარი და გონიერი იყო და სულაც არ ფიქრობდნენ იმაზე თუ რატომ დაქალდა ასე ადრე. ისინი მხოლოდ იმას ხედავდნენ, რომ ერიკა ნახშირით სავსე კალათით ხელში ფრთხილად ადიჩადიოდა დამტვრეულ კიბეებზე და ის არ იცოდნენ, რომ ნახშირი გოგონასათვის ცოცხალი არსება იყო.

ერიკა ნახშირს და ქურაში მოელვარე ცეცხლს ეალერსებოდა, ესაუბრებოდა, ნახშირის ნაჭრებს თითებით ეხებოდა, ყოველდღე ითვლიდა ნახშირის ნატეხებს და ეჩურჩულებოდა: „შენ უნდა მოხარშო მთელი სუპი, თორემ მანდედან არ გამოგიშვებო“. ნახშირი იყო მისი მეგობარი, ალერსით „საუნჯეს“ ეძახდა, რადგან როგორც კი იგი ოთახში გაჩნდებოდა, ყველაფერი ნათდებოდა, თბებოდა. ერიკა ყოველდღე სამოგზაუროდ შორს, ვითომდაც უფასო ნახშირის საშოვნელად მიდიოდა. ადიოდა მთაზე, ძვრებოდა მაღაროში და აღწევდა გამოქვაბულის ბნელ შესასვლელს და ხმამაღლა ამბობდა: „სეზამ, გაიღე.“ ხანდახან ძმას ეუბნებოდა:

— აბა, მაღაროელო, გაინძერი, ცოცხლად, სამი ვაგონი ნახშირი მინდა.

ალფრედოს მოსწონდა ეს თამაში, და ეკითხებოდა:

— პაროლი?

ერიკა ერთ წუთს ჩაფიქრდებოდა და შემდეგ ყურში უჩურჩულებდა:

— „ფანჯარავ, გაიღე“.

მეზობლები ხედავდნენ, როგორ დარბოდა პატარა ალფრედო, ნახშირით სავსე კალათით ხელში და ფიქრობდნენ: „რა შესანიშნავი ბავშვები არიან, განსაკუთრებით, ერიკა, მან ასწავლა და-ძმას შრომისმოყვარეობა“!

მეზობლებს ეგონათ, რომ ერიკა უყვარდათ და თვითეული ფიქრობდა: „ნურაფრის ნუ გეშინია, გოგონავ, ჩვენ შენ გიცავთ!“ და როცა ესმოდათ თუ როგორ ამტვრევდა იგი კვერცხებს და ამზადებდა სადილს, გულში უხაროდათ. მათ სიამოვნებდათ, როცა ფიქრობდნენ, რომ ისინი — მეზობლები ასე კეთილები არიან და მარტოხელას იცავენ.

მაგრამ მათ კეთილი სურვილის გარდა არაფერი გაუკეთებიათ. ისინი მხოლოდ შორიდან თვალყურის დევნებას განაგრძობდნენ. ჩინოვნიკის სახეშეღებილ ცოლებსაც, რომლებიც დიდი ხანია თავიანთ ფანჯრებიდან მეზობლად მცხოვრებ ღარიბებს ვეღარ ამჩნევდნენ, სიამოვნებდათ ერიკას ყურება. ისინი გულში ფიქრობდნენ: „ძვირფასო გოგონავ, შენ საუცხოო მოსამსახურე დადგები. როცა პური გამოგელევა, შიმშილით არ მოგკლავთ. დაგვირეცხავ ჭუჭყიან ჭურჭელს და სამაგიეროდ მოგცემთ იმ მაკარონს, რომელიც სადილის შემდეგ დაგვრჩება“.

X

ერიკამ დახარჯა უკანასკნელი ლირა იმ ფულიდან, რომელიც დედამ მელნის, კონვერტის და საფოსტო მარკის საყიდლად დაუტოვა. საღამოს დაჯდა და დედას წერილი მისწერა: „ძვირფასო დედავ, ჩვენ ყველანი კარგად ვართ. ძალიან გვინდა მამის გამოჯანმრთელება. მე და ალფრედო ჯერ ავად არ გავმხდარვართ. მხოლოდ ლუკრეცია გაცივდა ერთხელ. სახლში წყალი არ გვქონდა, მან ჭედრო აიღო და მოედანზე გავიდა, როცა დაბრუნდა სახე სველი ჰქონდა, ეტყობა პირი დაიბანა და გაცივდა. მაგრამ მეორე დღესვე გამოჯანმრთელდა. მხოლოდ ქათამს გადაედო ციება და წამდაუწუმ აცემინებს, კვერცხებს კი მხოლოდ სამ დღეში ერთხელ დებს. ვაჭმევ სადილის ნარჩენებს და პურის ნამცეცებს. თუმცა ბუზების გარდა არაფერს ჭამს, ამიტომ დავდევ ბუზებს ოთახში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგლეჯ ფრთებს და ვუყრი ქოჩორას, რომელიც ჰაერშივე იჭერს და ყლაპავს, შემდეგ თვალებს ხუჭავს და აცემინებს. როცა ვუყურებ თუ როგორ ყლაპავს საცოდავ ბუზებს, მეშინია. მისი ჩინჩახვი ყოველთვის ბუზებითაა სავსე. ისინი არც კი ინძრევიან, რადგან შიგ ჯოჯოხეთური სიბნელეა. დედიკო, იქნებ ქათამი სრულიადაც არაა გაციებული და მხოლოდ იმიტომ აცემინებს, რომ ძალზე ბრაზიანია. როცა კისერს წაიგრძელებს და საცოდავ ბუზებს ყლაპავს, თვალები უწითლდება, ნისკარტი და ფრთები უცხელდება. როცა კვერცხს დებს, მასთან მისვლა საშიშია, რადგან ბრაზდება და მწარედ იკბინება: დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქათამი ბოროტი და ეშმაკია, ამასთანავე ზარმაცი. ზარმაცი რომ არ იყოს, კვერცხს ყოველდღე დასდებდა. ადრე არ ვიცოდი და მიყვარდა, ახლა კი შეხედვაც არ მინდა. გამგზავრების წინ ჯობდა კურდღელი გეყიდა. კურდღელი კეთილია, წყნარია, აცანცარებს ულვაშებს და მუდამ რაღაცაზე ფიქრობს. მე მას ოთახში შევინახავდი. ის ალბათ არასოდეს არაფერს არ სვრის. ქათმები კრიახობენ, აჭუჭყიანებენ ყველაფერს და საბრალო ბუზებს ჭამენ. კურდღლები კი ჩუმად ყურს გიგდებენ და ყურებს აცანცარებენ. შენ, რა თქმა უნდა, იმიტომ ვადაწყვიტე ქათმის ყიდვა, რომ კვერცხი გვქონოდა, მაგრამ უკეთესი იყო კურდღელი ან თხა გეყიდა. მაშინ ყოველდღე გვექნებოდა რძე. ახლა კი კვერცხს საძაგელი ქოჩორა სამ დღეში ერთხელ დებს. და ისიც ვინ იცის, ვაი თუ ეს კვერცხები თვით ეშმაკის მიერ არის მოჯადოებული, რადგან ჩვეულებრივი ქათმები არ არიან ასეთი ბრაზიანები. ამასთან, მე რძე უფრო მიყვარს, მაგრამ ვერ ვყიდულობ. ბოსტნეულისათვის ფული რომ დამიტოვე, სულ დამეხარჯა. ახლა არც ერთი ლირა აღარა მაქვს. შენ ბოსტნეულის ყიდვა დამიბარე და ასანთი კი დაგვავიწყდა. იძულებული ვიყავი ოთხი ყუთი მეყიდა. ვიყიდე აგრეთვე მარილი, რადგან შენ ერთი ბეწო დამიტოვე. მეზობლები ყოველდღე ადუღებენ ყავას. მეც ძალზე მომინდა ყავა. ამიტომ ცოტა ვიყიდე და ახლა დილდილობით ვადუღებ. დღეს ვიყიდე მელანი და სამი მარკა, რათა წერილი მომეწერა. შენ ხომ მითხარი, ხშირად მომწერეო. მარკები მხოლოდ სამ წერილზე მეყოფა. ფული რომ მქონოდა, ასს ერთად ვიყიდდი. კარგი იქნებოდა, ჩვენთვის რაც შეიძლება მეტი ხორცი დაგეტოვებინა, ფული ცოტაღა მაქვს. და არ ვიცი როგორ გამოვიზოგო. როცა სახლში ყველაფერია, მაშინ ფათერაკი მოსალოდნელი არაა. როგორ მინდოდა, რომ ხორცის კონსერვები, ტომატი და რამდენიმე შეკვრა გალეტი გვქონოდა. მეზღვაურები როცა შორეულ მხარეში მიცურავენ, გალეტებით მარაგდებიან. ძალზე არასასიამოვნოა მეფუნთუშესა და ყასაბთან სიარული. ისინი ყოველთვის მეკითხებიან: „როდის დაბრუნდება დედაშენიო? რაც დამიტოვე იმასთან კონსერვებიც რომ მქონოდა, აღარაფერზე ვიდარდებდი“...

XI

ერიკა წერილს უგზავნიდა დედას, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს თავისთავს ემუსაიფებაო. წერილის სტრიქონები მხოლოდ უბრალო სიტყვები არ იყო, კიდევ რაღაც იდუმალ, ფარულ აზრებს შეიცავდა. ის მუდამ ასე იწყებდა წერას: „ძვირფასო დედიკო“, მაგრამ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილს, მაშინვე ავიწყდებოდა, რომ ჭრიალა სკამზე იჯდა. იგი ოცნებებს შორს გაეტაცა. დედის სახე მისთვის ისეთივე უცხო და უცნობი გახდა, როგორც ის სადგური, რომლის სახელწოდებაც კონვერტზე ეწერა. აბა, სცადე და გაარჩიე იგი სხვა უცნობი სადგურისაგან! გაქრა შიში დედის წინაშე და გაქრა აგრეთვე გრძნობაც სიყვარულისა. ერიკა იგონებდა, თუ როგორ ეშინოდა რომ დედას არ მოეკლა ისინი და მის გამო რცხვენოდა და ეცინებოდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა დედა აქ არ იყო და ის სიმხდალე და შიში მხოლოდ მოგონებად იქცა. ადრინდელი შიში ახლა ბავშვურ სისულელედ მიაჩნდა. მაგრამ დედა კეთილი და მშვიდი მაინც ვერ წარმოედგინა. მომღიმარეს, მხოლოდ მამას წარმოიდგენდა ხოლმე, რომელიც ახლა სხვადასხვა ადგილებში მომთაბარეობდა. ერიკას მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა მხოლოდ ის ერთადერთი შემთხვევა, როცა დედა უკანასკნელ მითითებებს და დარიგებებს აძლევდა. ესაა და ეს. შემდეგ მხოლოდ სიცარიელე იყო. შავად კიაფობდა პატარა წერტილი, რომელსაც სხვა ათასისაგან იმით გამოარჩევდით, რომ მას სახელად დედა ერქვა.

ერიკა აუჩქარებლად განაგრძობდა წერას: „ძვირფასო დედა, დაიწყო სიცივეები, იძულებული ვიყავი ღუმელი დამენთო. ალბათ ჯერ საკვამური უნდა გამეწმინდა, ღუმელი ამიბოლდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ავდექი, კარი გავაღე და დავუწყე ლოდინი მანამდე, სანამ ქარმა ჭვარტლი არ გამოჰყარა. ახლა ღუმელი თითქმის აღარ ბოლავს. დღეები დაპატარავდა. ბუთისნახევარზე თითქმის ბნელა და იძულებული ვარ ლამპა ავანთო. ვახშმის შემდეგ ღუმელთან ვჯდები. ვაღებ კარს და მაშინ ულამპოდაც ვძლებთ. მაგრამ ყოველდღე ორ საათს მაინც ვანთებ ლამპას, რადგან სახლში ცოტახანს ხომ მაინც უნდა იყოს შუქი?.. ამას გარდა, რამდენიმე საათით ლამპა თუ არ ავანთე, არ დაგვეძინება. ქუჩის ნათურის შუქზე ვახშმობა ვცადეთ, მაგრამ უცნაური ნაღველი შემოგვაწვა, თითქოს მიცვალებულს ვუსხედით სატირლად. იცი დედი, ლამპა მხოლოდ ოთახს არ ანათებს, მას სიცოცხლეც შემოაქვს და სიბნელისა აღარ გვეშინია. ლამპა ერთი საათით მაინც რომ არ ავანთო, სიბნელე ისე შემოვა, გეგონება ყაჩაღები შემოცვივდნენო. ამ საძაგელმა ქათამმაც გააჭირა საქმე თავისი კრიახით, ღამე არ გვაძინებს. ახლა ქათამი ბატზე გავცვალე. რადგან დაზამთრდა და ყველა ბუზი გაქრა. ხუთ-ექვს ცალზე მეტს ვეღარ ვიჭერდი და აღარ ვიცოდი, რითი დამეკმაყოფილებინა ის გადარეული ქათამი. ხშირად გალიიდანაც იპარებოდა. მთელი დღე დავდევდი. კვერცხებს აღარ დებდა, ან ალბათ მე ვეღარ ვპოულობდი. ერთხელ იმ რკინიგზელის ცოლი, ბაღი რომ აქვს, მომეხმარა მის დაჭერაში და მკითხა ხომ არ გაყიდიო. მას ბევრი ბატის ჭუჭული ყავს. ისინი ძალიან კარგები არიან და სასაცილოდ იწმენდენ ფრთებს. მე ვუთხარი, გავცვალოთ, მე ქათამს მოგცემ, შენ კი ერთი თვის ჭუჭული მომეცი-მეთქი. რკინიგზელის ცოლი დამთანხმდა და ახლა მეც მყავს ჭუჭული. მაგრამ ჯერ თავის ძველ პატრონთანაა. იმ კეთილმა დიასახლისმა მითხრა, ჯერჯერობით თვითონ გამოვკვებავ, სანამ წამოიზრდებაო. ზოგჯერ მაინც მომყავს ჭუჭული სახლში და სამივენი ვეთამაშებით. ძალზე მიხარია, რომ ქათამი გავცვალე. ბატის ჭუჭული ლამაზია და კეთილი. ნისკარტი კურდღლის დრუნჩივით ბრბილი აქვს, როდესაც წამოიზრდება, ყოველდღე რძესავით თეთრ კვერცხს დადებს. ალფრედო და ლუკრეციაც ძალზე გახარებულები არიან. ჩვენ ბატს ფეხზე წითელი ბაფთა მივაბით და ახლა სხვებისაგან ადვილად ვარჩევთ. ალფრედომ დაიჩემა: „ჭუჭულისათვის ორმოს მოვთხრი და შიგ წყალს ჩავასხამო“.

XII

რკინიგზელის ცოლს ეზოს სიღრმეში ჰქონდა საკუთარი სახლი, პატარა ბაღი და ცოტა უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე მისი მეზობლები. ის უკვე ხანშიშესული, ეშმაკი და მოხერხებული ქალი იყო. ჰყავდა მოზრდილი გოგოები, რომლებიც ბეჯითად სწავლობდნენ კერვას. მისი ქმარი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ რუქაზე წითელი დროშებით ნიშნავდა რომის იმპერიის საზღვრებს და ამაში რვაას ლირას ღებულობდა. დაბრძენებული მრავალი წლის გამოცდილებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინიგზელის ცოლი ადამიანს თავისუფლად შეაცდენდა. მას არასოდეს უფიქრია, რომ ერიკა კარგი მოსამსახურე გახდებოდა. ასე მხოლოდ ჩინოვნიკების ახალგაზრდა და სულელ ცოლებს თუ შეეძლოთ რომ ეფიქრათ. მას კი ამ საქმეში დიდი ხანია თმა გაუთეთრდა. ქათმებს და ბატებს ნაყარ-ნუყარს აჭმევდა. ჭუჭყიან ჭურჭელსაც თვითონ რეცხავდა. მართალია ერიკა კარგი შრომისმოყვარე გოგოა, მაგრამ საცოდავი მარტო დარჩა და ერთი ქათამი რაღას უშველისო. პატივცემულმა ქალმა იცოდა, რომ ერიკას ქათამი განთქმული იმპერატორის ჯიშს ეკუთვნოდა და კვერცხი ყოველდღე შეეძლო დაედო.. „მე უკვე დიდი ხანია მეყოლებოდა ამ ქათმის შესანიშნავი ჯიშები“, — შურით ფიქრობდა რკინიგზელის ცოლი. რამდენად კარგი უნდა ყოფილიყო ქათამი, რომ რკინიგზელის ცოლის შავი ოქროს ბიბილოვანი მამალი მის დანახვაზე მღეროდა. პატრონი ეხვეწებოდა: „ძვირფასო, ნაზად იმღერე, რომ ის დედალი გალიიდან გამოიპაროს და შენთან მოვიდესო“.

მას ძალიან უნდოდა ხელში ჩაეგდო იშვიათი იმპერატორის ჯიშის დედალი. შემდეგ კი მისი მამალი ასწავლიდა მორჩილებას. ოღონდაც მალე დაეპატრონოს ასეთ საუნჯეს, რადგან იშვიათია ისეთი დედალი, რომელიც ყოველდღე კვერცხს დასდებს. ის ყოველდღე ოცნებობდა მოეშენებინა იმპერატორის ჯიშის ქათმები. რაც მთავარია, ერიკას ქოჩორა პატივცემულ ქალბატონს კანონიერ მონაპოვრად მიაჩნდა, რადგან კანონით იგი უნდა ეკუთვნოდეს მას, — ანგარიშიან და გამჭრიახ დიასახლისს. ამასთან იგი სხვისას ხომ არ იპარავს?

სინამდვილეში, განა შეიძლება ჩაითვალოს საწყალი და მარტოხელა გოგონა ამ იშვიათი ქათმის მეპატრონედ? ასევე თავისუფლად შეიძლებოდა მისი პატრონი ყოფილიყო ვინმე ბოშა ან მოხეტიალე. თუ ასეა, მაშასადამე ქათამი არავის ეკუთვნის. ბოლოს და ბოლოს, რკინიგზელის ცოლი ბრძნულ გადაწყვეტილებამდე მივიდა. — ქათამი მისთვისაა საჭირო და ამიტომ მას უნდა ეკუთვნოდეს. თვით ღმერთმა ისურვა, — ყველა ნივთს თავისი პატრონი ჰყავდესო.“ ჩემო ძვირფასო ქათმებო, — ფიქრობდა რკინიგზელის ცოლი და მის ოცნებაში ისინი თოთხმეტნი კი არა უკვე თხუთმეტნი იყვნენ. ო, რა კარგი და მრგვალი ციფრია თხუთმეტი, მაგრამ ქათამი ჯერჯერობით ერიკას ეკუთვნოდა და კვერცხებსაც იმას უდებდა. ამას ვეღარ იტანდა რკინიგზელის ცოლი. იგი ხანში შესული და ღვიძლით ავადმყოფი ქალი იყო, რომელმაც ოცდახუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ლობიოს ჭამას მიაჩვია ქმარშვილი. სამაგიეროდ სალაროში უკვე დამრგვალებული თანხა ჰქონდა დაგროვებული. როცა კვირაობით პატივცემული ქალბატონი პუდრს ისვამდა და თხელ შავ თმებს დოლბანდივით თავზე ილაგებდა, მისი ნაოვლიანი სახე ყვითლდებოდა. ეჭვი არ იყო, მალე მუმიას დაემსგავსებოდა. ეს მეტად საქმიანი ქალი ამჟამად ძალზე გააფთრებული იყო. და აი ერთხელ მან სახლიდან თავისი შავი, ოქროს ბიბილოვანი მამალი გამოუშვა. მამალმა ყელი მოიღერა და ისე ვნებიანად იყივლა, თითქოს თავისი პატრონის სურვილის ვამჟღავნებას აპირებსო. დედალი მაშინვე გამოიქცა გალიიდან, მთელი დღეები მამალთან ერთად დადიოდა და ბოლოს მისი საყვარელი გახდა. რკინიგზელის ცოლი ქოჩორას ფავორიტს ეძახდა და თან სიმინდს აჭმევდა ხოლმე, რომ ბაღში დიდხანს ყოფილიყო და კვერცხი იქ დაედო. როდესაც ერიკამ მოძებნა ქოჩორა და სახლში წაყვანა დაუპირა, გააფთრებულმა ქათამმა კორტნა დაუწყო, მაშინ გამოვარდა რკინიგზელის ცოლი და ალერსით დაუყვავა: „ჩემო ფავორიტო“, „ჩემო ფავორიტო“. ქათამი დამშვიდდა. რა თქმა უნდა, ჩემია, — ფიქრობდა ქალი. — საკმარისია დავუძახო ჩემო ფავორიტო-მეთქი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იმ წამსვე ჩემსკენ გამოიქცეს. ერიკა თავის სულელური „ჯუ-ჯუ“-ს ძახილით მხოლოდ აბრაზებს ქათამს.

ერიკას უხაროდა, რომ ქათამი პატარა ჭუჭულში გაცვალა. რკინიგზელის ცოლმა ექვსამდე კვერცხი მოაგროვა და გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა ერიკასთან. ექვსი კვერცხი დაახლოვებით შვიდი ლირა ღირდა. „სულაც არაა ცოტა“, — არწმუნებდა იგი თავისთავს, მაგრამ ერიკას მისი ჭუჭული მოეწონა. „მით უკეთესი, ქათამი მუქთად დამრჩება. შენ გინდა დედალში ჭუჭული მიიღო? მერე რა მოხდა, გენაცვალე, გაჩუქებ, მაგრამ არ იფიქრო, რომ ახლავე გაგატან, — ეუბნებოდა რკინიგზელის ცოლი, — ჯერ დედა ბატის მზრუნველობის ქვეშ უნდა გაიზარდოს, როცა დრო მოვა, შევაბამ წითელ ბაბთას და მე თვითონ გადმოგიყვან.

მეზობლები მიხვდნენ, როგორ ეშმაკურად მოატყუა ერიკა რკინიგზელის ცოლმა და საკუთარი თავისადმი პატივისცემა იგრძნეს. არა, ისინი არასოდეს ასე არ მოექცევიან საწყალ გოგონას! რას იზამ, — გულს იმშვიდებდნენ მუშათა ცოლები, — ჩვენ ღარიბებს, ყველა გვატყუებს. ზოგი სულმდაბლობისათვის ჩუმად კიდეც ლანძღავდა რკინიგზელის ცოლს. მაგრამ მერე თავს იმშვიდებდნენ იმით, რომ ისინი ამგვარ რამეს არასოდეს ჩაიდენდნენ.

ერთმა მეზობელმა თქვა: ყველაფერში დამნაშავე ერიკას დედა არიო, რომელმაც სახლი და ბაშვები უპატრონოდ მიატოვაო. მეორე მეზობელმა, გაუთხოვარმა ქალმა დასძინა, — ერიკა უკვე დიდია და ცოტა უფრო ეშმაკი უნდა იყოსო. დანარჩენებმა ხელი ჩაიქნიეს: ერიკა მართლა დოყლაპია ყოფილაო.

მოხელეთა ახალგაზრდა ცოლები აღშფოთებულები იყვნენ მეზობლის ეშმაკობით და ამასთან შურდათ კიდეც მისი. ფერად ხალათებში გამოწყობილნი აივანზე ისხდნენ და გაკვირვებას გამოთქვამდნენ: „ქვეყნად რა უსინდისო ხალხი ყოფილაო“. რაო, ხომ არ შეგშურდათ? — ხელების ფშვნეტით და გამარჯვებულის ღიმილით ამბობდა რკინიგზელის ცოლი და თან ეზოში ფუსფუსებდა. ახალგაზრდობას ჭკუა არ გააჩნია. ამიტომ მოხელეთა ცოლები არც ქათმების მოშენებაზე ფიქრობდნენ და არც ფულის შეგროვებაზე. მათ რომ ხელში ჩავარდნოდათ ის ქათამი, რა თქმა უნდა, მაშინვე ქვაბში უკრავდნენ თავს. მათ აცოფებდათ ის ამბავი, რომ რკინიგზელის ცოლს ქათამი უფასოდ შერჩა. — ნამდვილად უსინდისო ბებერია, — ფიქრობდნენ ისინი. დღეში მათ საჭმლისათვის 10—15 ლირა ჰქონდათ და ერთ ლირას ნაყინისათვის ძლივს გადაირჩენდნენ ხოლმე. ქალი ყოველთვის უნდა უმალავდეს ქმარს რაიმეს. მოხელეების ახალგაზრდა ცოლები კი, რომლებიც იაფფასიან წინდებს იცვამდნენ და მოდურ ქუდებს ატარებდნენ, საშაქარლამოში შერბოდნენ და ნაყინით პირს იტკბარუნებდნენ. რა არის იმაზე უფრო სასიამოვნო? მიწისმზომელისა და ინსპექტორის ცოლებიც ცდილობდნენ ნაყინის საყიდლად ცოტა ფული გადაენახათ. და აი ერთხელ ყვავილებიან ხალათში გამოწყობილი მსუქანი ქალი, რომელსაც ხელში კალათი ეჭირა, ერიკას საკუჭნაოში ქურდულად შეიპარა და მერე იქიდან ნახშირით სავსე კალათით გამოძვრა.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა **ბორის მირცხულავამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ჯავახიშვილი

*

ცად ირეკლებიან მდინარეები,
ზამბახებს ახლავს ფოთოლი ვიწრო...
თეთრი სახლებივით მწკრივდებიან დღეები,
ირიბმა წვიმამ გზად გადამისწრო,

ლიანდაგივით გამირბიან დღეები,
პატარა სასაფლაო მინდორთან რჩები...
მატარებლებს მოაქვთ ბამბის ყვავილობა.
მზეებს ინახავენ ღამღამობით ჭები...

ტყეს გადაუვლიან თვითმფრინავები,
მოწმენდილ ცასთან მკვეთრია ბოლი,
მზე გადაიხარა, წაიღო ხეები,
ჩრდილები გახდნენ სურვილთა ტოლი...

ახლა ცით დაბრუნდნენ მდინარეები
და ვერავინ დაინახა მათი დაცემა,
არც მე მიმიღებს ზვიადი დედამიწა,
თუ უფრო მეტად არ დავამძიმე.

გელათი

შორიდან ჰგავხარ დაწეულ ღრუბელს,
უფრო შორიდან
მძინარე ქედანს...

შენი ფესვები,
შენი რტოები
რა შორს გასულან,
რა შორს აქედან...

შენს სამრეკლოებს
ისევ სავსე აქვთ ზარებით უბე,
შენ კი იჭვიანს უპყრიხარ სუროს,
შენ უკვდავ სუროს გბოჭავს
სურვილი
და ნანგრევებზე გეძალებიან ლეღვის
ხეები...

გაათბო მზემ და
ჰგვანან მძიმე მოხუცთა დუმილს
ლოდები ლურჯი
ამოზიდულნი აქ ოდესღაც მძლავრი
ხელებით....

მაგრამ მძინარე მაღალო სულო,
თუმცა მრავალი გეფინა წელი,
ვითარცა ჩრდილი დიდი პეტრიწის,
ჩვენ გეახლებით შარაგზით ძველით,
ამა თაობამ ამ მაღალ ცასთან
შენი გუმბათის ნახაზი იცის...

ჩვენ გეახლებით და ჩავიმუხლებთ
ბროწეულებით სავსე ბექობთან...
არ მოგვცემს შენი სურო გასაქანს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე არ ვიცი
ეს შენებრი
გაქვავებული ლოცვასავით დგომა
მაღლობზე

თუ არ ოშკს,
თუ არ იშხანს,
სად და ვის ექნებოდა...

სამრეკლოების
ისევ სავსეა ზარებით უბე...

დავითისგულთან დავიჩოქებთ
და წავალთ ისე...
ჯერ მიგამგვანებ დაწეულ ღრუბელს,
უფრო შორიდან
მძინარე ქედანს...

შენი ფესვების
შენი რტოების მონაგარი
რა შორს გასულა,
რა შორს აქედან.

სტუმრად

ამ აივანზე ისევ თოვლია,
დახრილა ცაცხვის მოლურჯო ჩრდილი,
ეს სულიც ისევ მთების ბროლია,
გადარეკლილი მზით, ფერმიხდილით,

რაღაც ნდობაა თოვლის რიალში,
რაღაც სინათლის კრთიან გუნდები;
ჩვენ სხვა ფიქრებში, სხვა ხეტიალში
ჩვენს ძველ საუბარს დავუბრუნდებით.

ჰო, მაგრამ ფიქრი კაცებრ შფოთდება
და ვით სიბნელე, ადიდებს თვალებს,
რომ ერთნაირნი, როგორც ფოთლები
ყოფილან დღენი, ჩუმი და მალი...

და ჩვენი თოვლი...
აქ ლამაზ ჩრდილებს
ვერ ტოვებს ვერვინ და ვერაფერი,
და ერთნაირი მუდარით გვინდა,
სულ სხვა ქალაქი, სულ სხვა ნაპირი...

იქნება, წამი იყო გამხელა,
ვჩუმდებით, თითქოს თოვლით ვივსებით
მაგრამ გზაც ისე თეთრია გარეთ,
და იმდენია ამქვეყნად გზები...

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲝᲕᲚᲘᲡᲘ

ვაჟა ჯანდიერი გრძელი, იტალიურ კინოებში ნახული ნაბიჯებით ჩაუყვა დაღმართს. თხელი თოვლი ფეხქვეშ უდნებოდა. გამდნარზე ახალი ფიფქები თავს ვეღარ იკავებდნენ. უცებ ქრებოდნენ ისინიც.

თოვდა.

მერე სწორ გზაზე გავიდა. აქ თოვლი სულ ტალახად იყო ქცეული. ქუჩის თავში აფთიაქი იყო, მერე ინსტიტუტი, მერე რესტორანი, მერე საშაქარლამო, მერე ისევ რესტორანი, მერე რუსთაველის გამზირი: ფოთლებგაცვენილი ხეივანი, მარადმწვანე გრძელი ბაღჩები წარწერებით: „გაზონებზე არ იაროთ". გამზირის შუაში ლაღიძის წყლების წარწერა ჩანდა. ვაჟა ჩავიდა ქვედა სართულში. კედლის საათი უკვე თორმეტს უჩვენებდა.

— ბოდიში, — თქვა მან, — რომელი საათია?

გრძელწამწამებიანმა და წარბებმოხატულმა მომტანმა ქალმა თეთრი ქუდი შეისწორა, მერე კბილები გამოაჩინა.

— აგერ საათი, — ხელი გაიშვირა კედლისკენ.

ჯანდიერს გაეღიმა.

— ერთი „თბილისი", ერთი ხაჭაპური.

— როგორი? „სლაიონი" თუ „აჭარსკი"?

— „სლა-ი-ო-ნი".

ორგრადუსიანმა წყალმა მადა გაუღვიძა. კიდევ მოითხოვა ერთი.

— რამდენია ჩემზე?

— ათი და რაღაც კაპიკები.

ვაჟამ თხუთმეტი მანეთი დადო.

— ბოდიში, რომელზე ხურავთ? — ჰკითხა.

— თორმეტზე, — მომტანმა ისევ შეისწორა ქუდი.

— თქვენი სახელი? — უცებ მოჭრა ვაჟამ.

— რაში გჭირდებათ? — კიდევ გამოაჩინა კბილები მომტანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? — ვაჟამაც გამოაჩინა კბილები.

გვერდით მაგიდაზე ვიღაც ჭიქას აწკარუნებდა. მომტანი თეძოების რხევით წავიდა შეკვეთის მისაღებად.

ვაჟა კიდევ იჯდა.

მომტანმა მიიტანა. მერე ჩასუქებული, ლოყებღაჟღაჟა კაცის თხოვნით მიტანილი შამპანურიდან ერთი ჭიქა შესვა. კაცმა კიდევ რაღაც სთხოვა.

მომტანმა ორი შოკოლადი მიუტანა მას. კაცმა ერთი თვითონ აიღო, მეორე ქალს მისცა. ფეხზე მდგარი მომტანი დიდხანს ელაპარაკებოდა ლოყებღაჟღაჟას.

ვაჟა წამოდგა.

მიიხედა:

ისინი ისევ საუბრობდნენ.

გრძელი ნაბიჯებით მივიდა კარებამდე.

მიიხედა და თითო კიბის გამოტოვებით აუყვა. გარეთ ისევ თოვდა. ქვაფენილის ნაპირებში თეთრად ჩაწყობილიყო ფიფქი. ქუჩა ტალახიანი იყო. მოწყენილი ტროლეიბუსები წითლად ანთებულ შუქნიშანთან იდგნენ. ვაჟამ გაუღიმა მძღოლს: წინა კარები გაიღო. ის სწრაფად ახტა შიგ. ისევ დაიხურა. ტროლეიბუსთან ვიღაც ხანშიშესული კაცი მოვარდა კოჭლობით. მძღოლმა კარი არ გაუღო.

ახლა ტროლეიბუსი რუსთაველის ძეგლთან გავიდა. მსუბუქი მანქანები ქვევით უხვევდნენ. ტროლეიბუსმა კი რაიკომს ჩაუარა, მერე ბაზარს, მერე კიროვის პარკს, მერე აბრეშუმსაქსოვ ქარხანას, რომლის კარებზე მემორიალური დაფა იყო გაკრული.

თერთმეტსართულიანთან ისევ თოვდა.

მენავთეთა სახლში ლიფტი თორმეტი საათიდან მუშაობდა. ვაჟამ ვიღაც გამვლელს საათი ჰკითხა: მესამე დაწყებულიყო.

მელიფტე ქალმა ალმაცერად შეხედა მყუდროების დამრღვევს: საქსოვ ჩხირებზე ნახევრად ამოყვანილი წინდის ყელი მაგიდაზე დასდო და კარი მოაჯახუნა.

— მეხუთე, — თქვა ვაჟამ.

მელიფტემ ხელი დააჭირა ღილაკს.

— გმადლობთ, — თქვა ვაჟამ.

მელიფტემ კარი მიიხურა.

ვაჟამ დარეკა.

კარი ნოდარმა გაუღო.

ჯანდიერმა აიყვანა და აკოცა; მერე ბაბუასთან შევიდა ოთახში: გადაკოცნა, მოხუცს თვალებზე ცრემლი მოადგა. კიდევ გადაკოცნა.

— როგორ ხარ, ბაბუა? — დაიწყო ბაბუა სიმონმა.

— თქვენ როგორ, ბაბუა? — თქვა ვაჟამ.

— რას იზამ, ვზივარ...

— მოკეთებულხარ...

— კაი ერთი, — მოხუცს თვალები გაუბრწყინდა.

— უსინდისო ვიყო? — თქვა ვაჟამ.

— კაი, კაი, — აუჟღერდა ხმა ბაბუას და ულვაშებზე ხელი გადაისვა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

კედლის საათი არ ტიკტიკებდა.

— საათი სად არის, ბაბუ?

— გაფუჭდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სიჩუმე.

ბაბუამ და შვილიშვილმა პაპიროსი გააბოლეს.

— საწამლავია...

— აბა!

— კიდევ კარგად ვუძლებ, — თქვა ბაბუამ.

— მშვენივრად ხართ, — თქვა ვაჟამ.

— რას ვიზამ...

ისევ სიჩუმე.

ბაბუამ ახლა მეორე გააბოლა. „დღესაც ვერაფერი გავაკეთე" — გაიფიქრა ვაჟამ. უკვე მეათე დღე წაუვიდა უქმად. არ უნდოდა წერა, დღეს კი რატომღაც მოუნდა. მერე უფრო მოუნდა. მანაც გააბოლა. კიდევ მოუნდა. „აქ რას დაწერ, — გაიფიქრა, — ან რა მოგივა თავში, ეს დღეც დაკარგულია..." უფრო მოუნდა წერა. ვაჟა ფიქრებში წავიდა: არც ერთი ძველი ჩანაფიქრი აღარ მოეწონა. საფეთქლები გაუხურდა. ხელები აჰქავდა.

ბაბუა თვლემდა.

დარეკეს.

ნოდარი ვიღაცას შემოუძღვა.

— ვინ არის? — გასძახა სიმონმა.

— არავინ, მოსამსახურეა, — თქვა ვაჟამ.

— ძაან გოგოა, — თქვა მოხუცმა.

— ეტყობა.

— ნამეტანი გვასიამოვნა.

— ეტყობა, მარჯვეა.

— რას ვიზამთ, — თქვა ბაბუამ.

ისევ სიჩუმე. სამზარეულოდან თეფშების ჩხარუნი მოისმა.

— ერთ წამს არ გააჩერებს ხელს, — თქვა ბაბუამ.

— ეტყობა, ყოჩაღი ჩანს, — თქვა ვაჟამ.

ისევ სიჩუმე. მოხუცს პაპიროსი ჩაუქრა. ვაჟამ ახალს მოუკიდა.

— გაწყენს, ბიჭო, — თქვა სიმონმა.

— ჰო, საშინელია, — თქვა ვაჟამ.

— გადაეჩვიე.

— ძნელია.

— კოტე გადაჩვეულა, — თქვა სიმონმა.

— ვიცი...

— საიდან?

— მოყვა თითონ, გუშინ იყო ჩვენსა.

— აქაც იყო... ნამეტანი მოსუქებულა.

— ჰო, ძალიან უშველა.

— მეც უნდა დავანებო, — თქვა ბაბუამ.

— კოტეს მოხდომია, — თქვა ვაჟამ.

სამზარეულოში მოსამსახურე ქვაბს ხეხავდა. „რა გახდა კოტე, — გაიფიქრა ვაჟამ, — ყველას უყვება, რომ პაპიროსს თავი დაანება". მისი ამბავი მთელმა ნათესაობამ იცოდა. „რა გახდა კოტე, — ისევ გაიფიქრა მან, — დიდი ამბავი თუ პაპიროსს თავი დაანება!"

— ნამეტანი მოსუქებულა, — თქვა ბაბუამ.

— კარგი კაცია, — თქვა ვაჟამ.

ახლა სამზარეულოშიაც სიჩუმე იყო.

„კოტე, კოტე! კოტემ პაპიროსს თავი დაანება, ყველას უყვება, დიდი ამბავი თუ თავი დაანება, ან თუ მოსუქდა. როგორ თუ „რატომ არ უნდა მოუყვეს“, — მოუვიდა თავზე ბრაზი, — მაგისთვის ყველაფერია, ამბავია. აბა სცადე, დაანებე! მაგისთვის ამბავია, შენთვის იმან რო დაანება, არაფერია, სხვისთვისაც არაფერი. კოტე! კოტემ რომ პაპიროსს თავი დაანება. ჰო, ჰო, აი, ჰო, ჰო... ჰოპ, ჰოპ“, — ვაჟას საფეთქლები ისევ აექავა, მერე უფრო. ისევ მოუნდა წერა. იდეა იყო, მშვენიერი იდეა: კოტემ პაპიროსს თავი დაანება. უხარია, ყველას უყვება. ყველას უხარია, რომ კოტე გასუქდა. მაშინვე ივიწყებენ. ჯამი: დიდი რამე, თუ კოტემ პაპიროსს თავი დაანება. დიდი რამე. სიმონს გაუხარდა. მაშინვე დაავიწყდა. თუ ძალიან გაუხარდა. ან არ დაავიწყდა, იმიტომ, რომ შეიძლება თვითონაც მოიკეთოს, თუ შეეშვება წევას. ისე მოხუცმა ახლა მოიგონა მხოლოდ. ალბათ აღარც ახსოვს. ახლა დასაწერმა დიალოგებმა გაურბინეს თავში: „დავიწყებ ჩვეულებრივ, — ფიქრობდა ვაჟა — მერე ამოვალ აქ: აქ ზის კოტე, იქ ვასო, იქ ბაბუა. იგონებენ ბებიაჩემს. ისმება მისი ხსოვნის სადღეგრძელო თუ შესანდობარი.

— კარგი ქალი იყო ძალოაჩემი, — თქვა ვასომ.

— ეჰ, ღმერთმა შეიწყალოს, — თქვა კოტემ.

— ცოდვა ვარ, ცოდვა, უმისოდ, — თქვა ბაბუამ და ცრემლები წამოუვიდა.

თითო ღვინო დალიეს.

— სიმონ, ნუღა დალევ, გაწყენს, — თქვა ვასომ.

— აღარ გინდა, ძია, შარდი შეგეხუთება, — მიუბრუნდა კოტე.

— სწორე ხართ, სწორე. ცხონებული ანეტაც მაგას მეხვეწებოდა, — ბაბუას თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ჰოდა, მისი ხათრით, — დაიწყო კოტემ.

— აპა, აპა, — ცრემლი მოიწმინდა ბაბუამ.

— სიმონ ირაკლიჩ, პაპიროსსაც რომ თავი დაანებოთ, ჰა?

— აჰ, არ შემიძლია.

— მე ხომ დავანებე, — თქვა კოტემ.

— დაანებე? — გაიკვირვა ბაბუამ.

— აბა, უკვე ორი კვირაა.

— მიტომ მოსუქებულხარ მასე.

— მისწრებაა, მეც უნდა დავანებო, — თქვა ვასომ.

— ნებისყოფა უნდა, — თქვა კოტემ.

ოთახში რძალი შემოვიდა.

— პაპიროსს თავი დავანებე, ქეთო.

— ჰო, თავიდანვე მოკეთებული მეჩვენე.

— ძაან მომიხდა.

— ნეტა ჩემი ქმარიც დაანებებდეს.

— კარგს იზამდა.

— მამა, შენც რო შეეშვებოდე, არ იქნებოდა ურიგო.

ისევ დაასხეს ღვინო.

— კარგი ცოლქმრობა გქონდათ, — უთხრა ვასომ სიმონს.

— ნამეტანი, ნამეტანი, ერთმანეთის წყენა არ გვახსოვს.

— ჰოდა, მისი ხათრით დაანებე პაპიროსს თავი, — თქვა რძალმა.

— კაი, აბა ვცდი.

— ხო ხედავ, მე როგორ ვარ, — თქვა კოტემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამეტანი მოსუქდი.

— გაგიმარჯოს, სიმონ ირაკლიჩ, — დალია ვასომ, დალია კოტემ, მოსვა ბაბუამ.

დარეკეს. ოთახში სიმონის ვაჟი ოთარი შემოვიდა, ხელში ნოდარი ჰყავდა აყვანილი.

— მამა, მამა, — იძახდა ნოდარი, — კოტე ძიამ პაპიროსს თავი დაანება.

— მართლა, კოტე? — ჩამოსვა ოთარმა ნოდარი ძირს.

— აბა, კაცო, ორი კვირაა.

— მაშ, მაყარიჩი შენზეა, მოსუქებულხარ.

— ნამეტანი გასუქდა, — თქვა ბაბუამ.

— თავს ვიწამლავთ, — თქვა ვასომ.

რძალმა ცარიელი ჭიქა მოიტანა, ოთარს პალტო გახადა.

— დალიე დედაშენის შესანდობარი, — თქვა კოტემ.

ოთარმა მოსვა.

ბაბუას თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ძალიან კარგად კი ხარ, — თქვა ოთარმა.

კოტემ ლოყაზე მოიკიდა ხელი.

— ნამეტანი მოსუქდა, — თქვა სიმონმა.

ოთახში ნოდარი შემოვარდა, უკან პატარა ძმა მოსდევდა.

ვაჟამ ფიქრი შეწყვიტა.

— როგორა ხართ, ბაბუ? — თქვა ვაჟამ.

— რაფერ ვიქნები, შვილო, — აუჟღერდა ხმა ბაბუას.

— რომელი საათია ნეტავი?

მოხუცმა ჯიბიდან ძველებური საათი ამოიღო, თვალებთან მიიტანა.

— მეექვსე დაიწყო.

ვაჟა წამოდგა:

— წავალ, ბაბუა.

— წადი, ბაბუ, წადი.

შვილიშვილმა გადაკოცნა და კიბეებზე დაეშვა. გარეთ თოვლი აღარ მოდიოდა, ციოდა. მსუბუქი ნაბიჯებით აუყვა აღმართს. ეღიმებოდა.

ფიქრობდა კოტეზე, ახალ იდეაზე.

ეღიმებოდა...

უნდოდა წერა, მაგრამ შინ არ წავიდა. „როცა უფრო მომინდება, მაშინ წავალ, ჯერ ჩაჯდეს თავში კარგად, დიალოგებიც დაიხვეწება“, — გაიფიქრა და ამხანაგს შესძახა.

— ბიჭო, წამო კინოში, — თქვა ვაჟამ.

— რა გინდა?

— ცივა.

— წავიდეთ.

ბილეთები თავისუფლად იყიდეს. კინოში ცოტა ხალხი იყო.

აქაც ციოდა. ვაჟამ პალტო გაიხადა, მერე მოისხა, უფრო თბილად გაეხვია შიგ.

— ცივა, — თქვა გურამმა.

— ცივა, ჰო, — უფრო გაეხვია პალტოში ვაჟა.

გაისმა მუსიკა.

— ჩინეთია, — თქვა გურამმა.

ეკრანზე ჩინელებს რკინიგზა გაჰყავდათ, მერე უნგრეთის საზღვარი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა. საკვანძო გზაზე სატვირთო შემადგენლობები იდგა.

ვაჟა კიდევ უფრო გაეხვია პალტოში.

მერე საფეთქლები აექავა.

„ვ ე ნ ა ც ე კ ვ ა ვ ს“ — ეწერა ეკრანზე.

ახლა ამერიკული მარკის მანქანა მიჰქროდა ეკრანზე: ისმოდა ჯაზის ხმები, კიდევ ჯაზი. მერე კიდევ. ქუჩის ბოლოში ვიღაც ვიოლინოზე უკრავდა. ისმოდა მელოდია შტრაუსის ვალსიდან. მელოდიას ჯაზი ახშობდა.

ვიღაცამ მუსიკოსს ფული ჩაუდო, მერე თავის მაღაზიაში შევიდა.

მუსიკის ხმები მიწყდა.

საკომისიოში ამერიკელი ქალი მაგიდის თაობაზე ევაჭრება ახლადშესულ მეპატრონეს. ქალმა პატარა საწერი მაგიდა იყიდა, მაგრამ ფული თან არა ჰქონდა. მეპატრონეს ერთი გაფუჭებული ადგილის შეკეთება სთხოვა და ფულზე წავიდა.

კარი გაიღო.

— ჯაზი შემოვარდება, — თქვა გურამმა.

— ალბათ, — თქვა ვაჟამ.

გაისმა ჯაზის ხმა.

მერე ვიოლინოსი.

ქალი ფულზე წავიდა.

მეპატრონემ კარები მოიხურა.

მუსიკა შეწყდა.

მეპატრონემ იარაღები აიღო და მაგიდის პატარა უჯრა გახსნა. რაღაც რვეული და უზალთუნი აღმოჩნდა.

დაიწყო კითხვა.

დღიური შტრაუსის მამის შეყვარებულისა იყო.

დაიწყო ფურცვლა: წამოვიდნენ მოგონებები.

ახლა ეკრანზე ძველი ვენა გამოჩნდა.

ისევ მოგონებები...

— დაიწყო ძველი სიმღერა, — იხუმრა გურამმა.

— ჰო, — თქვა ვაჟამ.

— უკვე ვეღარ ვიტან მოგონებებს.

— აბა, წავა ახლა ეტლები!

— და ვიწრო, შავი ქუჩები...

— ერთი მაგათი...

— გაუშვი, ერთი...

ეკრანმა რაც შეიძლება მოიწყინა: კარეტაში შტრაუსის მამა თავის შეყვარებულთან ერთად იჯდა.

— წავიდეთ, — თქვა ვიღაცამ უკანა რიგიდან.

— გინდა დავიძინოთ? — თქვა გურამმა.

— მეტი რა დაგვრჩენია, — თქვა ვაჟამ.

„სისულელე ჩემი, რომ წამოვედი, წავსულიყავი სახლში, რამეს გავაკეთებდი“... ფიქრობდა ვაჟა. ეკრანზე კადრები ჭიანურდებოდა.

ჯანდიერმა წინა სკამის ზურგზე დადო თავი, ახლა ცალი თვალით უყურებდა სურათს. სულ მოიწყინა: ახლა შტრაუსი თავის ოთახში იჯდა. წერილი დაწერა ცოლთან — ოჯახს სამუდამოდ ვტოვებო... რატომღაც არ მოეწონა, დახია. მერე როიალს მიუჯდა. გაისმა ვალსის ხმები. ახალი მელოდია იბადებოდა. გარეთ ეტლმა გაიარა. შტრაუსი წამოდგა, ფანჯარა გააღო. ოთახში სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივე შემოიჭრა, თან მუსიკის ხმები შემოიტანა. ხმები ძლიერდებოდა. კომპოზიტორმა თვალები დახუჭა და საფეთქლებზე ხელი მოიჭირა.

ახალი მელოდია იბადებოდა.

— ეგ ძველია,—თქვა გურამმა. ჩუმად მოუკიდა პაპიროსს და ბოლი გაუშვა. წინა სკამზე ვიღაც შეიშმუშნა. „მართლაც ყველგან ერთნაირად აჩვენებენ, როგორ მოსდით აზრები მუსიკოსებს", — ფიქრობდა ვაჟა. მერე მოაგონდა, რომ კლუზომ პიკასოს შემოქმედების პროცესიც გადაიღო. ისევ აექავა საფეთქლები: „რა შუაშია პიკასო, მით უმეტეს კლუზო. კლუზო რეჟისორია, მაინც რა კარგად გადაიღო. ვინ იფიქრებდა. ნეტა მაჩვენა ის კინო", — ფიქრობდა ჯანდიერი. მერე კოტე მოაგონდა რატომღაც, დღევანდელი იდეა, რომელიც ბაბუამისთან დაებადა. ისევ წამოახურა. საფეთქლები ოდნავ აექავა. ძალიან მოუნდა წერა. „ესე იგი კოტე პაპიროსს გადაეჩვია. უხარია, უხარია, ჰო, ა!"

— ა! — თქვა ხმამაღლა.

— რა ა? — იკითხა გურამმა.

— არაფერი...

ფიქრები გაიფანტა. ახლა მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა: შეეძლო დაეწერა იდეის მოსვლაზე, მუსიკოსის მუზის მოსვლის მსგავსი, ან უფრო ცუდი, ან უფრო კარგი. უფრო მოუნდა წერა. მერე უფრო, ერთი დიდი აზრი იყო.

ახლა უყურებდა კინოს და არაფერზე არა ფიქრობდა. კინოში კარეტა მოძრაობდა, მერე ხალხი ცეკვავდა, უკრავდა ვალსი. ბოლოს შტრაუსის მამა მოკვდა. მგონი ცხედართან მისი უფროსი შვილი მივიდა. მიდიოდა კინო, მერე დამთავრდა. ეკრანზე დიდი ასოებით ეწერა: КОНЕЦ.

აინთო სინათლე.

— აღარ გათავდა, დალოცვილი, — თქვა გურამმა.

— რა?

— რა და კინო.

— ჰო, — თქვა ვაჟამ.

გარეთ ისევ ციოდა.

ბნელოდა.

ახლის კარები დედამ გაუღო.

ოთახში თბილოდა და შემწვარი ხორცის სუნი იდგა.

— რა ტყვილა დაყიალებ, ბიჭო, მთელი დღე, — თქვა დედამ.

— ო, ეგ დატვირთულია, — ირონიულად გაიღიმა მამამ.

— რა ვქნა აბა? — თქვა ვაჟამ.

— რამე გააკეთე, წელს ამთავრებ, — თქვა მამამ.

— არ მინდა ინჟინრობა.

— როგორ არ გინდა?

— ისე...

ოთახში თბილოდა.

ვაჟამ რაღაცის კითხვა დაიწყო.

— მოდი, ვისადილოთ, — თქვა დედამ.

— სულ მშიერი დაყიალებ, — თქვა მამამ.

სუფრას შემოუსხდნენ.

სადილი გემრიელი იყო.

ცქიტოს ეროვნული ბიბლიოთეკა

...

გადაუღებლად წვიმდა ორი დღე. ცქიტოს ცხვირი მიედო გრილ ფანჯარაზე და თვალგამტერებული უყურებდა ატალახებულ ქუჩას. ოღროჩოღროებში წყალი ჩამდგარიყო. შიგ მოხვედრილი წვეთები რკალებად იშლებოდა. ტკაპ! ტკაპ! — დაუსრულებლად ისმოდა სახურავზე წვეთების ხმა. ვიღაც მოპირდაპირე შესასვლელში შევიდა. მისი ნაფეხურები ერთხანს ჩანდა ქვაფენილზე. მერე წვიმამ წაშალა. მოხუცი დედაკაცი დახეული, შავი ქოლგით ქუჩას აღმა მიჰყვებოდა. თვითეულ ნაბიჯს დიდი სიფრთხილით ადგამდა, მოხერხებულად ხმარობდა ფეხის ქუსლს ან წვერს — გუბის სიდიდისა და მოყვანილობის მიხედვით. ეტყობოდა, ფეხები სველი ჰქონდა.

— ვალიკო, ჩქარა დაბრუნდი! — მოისმა ყრუდ ქალის წვრილი ხმა. ქუჩა გადაირბინა ათიოდე წლის ბიჭმა. მას თავზე ძველი, ალბათ, მამის პიჯაკი გადაეხურა. ფეხები დიდ ფრატუნა კალოშებში ჩაეყო და პატარა გუბეებს ტყაპუნით ახტებოდა. მოზრდილ გუბესთან კალოში გასძვრა ფეხიდან. იგი ასკინკილით შემოტრიალდა და შიშველი ფეხი ჩაყო კალოშში. მეზობლის ახალგაზრდა რძალმა ვედრო გამოიტანა და საწვიმარ მილს შეუდგა გასავსებად. როცა მანქანა აივლიდა, სველ ასფალტზე საბურავების კვალი რჩებოდა.

ცქიტო მისჩერებოდა გუბეებში წვეთების ვარდნას. ერთი, ორი, სამი... სულ ახალი რკალები. ორი წვეთისგან გაჩენილი რკალები ერთმანეთს ხვდებოდა და გადაკვეთისას წყდებოდა. უცებ მანქანამ ჩამოიარა და გუბეში დიდი შხეფი ჩააგდო. მსხვილმა რკალებმა მთელ ზედაპირზე გადაიარა. ცქიტომ დაორთქლილი ფანჯარა გაწმინდა, ქუჩა მოათვალიერა და შეეცადა რამეზე ეფიქრა. მისი გონება უკვე დაღლილი იყო. იგი ახლაც გამალებით მუშაობდა. მაგრამ ფიქრი მის შეცნობამდე ვეღარ აღწევდა. მან კვლავ გადახედა ქუჩას, შემობრუნდა და თავისი ოთახი უაზრო მზერით მოათვალიერა. ტახტზე წამოწვა. გარეთ კი სულ წვიმდა და წვიმდა.

ერთხანს ასე თვალდახუჭული იწვა, მერე თვალები გაახილა და თეთრ ჭერს მიაშტერდა. ზედ უმოძრაოდ ისხდნენ ბუზები. იშვიათად რომელიმე წაბოფრინდებოდა და უღონო ბზუილით სადმე ახლოს გადაჯდებოდა. სამზარეულოში ჩაიდანი განუწყვეტლივ შიშინებდა. ხანდახან ორთქლი სახურავს სწევდა და ნელა აკაკუნებდა.

შემოდგომის გრძელი დღე სრულდებოდა.

გარეთ კი სულ წვიმდა და წვიმდა.

ცქიტომ წასთვლიმა. გადაღლილი გონება ბორგავდა და ძილში არ ასვენებდა. როცა გამოეღვიძა, უკვე ღამე იყო. წვიმას გადაეღო და დახლეჩილი ღრუბლებიდან სავსე მთვარე ანათებდა. ცქიტო ფანჯარასთან მივიდა. გუბეებში მთვარე და სწრაფად მოძრავი, დახლეჩილი ღრუბლები მოჩანდა. ქარი წამოუბერავდა ხოლმე და ცის გამოსახულებას ააკანკალებდა გუბეში. ღობის ძირას საცოდავად გალუმპული კნუტი კნაოდა. ვიღაცამ ზარი დარეკა. ცქიტომ საათს დახედა. პირველი საათი იყო. მერე კარი გააღო და შემოსულ მამას მიეგება.

— სად იყავი, მამა, ამდენ ხანს?

— აი, ხაზარაძის მამა გარდაიცვალა და იმის ქელეხში ვიყავით. აღარ მოგვეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა არის, ყუთში?

— ჰე! ეს ახალი სანადირო ძაღლია. სუფთა სისხლის სეტერი.

— სად იშოვე?

— ჯანაშვილმა მაჩუქა, ჯერ კიდევ დაბადებამდე. ახლა ქელეხიდან ერთად წამოვედით და გამოვართვი.

— რა ჰქვია?

— მე მინდა ტუჩა დავარქვა...

— არა, ლელო სჯობია.

— რას ამბობ? თუ ტუჩა არ გინდა, მაშინ ჯუნა დავარქვათ.

— არა, ეგ ისეთი მოძრავი ჩანს, ელვა მოუხდება.

— კარგი, ელვა იყოს.

იატაკზე მჯდარი ერთი თვის ლეკვი ინტერესით ათვალიერებდა ახალ გარემოს. უცებ თვალი მოჰკრა ვირთაგვას, რომელმაც დერეფანში გაიცუნცულა და სოროში ჩაძვრა. ლეკვი შიშისაგან იატაკზე გაისვარა და მამის ფეხს კანკალით მიეკრა.

— ელვა, გეშინია? — ჰკითხა ცქიტომ.

— ეშინია, მაშ! ბიჭო, წყალი დადგი, ვაბანაოთ, თორემ ჯანაშვილს თვითონა ჰყავს რწყილები, ძაღლს კი არა.

— ახლავე დავადგამ.

ცქიტომ ნავთქურას თავი გადახადა და ასანთი მოუკიდა. პატრუქმა ბჟუტვა დაიწყო და ჩაქრა.

— ნავთი არ არის, მამა.

— კარგი, იყოს.

— არ ვაბანაოთ?

— არ უნდა. ახლა დუსტს დავაყრი. ხვალ ელექტრონი იქნება და წყალი გავაცხელოთ.

— შენ ხომ არა გშია, მამა?

— არა. ხომ გითხარი, ქელეხიდან მოვდივარ-მეთქი. შენ გშია? მგონი დილით ფული ვერ დაგიტოვე.

— ჰო, არა უჭირს.

მამამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ქაღალდში შეხვეული ბუტერბროდი ამოათრია. ქაღალდი შემოაცალა და ცქიტოს გაუწოდა.

— ჭამე, ბიჭო, მართალია თევზია, მაგრამ შენ ხომ გიყვარს სელიოდკა?

— ჰო, მიყვარს.

მამამ საბანი გადასწია და ტახტზე დაწვა. ტახტი აჭრიალდა. ცქიტო კვლავ გაუხდელად წამოწვა ტახტზე.

დახლეჩილი ღრუბლები შეიკრა და მთვარე აღარ ჩანდა. სახურავზე გაისმა კანტიკუნტი ტკაპუნი წვეთებისა და წვიმა ისევ დაიწყო. ცქიტო კარგახანს უყურებდა თეთრ ჭერს, რომელზედაც ქუჩის სინათლის სხივი ციმციმებდა.

იმ ღამეს წვიმას აღარ გადაუღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

კოლუნიზმის ომი

აქედან იწყება ჩვენი რაიონი

მართალი გითხრათ, აქამდე სამხრეთ ოსეთს კარგად არ ვიცნობდი. სტალინირში ვყოფილვარ მანამდეც, ოსი მეგობრებიც მყავს, კარგი ძმაკაცები.

ომში ერთი ისეთი მეგობარი მყავდა, რომ იტყვიან, ერთმანეთისათვის სულს ვლევდით. ასეც მოხდა, ჩემთვის სული დალია: დაჭრილი რომ გამოვყავდი ქარ-ცეცხლიდან, მაშინ განგმირეს. მის ხსოვნას წმინდად ვინახავ. ასე მგონია, დღეს იმის მაგივრადაც ვცოცხლობ ამ ქვეყნად. მისი გული და სული ჩემს გულში და სულშია ჩაბუდებული.

ეჰ, ხსარბეკ, ხსარბეკ! როგორ გავიხარებდი, შენც რომ მენახე დმენისში, სირჩას ვახტანგურად დავლევდით.

როგორ გავს სირჩაზე ლეგენდა ჩვენი განშორების დღეს, ჩემო ხსარბეკ! მეგრელი მეგობარი იყო სტუმრად ერთ ოს ჭაბუკთან, — ამბობს ლეგენდა, — მტერი შემოესია უეცრად ოსეთს. ბრძოლის ველზე მეგრელი სტუმარი მასპინძლის მხარი-მხარ იდგა და იბრძოდა. ორივე სასიკვდილოდ დაიჭრა ცხარე ბრძოლაში. სიკვდილისაგან თავის სახსნელად წყალი იყო საჭირო ორთავესათვის. ოსმა ასულმა იშოვა ორიოდე წვეთი წყალი და თასით ჯერ სტუმარს მიაწოდა. ორივეს არ ეყოფოდა წყალი, ერთ-ერთს კი გადაარჩენდა. მეგრელმა მეგობარმა მასპინძელს მიაწოდა და მეგრულად უთხრა: „სი რჩა!“ — შენ დალიეო. მასპინძელმა თასი კვლავ სტუმარს გაუწოდა და მისივე ენაზე უთხრა: „სირჩა“ — არა შენ დალიეო. სტუმრის პატივსაცემად მას მერე წესად დამკვიდრდა ყოველი ოსის ოჯახში „სირჩა“.

ასეთია ომი, გულის რჩეულს გამოგგლეჯს ხოლმე ხელთაგან, მაგრამ მისი სული დუღაბივით ამაგრებს ხოლმე მერე მეგობრობას. ძმაკაცობას, სიყვარულს.

ჰოდა, იმას ვამბობდი, კარგად არ ვიცნობდი-მეთქი სამხრეთ ოსეთს. ამიტომაც უფრო მიმიხაროდა სტალინირში.

მეტად თავაზიანი და გულისხმიერი კაცია რაიკომის მდივანი ვანო ხაშალაშვილი. მან სტალინირიდან პირდაპირ დმენისისაკენ გამაქროლა. ქალაქს გამოვცდით თუ არა, მანქანამ ხელმარცხნივ გადაუხვია.

— აქედან იწყება ჩვენი რაიონი, — მაშინვე მითხრა ვანომ.

ხელმარჯვნივ ვრცელ ველზე ჩამხმარი სიმინდის ყანებია.

— მალე ავიღებთ სიმინდის მოსავალს, — ამბობს ვანო, — კარგი პირი უჩანს მოსავალს. ჩვენი რაიონი პირნათლად ეგებება ჩვენი პარტიის მეოცდაორე ყრილობას. ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს ვალდებულებად აიღეს 500 ჰექტარი ნათესიდან ჰექტარზე მიიღონ არანაკლებ 60 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო საშუალო საჰექტაროო მოსავლიანობა აიყვანონ 22,5 ცენტნერამდე. ამ ამოცანას ჩვენ წარმატებით ვასრულებთ. თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს მესიმინდეებმა: ნ. ბერუაშვილმა, ა. გოგიძემ, გ. ნასყიდაშვილმა და სხვებმა.

ველზე მოზღვავებულ ჩაყვითლებულ ყანებს რომ მიშტერებია მანქანიდან ვანო, თითქოს ამით მეუბნებოდეს, გახედეთ და ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს მართლაც ასეაო.

შარა-გზის ორივე მხარეს ორ მწკრივად ახალი ნერგებია ჩაყრილი.

— ერთი მწკრივი ალვებია, მეორე — თუთები, — მეუბნება ვანო, — პირველად ცვივათ წელს შემოდგომის ფოთლები. შიგადაშიგ ვაზებია გამორგული. ათი წელიც მალე გაიფრენს. მერე უნდა ნახო, მერე უნდა გაიარო აქ. ვაზები ხეებზე აცოცდებიან და ხეივანი გადაიხურება ვაზის ფოთლებით, მშვენიერ ტალავერს ყურძნის მტევნები ჩამოეკიდება.

ხვალინდელი დღის ზარები რეკენ ვანოს ხმაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მოპირდაპირედ მომავალი მანქანა გაჩერდა გზის კიდეზე. ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა მანქანიდან. მივუახლოვდით თუ არა, ვანომ მანქანა გააჩერებინა შოფერს. მანქანის ღია კარს ახალგაზრდა მოადგა, მოგვესალმა და მაშინვე რაიკომის მდივანს თხოვა, როგორმე დროზე დახმარებოდა ბუღალტრის საქმეზე. ვანომ საჩქაროდ დახმარება აღუთქვა და ჩვენ გზა განვაგრძეთ.

— ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორიჰ, — დაიძრა თუ არა მანქანა, მითხრა ვანომ,—გზაფხულზე ერედვის კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობის სისტემაზე გადავიყვანეთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხალხმა აღარ ისურვა მეურნეობის დირექტორად. ეს ახალგაზრდა აირჩიეს. გამიძნელდებაო, ეშინოდა, მაგრამ არა უშავს, ენერგიული ახალგაზრდაა, უმაღლესი აგრონომიული განათლება აქვს, კარგად იცნობს სოფლის მეურნეობას. საქმეს თავს ართმევს, ჩვენც ვეხმარებით.

ჩავუქროლეთ შუა სოფელს. წყაროსთან ქალები წყლით ავსებენ სურებს. გზის კიდესთან პატარა მოედანზე ბავშვები ბურთს თამაშობენ.

ქსუისის ხიდზე რომ გადავიქროლეთ, პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე ფართოდ, მრგვლად შემოზღუდული მიწაყრილი გამოჩნდა.

— გვინდა ლიახვის ნაპირ-ნაპირ ასეთი აუზები მოვაწყოთ, — მიწაყრილისაკენ მიმითითა ვანომ, — განადგურდა ლიახვში თევზი. ასეთ აუზებში თევზი გვინდა მოვაშენოთ.

აუზების შექმნის იდეა ძალიან მომეწონა. ზოგიერთები ჩვენს მდინარეებში უმოწყალოდ ანადგურებენ თევზს. ასეთ აუზებში მაინც შეგეძლება მკაცრი კონტროლის დაწესება. ამას რომ ჩვენი რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტრო მაგრად ჩასჭიდებდეს ხელს, მალე ჩვენი მდინარეების ნაპირებზე თევზის დაულეველი მარაგი გვექნება.

რაიონის შუქურა

აუზს ცოტა გავცილდით თუ არა, წინ გზის ნაპირ-ნაპირ მომავალ გოგონასთან გააჩერებინა მანქანა ვანომ.

გოგონა მაშინვე მანქანასთან მიიჭრა, მდივანს მიესალმა.

— გულნარა, აბა, ერთი შენი ყანა გვაჩვენე! — ღიმილით მიმართა გოგონას ვანომ.

— ეს ჩვენი რაიონის შუქურა გახლავთ, — ჩაჯდა თუ არა მანქანაში, მაშინვე გამაცნო ვანომ, — გულნარა ნასყიდაშვილი.

მომხიბლავი შესახედაობის 23-24 წლის გულნარა აგროტექნიკოსად მუშაობს ქსუისის კოლმეურნეობაში. ბეჯითი და გამრჯე გოგონაა გულნარა, თავისი საქმის სიყვარულით გატაცებული. კოლმეურნეობაში მუშაობს და თან დაუსწრებლად სწავლობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

წელს, როცა პარტიამ ასეთი დიდი ამოცანები დასახა სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე, ახალგაზრდა აგრონომმა გოგონამ საფუძვლიანად შეისწავლა ეს ამოცანები. საოლქო გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა „პრაქტიკულად ვუჩვენოთ მაგალითი, ასე სჯობია“.

და მან ვალდებულება აიღო, პირადად დაემუშავებინა 0,2 ჰექტარი სიმინდის ნათესი და ჰექტარზე გადაყვანით 200 ცენტნერი სიმინდი მიეღო.

— ჩემი მიზანი იყო, — ამბობს გულნარა, — დამერწმუნებინა კოლმეურნეები, რომ სიმინდის თესვა-მოყვანის აგროტექნიკური წესების დაცვით შეიძლება საგრძნობლად გავზარდოთ მოსავლიანობა.

მანქანა შეჩერდა. გულნარა თავის ნაკვეთში შეგვიძღვა.

ბარაქალა შენს მარჯვენას, გულნარა! შენ ნამდვილად გაგინაღდებია შენი სიტყვა. ეს ხვავრიელი ტაროები რომ დაესხა ამ ყანას, რა გულისხმიერი შრომა და ზრუნვა იყო საჭირო?

— კარგი დედოფალი მარტო ნეფის კი არა, ყველა კეთილმოყვრის გულის გამხარებელია, — ღიმილით გაიხუმრა ვანომ.

ბარაქალა შენს მარჯვენას, გულნარა!

ნუ დამძრახავ, იუზა!

გზაზე რომ გამოვედით, ვანომ გულნარას კითხა:

— შენ სად მიდიოდი, გულნარა?

— დმენისში.

— აბა, ჩვენი მგზავრი ყოფილხარ.

ჩავსხედით მანქანაში.

ქსუისი და დმენისი მეზობელი სოფლებია, გულნარამ გვითხრა, რომ დმენისელ ახალგაზრდა მეღორე გოგონებს ქსუისელი კომკავშირელი მეღორე იუზა დოგუზოვა მიუწვევიათ და შეხვედრას უწყობენ. ეს ის იუზა დოგუზოვაა, რომელიც მოწინავეთა რიგებში დაასახელა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

იუზა დოგუზოვამ ვალდებულებად აიღო 300 ღორის გამოზრდა. მისმა წერილმა აღფრთოვანებაში მოიყვანა დმენისელი მეღორე გოგონები ვერა ლოლოევა, ნატაშა კვეზეროვა და სხვები. მათ გადაუწყვეტიათ იუზასთან შეხვედრა მოაწყონ.

დმენისში რომ მივედით, კოლმეურნეები უკვე თავმოყრილნი იყვნენ. კრება კოლმეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარემ ინალი გაგიევმა გახსნა. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სტუმარს.

იუზა დოგუზოვამ თქვა:

— მე პირობა მივეცი ამხანაგ ხრუშჩოვს და ამას უსათუოდ გავანაღდებ. პარტიის მეოცდაორე ყრილობის გახსნის დღეს, 17 ოქტომბერს სახელმწიფოს ჩავაბარებ 200 სულ ღორს. თითოეული გასუქებული ღორის წონა იქნება 80 კილოგრამი.

შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ვერა ლოლოევას.

— მე შარშან შემოდგომაზე დავიწყე მუშაობა, — ამბობს ვერა, — შევეჩვიე მუშაობას. ბევრი რამ ვისწავლე, ნუ დამძრახავს იუზა, თუ მასავით 300 ღორის გასუქებას ვერ ვკისრულობ, მაგრამ 250 ღორს უსათუოდ გავასუქებ. აქედან ყრილობის გახსნის დღისათვის სახელმწიფოს ჩავაბარებ 170 სულ ღორს. დანარჩენს ჩავაბარებ 20 დეკემბრამდე.

კოლმეურნეებმა ტაშითა და მოწონების შეძახილებით დაასაჩუქრეს მეღორე გოგონები.

პროფესორები გლეხებთან

კრების შემდეგ მე, ვანო და ინალი ღორღიანას ხეხილის ბაღისკენ გავეშურეთ.

ოცდაათი წლის თუ არის, არ ეტყობა ინალის. თმა ოდნავ კი შეთხელებია, მაგრამ ფართო შუბლს ქვემოთ ბრიალა თვალებში ჭაბუკური ცეცხლი უგიზგიზებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს მიაშურა ინალიმ და მალე კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ აირჩიეს. მესამე წელია კოლმეურნეობას თავმჯდომარეობს ინალი. ოლქში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა დღეს დმენისის კოლმეურნეობა.

ღორღიანას ხეხილის ბაღს მივადექით. გზიდანვე თვალი მოვკარი, ბაღის კიდეზე ვენახის ბოლოს გლეხების ერთი ჯგუფი მიწაზე წამომჯდარა და მათ წინ ფეხზე მდგარი რამდენიმე კაცი რაღაცას ესაუბრება მათ.

ჩვენ გზიდან ალაგებზე გადავალაჯეთ და ვენახის კიდეს გავყევით.

— ჩვენი პროფესორები არიან თბილისიდან, ამბობს ინალი.

მეხილეობის პროფესორები, ნიკოლოზ ხომეზურაშვილი და ლადო კალანდაძე ხშირად ჩამოუვლიან ხოლმე ამ ბაღებს. თვალს მოავლებენ აქაურობას, რჩევა-დარიგებას აძლევენ კოლმეურნეებს.

ახლაც შემოუვლიათ ბაღები, მერე თავი მოუყრიათ გლეხებისათვის და ესაუბრებიან მათ.

პროფესორებს მივესალმეთ.

მაღალმა, შავგვრემანმა, უკვე ხანში შესულმა პროფესორმა საუბარი განაგრძო.

გულდასმით უსმენენ გლეხები, შიგადაშიგ ეკითხებიან პროფესორს, ისიც უბრალოდ, მათთვის გასაგებად პასუხობს.

ბოლოს გლეხები ფეხზე წამოიშალნენ და კმაყოფილები გამოემშვიდობენ პროფესორებს. ვანო და ინალი პროფესორებს გაჰყვნენ.

მეხბორე და სახრე

ვიფიქრე, სოფლის სიგრძესა და განს თვალს გადავავლებ-მეთქი და შარას გავყევი.

ორღობეში ჩამოვლილ გლეხებს სალმის მიცემას ვერ ვასწრებდი.

ახალ წისქვილს მივუახლოვდი, წყლის ჩხრიალმა, დოლაბების გრუხუნმა და სარეკელას რიკრიკმა წისქვილში შემიტყუა. ფქვილში ამოგანგლული ჭაღარა მეწისქვილე მამა-შვილურად შემომხვდა. ორიოდე სიტყვით გავესაუბრეთ ერთმანეთს. საფქვავი ნუ გამოგილიოს-მეთქი, ვუსურვე მეწისქვილეს და შევყევი ზემო-დმენისის აღმართს.

ურემი წამომეწია. ურემზე ყმაწვილი იჯდა. თავაზიანად მომესალმა და მეც ნელ-ნელა ურემს ავედევნე. გამოვესაუბრე ჭაბუკს. ფერმაში მუშაობს თურმე მეხბორედ. ვალიკო რქმევია, გვარად ლოლათი ყოფილა. ხუთი წელია მეხბორედ მუშაობს და ჯერ არც ერთი ხბო არ დაკლებია, ყველა გამოუზრდია. წელს ოცდათორმეტი ხბო ჰყოლია. ოცი წლისას არა ჰგავს ვალიკო, თხელი, წვრილად დაყენებული ულვაშები რომ არ ჰქონდეს, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილი გეგონება.

საუბარში სკოლას გავცილდით.

— სად მიდიხარ ახლა? — ვკითხე ვალიკოს,

— ფერმაში.

რაკი ფერმაში მიდიოდა, ვიფიქრე, ბარემ ფერმასაც ვნახავ-მეთქი.

— აბა, მეც წამოვალ.

— კარგი, ბატონო. ცოტა მოშორებით არის. თუ იკადრებთ, ურემზე დაბრძანდით.

თუ იკადრებთო, ალბათ ამან უფრო მიბიძგა ურმისკენ. ხელი ჩავკიდე ჩხილას და ურემზე მოვექეცი, დავჯექი ყმაწვილის გვერდით.

ვალიკო მშვენიერი მოქართულე გამოდგა. საუბარში გავუშინაურდით ერთმანეთს. ოჯახურ პირობებს ხელი შეუშლია, ამიტომ სწავლა ვეღარ გაუგრძელებია. მისი დაც ფერმაში მუშაობს მწველავად.

სახრე კი ეჭირა ხელში, მაგრამ არც ერთხელ ხარებისთვის არ გადაუტლაშუნებია.

— ეს ხარები ჩემს ხელში დაიბადნენ და მე გამოვზარდე, ახლაც პატარები მგონია. აბა, მაგათ სახრეს როგორ შემოვუქნევ!

არხეინად მიალაჯებენ კოხტა და ნიშა. თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს ნელ-ნელა აქნევენ ისე, თითქოს სივრცეში ვიღაცას ან რაღაცას ერქინებოდნენ.

— აი, ამან, კოხტამ, — სახრით მანიშნა ვალიკომ ხარზე. — ძალიან გამაწვალა ერთხელ.

ავად გახდა ერთხელ კოხტა. ლამაზი და ჭკვიანი ხბო იყო. სავაცხურას მთაზე ჰყავდათ მაშინ საქონელი, საზაფხულო საძოვრებზე. ხბო ბოსელში დაუტოვებია მეხბორეს და ხბოები საბალახოდ გაურეკია. საღამოს კოხტა აღარ დახვედრია ბოსელში. ახლო-მახლო ეძება ვალიკომ, მაგრამ ვერსად იპოვა. მთელი ღამე იხეტიალა გაუვალ ტყეში, ღრანტეებში და იალაღზე, მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს გაწვიმდა. გულმა არ მოასვენა ვალიკო, ან მკვდარი უნდა ვნახო, ან ცოცხალიო, მხეცი თუ გადაეყარა, ძვლები მაინც დარჩებოდა სადმეო, ფიქრობდა ასე და დილიდანვე გავიდა თავსხმაში. მაინც ამაოდ. ასე გავიდა ორი კვირა. ერთ დღეს ხბოებს მიჰყვებოდა ბალახ-ბალახ. ძეძვნარში თავი შერგეს ხბოებმა. ერთ ბუჩქთან ელდანაცემივით შეჩერდა უცებ ვალიკო. ხედავს: ბუჩქის ძირას ხბო წევს. დაიხარა, ხელი შეახო და გმინვასავით აღმოხდა ჭაბუკს: „კოხტა!“. კოხტა ისე მისავათებული იყო, ძლივს ახელდა თვალებს. აიტაცა მეხბორემ ხბო, მკერდზე მიიკრა, ხბოებს მოუარა და სადგომისაკენ წარეკა. ხბოებმა თითქოს იცნესო დაკარგული მეგობარი, მეხბორის გარშემო ისე შემოჯგუფდნენ, ძლივს მიდიოდა ვალიკო, ზოგი ისე მიკუნტრუშობდა წინ, გეგონებოდა, სიხარულმა აიტაცაო. იმ დღიდან განსაკუთრებულად თვალი ეჭირა ვალიკოს კოხტაზე. გაიზარდა. ახლა, აი, აგერ, ურმის უღელს მიეზიდება კოხტა.

— აბა, ახლა ამას სახრე როგორ უნდა შემოვუქნიო!

მისურათი და რიფსიკი

მივუახლოვდით ფერმას. ლიახვს მაღლიდან გადმოსცქერის მთაზე შემდგარი ვანათის ციხის ნანგრევები. ნანგრევების ახლოს ცხვარი მოფენია მთის ფერდობს.

ბოსლის ღია კართან შეაჩერა ურემი ვალიკომ.

შევედი ბოსელში. მწველავებს ბაგები დაუსუფთავებიათ და ბოსლის ერთ კუთხეში შეჯგუფულან. ზოგი ბაგაზეა ჩამომჯდარი, ზოგი ფეხზე დგას, ზოგს ჩაუმუხლებია და ზურგით ბოძს მიყრდნობია. ახალგაზრდა შავთვალწარბა გოგონას, რომელსაც აკეცილი ნაწნავები ბოლოებით თმაზე მიუმაგრებია კეფასთან, გაზეთი გაუშლია და ხმამაღლა კითხულობს, სხვები გულდასმით უსმენენ, ხბოების შესახებ კითხულობს რომელიღაც სტატიას.

რა თქმა უნდა, ხელი შევუშალე მათ, მაგრამ, აბა, რას იზამ, სტუმარი სტუმარია. გავიცანი ისინი.

ფერმის საამაყო მისურათი და რიფსიკიც გავიცანი. რა შესანიშნავი გოგონებია! ოცი წლისანი არიან. თითოეული თექვსმეტ ძროხას უვლის. გარეგნულად არ გვანან ერთმანეთს, მისურათი შავგვრემანი, ტანთხელი, თითქოს უფრო მორცხვია, რიფსიკი კი ხორცშესხმული ქინქლილა ლოყებიანი, უფრო თამამი გოგონა ჩანს. მაგრამ საქმეში კი ერთნაირად ცეცხლწაკიდებული გოგონები ყოფილან. რიფსიკი სამი წელია მწველავად მუშაობს, მისურათი კი — ერთი წელია. მისურათს წელს ვალდებულებად აუღია ათას ექვსასი ლიტრი რძე მოწველოს თითოეული ძროხისაგან, რიფსიკს კი ათას ოთხასი ლიტრი.

ორივე კომკავშირელია და ორივე საამაყო მწველავი ფერმაში.

გაზეთს რომ უკითხავდა მეგობრებს, ეს მისურათი ყოფილა. ის აგიტატორიც არის თურმე.

მართალია, ფერმა მაინცდამაინც კეთილმოწყობილი ვერაა ჯერ, მაგრამ შრომისმოყვარე მწველავების წყალობით, საქმე რიგიანად მიდის. ფერმის მექანიზაცია გადაუწყვეტია კოლმეურნეობას. აი, ეს ძალიან კარგი იქნება. მექანიზაციისათვის ნაწილები უკვე შეუძენიათ.

ეს რომ მოეწყობა, მერე ამ გოგონების შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება.

კარგი მაყრებიც იქნებიან

ფერმიდან მინდორ-მინდორ წამოსვლა დავაპირე. წისქვილის წყალზე გადებულ საცალფეხო ხიდზე გადმოვედი, გავყევი ლიახვის ნაპირს. ოქროს მედალიონებივით მიმობნეულა აქ-იქ ყვითელი ყვავილები.

ერთგან ქალები ახალგაზრდა თუთებს მიდგომიან და ძირებს უბარავენ.

მოშორებით კაცები ვენახს შესევიან.

ეს კომუნისტური შრომის ბრიგადა ყოფილა. გავიცანი ისინი. ბრიგადაში სულ ახალგაზრდები არიან. მათ შესახებ ადრეც ბევრი რამ გამეგო. მათ შარშან რესპუბლიკაში სარეკორდო მოსავალი მიიღეს: ჰექტარზე ორმოცდაჩვიდმეტი ცენტნერის ნაცვლად ორასხუთი ცენტნერი ხილი. ბრიგადირი გრიგოლ საგათი ამიერკავკასიის მოწინავე კოლმეურნეთა თათბირის მონაწილეც იყო.

წელს ამ ახალგაზრდებმა ხილის, ჭარხლისა და ყურძნის გარდა, სიმინდის მაღალი მოსავლისთვისაც ენერგიულად იშრომეს. ბრიგადას ვალდებულება აუღია სამოცი ცენტნერი სიმინდი მიიღოს ჰექტარზე. ზოგიერთს კი ვალდებულებად აუღია ოთხმოცი ცენტნერი სიმინდი მიიღოს.

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო

ამ ბრიგადის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ხსარბეკ კვეზერათიმ. მუყაითი და ენაუთქმელი ბიჭია ის. ობოლია, უმცროსი ძმა სტალინირში ხელობას სწავლობს. ის მარტოა ახლა ოჯახში. ეზოში ახალი ნერგები ჩაუყრია. ნელ-ნელა აწყობს ოჯახს. ისეთი შრომისმოყვარე ყმაწვილია, მალე მზად იქნება საქორწილოდაც. ერთი კარგი გოგონა ობლობისა და მარტოობის სიგრილეს მოაშორებს იმის კერიას. კარგ ახალგაზრდა მეგობრებთან მუშაობს და კარგი მაყრებიც იქნებიან ისინი.

შეუნდოს საბრალო მამამ

ძველი საღორე მაინცდამაინც რიგიანი ვერ ქონიათ, მაგრამ ახალი საღორე აუშენებიათ უკვე ლიახვის ნაპირას, მალე აქ უნდა გადაიყვანონ ღორები. მაშინ გაიხარებს კოლმეურნეობის სასიქადულო მეღორე გოგონა ნატალია კვეზერათი.

რა კარგი გოგონაა ნატა!

ოცდაერთი წლის არის უკვე. მერვე წელია მეღორედ მუშაობს. მამამისი მუშაობდა მეღორედ, არ შორდებოდა მამას პატარა ნატა, უყვარდა გოჭები, მერე-და, იმდენი გოჭი ერთად! ისე შეეჩვია მათ, მერე სულ ვეღარ შორდებოდა მამის სამუშაოს. მერე მამა ავად გახდა. ოთხი წელი თბილისში, საავადმყოფოში იწვა საბრალო მამა. ნატალიამ მამის მაგივრად დაიწყო მეღორედ მუშაობა. მამა საავადმყოფოდან წერდა, მანდ მუშაობას თავი გაანებეო, საშენო საქმე არ არის მეღორეობაო, მაგრამ ნატალიამ საყვარელ საქმეს თავი ვერ მიანება. შარშან მამა გარდაეცვალა ნატალიას და დაჟინებული სურვილი, — მეღორეობას თავი გაანებეო, — საბრალო მამას თან გაჰყვა საფლავში.

რა ექნა გოგონას! შეუყვარდა ეს საქმე, ძილშიაც კი ჩაესმის პაწია გოჭების ღრუტუნი. მათი მოვლა და გაზრდა მოთხოვნილებად გადაექცა და ამიტომ ვერ შეასრულა მამის უკანასკნელი სურვილი.

მე რომ მასთან მივედი, ის პაწაწკინტელა გოჭებთან იყო ჩაცუცქული, რეზინის საწოვარათი რძეს ასმევდა ერთ გოჭს. ხუთი სხვა გოჭი ღრუტუნ-ღრუტუნით შეციცქინებდნენ ნატალიას.

— ობოლი გოჭებია, — მითხრა გოგონამ, — დედა მოუკვდათ და ახლა ასე ხელოვნურად ვკვებავ. მეცოდებიან საწყალები, უდედონი არიან. ამათ ისე დავზრდი, ცივ ნიავსაც არ მივაკარებ.

ახლა მეორე გოჭი ჩაისვა კალთაში ნატალიამ. საწოვარათი მიაწოდა რძე.

თითო დედაღორიდან წელს თხუთმეტი გოჭი უნდა მიიღონ ნატალიამ და მისმა მეგობრებმა. ამავე დროს ნატალია საღამოს სკოლაში სწავლობს მერვე კლასში.

პატარა ლამაზად მორთულ და სუფთა ოთახში, სადაც ისინი თავისუფალ დროს ისვენებენ, მაგიდაზე წიგნები აწყვია, საყვარელი მწერლების სურათები დევს. ფანჯარასთან თიხის ქოთნებით ყვავილებია.

იმ ოთახში შევედით.

სასიამოვნოა ნატალიასთან საუბარი. თავის თავზე ვერაფერს გეტყვის, გოჭების შესახებ კი ხალისიანად და ენაწყლიანად გელაპარაკება.

— ახალი საღორე ძალიან შეგვიწყობს ხელს მუშაობაში, — უხარია ნატალიას, — აქ სისუფთავეს ვერ ვიცავთ, ვერ ვათბობთ, შენობა არ გვიწყობს ხელს.

შარშან წითელწყაროში ყოფილა, დავით სეფიაშვილის ფერმა უნახავს, მოსწონებია ძალიან.

— ჩვენც გვინდა ჩიჟი და სეფიაშვილი გვყავდეს. რატომ არ უნდა გვყავდეს?! — ამბობს ეს სიცოცხლით სავსე გოგონა და მართლაც გჯერა, რომ მალე ის ტოლს არ დაუდებს ჩვენს ქვეყანაში ცნობილ მეღორეებს.

წელს კოლმეურნეებს ნატალია საოლქო საბჭოების დეპუტატად აურჩევიათ.

ნატალია ისეთი გოგონაა, რომ ხალხის ყველა დავალებას პირნათლად შეასრულებს.

შეუნდოს საბრალო მამამ, უკანასკნელი სურვილი რომ ვერ შეუსრულა საყვარელმა გოგონამ.

ვნახოთ, მამი!

სამოცდაშვიდი წლის მოხუცია ილია ვალითი. დაარსების დღიდან მუშაობს ის კოლმეურნეობაში. როგორ ყოჩაღად არის ახლაც! ექვსი შვილის მამაა ილია. სამამულო ომშიც ყოფილა და იქ მიღებული ჭრილობის გამო ფეხი ახლაც ტკივა, მაგრამ სამუშაოს რომ მიადგება, ორი კაცის საქმეს ყოველთვის აკეთებს.

ჭაღარა ვერ შეპარვია მის შავ თმას. ჟანგისფერი სახე და კეხიანი ცხვირი ვაჟკაცურ იერს აძლევს ახლაც ბერიკაცს. დაღლა რა არის, არ ვიცით, ასე გაიძახის ილია.

სამი ქალი და სამი ბიჭი ჰყავს ილიას. სამ ბიჭთაგან ერთი, იასონი, წელს ჯიბრში ჩაუდგა. კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ილიამ ვალდებულება აიღო ჰექტარზე ოთხმოცი ცენტნერი სიმინდი მოიწიოს.

ადგა იასონი მაშინ და საჯაროდ განაცხადა. მე ოთხმოცდაათ ცენტნერს მოვიწევო, და სახალხოდ მამა შეჯიბრში გამოიწვია. ეამა გულში ბერიკაცს, ეს მისი სისხლი და ხორცი ეჭიდება მასვე. უფრო მოჭარბდა მასში გლეხური სისხლი და სიამაყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლაც ხშირად გადაულაპარაკებს ხოლმე ილია შვილს:

— მოსავლის დღეები კარს მოგვადგა, ბიჭო, ძალიან აქავებული გაქვს რქები?

იასონი გაუღიმებს ხოლმე მამას და თითქოს არ ეწყინოსო თავისთვის ჩაილუღლუღებს:

— ვნახოთ, მამი!

ილია თვალს გააყოლებს საქმეზე მიმავალ ჭაბუკს და გულში გზას ულოცავს შვილს.

ასეა, ჩვენს დროში ასეთი ფორმა მიიღო თაობათა შორის ჭიდილმა. ილია გლეხიკაცია, ფარ-ხმალს არ დაყრის, სანამ შეუძლია, შეეცდება შვილს აჯობოს, მაგრამ თუ იასონმა გაიმარჯვა მასთან ჭიდილში, ეს უფრო გაუხარდება ბერიკაცს, რადგან კარგად იცის გამოცდილმა გლეხკაცმა:

„ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ჩემო ინალი

რამდენიმე დღე დავყავი თქვენთან, ჩემო ინალი. ეს შთაბეჭდილებანი, რაც თქვენგან გამომყვა, ამ ნარკვევით გაგიზიარეთ.

ბევრი ოსი მეგობარი მყავს, ჩემი ფრონტელი მეგობრის ხსარბეკის ნათელი ხსოვნა ის ლამპარია, რომელიც მუდამ თქვენსკენ მიწვევს, გზას მინათებს მეგობრობისა და ძმობისაკენ. თქვენთან ყოფნის დროსაც ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე. გადაეცი მათ ჩემი გულწრფელი სალამი.

სულ თვალწინ მიდგას თქვენი ლიახვის ხეობა, ხეხილის ვრცელი ბაღები, შრიალა ყანები, გორიდან ლიახვზე გადამდგარი ვანათის ციხის ნანგრევები.

შემოდგომის ხვავითა და ბარაქით ავსებულ კალთებს მალე ჩამობერტყავთ. თქვენ უსათუოდ, უსათუოდ შეასრულებთ ყველა ვალდებულებას.

ქორიწლების დრო ახლოვდება, ჩემო ინალი.

მე თვალწინ მიდგას თქვენი შესანიშნავი ახალგაზრდები: ხსარბეკი, ილია, ნატა, ვერა და სხვები.

მათი ქორწილები არ გამომპარო, ჩემო ინალი.

ისინი ახლა იმ ოჯახებს შექმნიან, რომელთაც კომუნიზმის დიადი მზე გაათბობს.

მე მინდა ისინი ვადღეგრძელო და დავლოცო.

ნახვამდის, ჩემო ინალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ კოკილაშვილი

მოქალაქეობრივი საქმე

თუმცა ბათუმსა და ქობულეთში მრავალჯერ ვყოფილვარ, მაინც არ შემეძლო მეთქვა, რომ აჭარას კარგად ვიცნობდი. ახლა „ნავსი გატყდა“ და აჭარის მთიანეთისაკენ გავწიე.

ძალზე ვინანე, რომ ასე დაგვიანებით მოვხვედი აქეთკენ. ნამდვილი აჭარა აქა ყოფილა, საქართველოს ამ წარმტაცი მხარის ძველი ისტორიული ბედუკუღმართობის მაუწყებელი ძეგლები აქ შემონახულა და თითქოს ყველაზე მეტად აქ იგრძნობა ახალი საბჭოური ცხოვრების დიადი მაჯისცემა.

ნამდვილად ასეა, არ ვაჭარბებ.

ვისაც არ სჯერა, ინახულოს ქედისა და შუახევის რაიონები, აყვეს ცოტა ზემოთ — ხულოსაკენ, გაეცნოს ამ რაიონის სოფლებს. მათ მკვიდრთ და უმალ დარწმუნდება ჩემს ნათქვამში.

ამ კუთხის ბუნების მომხიბვლელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, გულს ახარებს ჩვენი სამშობლოს ამ საზღვრისპირა რაიონის მშრომელთა ჭეშმარიტი ქართველობა, შრომისმოყვარეობა, მშვიდობისმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა.

ჩვენი ერის წარსულის ბევრი ფასდაუდებელი ძეგლი ინახება აქ. ჯერ კიდევ ვალად ადევს ჩვენს ინტელიგენციას მათი ყოველმხრივი შესწავლა.

ხულოში ამხანაგებმა მირჩიეს მენახა სოფლები დიოკნისი, რიყეთი, დანისპარაული, შორით მაინც მომეკრა თვალი ბეშუმისათვის, რომელიც თავისი საკურორტო თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება რესპუბლიკის განთქმულ მაღალმთიან კურორტებს.

ჩვენი მანქანის მძღოლი ისკენდერ სეფერისძე შავაძე თავისუფლად მიანავარდებს „კოლხზნიკს“ დაკლაკნილი გზების სამყაროში. მე ბევრი მიმოგზაურია, ვყოფილვარ ცაგერსა და მესტიაში, მთათუშეთსა და დაღვსტნის მთიანეთის ბილიკოვან კლდე-კარზე, მაგრამ ასე უშიშრად, მინდობილად არსად არ მიმგზავრია. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ჩემმა თანამგზავრმა, ახალგაზრდა ჟურნალისტმა დავით ბორჩხაძემ მითხრა:

— ჩვენი ისკენდერი ომგამოვლილი შოფერია, შეგიძლია გულდანდობილი იყო, ხელიხგულივით იცნობს ამ გზებს.

მეც ადვილად მივენდე ნაომარი შოფრის გამოცდილებას, რადგან უნებლიეთ ფრონტი და იქაური გზების სიძნელე გამახსენდა.

1943 წლის სექტემბერში, ნოვოროსიისკის განთავისუფლების შემდეგ, გერმანელთა ყბადაღებული, „ცისფერი ხაზის“ სიმაგრეების საიერიშოდ მიდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები, მათ შორის 414-ე ქართული დივიზიაც, რომლის წითელარმიულ გაზეთ „სამშობლოს დამცველს“ ვრედაქტორობდი. ჩვენი სტამბა-რედაქცია მოწყობილი იყო „ზის-ის“ ტიპის სატვირთო ავტომანქანაზე. მის საჭეს უჯდა ჩაფსკვნილი კასპელი, ყოფილი ფალავანი გოგი გეჯაძე. ავტოასეულიდან ახლად იყო ჩვენთან მოსული და კარგად არ ვიცნობდი, ნოვოროსიისკს რომ გავცდით, გზის მარჯვნივ ტელეგრაფის ბოძზე მიკრულ ფანერზე ამოვიკითხეთ: „იარეთ ფრთხილად, ერიდეთ „სიურპრიზებს“! მაშასადამე გზაზე მოსალოდნელია განაღმვის შემდეგ ჩარჩენილ ნაღმს წააწყდე. გეჯაძემ დიდი მოხერხებულობა გამოიჩინა ამ უბანზე გასვლისას. ეს მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა ჩვენს უკან, ხუთიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ზედიზედ აფეთქდა ორი ავტომანქანა. მაშინ გეჯაძის მოხერხებულობამ გვიხსნა. თუმცა ახლა აქ მსგავს „სიურპრიზებთან“ არ გვქონდა საქმე, მაგრამ ძალზე მიხვეულ-მოხვეულ გზებზე სიარული მანქანის (მძღოლისაგან დიდ სიმარჯვეს მოითხოვდა. ისკენდერს ეს სიმარჯვე არ აკლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მეტად მახვილ მოსახვევში გზის მაჩვენებელმა გვაუწყა „ღორჯომამდე 10 კილომეტრი“. ისარი მარცხნივ შებრუნებული დაგვრჩა, ჩვენ კი მარჯვნივ გავუხვიეთ და აღმართს შევუდექით.

— ღორჯომისაკენ რომ წავსულიყავით, ჩემს სოფელსაც ვინახულებდით, — თავისთვის გულნაკლულად ჩაილაპარაკა ისკენდერმა.

— კარგია თქვენი სოფელი, ისკენდერ? — ალალგულად შევეკითხე.

— როგორ გითხრათ, — შეიშმუშნა მძღოლი, — ნათქვამია ყვავსაც თავისი ბახალა უყვარსო. ასეა ჩემი საქმეც. მე კი ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი და სხვისა რა მოგახსენოთ.

— ყველას უყვარს დიდაჭარა, — ჩაერია ახლა დავით ბორჩხაძე,—მას მოჭადრაკეთა სოფელს ეძახიან და მთელს აჭარაშია განთქმული.

— მოჭადრაკეთა სოფელს?! — გავიკვირვე.

— დიახ, მოჭადრაკეთა სოფელს ეძახიან დიდაჭარას. — გაიმეორა ბორჩხაძემ.

— ნამდვილად საინტერესოა, დღემდე ასეთი რომ არ მსმენია. — ვთქვი ჩემთვის და ვთხოვე მით უფრო დაწვრილებით ეამბნათ ამის შესახებ.

— იქნებ როგორმე მოახერხოთ ჩვენს სოფელში წამოსვლა, იქ სხვასაც ბევრ საინტერესოს ნახავთ. — გულით თქვა ისკენდერმა.

— ვნახოთ...

უკან დაგვრჩა სოფლები დიოკნისი, რიყეთი, დანისპარაული. ირგვლივ აშოლტილი ნაძვებია. მომაჯადოებელია გარემო. რაც უფრო ზევით ავიწიეთ, რძესავით თეთრ ნისლში შევცურეთ. ისკენდერმა ფარები ჩართო. შუქზე ვამჩნევთ, რომ ცრის, ვიგრძენი სიცივის სუსხიც.

— ბეშუმამდე რომ მივაღწევდეთ, კარგი იქნება. — გამოთქვა სურვილი თენგიზ ხომერიკმა, — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მუშაკმა.

მაგრამ იქამდე ვერ მივაღწიეთ, გოდერძის უღელტეხილზე რომ აკედით, ნისლი და თქეში ერთმანეთში აირია, გადაწყდა აქ დავრჩენილიყავით და ღამე „გენჯალას“ სასტუმროში გაგვეთია.

— ზღვის დონიდან 2.200 მეტრზე ვართ. — გვაცნობა ისკენდერმა.

— ალბათ შიმშილსაც ამიტომ ვგრძნობთ. — იხუმრა დავითმა.

იხუმრა კი არა, ასე გამოვიდა, მალე დავნაყრდით. ცხელმა ჩაიმ გოდერძის უღელტეხილზე ძარღვები გაგვითბო. ბიჭებს ლაპარაკის საღერღელი აეშალათ. მოყვნენ ამ მთისას, იმ მთისას. გაიხსენეს ძველი ამბები, ბევრი აღიდგინეს მეხსიერებაში, თითქოს არაფერი გამორჩენიათ, რაც აჭარის მხარეს ეხებოდა.

დრო ზლაზვნით გადიოდა. სამწუხაროდ რადიო არ იყო, რომ ჩვენი სამშობლოს სამხრეთის ამ საზღვრისპირა შორეულ უბანზე შოგვესმინა თბილისისათვის, მოსკოვისათვის, გაგვეგო ქვეყნის ამბები...

— მაშ თქვენს დიდაჭარას მოჭადრაკეთა სოფელს ეძახიან? — მივმართე ისკენდერს.

— დიახ.

— საიდან მიიღო ეს სახელწოდება თქვენმა სოფელმა?

— ეს დიდი ისტორიაა.

— გთხოვთ გვიამბოთ.

— კეთილი, საშური მაინც არაფერი გვაქვს. რაც ვიცი, გიამბობთ, — სთქვა ისკენდერმა და მეტად საინტერესო ამბავი მოგვითხრო თავისი მშობლიური სოფლის შესახებ.

*

სიბნელე და უმეცრება იყო გამეფებული რევოლუციამდელ დიდაჭარაშიც.

ხალხი დაკონკილ-დაძონძილი, მშიერ-მწყურვალი დადიოდა. სულთანის თურქეთის სამასწლიანმა ბატონობამ აჭარა თითქმის გადააშენა, მაგრამ აჭარლებს ქართველობა ვერ წაართვა, ვერ დააკარგვინა. ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ თავისებური „სიახლე“ შემოიტანა საქართველოს ისტორიულად ტანჯულ ამ მხარეში, ხოლო ჩიტირეკია მენშევიკებს თავიანთი ბატონობის სამი წლის განმავლობაში ერთი ღერი კვარიც არ შეუტანიათ აჭარის მთიანეთში.

მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე დაჰქროლა ჩრდილოეთიდან მონაბერმა ახალი ცხოვრების ქარიშხალმა. ნაცარტუტად აქცია ყველაფერი ძველი და 1921 წლის 18 მარტიდან მთელი აჭარა ახალი საბჭოური ცხოვრების ნათელ გზას დაადგა.

ხულოს რაიონშიც ამოვიდნენ ახალი ცხოვრების მშენებლები. სოფლებში გაიხსნა სკოლები. ამოძრავდნენ ხოჯა-მოლები, დაიწყეს ბოროტი სისინი საბჭოთა სკოლების, ახალგაზრდა პედაგოგ-მასწავლებლების წინააღმდეგ. ისინი აწყობდნენ საბოტაჟს ახლადგახსნილი სკოლების საწინააღმდეგოდ, მოსახლეობაში ქადაგებდნენ— ბავშვებს ნუ მიიყვანთ ურჯულო ბოლშევიკების სკოლებში, იქ თქვენი შვილები გადაგვარდებიანო.

მძიმე კლასობრივი ბრძოლები მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მთელს აჭარაში, განსაკუთრებით კი მის მთიანეთში.

სოფელი დიდაჭარა გამონაკლისი როდი იყო. იქაც ჭარბობდა მტრის ხელი, ახლადგახსნილ სკოლას ბავშვები გაურბოდნენ, მათი მშობლები მასწავლებლებს ამრეზილად უცქეროდნენ, ამ „უღმერთოებისა“ არაფერი სწამდათ.

სწორედ ამ პერიოდში დიდაჭარის სასოფლო სკოლას მასწავლებელ-დირექტორად მოვლინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია თბილისიდან გამოგზავნილი მიხეილ (მიშა) ბოცვაძე. იგი ძლიერი ნებისყოფის, მეტად განათლებული და უაღრესად სათნო კაცი ყოფილა. სოფელში ჩამოსვლისთანავე ხალხში გასულა, სასკოლო ასაკის ბავშვების აღწერა ჩაუტარებია და მათი მშობლების კრების ჩატარება განუზრახავს. მაგრამ არც ბავშვები და არც მათი მშობლები სკოლას არ გაჰკარებიან.

ბოცვაძეს ფარხმალი არ დაუყრია: ხალხს ერთი დღითაც არ გასთიშვია, ვინც ყველაზე მეტად ერიდებოდა, იგი მისი ხშირი სტუმარი გამხდარა. საუბარს — საუბარი მოსდევდა, დღეს — დღე, კვირას — კვირა. ახალმა სძლია ძველს. გალხვა დაყამირებული, ხოჯა-მოლების ისლამის ქადაგებით ხავსმოდებული მშრომელი გლეხიკაცის გული.

— რა გამოვა ჩემი შვილი, ჭო, შენთან რომ მოვიყვანო? — ხშირად უკითხავს ამა თუ იმ გლეხს ბოცვაძისათვის.

— თუ კარგად ისწავლის, შეიძლება გამოვიდეს ინჟინერი, ექიმი, აგრონომი.

— რა ხალხია ეგენი, ჭო, არ იტყვი?

— მაგასაც მოგახსენებთ, ჩემო ბატონო: ინჟინერი მშენებელია, აშენებს სახლებს, გზებს, ხიდებს, სკოლებს...

— არა, ჭო, ეგ არ მინდა.

— მაშინ ექიმობა ,ავჯობებს, — დაჟინებით განუმარტავდა მოსაუბრეს მიხეილ ბოცვაძე, — მთელ ამ მხარეში რომ ერთი ექიმი არა გყავთ, განა კარგია?

ადამიანი რომ სახადით გახდეს ავად, ვინ უნდა უმკურნალოს?

— ჩვენმა ხოჯამ, თუ გინდა, მოლა ხომ გვყავს? — იყო პასუხი.

— ეგ შეიძლებოდა ძველად. თქვენი შვილი რომ ექიმი გამოვიდეს, მთელი ხალხის მკურნალი ექნებოდა.

— შენ დაგვცინი, ჭო! აჭარელი და ექიმი ვის გაუგია?

— თუ დღემდე არ გაუგიათ, მალე გაიგებენ. ნამდვილად ვამბობ.

ასეთი გულითადი, უბრალო დამოკიდებულებისათვის ძლიერ შეყვარებიათ დიდაჭარლებს მასწავლებელი მიხეილ ბოცვაძე. მალე სკოლისაკენ დაძრულან ბავშვები. პირველ გაკვეთილებს ბავშვების მშობლებიც დასწრებიან. მოუსმენიათ ბოცვაძის საუბარი, ძალიან მოსწონებიათ, ამის შემდეგ თურმე ყველა საჭირბოროტო საკითხზე მას მიმართავდნენ.

ასე გადიოდა თვეები. მასწავლებელი ბოცვაძე თავდადებულად ემსახურებოდა თავის კეთილშობილურ საქმეს. იგი მარტო ბავშვებს კი არ ასწავლიდა, გლეხებსაც ეხმარებოდა ყველაფერში. მეტად გაუჭირდა ბოცვაძეს სკოლაში გოგონების ჩაბმა. მაგრამ დაბრკოლება აქაც გადალახა და პირველ ხანებში სკოლაში ორიოდე გოგონას მიზიდვა მაინც შესძლო.

ბოცვაძე ჭადრაკის დიდი მოყვარული ყოფილა. მაგრამ მაღალმთიანი აჭარის ამ სოფელში ვისთან შეეძლო ეთამაშა ჭადრაკი! ზამთრის **გრძელ ღამეებში გაშლიდა** ჭადრაკის დაფას, განალაგებდა მასზე ფიგურებს და თვითონ ეთამაშებოდა თურმე თავისთავს. ამ გარემოებას მიუპყრია მისი სახლის პატრონის — ცოტად თუ ბევრად სოფელში გამოსული გლეხის ყურადღება. ერთ ღამეს მას შორიდან მოუკრავს თვალი ბოცვაძისათვის, რომელსაც თავი ორივე ხელებში ჩაერგო და მაგიდაზე გაშლილ რაღაც „სათამაშოებს“ ჩაფიქრებული დასცქეროდა. სახლის პატრონს ვეღარ მოუთმენია და ფეხაკრეფით ისე შესულა მდგმურის ოთახში, რომ ბოცვაძეს არც კი შეუმჩნევია.

— ეგ რა გაგიშლია, ჭო, ხომ არ ლოცულობ? — მიუმართავს მასწავლებლისათვის.

— არა, ჩემო ასლან, კი არ ვლოცულობ, თავს ვიქცევ ამ თამაშით.

— რა არის ეგ?

— ჭადრაკია, ასლან ბატონო.

— ჭადრაკი! რა არის ეგ ჭადრაკი?

იმ ღამეს ბოცვაძეს მოკლედ განუმარტავს ასლანისათვის ჭადრაკის წარმოშობის ისტორია და მისი თამაშის წესები.

— ძნელი ყოფილა, ჭო, — შეუნიშნავს ასლანს, — მაგას მარტო შენისთანა ნასწავლი კაცი უნდა.

— მართალია ცოტა რთულია, მაგრამ შეიძლება თქვენს სოფელშიც გაიზარდონ ჭადრაკის მოთამაშეები. არც ამის იმედს ვკარგავ.

— შენ, ჭო, ძალიან კაი კაცი ყოფილხარ! — უთქვამს ასლანს და გაუხურავს კარი.

*

მასწავლებელს ამ მთის სოფელში რა უნდა გაეკეთებინა ზამთრობით, როცა მეზობლები ყინვა-თოვლში ერთმანეთთანაც ვერ ახერხებდნენ მისვლა-მოსვლას.

არ იყო კლუბი, არ იყო რადიო და კინო. ზოგჯერ ნავთიც არ იშოვებოდა. ცეცხლის შუქზე წიგნების კითხვაც მოსაწყენი, დამქანცავი აღმოჩნდა.

„ხსნა ჭადრაკშია“, გაიფიქრა ბოცვაძემ და გადაწყვიტა მეორე დღიდანვე შესდგომოდა ჭადრაკის სწავლების საქმეს.

ორიოდე თვის შემდეგ ბოცვაძემ მოსწავლეთა შეჯიბრებაც კი მოაწყო ჭადრაკში. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყოველ კვირა დღეს იგი სკოლაში მართავდა ჭადრაკში თამაშს მოსწავლეებთან. გლეხები დიდად დაინტერესდნენ ამ თამაშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭადრაკი უფრო ვაჟკაცური სათამაშო ყოფილა, ჩვენც გვასწავლე აგი თამაში! — მიუმართავთ დაინტერესებულ ახალგაზრდებს ბოცვაძისათვის.

მასაც სიამოვნებით მოუკიდია ამ საქმისათვის ხელი და დაუწყია ჭადრაკის სწავლება დაინტერესებული გლეხი ახალგაზრდებისათვის. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მისი სკოლის მოსწავლეები.

გავიდა თვეები, წლები და დიდაჭარაში გაჩნდნენ გლეხი მოჭადრაკეები. სასოფლო მაღაზიაში დიდი მოთხოვნილება იყო ჭადრაკზე. მოიტანდნენ ხუთიოდე კომპლექტს და იმავე დღეს იყიდებოდა. ჭადრაკის მოყვარული გლეხები ერთმანეთს ჯერ ოჯახში ეჯიბრებოდნენ, შემდეგ უბნებში, ბოლოს კი ბოცვაძის თაოსნობით სასოფლო მასშტაბითაც მოეწყო შეჯიბრება. მაშინ ამას ორგანიზაციული ხასიათი არ ჰქონდა, არც დაინტერესებულა ვინმე ამ მეტად საყურადღებო მოვლენით.

ასე რომ რამდენიმე წლის განმავლობაში დიდაჭარის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი დაეუფლა ჭადრაკის თამაშს. წარმოიდგინეთ, ქალებიც კი, რომელთაც ცოტაოდენი განათლება მაინც გააჩნდათ, დაინტერესებულან ჭადრაკის თამაშით და მამაკაცების შეუმჩნევლად, როცა ისინი სახლებში არ იყვნენ, თავიანთ ბავშვებთან ან მეზობლებთან თამაშობდნენ ჭადრაკს. ამ დროს „მწვრთნელები“ ყოფილან მათი მოსწავლე შვილები.

დიდი სამამულო ომის წინ ამ სოფელს უკვე გამოცდილი მოჭადრაკეებიც ყოლია, რომლებიც აჭარის პირველობაშიც კი იღებდნენ თურმე მონაწილეობას. ამ სოფლის მკვიდრი, როგორც ისკენდერმა გაიხსენა, ზია წულუკიძე, ჭადრაკში სოფლის ჩემპიონი ვამხდარა, შემდეგ მას მონაწილეობა მიუღია საოლქო შეჯიბრებაში ბათუმში, გაუმარჯვნია და იქიდან კი მოსკოვში გაუგზავნიათ.

— ამ წულუკიძეს, — განაგრძო ისკენდერმა, — ჰქონია ბედნიერი შემთხვევა ეთამაშნა ჩვენი ქვეყნის განთქმულ მოჭადრაკესთან, იმ დროს სსრ კავშირის ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკთან. ახალგაზრდა აჭარელ მოჭადრაკეს ბოტვინიკთან შეხვედრა ყაიმით დაუმთავრებია და მისი ქება დაუმსახურებია. კარგი ჭაბუკი ყოფილა. დიდი სამამულო ომის დროს ფრონტზე წასულა და იქიდან აღარ დაბრუნებულა. გმირულად დაცემულა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში...

დღეს დიდაჭარაში დიდი და პატარა თამაშობს ჭადრაკს. იშვიათია ოჯახი, რომ ჭადრაკი არ ჰქონდეს. ამიტომ ეძახიან დიდაჭარას მოჭადრაკეთა სოფელს.

დიდაჭარა მარტო მოჭადრაკეებით როდი ამაყობს. მას ახლა ვეღარ იცნობს, ვისაც ეს სოფელი ამ სამი ათიოდე წლის წინათ უნახავს. სოფელში გახსნილია საშუალო სკოლა, საექიმო პუნქტი, კლუბი, ბიბლიოთეკა, ფოსტა, მაღაზია, სასადილო, პურის საცხობი. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. სისტემატურად იმართება კინოსეანსები.

— ახლა ჩვენი სოფლელები, — თქვა დასასრულ ისკენდერმა, — ხშირად იგონებენ თავის განმანათლებელ მასწავლებელ მიშა ბოცვაძეს, რომელმაც ჩვენს სოფელში ჭადრაკის თამაშს საფუძველი ჩაუყარა. იქნებ შეხვდეთ სადმე მას, როგორც გავიგეთ თბილისში ყოფილა, გადაეცით დიდაჭარელთა მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები, ისიც უთხარით: ძალიან გაგვახარეთ, თუ გვინახულებთ-თქო...

საინტერესო საუბარში შუაღამე გადასულიყო. გარეთ გავიხედეთ, ამ სიბნელეში გოდერძის უღელტეხილიდან ნათლად მოჩანდა საბჭოთა აჭარის შორეული მთის ფერდობებზე შეფენილი სოფლების კაშკაშა ჩირაღდნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ღვინიაშვილი

ჰავანა

ჰავანა. ვალე (ხეობა) დე ვინალისი. პროვინცია პინარ დელ რიო. დაბა ელ-კანო. პლაჟი ვერადერო. სანტ-იაგო.

ჰავანაში 4 იანვარს ნაშუადღევს ჩავფრინდით. აეროპორტის სადგურზევე ვიგრძენით მასპინძლების გულთბილობა. თვითმფრინავშივე შემოგვესმა მუსიკისა და სიმღერის ხმები, საესტრადო კოსტუმებში (ყავისფერი შარვალი, შავი თხელი წინდები, მუქი ლურჯი ფართომკლავებიანი ხალათები) გამოწყობილი ბიჭები გიტარებითა და ჩხარუნებით დაგვხვდნენ. ჩვენ არაფერი ვიცოდით იმ მღელვარების შესახებ, რომლითაც მთელი ჰავანა იყო თურმე მოცული. არც ჩვენს დამხვდურებს ეტყობოდათ რამე! შავი მსუბუქი მანქანები მიგვაქროლებს შესანიშნავ შოსეზე. თვალს გვჭრის ჰავანის განთქმული სიგარისა და კოკა-კოლას უზარმაზარი რეკლამები. თითქმის ყოველ ნაბიჯზე თვალს იტაცებს წარწერები „ინრა“ — აგრარული რეფორმის ნაციონალური ინსტიტუტი; „ინავ“ — საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ნაციონალური ინსტიტუტი. ეს ორი წარწერა მთელ კუბას ამშვენებს, რადგან მიწა და ბინა კუბელი ხალხისათვის სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენს; სახლების ფარდულების კედლებსა და ბოძებს ამშვენებს პლაკატები: „1961 წელს უნდა მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა“, „ის არ არის კუბელი, ვინც ამას ვერ წაიკითხავს: „ბედნიერება“, ან კიდევ „პატრია ო მუერტე“ — სამშობლო ან სიკვდილი. ასეთი პლაკატებისა და რეკლამების ნახვამ ჯერ კიდევ ქალაქში შესვლამდე გვაგრძნობინა, თუ რა საოცარ ქვეყანაში შევდიოდით. ძალზე გვიხაროდა, რომ დავათვალიერებდით ჰავანას, ანტილიის კუნძულების ამ მარგალიტს, რომელსაც მექსიკის ზღვის ტალღები ელამუნება.

და აი... შევედით ჰავანის ცენტრში, სასტუმრო „რივიერაში“. მაგრამ დახეთ, რა სურათია! ხალხი ჩოჩქოლობს, ზღვის სანაპირო გადათხრილია. აღმართულია საზენიტოები, ჩვენი სასტუმროს წინ დიდ თხრილს თხრიან, სილით სავსე ტომრებით მოფენილია არა მარტო ჩვენი სასტუმროს წინამოედანი, არამედ სახლების სახურავებიც; ჩვენი სასტუმრო სავსეა პატრულებით. შეიარაღებულია მთელი ჰავანა. არა მარტო ახალგაზრდები, მოხუცები და ბავშვებიც კი მთლად იარაღში სხედან. აგერ დატვირთული საბარგო მანქანების მწკრივი, შუაში ხალხი, რომელიც შეიარაღებულ ჯგუფს მიჰყავს. არაფერი გვესმის! ჩვენ ხომ ჩიტებივით ცაში ვიყავით მთელი კვირის განმავლობაში; გაზეთები თვალით არ გვინახავს, რადიოსთვის არ მოგვისმენია და რა ხდება ქვეყნად. არაფერი ვიცით. მაგრამ ჰავანის მღელვარება, ქოთქოთი ჩვენც სწრაფად გადაგვედო. ჩვენი სასტუმროს მეთვრამეტე სართულიდან მთელი ჰავანა ხელისგულივით ჩანს, მაგრამ ზღვის ლამაზი პეიზაჟის ცქერისთვის აღარ გვეცალა. დავბინავდით თუ არა, მაშინვე, დაბლა, ვესტიბიულში ჩავედით, რათა მომხდარი ამბები გაგვეგო.

მალე გავიგეთ საქმის ვითარება: კუბა ამერიკის თავდასხმის მოლოდინშია, სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტასთან და ჰავანიდან ამერიკელების სავაჭრო საელჩოს მოხელეთა განდევნის გამო... ამგვარად ჩვენ მოწმე და მონაწილე უნდა ვყოფილიყავით ჰავანის მღელვარე დღეებისა, მიტინგებისა და დემონსტრაციებისა. ერთ წამსაც არ მოგვკარებია შიში და არც ჩამოსვლა დაგვნანებია. პირიქით, მიუხედავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ღამის უძილობისა (ზოგჯერ საიდანღაც სროლის ყრუ ხმა მოისმოდა), რაღაც შინაგან კმაყოფილებასაც კი ვგრძნობდით, რომ ამ ვითარებაში გმირ კუბელ ხალხთან ვიყავით. მათმა რევოლუციურმა განწყობამ ჩვენც სწრაფად აგვიყოლია, მხოლოდ ის გვაოცებდა, რომ მიუხედავად ასეთი აბობოქრებული მდგომარეობისა, ერთი დღითაც არ შეწყვეტილა ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრება, მოძრაობა, მხიარულება, სიმღერა და თავდადებული შრომა... შრომა, ტრაბახა, როგორც შრომას ეწოდება ესპანურად. ორი კვირის განმავლობაში გულისყურით ვუსმენდით ჩვენს მუდმივ გიდს ხანშიშესულს, მაგრამ მხიარულს, ენერგიულ **მიჩელ ანგელ პენაალვერს,** რომელიც არ იშურებდა დროს, რათა რაც შეეძლო მეტი მოეთხრო კუბის წარსულსა და აწმყოზე. მას უხაროდა, რომ წილად ჰხვდა მეორე საბჭოთა დელეგაციის თანხლება.

*

ვესტ-ინდოეთის მრავალ კუნძულთა შორის დიდი ანტილიის კუნძულთა ჯგუფში კუბა ყველაზე უდიდესი კუნძულია კარაიბის ზღვაზე. კუბას თავისი ადგილმდებარეობით, სილამაზით, ბუნებრივი სიმდიდრით ვერ შეედრება ვერც ერთი კუნძული, ოომლებსაც ჩვენ ციდან დავყურებდით ფრენის დროს.

კუბა სულ სხვაა! მას დიდი ტრაგედია, ტანჯვა-ვაება გამოუვლია, დიდ ქარ-ცეცხლში გატარებულა, მაგრამ იგი დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაბადებულა და ასეთად დარჩება, კუბა ვერ შეურიგდა ამერიკის ბატონობას, ვერ აიტანა მისი ქვეშევრდომობა. ამიტომ კუბელი ხალხი ცდილობდა თავი დაეღწია არამკითხე პატრონისაგან. კუბას თუნუქის, რკინის, თუჯის, ნიკელის, ნავთობის უმდიდრესი საბადოები გააჩნია. მაგრამ ყველა ეს სიმდიდრე ეკუთვნოდა ან ადგილობრივ მიწის მეპატრონეს, ან უცხოელებს. ქვეყნის ეს სიმდიდრე მიმობნეულია პატარ-პატარა კუნძულებზე. ამ კუნძულთა შორის ყველაზე დიდი პინოსოა. პინოსო ეგზოტიკური კუნძულია, როგორც აღწერს რობერტ ლუის სტივენსონი თავის ცნობილ რომანში „განძის კუნძული" (გასულ წელს ქართულად გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა"). ეს კუნძული ძველად პირატების ბაზა ყოფილა. აქ ინახავდნენ ისინი თურმე დატაცებულ ქონებას.

ქრისტეფორე კოლუმბმა, რომელიც პირველად 1492 წელს ეწვია კუნძულ კუბას, თურმე წამოიძახა: „უმშვენიერესი მიწაა ყველა მიწათა შორის, რომელიც ოდესმე კაცის თვალს უნახავსო!".. ეს თქმა კუბაზე ზედგამოჭრილია! სწორედ ამ უმშვენიერესი მიწის დასაპყრობლად ესპანეთის მთავრობამ გაგზავნა ექსპედიცია დიეგო დე ველასკესის მეთაურობით 1511 წელს. ესპანელებმა არა მარტო დაიპყრეს ეს უმშვენიერესი ქვეყანა, არამედ გააჩანაგეს კიდევაც. მათი ვერაგობა წარმოუდგენელიც კია: **ძირეული** მშვიდობიანი მოსახლეობა — ინდიელების ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი მონებად აქციეს. აუტანელი შეექმნა თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის ცხოვრება ესპანელთა ბატონობის უღელქვეშ. გაქცევა და თვითმკვლელობა მიზნად გადაიქცა გადარჩენილთათვის, რის გამოც კუბა გაუკაცრიელდა. ამიტომ XVI საუკუნეში ესპანელებმა აფრიკიდან მონა ზანგები გადმოასახლეს კუბაზე. ესპანელი დამპყრობლები ვერ გამოჩნდნენ შორსმჭვრეტელნი. მათ კუბაზე მთლად მოსპეს ტროპიკული კულტურები და თვალუწვდენ მინდვრებზე თამბაქო და შაქრის ლერწამი დათესეს. კუბის ნიადაგი ამ კულტურებისთვისაც ნაყოფიერი აღმოჩნდა. უხვი მოსავალი წელიწადში ორჯერ მოჰყავდათ და მსოფლიო ბაზარზე გაჰქონდათ, სადაც მალე საქვეყნო სახელი მოიპოვა პაწია კუნძულმა.

ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით თითქმის სამასი წელიწადი იბრძოდნენ ზანგები მონობის წინააღმდეგ. ხშირი იყო აჯანყებებიც. მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. როდესაც ესპანეთი დაუძლურდა XIX საუკუნის დასაწყისში, ამით ისარგებლა ამერიკამ და ახლა იგი შეიჭრა, გადაეფარა კუნძულის პლანტაციებს, რაც ძირითადად შაქრის ლერწმისათვის გამოიყენა და ამგვარად ნელ-ნელა დაეპატრონა უმდიდრეს და ულამაზეს კუნძულს. ხალხის ნდობა რომ მოეპოვებინა, ამერიკამ დიდი თანხა დააბანდა პროვინციებამდის გზების, ქალაქებში სამანქანო გვირაბების გასაყვანად. ქალაქებში წამოჭიმა საგანგებო სახლები. სამაგიეროდ განადგურდა, მოისპო კუბის ბუნებრივი სიმდიდრე: რკინა, მარგანეცის საბადოები, გაჩანაგდა ტყეები, მოისპო თუჯი, ნიკელი თუმცა რა! კუბის ეს უდიდესი დოვლათი უწინაც ოთხიათას შვიდას ადგილობრივ მიწის მეპატრონეს და უცხოელებს ეკუთვნოდათ, ორი მილიონი უმიწო გლეხი კი ამუშავებდა ამ მიწებს და შიმშილით სულს ღაფავდა. ამერიკელებმა კუბას უარესი გაჭირვება მიაყენეს. ამერიკამ კუბელ ხალხს შეულახა ყოველგვარი ადამიანური ღირსება! აი, ამიტომ სძულს გმირ კუბელ ხალხს ამერიკელები და უნდა მათი სამუდამოდ თავიდან მოშორება.

დღეს კუბაში 6 მილიონი მცხოვრებია. მოსახლეობა ჭრელია, მას მკვიდრი მოსახლეობა არ გააჩნია. უმეტესობა კრეოლებია — ჩამოსახლებულ ესპანელთა ჩამომავალნი, უხსოვარ დროიდან მოსულნი; ზანგები და მულატები — აფრიკიდან მონებად გადმოსახლებულ აფრიკელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ჩამომავალნი, არის სხვა ეროვნების ხალხიც. ასე რომ ქალაქებში გხვდებათ ყვითელკანიანები, შავკანიანები, თეთრკანიანები, რომელთა ენა ესპანურია.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო მოგვესმინა, როგორ გაიმარჯვა სახელოვანმა კუბელმა ვაჟკაცმა, ხალხის საყვარელმა გმირმა ფიდელ კასტრომ და როგორ განდევნა უსაშინლესი დიქტატორი, ამერიკის აგენტი ბატისტა.

გატაცებით მოგვითხრობდა მიჩელ ანგელი „წვეროსან“ ახალგაზრდებზე. არც არის საკვირველი! ის ხომ ბრძოლის რომანტიკაზე გვიამბობდა. ფიდელ კასტრო და მისი ძმა რაული სანტი-იაგო დე კუბიდან (მდებარეობს ორიენტეს პროვინციაში — ამაზე ქვემოთ) წამოსულან 165 ახალგაზრდით, მათ უნდოდათ ბატისტას რეჟიმის დამხობა. პირველი გამოსვლის დროს დაეცნენ ჰავანას ყაზარმას — მონკადას, მაგრამ მეამბოხეებმა მარცხი განიცადეს. იმ დღეს, ე. ი. 1953 წლის 26 ივლისს ბატისტას ჯალათებმა სანტ-იაგოს 80 მცხოვრები, უფრო უკეთ, მეამბოხე მშრომელები დახოცეს. ამ დღის აღსანიშნავად დაწესდა „26 ივლისის მოძრაობა“. ფიდელ კასტრო და მისი თანამებრძოლები დააპატიმრეს. ორი წლის შემდეგ მანიფესტით გაანთავისუფლეს და გააძევეს მექსიკაში. მაგრამ ფიდელ კასტრო იქიდან მალე დაბრუნდა ფარულად. კასტროს ირგვლივ შემოკრებილი იყო სულ ახალგაზრდობა, სტუდენტობა. 165 ახალგაზრდისაგან გადარჩა მხოლოდ თორმეტი. ეს თორმეტი ძმადშეფიცული შეეფარა მთას სიერა-მაესტროს (მთავარი ქედი). ამ თორმეტმა რაინდმა ამ მთაში შეჰფიცა ერთმანეთს: არ მოიპარსონ წვერი მანამ, სანამ არ განაადგურებენ ბატისტას მთავრობას და რევოლუცია საბოლოოდ არ გაიმარჯვებს. კუბის რევოლუცია ახალგაზრდობამ დაიწყო. ხალხიც თითქოს ამას ელოდა. ახალგაზრდა რევოლუციონერების ლოზუნგმა „მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს“, ელვასავით მოიარა. ამ დაპირებით აღფრთოვანებული გლეხობა და ბოგანოები შეიარაღდა, მიემხრო ახალგაზრდა მეომრებს და 1959 წელს 1 იანვარს თავისუფალი ახალი წელი გაითენეს. ბატისტა გაიქცა (აქ ჩვენმა გიდმა თითი გაიშვირა და გვითხრა: სასახლეში როცა მივალთ, გაჩვენებთ იმ საიდუმლო კიბეს, რომლითაც ბატისტა გაიპარაო). ბატისტამ გაიტაცა 250 მილ. დოლარი, სხვა განძეულობა, გაიყოლია თავისი სიძე (ახალგაზრდა არქიტექტორი, იმ დროს ჰავანას მთავარი არქიტექტორი), სხვა მომხრეები და როგორც ამბობენ, თავი შეაფარა ამერიკას.

ჰავანაში შემოვიდა გამარჯვებული ფიდელ კასტრო და კუბაც დამოუკიდებელ რესპუბლიკად იქცა, ასეთივე დარჩება მარად, რადგან მან აირჩია ჭეშმარიტად სწორი გზა, რადგან კუბას სათავეში უდგას დევკაცი — გმირი, ხალხის მოყვარული, მისთვის თავდადებული და მზრუნველი ფიდელ კასტრო!

კასტროს მხარში უდგანან კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ახალგაზრდა, ლამაზი ვაჟკაცი ოსვალდო დორტიკოს ტორადო, ნაციონალური ბანკის დირექტორი ერნესტო გევარა (იგი დავინახეთ, როცა ყავას შეექცეოდა, მოხდენილი ახალგაზრდაა), აგრარული რეფორმის ნაციონალური ინსტიტუტის დირექტორი ანტონიო ნუნიეს ხიმენესი. „წვეროსანთაგან“ რამდენიმე კაცი მთავრობის წევრია, ბევრი რევოლუციური არმიის ოფიცერია. წვეროსანთა რიცხვი თანდათან იზრდება, რადგან თორმეტი ძმადნაფიცის ფიცი მთელი კუბელი ხალხის ფიცადაა გადაქცეული. ჩვენმა ხალისიანმა გიდმა ისიც კი გვითხრა, რომ რევოლუციურ შეიარაღებულ ძალთა მინისტრის რაულ კასტროს ბინაზე რამდენიმე ობოლი ბიჭი ცხოვრობს. ისინი თურმე ბეჭებამდის გრძელ თმებს ატარებენ, რადგან წვერ-ულვაში ჯერ არ ამოსვლიათ. ამ ბიჭებმა ბრძოლაში დაღუპული მამებისაგან მხოლოდ ეს მემკვიდრეობა მიიღეს.

გიდის ცნობები საკმარისი გახდა, რომ გაგვეგო კუბელი ხალხის მაშინდელი სულიერი განწყობილება და მისწრაფებანი.

*

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენი თვალით ნახულსა და გაგონილს.

ჰავანა! ეს უმშვენიერესი კუბის სატახტო ქალაქია. მართალია იგი სამოცჯერ დაბომბეს ამერიკის თვითმფრინავებმა, მაგრამ ჰავანას ეს არ ამჩნევია, იგი ხელუხლებელი დედოფალივით დგას მორთული, მოკაზმული. ჰავანა კუბის უდიდესი სამრეწველო ქალაქია. აქ არის სიგარის შესანიშნავად მოწყობილი ფაბრიკა, ლითონდამუშავებელი ქარხანა, ორივე ჩვენ საფუძვლიანად დავათვალიერეთ. ამას გარდა, როგორც გვითხრეს, შინამრეწველობის, ფეხსაცმლის ფაბრიკები და ცემენტის ქარხანა საკმაოდ მოღონიერებულია.

ჰავანას გარს ევლება მექსიკის ყურე. ქალაქს მიუახლოვდებით თუ არა, დაინახავთ ცენტრალურ მოედანს — ლა პლასა სივიკას, თვალს მოგჭრით უშველებელი მარმარილოს ობელისკი, თეთრი, 104 მეტრიანი რვაწახნაგოვანი ობელისკი შუბის მსგავსად ცაში ატყორცნილა, თითქოს ქალაქის სიძლიერის სიმბოლო და დარაჯი იყოს. მის ქვემოთ ჩამოდის განიერი კიბე, რომელიც მიემართება ადამიანის მოდიდო ფიგურისაკენ, იგი თავჩაქინდრული და ღრმად ჩაფიქრებული ზის. ეს არის ხოსე მარტის ძეგლი. იგი იყო პოეტი, შესანიშნავი ჟურნალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი, საზოგადო მოღვაწე, მჭევრმეტყველი. ხოსე მარტი მეთაურობდა 1895 წლის აჯანყებას, ბრძოლაში დაიღუპა და ამიტომაც სახალხო, ეროვნულ გმირად არის აღიარებული. ხოსე მარტის ბევრი ძეგლი დგას როგორც ჰავანის ქუჩებში, ისე კუბის პროვინციების ქალაქებში. კუბის დიდი კუნძული პინოსი არა მარტო იმითაა ცნობილი, რომ იგი ოდესღაც პირატების ბაზა იყო, არამედ იმითაც, რომ ამ კუნძულზე ხოსე მარტი ცხოვრობდა 17 წელიწადს და ამზადებდა აჯანყებას. ხოსე მარტის ლექსები უყვარს კუბელ ხალხს.

ხოსე მარტის ძეგლსა და ბიუსტებს გარდა ჰავანა შემკულია კუბელი ხალხის აჯანყების, განსაკუთრებით 1868 წლის აჯანყების მეთაურთა მონუმენტებით. ესენი არიან: იგნასიო აგრამონტე, ანტონიო მასეო, კარლოს მანეულა ლა სესპედე, აგრეთვე გენერალი მაქსიმო გემოსის და სხვ. მექსიკის ყურის გაღმა მხარეს მაღალ ბორცვზე თვალს ჰხვდება თეთრი ფიგურა იესო ქრისტესი, რომელსაც მადლობით შეჰყურებს მომცრო ტანის ქალი. ძეგლზე 250 ტონა მარმარილოა დახარჯული. იგი, როგორც გადმოგვცეს, დაუდგამს ბატისტას ოჯახს ნიშნად მადლობისა, თავდასხმისაგან გადარჩენის გამო. ჰავანაში ყველაზე ლამაზი ხოსე მარტის ბულვარია და ქუჩა პრადო-მოედნით, მთლად მწვანეში ჩაფლულები. ახალგაზრდობა უმთავრესად აქ იყრის თავს. აქვე ვარჯიშობენ. სწორედ პრადოს მოედანზე ვნახეთ გოგონების პლასტიკური ვარჯიში. ისინი მონდომებით სწავლობდნენ, რათა შემდგომ ახალგაზრდობის საზოგადო მწვრთნელებად გამხდარიყვნენ.

ჰავანაში და საერთოდ მთელ კუბაში რასობრივი დისკრიმინაცია მოსპობილია. მამაკაცები კარგად მოყვანილნი, მეტად ლამაზნი და მიმზიდველნი არიან, ქალები უკეთესნი. ლამაზმა ჰავანელებმა დიდი მასალა მისცა ჩვენს მხატვარს ნათელა იანქოშვილს, რომელმაც კუბელი მამაკაცებისა და ქალების მშვენიერი სტილიზებული პორტრეტები დახატა.

*

ჰავანა, ისევე როგორც კუბის სხვა ქალაქები, შესდგება ძველი და ახალი ნაწილისაგან.

ახალი ჰავანა გაშენებულია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მის არისტოკრატულ უბანში (ვედადოში) აღმართულია 30-40 სართულიანი ცათამბჯენები, აგრეთვე მდიდარი მოსახლეობის მოხდენილი შენობები, ჩაფლული ტროპიკულ მცენარეთა ხვეულებში. საოცარია, რომ არც ერთი სახლი ერთმანეთს არ ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ თვითეული სართულის ფასადის აივნები შელამაზებულია სხვადასხვა ფერებით, ქალაქი სრულიად არ არის აჭრელებული, პირიქით, ამ ნაირფერს საოცარ რბილ მოალერსე ფერს აძლევს თაკარა მზე, კურუმი ჩინარები და სხვა ტროპიკული მცენარეები, რითაც მოფენილია მთელი ჰავანა, ქუჩები, სასეირნო ბულვარები და მოედნები.

ჰავანას აღმოსავლეთი ნაწილი სრულიად ახალი რაიონია. აქ შენდება უამრავი ახალი შენობა, ზოგი უკვე დამთავრებულია და დაბინავებულია ღარიბი, უბინაო გლეხებისა ან მუშის ოჯახებით. აი გაივლით, დაინახავთ ლამაზ შენობებს. მის გვერდით ისეთი ქოხმახებია, რომ თვალებს არც კი უჯერით; რა უნდა აქ ამ ქოხმახებს! ცხადია, ეს მიმზიდველი შენობები წამოჭიმულია მდიდარი არენდატორების მიერ. ეს ქოხმახები კი, შეკრული ფიცრისა და კონსერვის კოლოფებისაგან, გაშენებულია 1929 წელს. შიმშილობამ სოფლებიდან ათასობით გლეხი და ბოგანო გადმოაგდო ქალაქში, მათ ბინას ვინ მისცემდა? საკვირველია, რომ ამ ლამაზ შენობათა შორის მისცეს ადგილი და ასეთი ქოხების გაშენების ნება. დღეს შიგ აღარავინ ცხოვრობს, მათმა პატრონებმა ჰავანის გარეთ უკვე მიიღეს კარგად მოწყობილი კოტეჯები; როგორც ეტყობა, ბინის საკითხი როგორც ჰავანაში, ისე მთელ კუბაში მწვავედ დგას, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 16 ათასი ბინა გაშენდა და დაურიგდა უბინაო, უმუშევარსა და უღარიბეს მოსახლეობას.

ჰავანაში სიცხის გამო ბევრი სახლის კამარა ბულვარს ეფარება, რათა ხალხს სიარულის დროს ჩრდილი ჰქონდეს. ქუჩებში დადიხართ და ხალხის საუბრის ხმა არც კი გესმით.

ჰავანაში ბევრი მომხიბლავი შენობაა, ყველაზე საინტერესო უნივერსიტეტის (არსებობს 1728 წლიდან) შენობების ანსაბლია. უნივერსიტეტში წაგვიყვანეს უცნაური მატარებლით: სამი ღია ვაგონეტი, თავისი ორთქლმავლით. ცოტა სასაცილო იყო. მაგრამ ქალაქის ყველა უბანს და ქუჩას, უკეთ, მთელ ვედადოს უფრო კარგად ვათვალიერებდით. ამ მატარებლით მგზავრობა თურმე სტუმრების დიდ პატივისცემას ნიშნავდა. უნივერსიტეტი სავსე იყო შეიარაღებული სტუდენტებით. უნივერსიტეტს ოთხი მთავარი კორპუსი აქვს, ძველი კლასიკური სტილისა, დიდ ეზოს ამშვენებს კოხტად შეკრეჭილი ხეები. მთავარი კორპუსის წინ, მოედანზე აღმართულია შავი ძეგლი ქალისა — ალმა მატერ — კუბის სიმბოლო. აუდიტორიები რბილი სავარძლებით არის მოწყობილი. 13 ფაკულტეტია. 19 ათასი სტუდენტით, 500 პედაგოგი — პროფესორის შემადგენლობით, ყველაზე მეტი სტუდენტი სამედიცინო ფაკულტეტზეა, ქალების უმეტესობა პედაგოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს. მეცადინეობა თა-

ვიდანვე პრაქტიკულ მეთოდზეა აგებული. სტუდენტობა სტიპენდიას არ იღებს, სამაგიეროდ ხელმოკლენი სარგებლობენ უფასო ბინითა და კვებით. ცალკე კორპუსი უკავია კარგად დაკომპლექტებულ ბიბლიოთეკას. მის გამგეს უხაროდა, რომ საბჭოთა კავშირიდან ელოდა რუსული წიგნების დიდ პარტიას. სტუდენტთა ფედერაციის ცალკე შენობის ოთახს ამშვენებს პატისტასთან ბრძოლაში დაღუპულ სტუდენტთა პორტრეტები, აქვეა სტუდენტთა გაზეთის რედაქცია. სტუდენტობას აქვს საკუთარი სამკერდე ნიშანი—ბუ—სიბრძნის გამომხატველი. სტუდენტობა უდიდესი პატივისცემით და თავაზით ეექცევა პროფესორებს, პედაგოგებსა და საერთოდ მთელ პერსონალს. კეთილშობილი და ფართოდ განათლებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა გამოჩენილი მოჭადრაკის ძმამ კაპაბლანკამ. იგი ცნობილი არქიტექტორია, უნივერსიტეტის ლექტორი. კაპაბლანკა დაუმეგობრდა ჩვენს ახალგაზრდა არქიტექტორს თორნიკე ჩხეიძეს და საჩუქრად მის მიერ პროექტირებული შენობების ფოტოსურათები ვადასცა.

ჰავანას მართლაც შეუძლია თავი მოიწონოს კაპიტოლიუმით. ეს არის შესანიშნავი სასახლე, აგებული ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში. სასახლის შუა ნაწილი შემკულია უზარმაზარი გუმბათით, ფასადი შავი მარმარილოს ფიგურებითაა დამშვენებული. როგორც გადმოგვცეს, სასახლის ერთ მხარეს სატუსაღო ყოფილა მეორე მხარეს სასამართლო. დღეს კი მისი დარბაზები მოხატულია იმ გმირთა პორტრეტებით, რომლებმაც თავი დასდეს კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ოთხი წელი დასჭირდა თურმე კაპიტოლიუმის ძვირფასი და ლამაზი ქვებით შემკობას. კაპიტოლიუმის წინ ფართო მოედანზე საღამოობით იმართება სეირნობა, ბავშვებისათვის იდგმება კარუსელები, საქანელები, თხებით ან ჩოჩრებით შებმული ურიკები სწრაფად დაჰქრიან. მოედანზე ერთი ენიასია, ყვირილი, სიცილი; თანაც გახურებული ვაჭრობა ათასნაირი სუვენირებით, საწვრიმალოთი. თვალისმომჭრელი სანახაობაა!

არ შეიძლება თვალი არ მოგტაცოთ ახალი სტილის ორსართულიანმა ურაზმაზარმა მრგვალმა შენობამ—თეატრმა, რომელიც ჰავანის ცენტრამდის არის წამოჭიმული, აქ გაიმართა ქართული ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტები.

გიდის დაპირებით ვესწრაფოდით პრეზიდენტის სასახლის ნახვას. იგი აგებულია 1920 წელს. ამ დიდი თეთრი შენობის მხოლოდ ფასადია საინტერესო თავისებური ფანჯრებით, აივნით, რომელსაც ზოგჯერ დემონსტრაციების დროს ტრიბუნად იყენებენ, სასახლეში უცხოვრია დიქტატორ ბატისტას. მარმარილოს დიდ დარბაზში პატარა, თვალისათვის უჩინარი კარია, გააღებთ მას და საიდუმლო კიბე ადის ზემოთ, წინასწარ თუ გრძნობდა ბატისტა თავის მომავალს, რომ გასაპარავად ეს საიდუმლო კიბე გააკეთებინა თავის ლაქია თანამდგომებს.

სასახლე მეხსიერებაში ჩამრჩა არა თავისი სიდიადით, არამედ იმით, რომ ჩვენ მოწმე ვიყავით მის წინ გამართული დიდი საპროტესტო მიტინგი — დემონსტრაციისა, რაც მოეწყო ჩვენი იქ ყოფნის დროს. სასახლის აივნიდან მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ.

ჰავანელებს არ ესაჭიროებათ მიტინგზე ან დემონსტრაციაზე მიპატიჟება. საღამოს ოთხი საათიდან ზღვა ხალხმა მოიყარა თავი სასახლის წინ. ყველა დემონსტრანტს გულზე ეკეთა აბრეშუმის ნიშანი ფიდელ კასტროს სურათით და წარწერით: „პატრია ო მუერტე“. ეს სამახსოვრო ძვირფასი ნიშანი ჩვენც გავიკეთეთ, ხალხს არ აშინებდა მზე, თავს იჩრდილავდნენ ქოლგებით, გაზეთებით, ცხვირსახოცებით. სასახლის აივანზე გამართულ რადიოსთან ორატორი სცვლიდა ორატორს; ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი, სახალხო არმიელი, სახალხო მილიციელი, წვერიანი, უწვერო... ორატორების სიტყვა მოკლეა, აღვსილი მოწოდებით, საბრძოლო მზადყოფნით, კონტრრევოლუციონერებისადმი მუქარით, საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების მიერ მხარდაჭერის გამო მადლობით. ხალხი თანხმობის, მოწოდების ნიშნად აფრიალებს გაზეთს, ცხვირსახოცს, აქნევს ქოლგას. თვალს ვერ მოსწყვეტთ ამ სანახაობას. თითქმის ღამდება... ხალხი არ იშლება... ელის თავის საყვარელ გმირს, სამშობლოს სასიქადულო შვილს — ფიდელ კასტროს... ეგებ მოვიდეს... ეგებ თქვას თავისი მგზნებარე და მღელვარე სიტყვა... გახდა ღამის 11 საათი. ხალხი უფრო ემატება... და უცებ ყუმბარასავით გავარდა ხმა: ფიდელ კასტრო მოვიდა... სიტყვით გამოვა... ღმერთო! რა სიხარულით აივსო ხალხი, ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა მიტინგი. ფიდელ კასტრო! ფიდელ კასტრო! ასეთია ხალხის გულმართალი სიყვარული თავისი ბელადისადმი! გამოვიდა ფიდელ კასტროც. ხალხის მისალმებას დასასრული არა აქვს. ფიდელ კასტრო იღიმება ბავშვური ღიმილით და ალერსით გადაჰყურებს ზღვა ხალხს. ფიდელი ლაპარაკობს ზეპირად, სწრაფად, პაუზებით. ხშირად იმეორებს მნიშვნელოვან ფრაზას. ლაპარაკი დაიწყო ღამის 11 საათზე და დაამთავრა 2,5 საათზე. ხალხი სულგანაბული ისმენდა მის მგზნებარე სიტყვას.

ჰავანის ეს დემონსტრაცია — ზეიმი არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

მღელვარებით მოველოდით ჰავანის განთქმულ სიგარების ფაბრიკაში წასვლას, სადაც მუშების მოთხოვნით, მათ უნდა შევხვედროდით. ფაბრიკა მდებარეობს ერთ-ერთ მიწყნარებულ ვიწრო ქუჩაზე, სამსართულიან შენობაში. ფაბრიკის დირექტორი ახალგაზრდა, შესახედავად სანდომიანი ვაჟკაცია, **ორლანდო მონტესორო.**

ჩვენი მისვლა და მუშებთან შეხვედრა დიდ მიტინგად გადაიქცა. ფაბრიკის კომიტეტმა ყველა საამქროს რადიოთი აუწყა საბჭოთა კავშირის დელეგაციის სტუმრობა. დიდხანს არ შეწყვეტილა ტაში, შეძახილები, თბილი სიტყვები, მეგობრული ხელისჩამორთმევა, ხმაური. ჩვენი შეხვედრა იყო გულთბილი, გულწრფელი, დაუვიწყარი.

არა ნაკლებ დაუვიწყარია ჩვენი სტუმრობა ლითონჩამომსხმელ ქარხანაში. ასეთი ტიპის ქარხანა ჰავანაში სულ ახალია. აქ კეთდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაწილები, ინკუბატორები, მუშებმა, რომლებთანაც ვისადილეთ, დიდი დრო მოანდომეს ჩვენს გართობას. თვითმოქმედი წრეები დიდი მოწონებით სარგებლობს მუშებში. ახლაც ყურებში მიდგას ზანგი ქალის სევდიანი კუბური სიმღერა. მას შესანიშნავი ტემბრის ხმა ჰქონდა და თვითეულ სიტყვას დიდ გამომსახველ ძალას ანიჭებდა. აღნიშნული ქარხნიდან საჩუქრად წამოვიღეთ ხოსე მარტისა და ფიდელ კასტროს მონოგრაფიები. ერთ-ერთმა მუშამ მკერდზე თავისი ხელით დამიბნია სახალხო მილიციის ნიშანი, როცა გაიგო რომ მე ხორხიანე — ქართველი ვიყავი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰავანა კარგად დავათვალიერეთ, გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ დაგვევლო მისი ქუჩები. ერთ დღეს სამახსოვრო სუვენირების შესაძენად მიგვასწავლეს ერთ-ერთი იაფფასიანი მაღაზია, წავედით ფეხით მხატვარი ნ. იანქოშვილი და მე, მთელი ჰავანა ხელმეორედ მოვიარეთ, უდიდესი კმაყოფილება მივიღეთ ამ მოგზაურობით. პირველ ყოვლისა მოვხვდით ძველ ესპანურ რაიონში. ვიწრო ქუჩებიდან გავედით პორტის მოედანზე. აქედან უკეთ მოჩანს იესო ქრისტეს მონუმენტი, გრძელი და მკვრივი სიმაგრე, შუქურათი; მარჯვნივ შორს მოჩანს მეორე შუქურა მუდმივი ცეცხლით, რომლის ალიც ბენზინს ამოაქვს. სწორედ პორტის მიდამოებშია თავმოყრილი სიმაგრეები, კოშკები, ძველთაძველი სახლები, რომელთა ბოძებს, ფასადთა ფერებისა და აივნების აღწერა ძნელია, ეს მთელი ლამაზი პანორამაა, თითქოს მხატვრის მიერ დახატული, არა, ეს ადამიანმა საკუთარი თვალით უნდა ნახოს.

*

მოუთმენლად ველოდით კუბელი არტისტების ნახვას: სიმღერა, მუსიკა ყველგან და ხშირად გვესმოდა. განთქმული ცეკვების: რუმბა, კონგა, ჩა-ჩა-ჩა, სუკი-სუკის სამშობლო ხომ კუბაა!

და აი, ერთ საღამოს მიწვეული ვართ ჰავანის განთქმულ ღამის კლუბში — ტროპიკანაში, ეს არის დიდი, მშვენიერი პარკი, მწვანით დაბურული, მაგიდებით დატვირთული. თვალს გჭრის ჩამოკიდებული ზიზილ-პიპილოები, ქაღალდის ფარნები, სარკეები, რათა პატარა სცენაზე გამართული კონცერტი მოისმინოს და დაინახოს პარკის ყველა კუთხეში მჯდომმა. დაიწყო ცეკვა: მექსიკური ნაციონალური კოსტუმებით, შემდეგ პორტუგალიური — შიშველი ქალების ტალღისებური მოძრაობანი და ბოლოს ე. წ. კუბური ცეკვები: რუმბა სხვადასხვა ვარიაციით, ჩა-ჩა-ჩა, აგრეთვე სუკი-სუკი, რომლიდანაც კუკარაჩა წარმოიშვა, ვისაც ეს ცეკვები უნახავს, აღარ გაუკვირდება, რად მოიყვანა აღტაცებაში კუბელები ჩვენი დამსახურებული ანსამბლის ტემპერამენტიანმა ცეკვებმა. ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა განთავისუფლებული მონა ქალების ცეკვამ, რომლებსაც უშველებელი თავსამკაულები ედგათ თავზე, როგორც ქვის ლოდები, სმენა დაატკბო ძველმა კუბურმა სიმღერამ — უახიდამ და ბაჩანგამ, სადაც სევდა და სიხარული ერთმანეთს ენაცვლებიან არა მარტო სიტყვიერი მასალით, არამედ მელოდიითაც. ამ სიმღერებს მეტად გრძნობით ასრულებდა ჩამოქნილი, სადად ჩაცმული, მოხდენილი კრეოლი ქალი. დიდხანს არ დამავიწყდება ხანშიშესული ამერიკელი მანდილოსნის აზარტული თამაში ტროპიკანას კაზინოში. იგი თან სვამდა დიაკორს (კუბური სასმელია, შამპანურის მსგავსი, მხოლოდ უფრო მაგარი და მწარე), თან ეწეოდა სიგარას, თან გამწარებული თამაშობდა. რამდენიმე წუთში წაგებული ათასხუთასი დოლარის ჩეკი გამოწერა, მაგრამ თამაში როდი შეუწყვეტია!.. საიდან უნდა ჰქონდეს ამ გადაბეხრეკებულ დედაკაცს ამდენი ფული!

არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო გულუხვ მასპინძლობას: სადილის წინ მიღებულია ხილის სალათა: ბანანი, პაპაი (ნესვის მსგავსი), ანანასი, მანგო და სხვ. წვრილად დაჭრილი პატარა ვაზაში, შემდეგ სასიამოვნო სასმელი ერთი ჭიქა ჯუზი-ლიმნის გემოთი; მხოლოდ ამის შემდეგ მოგართმევენ წვენს და მეორე თავს (უმთავრესად ქათმის ხორცს), ბლომად საკაზმით, შემდეგ ყავა ან ჩაი მწვანე ლიმონით, ნაყინი ან ნამცხვარი (ფრიად უგემური), ჰავანელები, რომლებიც ტროპიკანაში ვნახეთ, ჩაცმულობითაც გამოირჩევიან. ლამაზი შეხედულების მამაკაცებია. გამოწყობილნი არიან შავ ან ნაცრისფერ კოსტუმებში, თეთრი პერანგებით. მათი გატაცება ფეხსაცმელების კრიალია, მართლაც, შავ მარმარილოსავით ლაპლაპებს მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი ფეხსაცმელი, შუაღამითაც კი არ შეეზარებათ ფეხსაცმელების გაწმენდა.

ჰავანელ ქალებს, სულ ერთია მულატი იქნება, ზანგი, მეტისი თუ ესპანელი, კოპწიად ჩაცმა უყვართ. უყვართ აგრეთვე საყურეების, სამაჯურების, ბეჭდების ტარება. თვალების შეღებვა შავით, ლურჯით, თეთრით, ზოგჯერ ასეთი კოსმეტიკით იუშნოებენ თავიანთ დიდრონ ალმურ თვალებს. ქალები საერთოდ მოხდენილნი, ელასტიურნი, ლამაზები არიან.

*

ერთ საღამოს მიგვიწვიეს ჰიპოდრომზე. იგი მეტად ფართო, ვრცელი მოედანია შესანიშნავი მწვანით და ზღვა ყვავილებით შემკული. ჩვენ დოღი გვაინტერესებდა. მოვნიშნეთ კიდევაც — გვინდოდა მწვანე ფერის ჟოკეის მოეგო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ცხენების ერთი შემოვლის მეტი ვინ გვაცალა! ძალიან მალე გაგვიმართეს შეხვედრა საკრავებით, სიმღერებით, ცეკვით. ასე, რომ ამას შეხვედრის მიზანი უფრო ჰქონდა, ვიდრე დოღის ჩვენებისა.

*

ბოლოს წილად მხვდა ბედნიერება შევხვედროდი მწერლებს, მკითხველებს და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ხოსე მარტის სახელობის ბიბლიოთეკაში. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენს კუბელი ხალხი საბჭოთა, და, კერძოდ, ქართული ლიტერატურისადმი. ეს გამოირკვა იმ შეკითხვებიდან, რაც მოვისმინე ჩემი მოკლე მოხსენებას შემდეგ. მათ ყველაზე მეტად აინტერესებდათ ენათა ნათესაობა და მსგავსება. როდესაც ქართულთან ზოგიერთი ესპანური სიტყვის მსგავსებაზე ვილაპარაკე, (ტრაბახა, ლამაზო, პაცკურა და სხვ.) მათ დიდი კმაყოფილება გამოხატეს. ამ შეხვედრამ მაგრძნობინა ის განუსაზღვრელი სითბო და სიყვარული, რომლითაც სავსეა კუბელთა საყვარელი პოეტის გილიენის ლექსები.

ნიკოლას გილიენი, პაბლო ნერუდა, და ერნესტ ჰემინგუეი ყველაზე პოპულარულნი არიან კუბაში. ჰემინგუეის სახელით იხსენიებენ, შეხვედრის დამსწრეებს აინტერესებდათ, არის თუ არა ქართულად თარგმნილი დასახელებული მწერლების ლექსები და რომანები.

თვითონ ბიბლიოთეკამ ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მას 17 სართული აქვს. კოხტად არის მოწყობილი ცალ-ცალკე სამუშაო ოთახები; ხატვისა და მუსიკის მოსასმენი ოთახები, სამკითხველო და საბავშვო ლიტერატურის განყოფილება. ერთ ოთახს ამშვენებს საუკეთესო სურათები მსოფლიოს ცნობილი მხატვრებისა. ეს სურათები თურმე ქირავდება. რომელიმე ოჯახს ოჯახური ან სხვადასხვა ეროვნული დღესასწაულის დროს შეუძლია იქირავოს ესა თუ ის სურათი, რამდენიმე ხნით დაიმშვენოს თავისი ოთახები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 600 ათასია, მკითხველთა რაოდენობა 400. ჰავანის მცხოვრებნი ყველაფერს ასწრებენ: შრომას, სწავლას, გართობას.

*

ალბათ არასოდეს დამავიწყდება ჰავანის ქუჩები — რიენა, მისი გაგრძელება ტროკარო, ხოსე მარტის მოედანი, ვიწრო ქუჩები, კეთილმოწყობილი უშველებელი პარკი — არმენ დალესი; იშვიათი ჯიშის შინაური და გარეული, დიდი და პატარა ცხოველებითა და ფრინველებით აფერადებული ზოოპარკი. ზღვა ხომ ულამაზესია. მე და ნათელა ყოველღამე გავყურებთ: ზოგჯერ თბილი, წყნარი, მოალერსეა, მზეზე მბრწყინავი, ზოგჯერ კი მღელვარე, ტალღები ეხეთქება სანაპირო ჯებირებს. ასეთი იყო მეტადრე 9 იანვარს. ღამე ბნელი იყო. ზღვა მღელვარე, ბობოქარი, ხმაურიანი. იგი თითქოს ჰავანელთა მღელვარებას ეხმაურებოდა, თეთრი ქაფი ჯებირებს ახტებოდა და მერე ნაპირებზე იშლებოდა. მიმზიდველი და საშიში იყო იმ ღამეს მექსიკის ზღვა.

ჰავანა, მშვენიერი ჰავანა ჩვენთვისაც ახლობელი გახდა. თითქოს მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, კედელ-კუნჭული უკვე ზედმიწევნით ვიცით, მაგრამ კუბა ხომ მარტო ჰავანა არ არის! ამიტომ ჩვენც უნდა გავიდეთ ჰავანიდან და ვნახოთ კუბის პროვინციები, ქალაქები, დაბები, სოფლები, პლანტაციები, კოოპერატივები.

*

ჰავანის გარეთ ვესტუმრეთ ქალაქის პარკს— არიოკრისტალს. პარკი ძალიან დიდია, სხვადასხვა ჯიშის ხეებით, ჩანჩქერებით, ხელოვნური ტბით.

ყველასათვის ცნობილია, რომ კუბის ახალმა მთავრობამ გლეხობას 173 ათასი აკრი მიწა დაურიგა. ამ მიწებზე შენდება სახლები, არსდება შაქრის ლერწმისა და თამბაქოს კოოპერატივები (ამხანაგობა). სწორედ ამ კოოპერატივების სანახავად გავემგზავრეთ.

პირველი მოზრდილი ქალაქი, რომელიც ჰავანას აკრავს, მარეონაუა. სწორედ ამ ქალაქის მიდამოებშია გაშენებული კოხტა კოტეჯები, რომლებსაც შემოფარგლული ეზოები არა აქვს.

ჩავუარეთ ლუდქარხნის „კრისტალის“ მეპატრონის ბლანკო ერერას სახლს, რომელიც კეთილმოწყობილ ბაღში დგას, მაგრამ იგი უპატრონოდ მიგდებულ ბინას ჰგავს. ჩვენ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიხბლეს პატარა კოტეჯების მობინადრეებმა, თავიანთი გულღია დახვედრით. მივიჩქარით დიდ პროვინციაში — პინარ დელ რიოში. მივქრით მანქანებით და ჩვენს თვალწინ იშლება თვალუწვდენი მინდორი პლანტაციებისა, მთლად გადაფარებული მარლით (რა ხელმა გადააფარა ამსიგრძე, ამსიგანე მარლა, ნაკერიც კი რომ არ ეტყობა!), რათა მზემ არ დაწვას თამბაქო და სიმძლავრე — სიმწარე არ დაეკარგოს. მხარმარცხნივ პლანტაციები, მხარმარჯვნივ პალმები... პალმები კურუმ-კურუმად, გაფანტულად დგანან. მათ სამეფო პალმებს უწოდებენ, ამავე დროს მით ღორებს ჰკვებავენ. პალმებს ამშვენებს წითელი ყვავილები, რომლითაც მთელი არემარეა მოფენილი. მთელი საავტომობილო გზა მიემართება ათასნაირი ტროპიკული მცენარეების ხეივანში, გადადის მაგარ ხიდებზე. გავდივართ ტრიალ მინდორზე, რომელსაც გარს არტყია უცნაური მთები — დაძინებულ აქლემებს რომ უწოდებენ. აქვე დაბურული ტყე, მთა, კლდეები, თითქოს ხელოვნურად ჩამოუთლიათო. რაღაც საზღაპრო მიდამოა. 4-5 საათი მივდივართ ასეთ წალკოტში და მივუახლოვდით პინარ დელ რიოს, — ყველაზე დიდი კოოპერატივის სოფელ როსარს. თითქოს გველოდნენ. ხალხი გზაზე მოგვეგება. უწინ ამ დაცემულ ტრამალზე 8 მოჯამაგირე ცხოვრობდა და მწყემსავდა დიდი მემამულის ჯოგს. დღეს კი კუბის ახალმა მთავრობამ 120 ოჯახი დაასახლა უფასოდ ამ ნოყიერ მიწაზე. გაშენებულია სახლები, სკოლა, კლუბი, საექიმო პუნქტი. მაცხოვრებლები მეცხოველეობასა და მეფრინველეობას მისდევენ. ღორებისა და შინაური ფრინველების რანჩოები ამშვენებს ამ წალკოტს. **ფედერიკო ბარიო** (კოოპერატივის თავმჯდომარე) ხალისითა და სიამაყით მოგვითხრობს თავისი კოოპერატივის კეთილმოწყობაზე. თითო სახლი სახელმწიფოს 3.500 პესო უჯდება. სახლის მეპატრონე ყოველ თვე იხდის გარკვეულ პროცენტს, როცა დაჰფარავს ვალს, სახლიც და საკარმიდამო მიწაც მის საკუთრებად რჩება. ეტყობა როსარიოში სტუმრიანობა იშვიათია, ვინაიდან თითქმის მთელი მოსახლეობა გამოეფინა, შემოგვეხვია. გულისყურით და ხარბად ისმენდნენ პასუხებს მათს შეკითხვებზე. ამავე დროს არ იყო ოჯახი, რომ არ ეთხოვათ მათთან შესვლა, დასვენება, ყავით გამასპინძლება. რა ოჯახებიც ვნახეთ, ხელმოკლეობა არ ეტყობა, კმაყოფილნი არიან და ეამაყებათ, რომ აქვთ სახლი და რაც მთავარია, სამუშაო მთელი წლის განმავლობაში, რაც უწინ ასე ენატრებოდათ!

მალე გვაცნობეს, რომ დაბა ვალე დე ვინალესში მიგველიან, დაბა დე ვინალესი (პინარ-დელ რიოს პროვინციაშია) გაფანტულია, მაღლობზე დგას დასასვენებელი სახლი რესტორნით. ეზოში დიდი საბანაო აუზია მოწყობილი; დასასვენებელი სახლის აივნებიდან ულამაზესი პანორამა იშლება; არც კი გჯერათ, რომ ეს ნამდვილი ბუნებაა და არა რომელიმე მხატვრის მადლიანი ხელით დახატული მიდამო. ირგვლივ მწვანე კორდები, პერსპექტივაში მთები, დაცემულ ვაკეზე შორი-შორს მდგარი სახლები, ჩარგული წითელ ყვავილებში. ყველაფერი ეს დიდ ძვირფას ჩარჩოში ჩამჯდარ ლამაზ სურათს წარმოადგენს. მაგრამ ამ ულამაზეს გარემოს დაემატა დიდი სიხარულიც. დასასვენებელი სახლის წინ მოედანზე პინარ დელ რიოს დაბა-სოფლებიდან თავი მოიყარა უამრავმა გლეხობამ. მწვანითა და ფარდაგებით მოჩარდახულ ტრიბუნასთან ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ. დიდი აღტაცება, ტაშის გრიალი და ჟრიალი ისმოდა. ხოლო როდესაც გამოჩნდა პროვინციის მერი, მაშინ კი მსმენელებმა სული განაბეს. ყველა ელოდა თავისი გვარის ამოკითხვას. იმ დღეს 150 უმიწო გლეხს მთავრობის განკარგულებით დაურიგდა მიწის ნაკვეთები. ხალხის აღფრთოვანება, აღტაცება, სიხარული ღრმა მადლობა ფიდელ კასტროს მიმართ, ერთმანეთის მილოცვა დიდხანს, დიდხანს არ შეწყვეტილა. მათთან ერთად ჩვენც აგვიტაცა უჩვეულო სიხარულმა და კმაყოფილებამ. უკან დაბრუნებისას ვინახულეთ თამბაქოს წარმოების კოოპერატივები, ბოსტნეულობის კოოპერატივი; ყველა კოოპერატივი ერთნაირი ტიპისაა. ჩამოვიარეთ მრავალი დაბა-სოფელი, მაგრამ თითქოს ასეთი შთაბეჭდილება აღარ დატოვეს, ვინაიდან ჩვენ მაინც მიწამიღებული გლეხების გაბრწყინვებული, ლამაზი, ვაჟკაცური სახეები გვედგა თვალწინ და იმათ შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავით.

*

ჩვენს ყმაწვილებს ხვალინდელი დღის გათენება უხარიათ, მართალია, რამდენიმე პლაჟი უკვე ნანახი გვაქვს, მაგრამ განსაკუთრებით განთქმულია პლაჟი ვერადერო. ვერადერომდის მანქანით 5-6 საათის სავალია. ჰავანიდან ჩრდილო-დასავლეთის გზით წავედით. გზაზე პირველად ვინახულეთ საბინაო-საამშენებლო კოოპერატივი. აქ 84 სახლი შენდება, 1.400 ბინით. სახლები ისევეა აგებული, როგორც სხვა კოოპერატივებში, მხოლოდ აქ უფრო ორსამსართულიანი სახლები ჭარბობს. გავცდით თუ არა ამ კოოპერატივს გავედით ვაკე ადგილზე: სათიბები, პალმები, შაქრის ლერწამი, ბრინჯის ნათესი ამშვენებს არემარეს. ერთი მტკაველი მიწა არ არის დაუმუშავებელი. თვალი მოგვტაცა კუბაში ყველაზე მაღალმა, განიერმა და გრძელმა ხიდმა, რომლის სიმაღლე 78 მეტრია. აქ შენდება დიდი მაღალი სასტუმ-

კუბა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რო, რომლიდანაც უსასრულო ზღვა და წალკოტივით მორთული არემარე ჩანს.

ვერადერო შესანიშნავად მოწყობილი პლაჟია. სასტუმრო ზღვის პირად დგას, კეთილმოწყობილია. მომსვლელთ შეუძლიათ ღამე გაათენონ ზემო სართულში, ქვემო ოთახები კი დათმობილი აქვს ზღვაზე საბანაოდ მოსულთ. ამ პლაჟზე (როგორც სხვა პლაჟზედაც) მობანავეები ზედა ტანისამოსს სასტუმროს ქვემო სართულების ოთახებში სტოვებენ და საბინაო კოსტუმებით მიდიან საბანაოდ. ვისაც ზღვაში ბანაობა არ უნდა, იქვე დიდი აუზია და შეუძლიან გაგრილება. როგორც ყველგან, ამ სასტუმროშიც მოგვიწყვეს შეხვედრა. კარგა გვიან დავბრუნდებოდით, შხაპუნა წვიმას ხელი რომ არ შეეშალა. დავბრუნდით სამხრეთ-აღმოსავლეთის გზით, რათა გვენახა ბატისტას ყოფილ ჯარაკზე დაბინავებული მოხუცები, უპატრონოები, უბინაოები და ღარიბები. თვით შენობა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ამ ადგილის ჰავა მეტად ჯანსაღი და მარგებელი ყოფილა, ამასთან, მშვენიერი ბუნებაა.

თავშესაფარი ლაზათიანად არის მოწყობილი: საწოლები სუფთა, სხვადასხვა გასართობი, რადიო, ტელეხედვა. ასე, რომ მოხუცები სიცოცხლის უკანასკნელ წლებს მშვიდად და უზრუნველად ატარებენ, მაგრამ მათ სახეზე მაინც აღბეჭდილია დუხჭირი წარსულის დაღი.

როგორც ნუგბარს რასმე, ისე ვინახავდით ბოლო დღეებისათვის სანტ-იაგოში წასვლას, თუმცა მის გახსენებაზე ყოველთვის რაღაც მღელვარება გვიპყრობდა. ეს ქალაქი ბევრნაირად გვაინტერესებდა, სანტ-იაგო მდებარეობს ორიენტეს პროვინციაში, სადაც საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ოდესღაც აფრიკიდან გადმოსახლებული ზანგების ჩამომავალნი. ძმები, კასტროებიც სანტ-იაგოდან არიან, რაულ კასტროს სამხედრო შტაბი იქ არის მოწყობილი. ხოსე მარტი იქ არის დასაფლავებული, იქვე უნდა ვნახოთ ცნობილი სიერა-მაესტრო, — აი, ყველაფერმა ამან გააძლიერა ჩვენი ინტერესი და იქ წასვლის სურვილი.

ეს დღეც დადგა.

დილის 4 საათზე გავფრინდით სანტ-იაგოში. გათენებამ გზაში მოგვისწრო. თვითმფრინავიდან დაგვანახეს მოყავისფრო ტრამალი სანტა-კლარა, ხოლო შემდეგ მთა სიერა-მაესტროს მწვერვალი, რომელიც ისტორიულ მწვერვალად არის გადაქცეული. იგი წარმოადგენდა ფიდელ კასტროს თანამებრძოლთა და მეამბოხეთა სიმაგრეს. ვისაც არ უნახავს ეს მწვერვალი (1 500 მ სიმაღლე აქვს), ძნელია წარმოდგენა იქონიოს როგორ იცავდნენ თავს თავგანწირული მამაცები ბატისტას გარეწართა ყუმბარებისაგან. მეამბოხეებს ჰფარავდათ გადმოწეული ფრიალო კლდეები, კურუმი ჯაგნარი და აწოწილი პალმები. ეს ბუნებრივი სიმაგრე, როგორც ჩანს ხელს უშლიდა ბატისტას ბადრაგებს აღმოეჩინათ აჯანყებულნი.

სამი საათის ფრენის შემდეგ დავეშვით სანტ-იაგოს პატარა კოხტა აეროპორტის მოედანზე. სიერა-მაესტროს მწვერვალის შთაბეჭდილებით დაქანცულებს გვინდოდა სწრაფად მივსულიყავით ქალაქში, გამოგვეძინა, დაგვესვენა, მაგრამ უშველებელი სიმაგრე მოროს ნახვამ, იქვე გამართულმა მამლების ბრძოლამ დაგვავიწყა უძილობაც და დაღლაც.

სასტუმრო „ვერსალში“ გატარებული ორი საღამო იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ გავიცანით რაულ კასტრო თავისი მეუღლითა და 2 წლის ლამაზი გოგონათი. რაული თავის ძმასთან შედარებით გაცილებით დაბალი ტანისაა, რომ იტყვიან, წლიკა, პატარა ყვითელი სახისა, ქერა თხელი თმით. აცვია მეტად სადა ჯარისკაცური ტანისამოსი. იგი აღტაცებით ჰყვებოდა მოსკოვში თავის მოგზაურობაზე: „ისეთ სიცხეში ვიყავი, რომ კუბაში გამოვეშურე გასაგრილებლადო“. ეს, ცხადია, ლამაზი ხუმრობა იყო, თორემ რაც უნდა პაპანაქება სიცხე ყოფილიყო მოსკოვში, როგორ შეედრება კუბის სიცხესა და თაკარა მზეს.

რაულ კასტროს მეუღლე მეტად მოხდენილი ქალია, უფრო ევროპული გარეგნობის (დედა ფრანგი ჰყოლია). იგი კუბის რევოლუციონერ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარეა და მუდამ თან ახლავს თავის მეუღლეს. სასტუმრო „ვერსალიდან“ სანტ-იაგო კარგად ჩანს ღამით, იგი თბილისს წააგავს თავისი რელიეფით. სანტ-იაგო აღმოსავლური ტიპის ქალაქია, ვიწრო, დაქანებული ქუჩებით. ქუჩების უმეტესობა უერთდება მთავარ ქუჩას რამადას. რამადა საინტერესო ქუჩაა თავის სავაჭროებით, მეტადრე წიგნის მაღაზიებით. გვესიამოვნა, როცა ვნახეთ ა. გაიდარის, ს. მარშაკის, ს. მიხალკოვის წიგნების ესპანური თარგმანები. ერთადერთ პატარა ცენტრალურ მოედანზე თავს იყრიან მცხოვრებნი გასართობად და დასასვენებლად. მოედანს დაჰყურებს მაღალი ტაძარი, რომლის საძირკველი 1512 წელს ჩაყრილა. ამ მოედანთან არის მუნიციპალიტეტი. ჩვენს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც შეგვიყვანეს ქალაქის მერთან შესახვედრად. ქალაქის მერი 25 წლის ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. მერი ელექტრა ფერნანდი ალჟირიდან არის. ჩამოუყვანიათ 13 წლისა. კუბაში აქვს დამთავრებული სკოლაც და უმაღლესიც პედაგოგიური განხრით. იგი ფიდელ კასტროს ერთგული თანამოაზრეა. სანტ-იაგოში კასტროს იგი გაუგზავნია საიდუმლო დავალებით. მას დავალება პირნათლად შეუსრულებია და გამარჯვების შემდეგ ქალაქის მერობა ჩაუბარებია.

ელექტრას პატარა ბავშვივით უხაროდა ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან სურათის გადაღება, სამაგიეროდ საუბრის დროს საქმიანია და გონივრულად მსჯელობს. მის მთავარ ამოცანას შეადგენს სწავლა-განათლების გავრცელება, სკოლების გახსნა. ეამაყება საავადმყოფო, რადგან სანტ-იაგოში ოთხსართულიანი მხოლოდ ეს საავადმყოფოა. მართლაც, საამაყოა, როდესაც მისი აგება 14 წლის წინათ დაუწყიათ, შემდეგ შეუჩერებიათ და სულ ორი წელიწადია რაც დაუმთავრებიათ. დღეს ამ საექიმო მედიკამენტებით კარგად მომარაგებულ საავადმყოფოში 84 ექიმია, 120 თანამშრომელი, 900 საწოლი. თითო მოზრდილ ოთახში მხოლოდ 2-3 ავადმყოფი წევს. ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქირურგიულმა განყოფილებამ თავისი აპარატურით, სინათლით, ჰაერით, სისუფთავით, საოპერაციო ოთახის მოწყობილობით.

როგორც ვთქვით, ხოსე მარტი დასაფლავებულია სანტ-იაგოს საერთო სასაფლაოზე. მისი საფლავი გამოირჩევა მხოლოდ მრგვალი დახურული კოშკით. ამ კოშკის რკალი ისეთ შუქს გამოსცემს, თითქოს მუდმივი ცეცხლი ანთიაო:

სანტ-იაგოს გარეუბნები ნათლად მოწმობს აუტანელ სიღარიბეს. არსად გვინახავს ასეთი ქოხმახები, სიღარიბე, სიბინძურე.

სანტ-იაგოს გარეუბნებში მიღებული მძიმე განწყობილება გაგვიქარწყლა სიერა-მაესტრომ.

როგორც უკვე ვთქვით, სიერა-მაესტრო მთაა, სადაც თავს აფარებდნენ ფიდელ კასტროს მეომრები. ეს მთა უკეთ დავინახეთ თვითმფრინავიდან, ხოლო ჩვენ მივედით ვაკე დაცემულ ადგილას (მთები შორს მოჩანს), უნდა გვენახა სასოფლო-სამეურნეო სკოლა-ინტერნატი. ძალიან ლაღად და სიამით ცხოვრობს სოფელ ამოუარა ტინიოსის გლეხობა, რადგან პირველად ამ სოფელს ეხარა რევოლუციონერთა გამარჯვება და თავისუფლების სხივმა პირველად აქ შეანათა. გლეხობა მუშაობს, შრომობს სიამოვნებით, სიხარულით.

სკოლის შენობა ახალი აგებულია, სკოლაში ხუთასი მოწაფეა, მომავალში კი უნდა მოთავსდეს 20 ათასი ბავშვი, სწორედ ამდენი, რამდენი გმირიც დაეცა კუბის რევოლუციური ბრძოლის ველზე. სკოლა სასოფლო-სამეურნეო ტიპისაა. მოსწავლე მიიღებს საშუალო განათლებას და პრაქტიკულ წრთობას, რადგან ის მუშაობს მისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე, სკოლაში უმეტესად ბიჭებია, რამდენიმე გოგონა. საინტერესო „სტამბა“ აქვთ მოწყობილი. ხელის საბეჭდი პატარა მანქანა. ლექსებს, მოთხრობებს სთხზავენ ბავშვები, მხატვრულადაც ბავშვები აფორმებენ და იქვე, თქვენს თვალწინ (თუკი უკვე მზად აქვთ) დაბეჭდავენ, რვეულად შეჰკრავენ და სიამოვნებით მოგართმევენ.

მეტად კმაყოფილნი დავბრუნდით სიერა-მაესტროდან ჰავანაში.

*

კუბაზე ჩვენი ყოფნის დღეებიც მიიწურა. ვისაც კუბა უნახავს, მასზე წერა არ მობეზრდება. ჩვენც ამიტომ გაგვიგრძელდა სათქმელი.

კუბას მარტო დაუვიწყარი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. კუბიდან თან წამოვიღეთ ყველაზე ძვირფასი სახსოვარიც: კუბის დროშა და სიგელი, რომელზედაც აღნიშნულია: „ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს მიწა-წყალზე. იმედი გვაქვს თქვენს გულში იგი აღძრავს პატივისცემის გრძნობას.

ჩვენს გულში მარად დარჩება პატივისცემის ეს გრძნობა.

*

კუბას ოდესღაც ლათინური ამერიკის გასაღებს უწოდებდნენ. ჰავანის ღერბზე დღესაც გასაღებია გამოსახული. ჩვენი სასტუმროს დიდი სასადილო დარბაზის კედელზედაც ისე ოსტატურად არის დახატული გასაღები, არც კი გჯერათ, თუ დახატულია.

ოდესღაც დამონებული, კოლონიური კუბის ეს ოქროს გასაღები დღეს საიმედო ხელშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

ცხოვრება, ისტორია, ლიტერატურა

ჩვენ გავეცანით სიმონ ჩიქოვანის ლექსის ბუნებას, მისი პოეტური სახეების თავისებურებას, იმ „ლექსის ჭოგრიტს“, რომლითაც იგი ხედავს სამყაროს. როგორიღაა თვით ეს სამყარო? რაა სანუკვარი საგანი მისი პოეზიისა? მეხსიერება აქვე გვკარნახობს სტრიქონებს, რომლებიც თითქოს სავსებით უარყოფენ ასეთი ცდის უფლებამოსილებას:

> თვალს არ უნდა წრის შეღობვა,
> ძმური გრძნობა გულმა თესოს.
> მცირე ეზო რას მეყოფა,
> მე მეზობლებს ვუღებ ეზოს.

და თუ მართლაც არ ღირს პოეტის ჰორიზონტის, მისი თვალთახედვის „წრის შეღობვა“, თვით ასეთი განწყობა შემოქმედისა, მისი ლტოლვა ცხოვრების „ფართო ვაკეებისაკენ“ განა არ შეადგენს სიმონ ჩიქოვანის პოეზიის იმ საძიებელ კოეფიციენტს, რომლის მონახვასაც ჩვენ ვცდილობდით? და სწორედ იმისათვის, რომ პოეტურად გამოხატოს თავისი ლირიკული გმირის ინტერესთა სიფართოე, „უსაზღვროება“, პოეტმა უნდა გამოძებნოს კონკრეტული, გარეგნულად განსაზღვრული, „წრეშემოღობილი“ სახეები, რომლებიც, ამავე დროს, შინაგანად საკმაოდ ტევადნი იქნებიან პოეტის შემოქმედებითი მიზანდასახულობის განსახორციელებლად. ასეთი ბედნიერად მიგნებული სახეა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში პოეტური სახე გზისა. გზა სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში არის არა მარტო გზა მტკვრისპირეთისაკენ და შავი ზღვისაკენ, სვანეთისაკენ და ხევსურეთისაკენ, რიწისაკენ და სევანისაკენ, რუსეთ-უკრაინის ველებისაკენ და ოდერსა თუ ვისლასკენ, — იგი ყველგან და ყოველთვის არის სიყვარულის „გზა და ხიდი“, გზა სატრფოსა და მეგობრის, თვისტომისა თუ უცხოელი მოძმის გულისკენ. ეს გზა გაწოლილია ხშირად არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც — მას მიჰყავს მკითხველი სამშობლო მხარის წარსულისკენ და მომავლისკენ, თუმცა საწყის და საყრდენ წერტილად მას ყოველთვის თანამედროვეობა აქვს.

სიმონ ჩიქოვანი თანამედროვეობის პოეტია. სხვა თემა მას არა აქვს და ამიტომ ისტორიული მასალაც მის პოეზიაში მეტად თავისებურად არის განსახიერებული. ვერსად ვერ ვნახავთ სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებებში წარსულის საკუთრივ ეპიკურ აღწერას; იგი — ეს წარსული — ყოველთვის გვევლინება, როგორც თანამედროვე ადამიანის განცდა, პოეტის სულის ნაწილი, მისი მდიდარი სულიერი სამყაროს ერთი კუთხე.

ასეთი თვისებით გამოირჩევა სიმონ ჩიქოვანის ცნობილი პოემაც „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც ომის წლებში იყო შექმნილი. სიმონ ჩიქოვანი აქაც გვევლინება ჭეშმარიტ ნოვატორად, ახალი ეპიკური ფორმის შემოქმედად. პოეტი უბრალოდ კი არ აღწერს ისტორიას და ისტორიულ პიროვნებას, მას თავისი ლირიკული გმირი გადაჰყავს წარსულში, რათა დიდებულ წინაპართა მხარდამხარ მოიაროს „ქართლის ჭირთა“ ეკლიანი გზები, რომლებიც უკვე მოვლილი ჰქონდა ერთხელ დავით გურამიშვილს.

რა მთავარი პრობლემები აღელვებს პოეტს, რომელმაც გადაწყვიტა დავით გურამიშვილზე „სიმღერის“ შექმნა? ასეთი პრობლემა სამია.

ჯერ ერთი — უმძაფრესი, ყოვლისშთანმთქმელი სიყვარული სამშობლოსადმი, „ქართლის ბედის“ უაღრესი პატრიოტული განცდა, რომლითაც გამსჭვალულია „სიმღერა“. ამ თემის განსახიერების თავისებურება პოემაში იმაში მდგომარეობს, რომ პოეტს, რომელსაც უნდა გადმოეცა დავით გურამიშვილის პატრიოტული გზნება, ამავე დროს, ლირიკულ-ეპიკური პოე-

---

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 6.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მის ფარგლებში უნდა განესახიერებინა საკუთარი პატრიოტული გრძნობაც, თანამედროვე საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულებაც სამშობლოსადმი.

მეორე — ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემა. აქაც ჩანაფიქრის თავისებურება ამ თემის ორგვარ — ისტორიულ და თანამედროვე გაგებაში მდგომარეობს: პოემაში ხომ ორი ლირიკული გმირია, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებში ცხოვრობენ, მაგრამ ხელს უწვდიან ერთმანეთს და ხმას აწვდიან „საუკუნეთა ქედებს გადაღმა“!

დასასრულს, მესამე — მთავარი პრობლემა, რომელიც საფუძვლად დაედო სიმონ ჩიქოვანის პოემას: ადამიანთა სულიერი მემკვიდრეობის, ადამიანის აზრის უკვდავების პრობლემა, გაგება პოეზიისა, როგორც ამ უკვდავების ძვირფასი ძაფისა, რომელიც მოწოდებულია შეაერთოს საუკუნეები და ადამიანთა სულები საუკუნეებში, რომელსაც ძალუძს გარდაცვლილთა აღდგომა, რათა წინაპარნი შთამომავალთ შეახვედროს.

დავით გურამიშვილის სახის ასეთმა გაგებამ საშუალება მისცა ავტორს გაეთავისუფლებინა იგი რელიგიურ-მისტიკური ნაჭუჭისაგან და მკაფიოდ გამოემჟღავნებინა დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების მთავარი — ჰუმანისტური შინაარსი.

ასეთია სიმონ ჩიქოვანის პოემის იდეურ-მხატვრული პრობლემატიკა. ამ პრობლემატიკის სიღრმემ და მაღალმხატვრულმა ფორმამ, რომელშიც ოსტატურადაა განხორციელებული პოემის მთელი შინაარსობრივი სიმდიდრე, მოუპოვეს ამ ნაწარმოებს გამოჩენილი ადგილი საბჭოთა პოეზიაში.

ალიო მირცხულავას ლექსების პირველ კრებულში, რომელიც გამოვიდა 1923 წელს, შეტანილი იყო ნაწარმოებები, დაწერილი 1921 — 1923 წლების მანძილზე — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების ხანაში.

> მე შემოვედი პოეზიაში
> რევოლუციურ, აზრით, განცდებით,
> და მყუდროებას შემოვესიე
> ჩემი ლექსების ჯარისკაცებით.
> მოვყევ დროშების წითელ განთიადს,
> ვარ ჩაუქრობელ ქარიშხალისებრ,
> და ჩემს ლექსებში ცეცხლად ანთია
> ბრძოლის სურვილი და სიხალისე.

პოეტის ეს სიტყვები კარგად ახასიათებენ მთელი იმ ლიტერატურული თაობის მოღვაწეობას, რომელსაც ალიო მირცხულავა ეკუთვნოდა და რომელმაც გამარჯვების ურყევი რწმენით აიღო ხელში რევოლუციური პოეზიის ესტაფეტა ქართულ ლიტერატურაში და ამით თვალსაჩინოდ გააძლიერა საბჭოთა მწერლობის ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და იმ დროს არც თუ ისე ძლიერი მწყობრი.

ამ ახალგაზრდა თაობამ, რევოლუციური აზრით და განცდებით გამსჭვალულმა, ახალი სული შთაბერა ქართულ პოეზიას, ყველაზე უფრო ორგანულად და გულწრფელად შეძლო ახალი სინამდვილის, ახალი შინაარსის გადმოცემა შესაფერისი, ადექვატური პოეტური ხერხებით. და სწორედ ამიტომ გახდა ალიო მირცხულავა, როგორც ამ თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ჭეშმარიტ ფუძემდებლად.

მაგრამ მთელი პოეტური სიახლის მიუხედავად, რომელიც შემოიტანა ქართულ პოეზიაში ალიო მირცხულავამ, ის, რა თქმა უნდა, არ იყო უთვისტომო. მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ქართული ლიტერატურის რევოლუციურ-დემოკრატიული, ჰუმანისტური ტრადიციები, რომლებსაც არ შეეძლოთ არ მოეხდინათ დადებითი გავლენა ახალგაზრდა პოეტზე. დიდი როლი ითამაშა ალიო მირცხულავას, ისე როგორც მისი თაობის სხვა მწერლების ფორმირებაში, საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდა პოეზიამაც.

ამრიგად, ალიო მირცხულავა არ მოქმედებდა „უჰაერო სივრცეში“, მას რევოლუციურმა და პოეტურმა ალღომ სწორ გზას მიაგნებინა. მან კარგი მოკავშირეები გამონახა. ეს ხაზგასმა კიდევ ამიტომ არის აუცილებელი, რომ იმ წლების დაძაბული და მძაფრი ლიტერატურული ბრძოლის ატმოსფეროში ზედაპირული პოლემიკის ტალღები და ქარაფები ხშირად ფარავდნენ, აუჩინარებდნენ უფრო ღრმა დინებებს, ასე იყო რუსეთში და ასე იყო საქართველოშიც.

ალიო მირცხულავას ლიტერატურული ბრძოლის მთავარ შინაარსს, მის პათოსს განსაზღვრავდა ის ამოცანები, რომლებსაც თვით რევოლუციური სინამდვილე აყენებდა მწერლობის წინაშე.

> რად გინდა ლექსი უდღეური და უფერადო,
> საკუთარ ცის ქვეშ სიმწრის ოფლში დღეს
> რომ გალაქე,
> ადამიანთა მოძრაობას თუ არ ბელადობ,
> როგორც პოეტი, ბოლშევიკი და მოქალაქე.

ეს სტრიქონები მშვენივრად ახასიათებენ ალიო მირცხულავას შემოქმედების იმ ნიშანდობლივ თვისებებს, რომლებიც პოეტის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო მეტ სიმწიფეს და დასრულებას მიაღწია. პოეტი შეიძლება რაიმეში შემცდარიყო, პოლემიკით გატაცებულს შეიძლება ზოგიერთი უკიდურესობა დაეშვა, ახალი, რევოლუციური სიტყვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭედვისას, ახალი ფორმების ძიებისას შეიძლება წამით მცდარ ბილიკზე გადაედგა ფეხი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ლექსი არასოდეს ყოფილა უდღეური და უფერადო, პოეტს არასოდეს დაუკარგავს მხედველობიდან ხელოვნების მაღალი იდეურ-აღმზრდელობითი დანიშნულება, ის ყოველთვის იყო თავის შემოქმედებაში ბოლშევიკი და მოქალაქე. მძაფრი, დაძაბული, ენერგიული, ექსპრესიული ლექსი, პოლიტიკური და პოეტური სიმახვილე მებრძოლი, პუბლიცისტური, ორატორული, პოლემიკური ინტონაცია — ყოველივე ეს მირცხულავას ბევრ საუკეთესო ნაწარმოებს ახასიათებდა და განსაზღვრავდა მის პოეზიაში რევოლუციური რომანტიზმის მჩქეფარე ნაკადს. ალიო მირცხულავას შეიძლება დაეწერა მეტად თუ ნაკლებად კარგი ლექსი, მაგრამ რიტმის მოდუნებას, მაჯისცემის შენელებას, ინტონაციის განეიტრალებას ვერასოდეს შეამჩნევდით. პოეტს ჰქონდა უფლება ეთქვა თავისთავზე, რომ მისი ლექსი ყოველთვის „აღგზნებული გულივით ყღერდა“, ჰქონდა უფლება შეედარებინა თავისი სიტყვა ხან „ელვისათვის“ და ხან „ქუხილისათვის“, ხან მშენებლობის წვლილად მიტანილი „აგურისათვის“ და ხან „ტყვიით სავსე ყუმბარისათვის“.

ცხოვრების წინსვლა, თემატიკური დიაპაზონის გაფართოვება მოითხოვდნენ პოეტისაგან ახალ და ახალ საღებავებს. საბრძოლო და პოლემიკური ინტონაცია, რომელიც ასე ბრწყინვალედ ჰქონდა გამოყენებული ალიო მირცხულავას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, უკვე ვეღარ უპასუხებდა ყველა იმ მოთხოვნილებას, რომლებიც ცხოვრებამ წამოაყენა მომდევნო წლების მანძილზე. ალიო მირცხულავას არასოდეს არ დაუთმია თავისი რევოლუციურ-რომანტიკული განწყობილებანი და ამავე დროს მან დიდი ნაბიჯის გადადგმა შეძლო რეალისტური პოეზიის, რეალისტური ლირიკის განვითარების გზაზე. ოცდაათიან წლებში ალიო მირცხულავამ შექმნა თავისი პოეზიის ნამდვილი შედევრები — „ჰიმნი სამშობლოს“, „დამკვრელ ბრიგადებს“, „გაზაფხული“, „ლენინურ კომკავშირს“, „ხორგა“, „წლები“, „ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟები“ და სხვა. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია მზარდი კონკრეტულობა სინამდვილის ასახვაში. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში შემოდის ალიო მირცხულავას ლექსში პეიზაჟი და ჟანრი — საქართველოს ცაფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტოვანი ბუნების პლასტიკური და მრავალფეროვანი აღწერა, სოფლისა და ქალაქის ყოფა-ცხოვრებითი სურათების გადმოცემა. ეპიკური თხრობისაკენ მისწრაფებამ, რომელმაც ალ. მირცხულავას პოეზიაში იჩინა თავი, თავისი ლოგიკური დაგვირგვინება პოვა ფართო პოეტურ ტილოში — პოემა „ენგურში“, რომელიც ქართულ საბჭოთა პოეზიაში ეპიკური ნაწარმოების შექმნის ერთ-ერთ პირველ წარმატებითს ცდას წარმოადგენდა. „ენგური“ დაიწერა 1937 წელს. მომდევნო წლებში ალიო მირცხულავამ კიდევ ერთი მიმართულებით გაფართოვა თავისი შემოქმედებითი ძიების ფარგლები — მან ხელი მოჰკიდა პოეზიის ისეთ რთულსა და საპასუხისმგებლო ჟანრს, როგორიც არის ფილოსოფიური ლირიკა. ამ მიმართულებითაც მიაღწია პოეტმა თვალსაჩინო წარმატებებს — მისი „მინიატურების“ გარკვეულ ნაწილში ლაკონურ და მხატვრულად ოსტატურ ფორმებში არის გადმოცემული ახალი ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო, მისი ზნეობრივი და ესთეტიკური კოდექსი.

თუ ომის წლებში პოეტს კვლავ გამოადგა თავისი გამოცდილება რევოლუციის ტრიბუნისა, რომელმაც, მაიაკოვსკის მსგავსად, „ხიშტს გაუთანაბრა კალამი“, ომისშემდგომ წლებში მან არანაკლებ ნაყოფიერად განავითარა თავისი მიღწევები ღრმა ლირიკული განცდებისა და ფიქრების სფეროში. თუ რამდენად მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა ალიო მირცხულავას პოეტიკამ (მიუხედავად მისი ლექსების ლირიკული გმირის შინაგანი მთლიანობისა), ადვილად შეინიშნება ჩვენთვის უკვე ცნობილი ოციანი წლების პოეტური დეკლარაციების შედარებისას მისი უკანასკნელი დროის ლექსებთან („ვერხვი“, „ზაფხული“ და სხვა). თემის უშუალო პუბლიცისტური განსახიერებიდან, ორატორული ინტონაციიდან პოეტი მთელ რიგ შემთხვევებში გადადის პოეტური ამოცანის რთულ მეტაფორულ გადაწყვეტამდე.

ერთი და იგივე იდეის გამოსახვის ორივე ფორმა ერთნაირად კანონზომიერია, არცერთ მათგანს არ მიენიჭება უპირატესობა, მაგრამ ისინი მოასწავებენ პოეტის თემისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომას, რომელიც განპირობებულია დროის სულისკვეთებით, ნაკარნახევია ეპოქის ამოცანებით, ხალხის ცხოვრების ყოველი ეტაპის თავისებურებით.

ქართული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი — **კარლო კალაძე** როგორც შემოქმედი მთლიანად ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ერთ-ერთი მისი პირველი ლექსთაგანი „მუხა და ქარიშხალი“ დათარიღებულია 1921 წლით. კარლო კალაძე იმთავითვე ოციანი წლების მძაფრ ლიტერატურულ-პოლიტიკურ პოლემიკაში ჩაება და ახალგაზრდა კომკავშირული მწერლების გაერთიანების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი გახდა. პოეტმა იცოდა, რომ ახალი, რევოლუციური შინაარსის გადმოსაცემად აუცილებელი იყო ახალი პოეტური ფორმის ძიება. მაგრამ ოციან წლებში იგი ამ ძიებას ყოველთვის როდი აწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებდა სწორი მიმართულებით. იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ჩვენ შევხვდებით კარლო კალაძის არაერთ ლექსს, სადაც ფორმის ხელოვნური სირთულე ზიანს აყენებდა ნაწარმოების საერთო იდეურ-მხატვრულ ღირებულებას. ეს იყო აშკარა გავლენა იმ დროს საკმაოდ გავრცელებული ფორმალისტურ-მოდერნისტული ლიტერატურული დინებებისა, რომლებსაც თვით კალაძე ებრძოდა, მაგრამ რომელთა ერთგვარ გავლენას იგი მაინც ვერ ასცდა. ეს სიძნელეები პოეტმა წარმატებით დაძლია და თავისი შემოქმედების ამ ადრინდელ ეტაპზევე შექმნა მთელი რიგი ლექსებისა, რომლებშიც შინაარსის რევოლუციური გამიზნულობა შერწყმული იყო ნათელ რეალისტურ ფორმასთან. ასეთი ნაწარმოებების ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ 1926-27 წლებში დაწერილი ლექსები „ძახილი აღმოსავლეთის“ და „მხედრული“.

ოცდაათიან წლებში კარლო კალაძე უკვე სავსებით ჩამოყალიბებული, მოწიფული ოსტატობისა და ნათელი, ფართო იდეური თვალთახედვის პოეტია. ამ პერიოდის მისი საუკეთესო ნაწარმოებებია „მთების ეპოსი“ და „ხერთვისის განთიადები“. „მთების ეპოსი“ — მღელვარე პოეტური მონათხრობია „მრავალ ასეულ საუკუნის“ მანძილზე გაჩაღებული ბრძოლის შესახებ, რომელსაც ადამიანი ბუნებასთან აწარმოებდა, „ხერთვისის განთიადები“ საქართველოს უძველეს კუთხეებში — მესხეთსა და ჯავახეთში მოგზაურობის პოეტური შედეგია. მრავალტანჯული წარსული, და აწმყო, რომელმაც სიცოცხლე უნდა შთაბეროს უძველეს მხარეს, უპირისპირდებიან ერთმანეთს ამ ციკლში. სწორედ ახალი ცხოვრების ჩასახვაა პოეტის შთაგონების წყარო. წარსულის მოგონებებში ოსტატურად არის ჩაქსოვილი მშვენიერი ლეგენდა — ამბავი ხუროთმოძღვარის ნიჭიერი შეგირდისა, რომელმაც ანტიკური იკაროსის მსგავსად ხელოვნური ფრთებით გადმოფრენა გაბედა, როდესაც შურიანმა ოსტატმა კოშკზე ასულს ბაწრის კიბე გადაუჭრა, მაგრამ დაიღუპა თითქმის მიზანმიღწეული. ხალხური თქმულების მოტივები ღრმად არის გააზრებული პოეტის მიერ. კარლო კალაძე ლაპარაკობს ხელოვნების ბედზე ძველ სამყაროში, გვიხატავს ადამიანის ტრაგიკულ ხვედრს შურიანობისა და ღვარძლიანობის სამყაროში, სადაც ფრთა ეკვეცება ხელოვანის საუკეთესო მისწრაფებებს. ამავე დროს „ხერთვისის თქმულება“ პოეტს თანამედროვეობასთან მკაფიო პარალელის გასატარებლად სჭირდება. ისე როგორც „მთების ეპოსში“, „ხერთვისის განთიადებშიც“ წარსულის შავბნელ სურათებს კონტრასტულად უპირისპირდება ხაბჭოთა ადამიანების, „ახალი საქართველოს მოსახლეობის“ შრომითი თავდადების ეპიკური სურათები. დღეს ტრაგიკულად დაღუპული შეგირდის ქვეყანა „ფრენოსანთ სამშობლო“ გახდა.

„ხერთვისის განთიადებში“ ღრმა სოციალურ-ფილოსოფიური თემის მხატვრულად განსახორციელებლად კარლო კალაძეს დასჭირდა თავისებური პოეტური ხერხების გამოძებნა. ჩვეულებრივი რეალისტური თხრობა აქ მიზანს ვერ მიაღწევდა, ამიტომ პოეტმა ასეთ თხრობას მოხერხებულად შეუთანხმა მთელი რიგი პირობითი და სიმბოლური სახეებისა. ასეთმა მხატვრულმა სინთეზმა მას დიდი წარმატება მოაპოვებინა.

კარლო კალაძის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის შემოქმედებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი ლექსი — „იმერული მოთხრობა“ და „ფიქრისგორის გაზაფხული“. „იმერული მოთხრობა“ (1935) თავისებური პოეტური ნარკვევია ქართულ სოფელზე. ლექსში ზუსტი და ძუნწი დეტალებითაა აღწერილი გლეხების ყოფა, კოლექტიური მეურნეობის შემწეობით სიღარიბისა და სიდუხჭირის დაძლევა. ლექსში ეპიკური საწყისია გაბატონებული, ეპიკური დეტალიზაციის ხერხები ჭარბობს. ლირიკული მოტივები კი საგანგებოდ შეზღუდულია და თითქმის განდევნილი. ასეთი ტენდენცია დამახასიათებელი იყო როგორც კარლო კალაძის, ისე ზოგიერთი სხვა ქართველი პოეტისათვის ოცდაათიანი წლების შუახანაში.

ომისწინა წლებში კარლო კალაძემ თითქოს უარი თქვა ლექსის ასეთ ცალმხრივ პროზაიზაციაზე და გააფართოვა თავისი ძიებები უკვე საკუთრივ ლირიკის სფეროში. 1940 წელს დაწერილი „ფიქრისგორის გაზაფხული“ კარლო კალაძის ლირიკის ოსტატური ნიმუშია.

კარლო კალაძე თავისუფლად და ძლიერად ფლობს ლირიკული აღსარებისა და მიმართვის ფორმას, ჭეშმარიტი პოეტურობით გადმოგვცემს როგორც თავისი საკუთარი სულიერი განწყობილების უნატიფეს ნიუანსებს, ისე ქალაქში შემოჭრილი გაზაფხულის სურათსაც. პოეტს აღარ ესაჭიროება აქ — ჩანაფიქრის შესაბამისად — არც ზედმეტად პირობითი და სიმბოლური სახეები, არც ლექსის გადაჭარბებული პროზაიზაცია. მან გამოძებნა ახალი ჰარმონიული და მხატვრულად შთამბეჭდავი ხერხები და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ როგორც შემოქმედმა.

დაიწყო ომი. საფრთხე მოადგა კავკასიონსაც. „შეხვედრები ბრძოლის ველზე“, „ხმა შორეულთა“ — ამ საერთო სახელწოდებით გააერთიანა კარლო კალაძემ თავისი ომის წლებში დაწერილი ლექსები. „ისევ მშობლიურ სოფელში“ კი კარლო კალაძის ომისშემდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსების კრებულია, რომელშიც შევიდა 1944-1949 წლებში შექმნილი ნაწარმოებები.

კარლო კალაძის ლექსებში გაცოცხლდა მშობლიური პეიზაჟი, ქართული სოფლის ყოფითი სურათებიც, კვლავ გაჩნდა მათში ჭაბუკური შემართება და სიხალისე. სიცოცხლითა და ხალისითაა გამსჭვალული პოეტის ისეთი ლექსები, როგორიცაა „მედოქეები", „დელი-დელა", — მსუბუქი და ნათელი იუმორით გამთბარი, ლაღი, სხარტი, მოსწრებული.

ზემო სოფლიდან ურმებით
მოვიდნენ მედოქეები,
აყალო მიწით მძერწავნი,
წარმართთა მეტოქეები.
ფუჩეჩით შეუფუთნიათ
სურა, ხალამი, ჭინჭილა...
შავი ნაგაზიც მოჰყვებათ,
ჯაჭვი აბია ჯინჯილად.
დაბალ, გოგორა ურმებზე
გადაწოლილი ჭურები
იცქირებიან პირღიად,
დევივით გაბაწრულები!..

...შეჩერდნენ სოფლის წყაროსთან,
ბაწრები ახსნეს ძარისა,
გამოეგებათ ჭიშკრიდან
ღიმილი პატარძალისა!
... გული შეუკრთა კახაშვილს,
ადგილზე დარჩა უძრავად,
თვალები თითქოს წაცვივდნენ
წასულის შესამუსრავად!
... იფიქრებს ბიჭი წითური,
იფიქრებს... მაგრამ ანაზდად
ბრგე მედოქეებს ხორხოცით
გრძნობს, მხრები აუთამაშდათ,
გრძნობს, რომ სიცილით ურმებზე
გადაწოლილან ჭურებიც
და ძველ არაკად მოისმის
წყაროთა ნაჩურჩულევიც!
დგას კვლავ თავდახრით, წყაროსკენ
გახედვა დაეზარება, —
გული რომ რკინა ეგონა
დოქივით გაებზარება!..

„მედოქეები" კარლო კალაძის პოეზიის ნამდვილი მარგალიტია. აქ ბედნიერადაა შეთანხმებული ერთმანეთთან ავტორის უნარი ორიგინალური სახეების შექმნისა და ლექსის ჭეშმარიტი ხალხურობა, სისადავე, თავისუფალი, ბუნებრივი დინება. ღრმა და გონებამახვილური ჩანაფიქრით გამოირჩევა აგრეთვე კარლო კალაძის ლექსი „იგავი ბუხრის წინ". ამ ლექსის ერთადერთი აზრია სიცოცხლისა და სიხარულის ქადაგება, პოეზიისა და სიხალისის განუყრელი ერთიანობის დამკვიდრება. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჩანაფიქრი პოეტმა მშვენივრად განახორციელა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისეთი ლექსები, როგორიცაა „მედოქეები" ან „იგავი ბუხრის წინ", სრულიადაც ვერ ამოწურავენ „მშობლიური სოფლის" თემას. ამის პრეტენზია მათ არცა აქვთ. სამაგიეროდ, მათ გვერდს უმშვენებენ უფრო ფართე თემატიკური დიაპაზონის ლექსები. კარლო კალაძის ამ კრებულის ბირთვს შეადგენს სამი ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული ლექსი — „როგორ დგება გაზაფხული", „გმირის ვარსკვლავი" და „სტუმრად გმირებთან". ამ ლექსებში გადმოცემულია ის მთავარი ნიშნები, რომლებიც დღევანდელი სოფლისთვისაა დამახასიათებელი. ეს ლექსები პეიზაჟურნი არიან მშრალი აღწერილობითობის გარეშე, მძაფრად ტენდენციურნი — შიშველი რიტორიკის მოუხმარებლად. მათში მკაფიოდაა დახატული ადამიანთა სახეები და თვით პოეტის გულწრფელი ლირიკული მღელვარებაც იგრძნობა.

კარლო კალაძის ომისშემდგომ ნაწარმოებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია „მგზავრულს". აქ შეჯამებულია მთელი რიგი იდეურ-მხატვრული მოტივებისა, რომლებიც პოეტს არაერთ ლექსში ჰქონდა დასახული. ერთი შეხედვით ლექსში მხოლოდ ნათელი და მკაფიო პეიზაჟური ჩანახატია მოცემული: ლურჯი მთები და ნაკადების სისწრაფე, ნისლის ნელი რონინი და მდელოების ზურმუხტი, უფსკრულებზე ქამანდივით გადასროლილი გზა, ხიდი ამ გზაზე და ხიდთან აღმართული ლენინის ქანდაკება. მაგრამ პეიზაჟი კარლო კალაძის ლექსში გაცოცხლებულია ხალხის მოძრაობით, მისი ბრძოლითა და შრომით, ხალხის გზა კი ლენინის ხელითაა დალოცვილი. პოეტი ჩვენც მიგვაქროლებს საქართველოს მშვიდობიან გზებზე და არა მარტო თვალით დანახულს გვამცნობს — იგი გაიაზრებს ნახულს, აწმყოს უკავშირებს წარსულს. პოეტის გზა არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიცაა გაწოლილი, გეოგრაფიული საზღვრებიც ფართოვდება და ხეოსწყალის ზვირთების ხმაურში ჩვენ მთელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხმა შემოგვესმის. ამ ლექსის სავსებით კონკრეტული სახეები თავის „მეორე პლანსაც" ამეღავნებენ, მეორე, სიმბოლური მნიშვნელობითაც წარმოგვიდგებიან. ასე მაგალითად, პოეტის მიერ აღწერილი მთებში გაწოლილი გზა, ხიდი ამ გზაზე და გაზაფხულის დღე გვესახებიან, როგორც გზა მომავლისაკენ, როგორც წარსულისა და მომავლის შემაერთებელი ხიდი, როგორც ლენინის მიერ ნაანდერძევი და ნაწინასწარმეტყველი გაზაფხული ამ საოცნებო მომავლისა.

ირაკლი აბაშიძის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1928-1929 წლებში. მაშინ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა დიდ ისტორიულ ძვრებს. სწორედ 1929 წელი შევიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიაში, როგორც დიადი გარდატეხის წელი. სოციალიზმის მძლავრი შეტევა ყოველივე ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ — აი, რა გასსაზღვრავდა ამ დროის ხასიათს. შემტევი, მებრძოლი, შემოქმედებითი სულისკვეთება — აი, რა განასხვავებდა არა მარტო მუშისა და გლეხის შრომას, არამედ ყოველ ჰანგს, აჟღერებულს მოწინავე კომპოზიტორის მიერ, ყოველ შტრიხს, გავლებულს ახალგაზრდა მხატვრის თამამი ხელით, ყოველ სტრიქონს, შექმნილს საბჭოთა პოეტის შთაგონებით.

რა იქცევს პირველ რიგში მკითხველის ყურადღებას, როდესაც ის დღეს გადაიკითხავს ირაკლი აბაშიძის იმ წლებში დაწერილ ლექსებს? — პოეტური ხმის სიწმინდე და ძალა. ამ ლექსების მიხედვით მკითხველს, კიდევაც რომ არ იცნობდეს ავტორს, შეუძლია თვალნათლივ წარმოიდგინოს დამახასიათებელი ნიშნები კომკავშირული თაობისა, რომელიც თამამად და უყოყმანოდ, ახალგაზრდული გატაცებითა და რწმენით გამოვიდა სოციალიზმისათვის, ბედნიერებისათვის ბრძოლის დიადი ფრონტის მოწინავე ხაზზე. ამ თაობას ჰქონდა ნათელი მომავალი, მას არ ამძიმებდა წარსულის ტვირთი, არ ეწეოდა უკან ძველი შეცდომებისა და ყალბი ესთეტიკური ილუზიების ობობას ქსელი. თორმეტი წლის ბიჭები იყვნენ ამ თაობის წარმომადგენლები, როდესაც 1921 წლის თებერვალში, ტაშის გრიალით შეხვდნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებს და აქვე დამცინავი სამთითა სტვენით გააყრუეს გასაქცევად გამზადებული მენშევიკ-გვარდიელები. უფრო გვიან ბავშვობის ეს შთაბეჭდილებები, გამდიდრებული ცოდნითა და გამოცდილებით, გადმოიღვარა ლექსებად — ქართული ოქტომბრის — 1921 წლის თებერვლის, „მშრომელთაგან უარყოფილი“ მენშევიკების მარიონეტული რესპუბლიკის, საქართველოში მოსული პირველი „საბჭოთა თოვლის“ შესახებ.

თებერვლის დღენი, თოვლიანი თებერვლის
დღენი
ყმაწვილ გონებას მოგონებით არ
მისვენებენ:
ხონის ქუჩებში ორთქლიანი სამხედრო
ცხენი
და მგზავრობაში გალაფული გარნიზონები.
თებერვლის დღენი, გონებაში ცეცხლის
თარიღად
ჩამრჩეს, სანამდე სულიერთა რგოლში
ვიქნები...
... იმ ღამით ჩვენში განუწყვეტლად
სთოვდა ეზო-კარს.
განიარაღდა გვარდიელთა რაზმი დაშლილი,
დარეკა ჟამმა, მენშევიზმის მიდის ეპოქა,
ვით დანჯღრეული თვითმავალი
მაზნიაშვილის.

ისტორიულ მოვლენათა უშუალო მოწმის დღიურში ჩანაწერს მოგვაგონებენ ეს სტრიქონები ირ. აბაშიძის ერთ-ერთი ადრინდელი ლექსიდან. მაგრამ ეს არ არის უბრალო, მშრალი ქრონიკა. ყოველი მოვლენა აქ პოეტის თვალით არის დანახული. ამას ადასტურებს თამამი შტრიხებით შესრულებული სატირული სურათიც, მხატვრულ განზოგადებამდე აყვანილი ყოფითი დეტალებიც — დროისა და ვითარების მანიშნებელი წვრილმანები და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი ლირიზმით გამთბარი და გასხივოსნებული პოეტური შეგრძნება სიახლისა, რომელიც „პირველი საბჭოთა თოვლის“ თითქოსდა წმინდა პეიზაჟურ ჩანახატში არის განსახიერებული და სიმბოლიზებული.

დიახ, პოეტური ხმის სიწმინდე და ძალა, ნათელი სახეები, ორატორული ინტონაცია, ვაჟკაცური შეძახილი, თანამედროვის — ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გმირის — მკაფიოდ მოხაზული კონტურები. ირაკლი აბაშიძის პოეზიაში გამოკრთის სახე „ბრძოლაში ვალდებული“ პოეტი-მოქალაქისა, რომელსაც ბოლომდე აქვს შეცნობილი თავისი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე: მომდევნო წლებშიც გმირობის თემა ერთ-ერთ წამყვან თემად გვევლინება ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. ამის დასტურია თუნდაც ოცდაათიანი წლების მანძილზე შექმნილი მთელი რიგი ლექსების სათაურებიც კი — „გმირები“, „სიმღერა გმირებზე“ და ა. შ. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მხოლოდ სათაურები და თემატური მოტივები როდია. ირაკლი აბაშიძის ლექსებში, ისე როგორც სხვა მოწინავე საბჭოთა პოეტების ნაწარმოებებში, გმირობის თემა მაღალ სოციალურ და ფილოსოფიურ სიმაღლეზეა აყვანილი. გმირობის ამ ახალ, საბჭოთა კონცეფციას საფუძვლად უდევს ხელოვნებაში ჯერ კიდევ გორკის მიერ მიგნებული, ხოლო ოცდაათიან წლებში ი. სტალინის მიერ უაღრესი ლაკონიზმითა და ფილოსოფიური სიღრმით ფორმულირებული გაგება შრომისა, როგორც ღირსების, სახელის, გმირობის საქმისა.

ლირიკულ პოეზიაში ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვიზიდავს და გვაღელვებს ლირიკული გმირის ბედი, პოეტის თანამედროვის, მისი ორეულის ბედი, თანამედროვის ბედი! ირაკლი აბაშიძე პირველსავე თავის ლექსებში შეეცადა პოეზიის ამ უმთავრესი და უწმინდესი ამოცანის გადაწყვეტას. ამ მხრივ ყველაზე უფრო საგულისხმოა 1931 წლით დათარიღებული საკმაოდ ცნობილი ლექსი „გადარჩენის ბალადა“. ეს არ არის ბალადა ამ ჟანრის განმსაზღვრელი ტერმინის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ლექსს არა აქვს საკუთრივ ბალადური სიუჟეტი და კომპოზიცია. წმინდა ეპიკური დასაწყისი, რამდენიმე თხრობითი სტროფი, ძველი ყოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეტალების ზუსტად და მკაფიოდ გადმომცემი, მალე და თითქოს შეუმჩნევლად გადადის ფილოსოფიურ განზოგადებათა პლანში. საინტერესოა თვით ის პოეტური ხერხი, რომლითაც მიღწეულია ეს გადასვლა.

მსოფლიო ომში
თათრების ფრონტზე,
ტრაპეზუნდის თუ ჯანდაბის იქეთ,
მოყვარემ ჩვენმა ოჯახის მომსწრე
დაკარგა ვაჟი — ოცი წლის მიქე.
ვის მიწას შერჩა, რა ქვეყნის ლოდებს
ან ჭაბუკს მკერდი ვინ დაუკოდა?..
სოფელში გზირმა აცნობა მშობელს,
რომ გაჭრა ვაჟი უგზო-უკვლოდა.

თხრობითი ინტონაცია და სახეები აქ განზრახ ხაზგასმულიც კია: ზუსტად არის აღნიშნული მოქმედების დრო და ადგილი, ნახსენებია სახელი და წლოვანება დაკარგული ვაჟისა, ერთი-ორი მეტყველი შტრიხით გადმოცემულია მთელი უბედობა და განწირულობა იმდროინდელი ახალგაზრდობისა („ტრაპეზუნდის თუ ჯანდაბის იქეთ"). ასეთივე კონკრეტული პირდაპირი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ ფრაზასაც — „გაჭრა ვაჟი უგზო-უკვლოდა". მაგრამ უკვე მომდევნო სტროფებში იგივე გამოთქმა თანდათანობით უფრო ფართო, განზოგადებულ მნიშვნელობას ღებულობს, საერთოდ „უგზო-უკვლობის" მოტივში გადადის და ამ თითქოსდა სავსებით კონკრეტული სახის მეტაფორული რეალიზაცია ბოლოს დაგვირგვინებულია უკვე წმინდა აფორისტული თქმით:

ის იკარგება უგზო-უკვლოდა,
ვინაც ვერ ნახა ქვეყნად გზა-კვალი.

როგორც ვხედავთ, პოეტმა „უგზო-უკვლოდ დაკარგვის" მოტივი დაუკავშირა და დაუპირისპირა ცხოვრებაში ნათელი მიზნების, ნათელი გზების ძიების იდეას: შენ შეიძლება ომშიაც დაიღუპო, სხვა საქვეყნო საქმესაც შესწირო თავი, მაგრამ თუ შენი მიზანი კეთილშობილია, და შენც ნათლად გაქვს იგი შეცნობილი, ვერავინ იტყვის შენზე — უგზოუკვლოდ დაიკარგაო; „გზა-კვალაბნეული" კი ცოცხალიც დაკარგული იქნები შენი ხალხისთვის. სამშობლოსთვის, საკუთარი თავისთვისაც. ახალმა ცხოვრებამ, საბჭოთა ცხოვრებამ გადაარჩინა ახალგაზრდობა უგზოუკვლობას, განასხვავა პოეტის თანამედროვის, მისი ლექსის ლირიკული გმირის ბედი — „ჯანდაბის იქით" „უგზო-უკვლოდ" გადაკარგული მიქეს ბედისაგან. და რა ზუსტად გადმოგვცემს ირაკლი აბაშიძის ამ ლექსის იდეას და შინაარსს მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი სათაური — „გადარჩენის ბალადა".

„უგზო-უკვლობას" გადარჩენილი თაობა, სიცოცხლის ხალისით გამსჭვალული, ხარბად დაეწაფა ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს. მისთვის უცხო იყო გაორება და რეფლექსია და ამ გაორების საფუძველზე წარმოშობილი დრამატიზმი. სულ სხვა კონფლიქტები, სულ სხვა შეჯახებანი ასაზრდოებდნენ და განსაზღვრავდნენ ამ სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდობის ცხოვრების მძაფრ დრამატულ დაძაბულობას.

რა დასამალია, ოცდათიანი წლების პირველ ნახევარში არაერთი ქართველი პოეტი სცოდავდა რიტორიკულობით და დეკლარაციულობით, ბევრ მათს ლექსში ყრუდ ისმოდა ლირიკული გმირის ხმა, გაღარიბებულად გამოიყურებოდნენ მისი გრძნობები, ლირიკა თითქოს მორცხვად იყო განდევნილი პოეტური ჰორიზონტიდან. და ირაკლი აბაშიძე, სხვა მოწინავე პოეტებთან ერთად, თამამ ნოვატორად მოგვევლინა ამ სფეროშიც. მან „მთელი ხმით" უმღერა გაზაფხულსა და ყვავილებს, ზღვასა და სატრფოს, მან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ახალი ადამიანისათვის განსაკუთრებით მახლობელი და გასაგებია როგორც ბუნების, ისე ადამიანთა ურთიერთობის მთელი სილამაზე და მშვენიერება. პოეტს თავის საუკეთესო ლექსებში მოჰქონდა ნათელი და მძაფრი შეგრძნება იმ დროისა, როდესაც —

მზეს მზე დაერქვა, ვარდებს — ვარდები,
კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი.

„ახალ სიცოცხლის და ყვავილების" მგოსანი უწოდა თავისთავს ირაკლი აბაშიძემ ამავე პერიოდის ერთ-ერთ ლექსში („ყვავილები ქალაქში"). ეს იყო ირაკლი აბაშიძის პირველი ლექსი, რომლითაც მან შეგნებულად გაილაშქრა ჩვენი პოეზიის გმირის სულიერი სამყაროს გაღარიბების წინააღმდეგ, ანდა, მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „გატეხა ლექსის უხერხულობა", „მისცა დასტური", რომ მის „ლექსებში ხმა აღიდგინონ ქრიზანტემებმა". ირაკლი აბაშიძემ გაბედულად დაიცვა პოეტის უფლება და მოვალეობა ახალი ადამიანის გრძნობების, განცდების, ინტერესების მთელი სიმდიდრისა და მრავალფეროვანების ასახვისა. პროგრამული იყო ამ მხრივ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ომამდელი ლექსიც „ყველა სიმღერა", ქართული საბჭოთა ლირიკის თვალსაჩინო ნიმუში.

პოეტის ყველა გრძნობა, ყველა ფიქრი ანუ ყველა სიმღერა, რომელიც მას ოდესმე გაუგონია და შეყვარებია, ერთად თავს იყრის, დაკავშირებულია საყვარელ არსებასთან. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტის ინტერესები მხოლოდ სიყვარულით არის შემოფარგლული, სრულიადაც არა: ეს ინტერესები კვლავაც მდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარია და მრავალფეროვანი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც იშოვა სიყვარული, ისინი უიმისოდ, მის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად აღარ არსებობენ. „ყველა სიმღერა“ შთაგონებული ჰიმნია, მიძღვნილი დიდი და კეთილშობილი გრძნობისადმი, როდესაც ყოველივე ახალი, ყოველივე კარგი და მშვენიერი მშობლიური ქვეყნის ცხოვრებაში თავისთავად უკავშირდება საყვარელი ადამიანის სახესა და სახელს. ეს ერთდროულად სატრფიალო და პატრიოტული ლირიკაა.

„სიცოცხლეს ვაშა!“ — ამბობდა პოეტი თავის ერთ-ერთ ომამდელ ლექსში და ამავე სიტყვებით დაიწყო მან ერთ-ერთი თავისი პირველი ლექსი, ჩაწერილი საომარი ლექსების რვეულში:

> სიცოცხლეს ვაშა,
> მაგრამ სიკვდილიც
> ქართლისთვის მე არ გამიჭირდება...

ირაკლი აბაშიძის ომის დღეებში დაწერილ პირველ ლექსებში სჭარბობს მოწოდებითი ინტონაციები, მებრძოლებისადმი, ამხანაგებისადმი, პირდაპირი, უშუალო მიმართვა. ეს ბუნებრივიც იყო. ასეთი ხასიათი ჰქონდა მაშინ მთელ საბჭოთა პოეზიას. უფრო გვიან, თვით ცხოვრების კარნახით, საბჭოთა პოეტების ლექსებში სულ უფრო მძლავრად შეიჭრა ფრონტის ცხოვრების კონკრეტული სურათები, პოეზიაში გამოიკვეთა სამამულო ომის გმირის ნათელი, მკაფიო, სისხლჭარბი, რეალისტური სახე. ირაკლი აბაშიძემაც მიაგნო ახალი გმირის კონტურებს, დახატა არაერთი ფრონტული სურათი და ფრონტელის პორტრეტი, დაძლია ისეთი ლექსების აბსტრაქტულობა, როგორიც იყო „შენ კვლავ ცოცხალი ხარ“ და „ჰორიზონტზე იწვოდა მესსერშმიტი“, და შექმნა ფრონტული ლირიკის მრავალი თვალსაჩინო ნიმუში. ასეთი, ცოცხალი გზნებით გამსჭვალული, საკუთარი თვალით და ნახულისა და განცდილის კვალდაჩნეული ლექსების რიცხვს ეკუთვნის „ალექსანდრე კერესელიძე“, „კაპიტანი ბუხაიძე“, „დაჭრილის ლექსი“, „როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“, „ლესელიძის ხსოვნას“ და მრავალი სხვა. პოეტის ლექსებში შემოიჭრა თვით გმირი მებრძოლის ვაჟკაცური მონოლოგი.

ვფიქრობთ, ზედმეტია მოვიგონოთ ის გასაოცარი პოპულარობა, რომელიც წილად ხვდა „კაპიტან ბუხაიძეს“. პოეტმა, ყოველგვარი სტილიზაციისა და ფოლკლორიზაციის გარეშე, მიაგნო ისეთ სადა, უბრალო და, ამავე დროს, ემოციურად შთამბეჭდავ პოეტურ ფორმას, რომელიც აშკარად ენათესავებოდა ხალხური გმირული ეპოსის ნიმუშებს. ეს ლექსი შეიძლება დაწერილიყო მხოლოდ საბჭოთა პოეტის მიერ, მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში და, ამავე დროს, ის ვერ შეიქმნებოდა, საბჭოთა ხალხს, ქართველ ხალხს რომ არ ჰქონოდა გმირული წარსული და ამ წარსულის გამომხატველი გმირული პოეზია. ირაკლი აბაშიძის ლექსი სულიერად ენათესავება არა მარტო უძველეს ქართულ გმირულ ბალადებს, არამედ შედარებით ახლო წარსულში შექმნილი ხალხური რევოლუციური ლირიკის შედევრებსაც.

... გამარჯვების სიხარული და სალუტის აგუგუნება არ ნიშნავდა პოეტისათვის განვლილის, განცდილის, ნახულის დავიწყებას. ჩამქრალ ხანძარში აქა-იქ ჯერ კიდევ ელავდა მრავლისმეტყველი მუგუზლები — ომის ჭრილობები და ნატყვიარები; ჯერ კიდევ აცრემლებდა თვალებს ნახანძრალის კვამლი — გუშინდელი დღის მწვავე მოგონებები. და როგორც სალუტის აგუგუნებამ ერთნაირად შეაზანზარა მოსკოვისა და თბილისის ზეცა, ერთი სიხარულით აუძგერა გული მოსკოვისა და თბილისის მკვიდრთ, ისევე ერთნაირად მოაგონა ამ სალუტმა რუს და ქართველ პოეტებს სამშობლოსათვის თავგანწირულ მეგობრებთან განშორების წუთები.

> А гром кальбы в любые торжества
> Напомнит нам о той большой разлуке.—

წერდა ალექსანდრე ტვარდოვსკი, და სწორედ ასეთივე ვაჟკაცური სევდით, ჯარისკაცული თავშეკავებითა და ჭეშმარიტი მეგობრობის გრძნობით იყო გამსჭვალული სტრიქონები ირაკლი აბაშიძის ლექსისა „რად გელანდება“:

> დღეს სხვა ტევრი გვაქვს გასაკაფავი,
> ხანძარი ჩაქრა, ისევ წინ ვივლით;
> მაგრამ ეს ომი დასაღუპავი,
> ყურში რად წივის გაბმულ წივილით.
> რად არის — როცა განრიდებული
> შენთვის ალაგებ ფიქრებს უვნებლებს —
> გული რად უცდის გარინდებული
> მეგობრებს უკან დაუბრუნებლებს.
> ... რად გელანდება, რად გაგონდება
> მთები, ქვემეხთა ცხარე დუელი,
> დაჭრილ ქართველის ჩუმი გოდება,
> ველზე — დამწვარი ყაბარდოელი.
> ... შენ ხარ ნაჭედი, შენ ხარ ვაჟკაცი,
> ბედ-იღბლის წიგნში ეს გაქვს ნაწერი.
> შენ ხარ ბრძოლაში, შენ ხარ ლაშქარში.
> გასწი, .იარე, მტკიცედ გასძელი...

ეს ლექსი უდაოდ ოპტიმისტურია, სიცოცხლის დამამკვიდრებელია, მაგრამ მასში მისხალიც კი არ არის იმ გულუბრყვილო, ვარდისფერი „ოპტიმიზმისა“, რომლისთვისაც უცხოა ადამიანური ვნებათაღელვა, დაძაბული ფიქრი თანამედროვისა და თანამებრძოლის ბედზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდა, რომელიც უფრო დიდსა და სავსეა ხდის შენს სიხარულს, და სიხარული, რომელიც გეხმარება ისე დაძლიო სევდა, რომ შენს გულში არ წარიშალოს მტკივნეული მოგონება წარსულისა — დაღუპული მეგობრისა, „დაჭრილი ქართველისა“ და „დამწვარი ყაბარდოელისა“.

ირაკლი აბაშიძის ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონები უკვე არა მარტო ლირიკული გმირის აღსარებაა, არამედ პირდაპირი მიმართვაა ცოცხლად დარჩენილი ფრონტელებისადმი, რომლებისთვისაც ბრძოლა არ გათავებულა, რადგან გამარჯვების სალუტმა მხოლოდ ომის დამთავრება კი არ აუწყა მათ — ახალი ცხოვრების, ახალი მშვიდობიანი ბრძოლისა და ლაშქრობის დაწყებაც უბრძანა და მოულოცა.

„სიმღერა მკის დროს“, „ჰყვავის გურია“, „მონადირის ღამეები“ — ამ სათაურებითაა ცნობილი ირაკლი აბაშიძის პირველი ომისშემდგომი ლექსების კრებული. ყველა ეს ლექსი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომისადმია მიძღვნილი.

თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნების, უტყუარი პოლიტიკური აღღოსა და მახვილი თვალის პოეტი ირ. აბაშიძე ხშირად მიმართავს პოლიტიკური ლირიკის ჟანრს, ეხმიანება მშვიდობისათვის მებრძოლთა მძლავრ ქოროს. „ღია წერილი ერსკინ კოლდუელს“ ამ რთული და მეტად მნიშვნელოვანი ჟანრის მშვენიერი ნიმუშია. პოეტს სურს დაინახოს თავისი ამერიკელი თანამოკალმე მოწინავე მწერალთა რიგებში, მშვიდობის მომხრეთა მწყობრში, გილიენის, ნერუდასა და გონსალესის გვერდით. პოეტი გულისწუხილით უსმენს ნიჭიერი მწერლის ხანგრძლივ დუმილს, მწერლისა, რომელიც დღემდე მეგობრად, მოკავშირედ და თანამებრძოლად ეგულებოდა. არ არის ამ ლექსში ზერელე და იაფფასიანი ბრალდებანი, არის მეგობრული ცდა მწერლის სულიერ განცდებში ჩაწვდომისა — დახმარების, გამხნევების მიზნით. ეს მეგობრის მიმართვაა — პირდაპირი, მკაცრი, მაგრამ ვაჟკაცური და კეთილგანწყობით გამსჭვალული. ეს ლექსი ჩვენ გვაგონებს ილია ერენბურგის ცნობილ მიმართვას დასავლეთის ზოგიერთი მწერლისადმი, რომელთაგან ჯერ კიდევ მოსალოდნელი იყო სულიერი განახლება და აღორძინება. თუ ეს განახლება არ მოხდება, მით უარესი: მორალური დაცემულობა, კაცობრიობის უკეთილშობილესი ბრძოლის ფრონტიდან დეზერტირობა განაპირობებს ყოველი მწერლის შემოქმედებითს უნაყოფობას, რაოდენ ნიჭიერიც უნდა იყოს იგი. ირ. აბაშიძემ გამონახა ამ ლექსში პოლიტიკურად მძაფრი და ამავე დროს უდიდესი უშუალობითა და ადამიანური გრძნობით, ვაჟკაცური გულისტკივილითა და ალალმართლობით გამთბარი ინტონაცია. როგორც ცნობილია, ერსკინ კოლდუელმა გაამართლა მის გულწრფელ მეგობართა მოლოდინი — დღეს ის კვლავ მოწინავე ამერიკელ მწერალთა რიგებშია.

დიდი ადგილი უკავია ირ. აბაშიძის პოეზიაში ისტორიულ-რევოლუციურ თემასაც. ამ ნაწარმოებების რიგს უნდა მივაკუთნოთ ლექსები ლენინზე და სტალინზე, მათ თანამებრძოლებზე — წულუკიძეზე და კიროვზე. ირ. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“ ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მგზნებარე რევოლუციონერთან ხალხის გამოთხოვების სურათი დიდი ემოციური შთამბეჭდაობით არის შესრულებული. მკითხველზე ზემოქმედების ძალით ის შეიძლება შევადაროთ ლენინის დასაფლავების აღწერას მაიაკოვსკის „ვ. ი. ლენინში“.

ირაკლი აბაშიძე თავისუფალი სუნთქვისა და უაღრესად ბუნებრივი ინტონაციის პოეტია. იგი ქართულ პოეზიაში აკაკი წერეთლის კლასიკური პოეტური ტრადიციისა და ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის — გალაკტიონ ტაბიძის ახალი ტრადიციის საუკეთესო გამგრძელებელია. მაგრამ მისთვის ლექსთაწყობის წმინდა ინტონაციური პრინციპი უფროა მახლობელი, ვიდრე მუსიკალურ-მელოდიური. იშვიათად შეეხვდებით მის ლექსებში იმ ხაზგასმულ პათეტიკურ ამაღლებულობასაც, რომელიც ეგზომ დამახასიათებელი იყო გალაკტიონის რომანტიკული სტილისათვის. ისევე, როგორც გალაკტიონ ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე გაურბის მეტაფორულ სახვითობას, მაგრამ თავისი ლექსის დინებას უქვემდებარებს არა მუსიკალურ-მელოდიურ სტიქიას, არამედ ბუნებრივი სასაუბრო, მიმართვითს ან თხრობითს ინტონაციას. ირაკლი აბაშიძე პოეტური საუბრის, ბაასის, თხრობისა და მიმართვის უბადლო ოსტატია. მას, ისე როგორც არავის, შესწევს უნარი დაუმორჩილოს ლექსის ყველა კომპონენტი ლირიკული გმირის უშუალო ინტონაციას. ამიტომაც გამოირჩევა მისი ლირიკა სტილის კრისტალური სიწმინდითა და სინათლით.

პოეტის ერთი პროგრამული ლექსით რომ ვისარგებლოთ, შეიძლება ითქვას, რომ მის ლექსს „თეთრი არ გამორევია“ არასდროს, სიტყვას არ დატყობია „აზრის მეტობა“, ენას არ დაუკარგავს „მიამიტობა“ და უშუალობა, სტრიქონს — არ გამოლევია „სინედლე“.

ასეთია მოწინავე ქართველი საბჭოთა პოეტის — ირაკლი აბაშიძის, შემოქმედების მთავარი დამახასიათებელი ნიშნები.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილიპე ბერიძე

პოეტური გარდასახვის გზა

(მურმან ლებანიძის ახალი წიგნის — „ლექსები. ფიქრები. პოემა“ — გამოსვლის გამო)

შთაგონებული ხელოვანი მოულოდნელი შესაძლებლობებითა და ინსტინქტებით არის აღსავსე. მას მუდამ აწუხებს დაუსრულებელი ძიებისა და კვლევის ყინი, რასაც ერთგვარ გარდასახვითს პროცესში გამოხატავს ხოლმე. აქვე უნდა აღვნიშნოთ: გარდასახვას, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ პოეტთან, რომელმაც გარკვეული თავისებური ნიშნებით უკვე გამოავლინა თავისი პოეტური „მე“, ყოველთვის არ უნდა ჰქონდეს შემოქმედების ძირეული ხასიათის, ძირითადი მხატვრული მეთოდის უარყოფის მანიშნებელი თვისება. ეს მოვლენა პირადი პოეტური სამყაროს უპრინციპობაზე და სიღარიბეზე უფრო მეტყველებს, ვიდრე სხვა რამეზე. ასეთი გარდატეხების დროს წინა პერიოდის შემოქმედების ძირითადი ელემენტები დაქინებით მოქმედებენ და ერწყმიან ხელოვანის მიერ შემეცნებულ სიახლეს.

შეიძლება ორმა პოეტმა ერთი და იგივე საგანი ან მისი რომელიმე თვისება დაინახოს და ასახოს, მაგრამ მათი გამოსახვის ხერხი, მიდგომის გზა არამცდაარამც არ შეიძლება ერთმანეთის იდენტური იყოს. ეს ისეთი მარად სამახსოვრო ჭეშმარიტებაა, რომლის გარეშეც არაფერი არ იქმნება ახალი და საინტერესო. ამით არ შეიოფარგლება თავისებურებისა და ინდივიდუალობის ნიშნები. თემების, იდეების, ფორმების, სხვა კომპონენტების და საერთოდ სტილის ერთობლიობის, ან თვითეული მათგანის მიხედვით იკვლევენ და ადგენენ შემოქმედის თავისთავადობას.

სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ მურმან ლებანიძის ახალი წიგნი. ორიოდე სიტყვა მისი სტილის თავისებურების შესახებ: მურმან ლებანიძე არტისტული სიდინჯის პოეტია. ერთი შეხედვით, ამა თუ იმ ლექსში, მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, ავტორი ჩქარობს, სადაცაა ჩაქრება და სათქმელს ბოლომდე ვერ დაასრულებსო. ეს ხდება ტემპის ზრდის გამო. ყოველი მომდევნო სტრიქონი მეტ წვასა და პოეტურ ენერგიას ამხელს. ავტორი თანდათან ენთება და სტროფიდან სტროფში გადადის ჟრუანტელის მომგვრელი სუნთქვა. მისთვის არ არსებობს პედანტური გეგმა და გაანგარიშება. წერის პროცესში მიდის იგი თავდავიწყებამდე, სულის სიღრმეში გადააქვს თემა და ნერვების კანკალით წერს თვითეულ სტრიქონს.

მურმან ლებანიძე ლექსის ფორმას მხოლოდ საგნის ან მოვლენის თვისების შესაბამისად ქმნის. მისი პოეზიის ხასიათი თავისთავად უარყოფს ფრაზების განყენებულ სილამაზეს, რიტმის თვითნებურად დარღვევას თუ თვითმიზნურ მხატვრულ სახეს. პოეტი თავისუფლად მეტყველებს. ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ამ ეგრეთწოდებულ, პოეტურ თავისუფლებას, უშუალობას და სილაღეს მაშინ უფრო ძნელად ეუფლება პოეტი, როცა კონკრეტულ საგნებს და მოვლენებს ასახავს. რეალური გარემო პოეტს იძულებულს ხდის ყოველი ფრაზის მოტრიალებისას შთაგონებული იყოს კონკრეტული ნიუანსებით, შეძლოს ლექსის საგნობრივი დატვირთვა.

მურმან ლებანიძე იშვიათად მიმართავს მეტაფორული აზროვნების ხერხს. მისებური მხატვრული სახის ფუნქციაა ნათელყოს ლექსის ძირითადი იდეა და ავტორის პოზიცია.

პოეტი არ ღალატობს ცხოვრებისადმი მისებურ მიდგომას, თემების ყოველმხრივ და დიდი პოეტური მღელვარებით განცდას, საკითხის ბოლომდე გადაჭრის პრინციპს, მოხდენილ, ტაქტიან არტისტიზმს და ძლიერ პათოსურ მეტყველებას. ახალი თემების ციკლი, აქედან გამომდინარე

საკითხის ახლებურად დასმა და გადაწყვეტა, ლექსის ტექნიკის სფეროში ახლად შემეცნებული კონკრეტული გარემოსადმი შესაბამისი ცვლილებები განსაზღვრავს ამ გარდასახვის ხასიათს. პოეტმა გაბედულად შემოიტანა ლექსში პროზის ელემენტები. ეს რა თქმა უნდა ნოვატორობად არ ჩაითვლება მურმან ლებანიძეს.

წიგნის თემატიკა კონკრეტული, საყოფაცხოვრებო თემების რკალით განისაზღვრება. ყოფით ამბებსა და დეტალებს პოეტმა მისცა შთამაგონებელი პოეზიის ეღერადობა. მან ბიოგრაფიული ატმოსფერო გადააქცია პოეზიად, შემოქმედებად.

მურმან ლებანიძე პრინციპულად უარყოფს განყენებულ და ზოგად ფრაზებს. უჩინარ ქვეტექსტში იმალება ზოგადი მნიშვნელობის აზრი; რამდენადაც ყოფითი თემა იძლევა განზოგადოების საშუალებას, იმდენად განახორციელა პოეტმა ეს პრინციპი.

ლექსში „ქართვლის დედა“ თითქოს ყველაფერი კონკრეტულ ასპექტშია ნათქვამი, ზუსტადაა აღწერილი ელგუჯა ამაშუკელის ბიოგრაფიული დეტალები და მისი ცნობილი „ქართვლის დედა“. სტრიქონებს შორის ავტორი შეფერილად ამხელს ხელოვანის მიერ ხელოვანისადმი დიდ მოკრძალებას, პატივისცემას და წრფელ სიყვარულს. პოეტმა დაგმო ვნებათა ღალვა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი ქალის მიმართ, მისი სპეტაკი სახე მითიური გახადა, დაამდაბლა და დაამცირა ხორციელი სიყვარულის ჟინი.

მივყვები პროსპექტს,
სიცხისაგან რომელიც იწვის,
ზედ არ შევხედავ მე შიშველ მკლავებს!
ავხედავ მხოლოდ, თბილისის თავზე,
მათ გასაოცრებს,
ამ სიცხეში მაჯამდე შეკრულთ,
რომელთაგან ერთს
სტუმრისათვის უპყრია თასი,
რომელთაგან სხვას
სატევარი ჩაუბღუჯნია,
და შენზე ვფიქრობ, ჩემო ელგუჯა...

ბოლო სტრიქონებში პოეტმა ზუსტი მხატვრული ჩანაფიქრით ზოგადად გახსნა ქართველი კაცის ხასიათის ერთი ნიშანი.

ხოლო მანდილს და
კაბის კალთას ქართვლის დედისას,
ვით რესპუბლიკის დროშას
ვემთხვევით!

აქ საკითხი ზოგად პლანშია გადაჭრილი. მურმან ლებანიძეს თავდავიწყებით უყვარს თავისი ლექსების გმირები. პოეტი თანაბარი მხატვრული სიძლიერით გამოხატავს მათი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ხასიათს. უმეტეს შემთხვევაში ეს გმირები მისი მეგობრები და ახლობლები არიან. ვინც მურმან ლებანიძის პიროვნებას იცნობს, ისიც კარგად იცის, რომ მეგობართან სიახლოვე, მისი საქმის სიყვარული და ცხოვრებით ღრმად დაინტერესება, პოეტის ადამიანური ბუნების ორგანული თვისებაა. კონკრეტული ამბები და დეტალები პოეტს განცდილი აქვს ამომწურავად. საფიქრებელია, რომ სწორედ ასეთმა განცდამ დაძრა მისი კალამი ყოფითი თემებისაკენ.

ჩვეულებრივად ლირიკულ ლექსში პოეტი სუბიექტურ განწყობილებას და შეხედულებებს გადმოსცემს. ამით ამხელს იგი ცხოვრებასთან, ადამიანებთან თავის დამოკიდებულებას.

მურმან ლებანიძის ლირიკულ ლექსში გაჩნდა მეორე პერსონაჟი. პოეტი მასთან ურთიერთობაში ავლენს გარე სამყაროსადმი, ადამიანებისადმი მიდგომის თავისებურ პოზიციას და ამავე დროს ლირიკული უშუალობით ახასიათებს ამ პერსონაჟის პიროვნებას,

შენი ოცნება
სუყველგან ჰპოებს;
ვადინადირებ
  უახლეს დროებს,
გადაბარგდები
არსენას დროში,
გადავარდები დავითის ომში
  მოითარეშებ
  წარსულის ტყეში
კვლავ დაბრუნდები
დღევანდელ დღეში.
(„შურა ბანძელაძეს“)

სხვა ვინ ვიცი, შენებრ ქროდეს!
გეტრფი, მინდვრად მიჰქრი როცა!
მე რომ შენი სიმხნე მქონდეს,
მე რომ შენი ფილტვი მომცა...
(„მიხეილ მესხს“)

მუხრან მაჭავარიანის, თამუნია ქავთარაძის, ბიჭია ჩიხრაძის, თუ ეთერ გომიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებში კონკრეტული ადამიანები მოქმედებენ. ავტორი მათი პორტრეტულ-ფსიქოლოგიური დახასიათებისას საგანგებო ყურადღებით გამოჰყოფს მათს ზოგად თვისებებს. კონკრეტულიდან გადახრით და ზოგადი ელემენტების ზომიერად შემოტანით პოეტი შთამაგონებელს ხდის ლექსის იდეას.

ციკლში „ფიქრები“ მურმან ლებანიძემ ფართოდ გადაშალა ლირიკული გმირის სულიერი სამყარო. თერთმეტ ლექსს აერთიანებს ერთი რიკული ხაზი. პოეტი ფერადი, პლასტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერწერის მანერით ფსიქოლოგიურ განწყობილებათა ზუსტ და ემოციურ სურათებს ქმნის.

ელასტიური ფრაზები რეალური სახით გადმოსცემენ პოეტის წუხილს, სიხარულს, ღელვას თუ სიმშვიდეს. ერთი სიტყვით აქ ლირიკული გმირის სულიერი პოზა გაცხადებულია ეპიკური მონუმენტალობით. ციკლს რეფრენივით გასდევს ნაღვლიანი მუსიკალური მელოდია; მეტყველება გადადის სიმღერაში.

აბასთუმანს, აბასთუმანს
მზე ჩახჩახებს ვებერთელა.
ბულვარებში დარიგებულ
სალმით ვგავარ ამილახვარს,
სამი თვეა აქა ვცხოვრობ,
სამი თვეა ვაკვირდები,
ჯვარი აქაურობას და
მე ჯერ
მკვდარი არ მინახავს.

თუ ლექსში პერსონაჟის ხასიათი მურმან ლებანიძემ შეკვეცილ, ფრაგმენტულ შტრიხებში გვიჩვენა, ლირიკულ პოემაში — „ციმბირის პაპა“ გმირის მონუმენტალური სახე შექმნა. გაერთიანა ადამიანის პორტრეტისა და შინაგანი სამყაროს ხატვის პრინციპი. პოეტი კვალდაკვალ მიჰყვება გმირის ბიოგრაფიას და თვითეულ დეტალს ხატავს მისებური ხასიათით. კომპოზიციურად კრავს ამ დეტალებს და მთლიანობაში წარმოგვიდგენს. მოულოდნელი ეპიზოდები, ავტორის ლირიკული გადახვევები ამძაფრებს და დაძაბულს ხდის პოემის სიუჟეტს. ავტორი შეფერილად ამჟღავნებს სიმპათიებს თავისი გმირისადმი, ხატოვანი ფრაზების რგოლი ცოცხლად აღადგენს პოემის პერსონაჟს.

პოემის რიტმული რხევა, მეტრის ცვლა ამბის, ავტორის ლირიკული განწყობის სიმძაფრის პარალელურად ვითარდება.

ცხრა დღე იმგზავრა მოსკოვიდან
ციმბირის პაპამ,
საჭიროება არ მოითხოვს აღვწეროთ ის—
თუ რარიგ ძნელი იყო მაშინ გავლა ამ
გზით,
თუ რაოდენი გარდახდა ჯაფა!
ტრიბუნაზე გიწყვია ვებერთელა
ხელები,
შენს წინ კორეელი ლომკაცების გუნდია!
უცებ... მოგელანდება იისფერი სერები
ოდას წყვილი ჭადარი
სანთელივით უნთია...
გული ცეცხლად აენთო
და საცაა დაიწვოდა.
ვისთვის, ვისთვის გაენდო
არ იცოდა!

ბიოგრაფიის, ცხოვრებისეული უბრალო დეტალები ღრმა ლირიკული მღელვარებით გადმოსცა პოეტმა და პოზიტიური სიცხადით გაამჟღავნა გმირის ბუნება.

მურმან ლებანიძე ახალი წიგნით მოგვევლინა, როგორც თემების ღრმად დამუშავების და მძაფრი ლირიკული ექსპრესიების შემოქმედი. ამაშია მისი პოეტური გარდასახვის თავისებურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურ ბეგიაშვილი

„ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“

ქართველ ხალხს თავისი არსებობის მრავალი საუკუნის განმავლობაში სულიერი კულტურის და გონებრივი განვითარების სხვადასხვა დარგი შეუქმნია. მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული მხატვრული შემოქმედება — ზეპირი თუ წერილობითი, რომელთა კვალი ათასეულ საუკუნეებში აღინიშნება; მდიდარია ქართული ტექნიკური კულტურა, შემოქმედების მრავალსახეობით ცნობილი; მდიდარია და ფრიად კაზმული ქართული საერთო-სახალხო ენა, რომლის საგანძურს ამშვენებს თვითმყოფადი კლასიკური მჭევრმეტყველება.

ქართული კულტურის ზოგიერთი დარგი საფუძვლიანადაა შესწავლილი. გამოვლინებულია და მსოფლიო მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომია ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებები და მათი შემოქმედი ავტორების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცნობები; ცნობილი გახდა მთელი კაცობრიობისათვის ქართული ფილოსოფიური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორია; საკმაოდ გაშუქებულია ქართველი ერის სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ისტორია; მაგრამ, შეიძლება ითქვას, დღემდე ხელუხლებელი იყო ქართული კულტურის ისეთი ფაქიზი დარგის ისტორია, როგორიც არის ორატორული ხელოვნება.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიული საფეხურები და ქართველ მჭევრმეტყველთა ვინაობა თვით ქართველთათვისაც კი უცნობ, შეუსწავლელ არეს წარმოადგენდა. დღემდე არავის უცდია შეექმნა ამ დარგის ჩამოყალიბებული, მეცნიერული თვალსაზრისით გაშუქებული ისტორია. ამიტომ დიდად მნიშვნელოვანია ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ამ მოკლე ხანში თანმიყოლებით გამოცემა ორი კაპიტალური ნაშრომისა — „ქართული მჭევრმეტყველება“ და „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“, რომელთა მთავარი ამოცანაა „ამ შემოქმედებითი პროცესის (მჭევრმეტყველების — თ. ბ.) და მისი პრაქტიკული ნაყოფის ისტორიული განვითარების ჩვენება“.

„ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების წყაროების, ტერმინოლოგიის, კერების, მისი ისტორიის პერიოდებისა და დარგების თეორიულ გამოკვლევას; მეორე ნაწილში განხილულია ქართული მჭევრმეტყველების სამოქალაქო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგები; ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია ქართველი ორატორების, მათი გამომეტყველების და შემოქმედების ცნობები. წიგნს დართული აქვს ამომწურავი საძიებლები და ამ დარგის ძირითადი ლიტერატურის ინდექსი.

კვლევა-ძიების თვალსაზრისით საყურადღებოა პირველი ნაწილის მესამე თავი, სადაც ავტორი იხილავს ქართული მჭევრმეტყველების როგორც უცხო (ბერძნულ, ლათინურ), ისე ქართულ ენაზე არსებულ საისტორიო წყაროებს. ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის „გეოგრაფია“, რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის „ანალები“ (მატიანე), ბერძენი ისტორიკოსების გელასი კესარიელის, აღათია სქოლასტიკოსის, პროკოფი კესარიელისა და სხვების ისტორიული ნაშრომები, სადაც დაცულია ქართველ ორატორთა სხვადასხვა პირობებში წარმოთქმული სიტყვების ტექსტები, ნაჩვენებია ამ სიტყვების გამომწვევი მიზეზი და გარემო, წარმოთქმის პირობები და სხვ.

ნაშრომში საკმაო ამომწურავად მოყვანილია ამ მასალებში საქართველოს შესახებ არსებული ცნობები და მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბერძენი ფილოსოფოსისა და ორატორის თემისტიოსის სიტყვა, რომელშიაც დაცულია ცნობები კოლხეთში არსებული რიტორიკული სკოლის შესახებ. ავტორი აქ სამართლიანად აკეთებს დასკვნას, რომ ჯერ კიდევ III საუკუნეში კოლხეთში არსებობდა საკმაოდ ძლიერი კულტურის ცენტრი და სასწავლებელი აკადემია, რომელშიაც ქართულსა და ბერძნულ ენებზე ქართველების გარდა სწავლობდნენ სხვა ეროვნების ახალგაზრდებიც.

ნაშრომში ვრცლად განხილულია ქართული საისტორიო წყაროებიც: ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ისტორიული ქრონიკები, ლიტერატურული მიმოხილვანი და მხატვრული შემოქმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ძეგლები. მართალია, ყველა ეს მასალა საკმაოდ შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში ლიტერატურული, ისტორიული და ფილოსოფიური თვალსაზრისითაც, მაგრამ როგორც ქართული მჭევრმეტყველების წყაროს, მათ არც ერთი მკვლევარი არ შეხებია. ამიტომ საყურადღებოა ნ. კანდელაკის ცდა — განიხილოს ეს ძეგლები ორატორული ხელოვნების თვალსაზრისითაც და გამოავლინოს საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ქართული კულტურის მიღწევანი.

ორიგინალური ნარკვევია პირველი ნაწილის მეოთხე თავი, სადაც ავტორი ცდილობს დაადგინოს ქართული მჭევრმეტყველების ტერმინოლოგია. აქ კარგად განმარტებულია ისტორიულ ასპექტში მოცემული ტერმინები: ქადაგება და მქადაგებელი, მოძღვარი და მოძღვრება, მჭევრი და სიტყვა-მჭევრი, რიტორი და რიტორობა; გაშუქებულია ტერმინების: სიტყვა, ქებანი და შესხმა, პაექრობა, დესპანი, დიასპანი, ვარჭირი-ვეჭილი და სხვათა მეცნიერული მნიშვნელობა. ეს მდიდარი და მრავალფეროვანი სამჭევრმეტყველო ტერმინოლოგია შედეგია ქართული კულტურის ღრმა შინაარსისა, მისი სიმდიდრის და ორიგინალობისა. აღსანიშნავია, რომ ეს მდიდარი ორიგინალური ტერმინოლოგია შექმნილია საუკუნეთა სიღრმეში და მაჩვენებელია, თუ რა შორეული და, ამასთან, დიდი წარსული აქვს ქართული კულტურის ისტორიას. ნაშრომის ეს მეოთხე თავი სცილდება სპეციალური საკითხების კვლევაძიებას, იძლევა მდიდარ მასალას ქართული კულტურის ისტორიის შესასწავლად და ზოგიერთ საჭოჭმანო საკითხის გადაწყვეტა-დასადგენად.

ისტორიული თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა საკითხი, თუ სად ვითარდებოდა, რომელ წრეებში იფურჩქნებოდა ეს მდიდარი კულტურა, სად იქმნებოდა მჭევრმეტყველების ის შედევრები, რომლებიც დღესაც განცვიფრებას იწვევს მკითხველში. ავტორი ვრცლად ჩერდება ქართული მჭევრმეტყველების კერებზე. მან ორიგინალურად გაშალა ამ კერების ჩამოყალიბების ისტორია, აღნიშნა, რომ გონებამახვილური, ამავე დროს ფაქიზი მჭევრმეტყველება ზეპირსიტყვიერების გზით ვითარდებოდა, და, პირველ რიგში, ქართული სუფრა იყო არა მარტო შექცევისა და მხიარულების კერა, არამედ საქმიანი საუბრისა და გონივრული გართობის სათავეც. აქ იწვრთნებოდა მჭევრმეტყველი ორატორი, აქ იჭედებოდა მკვეთრი სიტყვა, რომელიც ქართული ენის დაუშრეტელი პოტენციიდან მომდინარეობდა, აქ ვითარდებოდა ორატორული ჩვევები და მეტყველების მრავალფეროვანი ფორმები, რომლებიც საკმაოდ უხვად შემონახულა.

ქართულ იმპროვიზაციული მჭევრმეტყველებისა და ხალხური ორატორული ხელოვნების განვითარებას ხელს უწყობს ქართული სამგლოვიარო რიტუალი, სადაც უძველესი დროიდანვე მიღებულია მიცვალებულის სიტყვით დატირება. ეს წესი ავითარებდა დამტირებლის ზეპირმეტყველებას, ქმნიდა დახვეწილ ენის ნორმებს, სტილის, წარმოსათქმელი სიტყვის მრავალსახეობას, რითაც იქმნებოდა ხალხური მჭევრმეტყველების საუცხოო ნიმუშები.

ასეთია ზეპირსიტყვიერების კერები, სადაც, ავტორის ცნობით, მუშავდებოდა ქართული კულტურის მეტად მნიშვნელოვანი დარგი — მჭევრმეტყველება.

ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული კულტურული ცენტრების აღორძინება, მათი ისტორიული განვითარება და იქ საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება. ასეთებია კოლხეთის აკადემია, ნეკრესის ტაძარი, დავით გარეჯის უდაბნო, გელათისა და იყალთოს აკადემიები და სხვ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს, სამწუხაროდ, გამორჩენია ქართული კულტურის ღა მჭევრმეტყველების დიდი ცენტრი — ტაოკლარჯეთის სკოლა თავისი ცნობილი შატბერდით, საიდანაც „სიბრძნითა მათითა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი“. არაა მოხსენებული აგრეთვე მცხეთის სალიტერატურო სკოლა, სადაც მეთერთმეტე საუკუნეში მკვეთრად გაისმოდა მელქისედეკ კათალიკოსის მამხილებელი მოძღვრება-ქადაგებანი.

დასახელებულ ცენტრებს შორის საყურადღებოა ქართული ანტიკური კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პედაგოგიური კერა — კოლხეთის აკადემია, როგორც ქართული წარმართული კულტურის უმაღლესი გამოვლინება. ავტორს დაწვრილებით მოჰყავს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები კოლხეთის მჭევრმეტყველების კერის შესახებ, სადაც ასწავლიდნენ „არა ისართ ტყორცნას... არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში“. კარგად არის ნაშრომში გაშუქებული დანარჩენი კულტურული სკოლების ისტორია, თუმცა შეიძლებოდა თელავისა და თბილისის სემინარიების (XVIII ს.) მოქმედება უფრო ფართოდ გაეშალა ავტორს, რადგან ამ კერების შესახებ მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება ჩვენს ლიტერატურულ წყაროებში.

*

საყურადღებოა და, ამავე დროს, ფრიად საპასუხისმგებლო წიგნის მეორე ნაწილი, სადაც ავტორს უცდია დაედგინა ქართული მჭევრმეტყველების დარგები. ავტორი ქართუ-

ლი მჭევრმეტყველების უამრავ მასალას ფორმის და შინაარსის მიხედვით ექვს ციკლად ყოფს: სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველება. ასეთი კლასიფიკაცია მეცნიერულად გამართლებულია. ავტორს უეჭველად დიდი დაკვირვება დასჭირდებოდა, რათა დარგობრივად დაელაგებინა ქართული მჭევრმეტყველების მოღწეული ნიმუშები. ჩვენს ყურადღებას იქცევს სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგები, სადაც უფრო მეტად ჩანს ხალხური ზეპირი შემოქმედება, ფოლკლორული საწყისები.

ავტორის განცხადებით, ქართული ორატორული ხელოვნების ერთი მდიდარი და მრავალფეროვანი დარგი სადღესასწაულო მჭევრმეტყველებაა, რომელიც თანაბრად შეიცავს სასულიერო და საერო ხასიათის ორატორულ ძეგლებს. ავტორი მოხდენილ ანალიზს უკეთებს ამ ძეგლებს და ამტკიცებს, თუ რაოდენ სიმაღლემდე იყო განვითარებული ქართული ორატორული ხელოვნება უძველეს დროშივე. ამის მაგალითია ავტორის მიერ გაანალიზებული იოანე-ზოსიმეს (X საუკუნე) შესანიშნავი პოეტური სიტყვა-შესხმა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", რომელიც, შინაარსის გარდა, ფორმითაც ქართული მჭევრმეტყველების მადიდებელი და შემამკობელია.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ საერო სადღესასწაულო მჭევრმეტყველების სათავეები ადრინდელ ხალხურ სიტყვიერებასა და უძველეს საისტორიო მწერლობაშია საძიებელი. ხალხური ორატორული ხელოვნების ერთი ძირითადი დარგი სასუფრო მჭევრმეტყველებაა. ქართულ სუფრას ამშვენებს სიტყვა და სიმღერა, რომლებსაც აწესრიგებს ნადიმის მეთაური თამადა. სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოები საჯარო სახისაა და მახვილი და მოსწრებული, მჭევრი გამოთქმით ხასიათდება. განვითარებულ საორატორო ხელოვნებას საფუძველი ჩაეყარა ქართულ ტრადიციულ სუფრაზე, სადაც მეინახენი მხიარულებასთან ერთად საჯარო სიტყვიერ გამოსვლებში ვარჯიშობდნენ და სადღეგრძელოების ორატორულად გაფორმებულ სახეებს ქმნიდნენ.

ქართულ ფოლკლორულ მასალებში მოიპოვება მჭევრმეტყველების შესანიშნავი ნიმუშები; თამადის დალოცვა, საკმაოდ ვრცელი, ლექსად თქმული, სადაც დაცულია საორატორო ხელოვნების შესანიშნავი ხერხები. ავტორს რომ განეხილა ეს მასალა, მათი ანალიზით დახატავდა სასუფრო მჭევრმეტყველების საუკეთესო სურათს.

წიგნში ამომწურავადაა განხილული სამგლოვიარო მჭევრმეტყველება, რომლის ოთხ სახეს ასახელებს ავტორი: მოთქმით ტირილი, ხმით ტირილი, ზარით ტირილი და ძახილით ტირილი. თვითეულ მათგანს ავტორი ასურათებს წერილობითი და ზეპირი წყაროების მიხედვით და აღნიშნავს ქართველების უნიკალურ ტრადიციას, რომ გლოვის პირობებშიც კი ხალხი ლამაზი სიტყვიერი ფორმებით გამოხატავდა თავის მწუხარებას.

კარგად არის ავტორის მიერ გაანალიზებული, შესაფერი ტექსტებით და ისტორიული დოკუმენტებით დასურათებული მჭევრმეტყველების სადარბაზო, სამხედრო და სამოსამართლო დარგები. ღრმა და ამოუწურავია უძველესი დროიდანვე მომდინარე ქართული სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაც.

ქართული ჰომილეტიკა, ანუ ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება არაფრით ჩამოუვარდება ბიზანტიურ (და სხვა ერების) ჰომილეტიკას. ბევრი ქართველი მქადაგებელი თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს განთქმულ მსოფლიო ორატორებს ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს. მაგრამ, რაც მთავარია, ქართულ ჰომილეტიკას შეუქმნია მჭევრმეტყველების ორიგინალური წესები, რომლებიც მკვეთრად ეღერს იოანე ბოლნელის, გიორგი და ექვთიმე ათონელების, ახალი დროის ამბროსი ნეკრესელის, გაბრიელ ქიქოძისა და სხვათა ქადაგებებში. მჭევრმეტყველების ეს დარგი სპეციალურ განხილვას მოითხოვს, ვინაიდან ბევრ ქართულ მოძღვრება-ქადაგებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და ავტორიც მართებულად მოქცეულა, როდესაც აღნიშნავს ამ დარგის დიდ მნიშვნელობას ქართული საორატორო ხელოვნების განვითარებისათვის.

*

წიგნის მესამე ნაწილი განიხილავს ქართველ ორატორებს და მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე. მრავალი ორატორის სიტყვის დედანი არ შენახულა, მაგრამ ჩვენამდე ჰერიფრაზული თხრობის სახით მოაღწია რამდენიმე სიტყვამ, ამა თუ იმ ისტორიკოსის მიერ თავის შრომაში ჩაწერილმა. მაგალითად, ფარსმან პირველის (I საუკუნე) მიერ მხედრობის წინაშე წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტები დაცულია რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის ანალებში. ავტორი ამ ფრაგმენტების მიხედვით არკვევს ფარსმან პირველის ორატორულ ხელოვნებას და აკეთებს დასკვნას, რომ ფარსმანი სამხედრო დარგის მჭევრმეტყველების უადრესი წარმომადგენელია, ხოლო სიტყვის მხატვრული ხერხები ადასტურებს ქართული მჭევრმეტყველების განვითარების მაღალ დონეს ჯერ კიდევ პირველი საუკუნის შუა წლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთივე ფრაგმენტული ჩანაწერებით უხდება ავტორს მუშაობა ქართველი ორატორების ბაკურის (IV საუკუნე), გუბაზ მეფის (VI საუკუნე), აიეტის და ფარტაზის (VI საუკუნე) სამჭევრმეტყველო ხელოვნებაზე. წარმოთქმულ სიტყვათა ნაწყვეტების მიხედვით ავტორი ახასიათებს ორატორების განვითარების მაღალ დონეს, მათს დახვეწილ გემოვნებას, სიტყვაკაზმულობას, მჭევრ, მკაფიო და ბრძნულ მეტყველებას და აკეთებს საერთო დასკვნას, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ქართული საორატორო ხელოვნება გამოირჩეოდა თავისი ცოცხალი ენამჭევრობით, ღრმა იდეური შინაარსით, თეორიული და პრაქტიკული განსწავლულობით, რომ ორატორთა სიტყვები, მართალია, შემკულია ეროვნული ხასიათის სიტყვიერი ორნამენტებით და შეფერულია მშობლიური ენამჭევრობის კოლორიტით, მაინც მსოფლიო ორატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია.

საშუალო საუკუნეების ორატორთა შორის ავტორი ჩერდება იოანე საბანისძის (VIII საუკუნე), იოანე ბოლნელის (X საუკუნე), ათონის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელთა — გიორგი მთაწმინდელისა და გიორგი მცირეს (XI საუკუნე), არსენ ბერის (XII საუკუნე) საორატორო ხელოვნებაზე, აღნიშნავს მათს ბრძნულ, ლოგიკურ და ღრმაზ მჭევრმეტყველებას და ამბობს, რომ საშუალო საუკუნეებში ქართულმა საორატორო ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რომ ქართველ ორატორთა წინაშე ქედს იხრიდნენ ბიზანტიისა და მსოფლიოს სხვა ერების მჭევრმეტყველნი, როგორც ამას ადასტურებს ანტიოქიის პატრიარქის სიტყვა გიორგი მთაწმინდელთან პაექრობის დროს: „ხედავთ ბერსა ამას, — ამბობს პატრიარქი, — ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გვერევის? ვეკრძალნეთ, ნუ უკვე წინააღმდეგომი შეგვემთხვიოს და არა თუ ხოლო სიტყვით, არამედ საქმით გვამხილოს ძლეულებაი ჩვენი“...

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ქართულმა ჰომილეტიკამ, აგრეთვე საერო მჭევრმეტყველებამ, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში მოგვცა მსოფლიო მნიშვნელობის საორატორო ხელოვნების ნიმუშები, რომ ქართველი ორატორები ტონს აძლევდნენ მსოფლიო მჭევრმეტყველურ ხელოვნებას, ხოლო ბევრი მათგანი მისაბაძი გახდა განვითარებული ქვეყნების ორატორთათვის.

„აღორძინების“ ხანიდან ქართული კულტურის ასპარეზზე თვალსაჩინო ფიგურას სულხანსაბა ორბელიანი წარმოადგენს. ფართო საზოგადოება სულხანს იცნობს როგორც იგავ-არაკების მწერალს და უებრო ლექსიკოგრაფს. მაგრამ სულხანი არა ნაკლებ ძლიერია როგორც მქადაგებელი ორატორი და როგორც პოლიტიკური მჭევრმეტყველი. ავტორი იხილავს სულხანის დიდ შრომას „სწავლანი და მოძღვრებანი“ და მართებულად აღნიშნავს, რომ სულხანი არა მარტო ქართული კლასიკური ჰომილეტიკის წარმომადგენელია, რომლის მდიდარი და ოსტატური ორატორული ხელოვნება ორგანულ კავშირშია ანტიკურ ბერძნულ მქადაგებლობასთან, არამედ რეალისტი მამხილებელია, ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლი ორატორია, რომლის სიტყვიდან ისმის ხალხის დრტვინვა, ჩანს ქვეყნის აშლილობა და იგრძნობა საერთო შეშფოთება.

სულხანის შემდეგ, აღნიშნავს ავტორი, ქართული საორატორო ხელოვნება უფრო რეალურ საფუძველზე ვითარდება. ორატორთა ინტერესი და, აქედან, მათი სიტყვების თემატიკა მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებია. ასეთია მოძღვრებანი ზაქარია გაბაშვილისა (XVIII საუკუნე), ანტონ კათალიკოსისა (XVIII საუკუნე), გაიოზ რექტორისა, სოლომონ ლიონიძისა, ამბროსი ნეკრესელისა, ანტონ ჭყონდიდელისა, იოანე ბატონიშვილისა და იონა ხელაშვილისა, რომლებიც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდნენ და მათი მოძღვრების საგანს ხალხის რეალური ჭირვარამი შეადგენდა.

მეცხრამეტე საუკუნის ორატორთაგან ავტორი იხილავს სოლომონ დოდაშვილის, გაბრიელ ქიქოძის, ნიკო დადიანის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საორატორო მჭევრმეტყველებას. ჩვენი აზრით, მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენი რადიკალურად განსხვავდებიან წინა საუკუნის მოღვაწეთაგან. სულ ახალია მათი იდეური ჩანაფიქრი, სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ეროვნული ინტერესები და სხვ. ახალია სიტყვა-მოძღვრებათა გარეგნული ფორმა, კომპოზიცია, სტილი და ლექსიკაც. მართალია, გაბრიელ ქიქოძის ქადაგებებში არის ცდა ძველი ჰომილეტიკური ტრადიციების განმეორებისა, მაგრამ მაინც მეცხრამეტე საუკუნე თავისებურად, ახლებურად წარიმართება და ამიტომ მას ცალკე მონოგრაფიული განხილვა ესაჭიროება.

ნიკოლოზ კანდელაკის წიგნი „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ პირველი სერიოზული შრომაა ქართული მჭევრმეტყველების სისტემატური ისტორიის შესაქმნელად. რასაკვირველია, ამ დარგში შემდგომი კვლევა-ძიება უფრო გააღრმავებს და ახალ-ახალი მასალებით შეავსებს კარგად დაწყებულ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიას. ამის საწინდარია კვლევა-ძიების მეთოდი, მეთოდოლოგიური დამუშავება, კვლევის ფორმა და სტილი, რაც ახასიათებს ნ. კანდელაკის შრომებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ გიჟიმყრელი

წიგნი თეატრალურ მოღვაწეზე

ხდება ხოლმე: ადამიანი თავის ქუჩაზე მცხოვრებ ღირსეულ პიროვნებას თუ ახლახან მომხდარ ღირსშესანიშნავ ამბავს უფრო ნაკლებად იცნობს, ვიდრე შორეულ, ზოგჯერ საუკუნეებითაც დროგადასულ ისტორიას. აქ, დიახ, ჩვენს გვერდით, ჩვენს სინამდვილეში არსებობენ და მოქმედებენ ადამიანები, რომელთა ღვაწლის გაშუქება კეთილ სამსახურს გვიწევს თანამედროვეობის თვალნათლივ ხედვასა და შემეცნებაში.

შემოქმედებითი ინტელიგენცია კარგად იცნობს აკაკი ფაღავას და მიუხედავად ამისა, არა მარტო ფართო მკითხველისათვის, არამედ პროფესორის ბოლო წლების სტუდენტებისთვისაც უცნობსა და ფრიად საგულისხმო ცხოვრების ფურცლებს შეიცავს ეროვნული კულტურის ამ ღვაწლმოსილი მოამაგის განვლილი გზა.

როდიონ ქორქიას მონოგრაფია „აკაკი ფაღავა“, რომელიც ამასწინათ გამოსცა „ხელოვნებამ“, განიყოფება შემდეგ თავებად: „ოჯახი“, „სკოლის წლები“, „უნივერსიტეტის წლები“, „ბრძოლა ახალი თეატრისათვის“, „საბჭოთა პერიოდი“, „ქართული ოპერა უკრაინაში“, „ლაბირინტი“, „აკაკი ფაღავა — რეჟისორი“, „აკაკი ფაღავას ლიტერატურული მოღვაწეობა“, „აკაკი ფაღავა — პედაგოგი“, „ხალხის მადლობა“.

ერთმანეთს მისდევენ ცხოვრების საფეხურები:

სენაკის სკოლა და ქუთაისის პროგიმნაზია, თბილისის გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტი... ყველგან ჩინებული მოსწრება და აქტიური საქმიანობა ახალგაზრდულ წრეებში, ხელოვნების სხვადასხვა სფეროთა გაცნობა-შესწავლა, ახლო, საქმიანი კავშირის დამყარება კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან.

და აი გიმნაზიის დამთავრებისთანავე — 1908 წელს — მას, როგორც კეთილშობილი მისწრაფებებით აღსავსე ნიჭიერ და ენერგიულ ახალგაზრდას, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება უნიშნავს სტიპენდიას — თვეში 25 მანეთს. ამ სტიპენდიით მიემგზავრება აკ. ფაღავა მოსკოვს და შედის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილებაზე.

„უნივერსიტეტში შესვლისთანავე აკაკი ფაღავა გამალებით ჩაება სტუდენტთა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში“, — წერს მონოგრაფიის ავტორი. აკ. ფაღავა ხდება წევრი სხვადასხვა ორგანიზაციებისა — ქართველთა სათვისტომოსი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარეთა წრისა, აქ იგი კითხულობს ლექციებს ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესახებ, ამუშავებს შინაარსიან ლექციას — „საქართველოს XII საუკუნის კულტურის ამსახველნი“, რომელსაც შემდეგ საზოგადოების თხოვნით იმეორებს საჯაროდ მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფართო აუდიტორიის წინაშე.

მოსკოვის უნივერსიტეტში აკაკი ფაღავა აარსებს „შექსპირის შემსწავლელთა წრეს“.

...მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიდ დარბაზში მდგარ ახალგაზრდა ქართველ ლექტორს, რომელიც რუს საზოგადოებას აცნობდა საქართველოს რენესანსული ხანის ბრწყინვალე პოეზიას, აგონდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე დედისაგან პირველად გაგონილი სტროფები. ისევე, როგორც „შექსპირის შემსწავლელთა წრის“ დამაარსებელ ქართველ სტუდენტს სიამაყეს გვრიდა შეგნება იმისა, რომ სადღაც მიკარგულ ბანძაში 1873 წელს ფაღავებმა დადგეს „დიმიტრი ყიფიანისაგან გადმოთარგმნილი „ვენეციელი ვაჭარი“.

შექსპირი საერთოდ და კერძოდ „ვენეციელ ვაჭარში“ უმღერის ადამიანის პირად ღირსებას განურჩევლად რჯულისა, რასისა და ეროვნებისა. ცხადია, ამ იდეათა მქადაგებელს უნდა დაეტყვევებინა ახალგაზრდა ქართველის კეთილშობილი მისწრაფებებით ანთებული გული. ჩანს, წრის ჩამოყალიბება ცალმხრივი გატაცების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგი არ იყო... გავიხსენოთ პერიოდი... რეაქციის წლები... შავრაზმელთა თარეში... „პოგრომები“... და მაშინ უფრო ადვილად ამოვიკითხავთ შექსპირის წრეში წაკითხული რეფერატების ქვეტექსტს... „ველიკოდერჟავნიკულ“ გამოვლინებათა წინააღმდეგ ახალგაზრდა აკაკი ფაღავა დიდი ინგლისელი ჰუმანისტის მემკვიდრეობასაც იშველიებდა.

აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით ფაღავა აქტიურ მუშაობას ეწევა დიდი პოეტის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემისათვის.

აკ. ფაღავას მრავალმხრივად წარმართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში სულ უფრო და უფრო ნათლად ისახება თეატრალური მოღვაწეობის გზა.

„ამ ხანებში აკაკი ფაღავა მარტო ახალგაზრდა თეატრალი როდი იყო, ე. ი. პიესაში თამაშით როდი იყო გატაცებული. — წერს რ. ქორქია. — ჩვენი თაობის ბევრი სტუდენტი და მოწაფე მართავდა წარმოდგენებს სოფლებში, მაგრამ სხვაობა ისაა, რომ აკაკი ფაღავა მოწაფეობიდანვე უყურებდა თეატრს არა როგორც გართობის, თუნდაც კულტურული გართობის საშუალებას, არამედ ეროვნული გათვითცნობიერების იარაღს. ეს იარაღი კი პროფესიული უნდა გამხდარიყო, დიდი კულტურით აღჭურვილიყო და დაყრდნობოდა იმდროინდელ სასცენო ხელოვნების მიღწევათა საფუძველს“ (გვ. 27).

ჯერ კიდევ 1908 წელს აკაკი ფაღავა აქვეყნებს ბროშურას „ქართული თეატრი (დღევანდელი მისი მდგომარეობა)“, რომელშიაც ვკითხულობთ: „უმთავრესი საშუალება ქართული თეატრის აღორძინებისა და განახლებისათვის არის ახალი ძალების მოპოვება, მათი აღზრდა. მხოლოდ ახალი ძალები, განათლებული, მცოდნე ინტელიგენტი მუშაკნი იხსნიან ქართულ სცენას, დაამკვიდრებენ მტკიცე ნიადაგზე და შეაძლებინებენ გაუწიონ ხალხს და ქვეყანას ის სამსახური, რაც ნამდვილ ხელოვნების ტაძარს— თეატრს მოეთხოვება“ (გვ. 28). ამას წერს 21 წლის ავტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი დაკვირვებიდან ასკვნის: საჭიროა პროფესიულად აღზრდილი, მცოდნე, განათლებული ახალი ძალები.

აკ. ფაღავას „ქართული თეატრი“ თეატრალური განათლების ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. ავტორის კონკრეტულ წინადადებათა შორის ყურადღებას იქცევს თეატრალური კურსების დაარსების საკითხი. აქ ნათლად ჩანს ბუნება შემდგომ ცნობილი „ფაღავას სტუდიის“ დამაარსებლისა. მთელი ბროშურა დაწერილია საქმის მცოდნე ადამიანის ხელით და თავისი ხასიათით არ შეესიტყვება ავტორის ინერტულ ფსევდონიმს „სევდას“, არა, მეტისმეტად შორს იყო სევდისაგან თეატრის მაღალი იდეით გატაცებული ქართველი ახალგაზრდა. ფსევდონიმი ვერ მალავდა ავტორის შეურიგებელ მებრძოლ განწყობილებას. ეს მაშინვე იგრძნო ქართული თეატრის დარაჯის ფხიზელმა ყურმა... მშობლიური სცენის კარებთან მდგარმა გუნიამ თავის ჟურნალ „ნიშადურის“ ფურცლებზე საზოგადოებას აღუთქვა, რომ თავის დროზე გამოააშკარავებდა უზომო ღვარძლით მოწამლულ ამ ვიღაც უსახელო ავტორის გულმრუდობას და სულმოკლეობას“.

ზოგიერთი მკვლევარი ერიდება ამგვარი ფაქტების აღნიშვნას. ჩვენის აზრით რ. ქორქია უფრო სწორ გზას ირჩევს. ავტორი, არც გვერდს უვლის და არც ალამაზებს ფაქტს. და მართლაც, რითი უნდა ყოფილიყო გამოწვეული თეატრის ამ უერთგულეს მსახურთა შეჯახება? „მამათა“ და „შვილთა“ მარადიული ბრძოლით? ავტორი მოკლედ მიგვანიშნებს, რომ თეატრის ცნობილი მოღვაწისა და ამავე თეატრის ინტერესებისათვის ახალგაზრდა მებრძოლის შერკინება ეროვნული თეატრისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული პირობებით უნდა აიხსნას. გავიხსენოთ ეროვნული თეატრის არსებობის ურთულესი პირობები. ასეთ პირობებში გულშემატკივრული კრიტიკა თუ აუგად ოქმული სიტყვა ერთბაშად ძნელი გასარჩევი ხდებოდა.

ამ ფაქტზე შევჩერდით იმდენად, რამდენადაც იგი ავლენს თაობათა შორის არა მარტო ცალკეულ შეჯახებათა შემთხვევებს, არამედ ჩვენთვის უფრო არსებითი მნიშვნელობის მქონე ეროვნული სოლიდარობის მაღალ შეგნებას. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ თავისი სიტყვის პატრონმა ვალერიან გუნიამ თავისი დაპირება ამჯერად არ შეასრულა, და ვფიქრობთ, — შეგნებულად. მან აღარ გამოააშკარავა უსახელო ავტორის „გულმრუდობა“, ახალი თაობის წარმომადგენელმაც უცვლელად შეინარჩუნა უდიდესი თაყვანისცემა ქართული თეატრის ბურჯის მიმართ.

შეუძლებელია ერთ წერილში მოთავსდეს თუნდაც მხოლოდ მოკლე დახასიათება ისეთი არსებითი ფაქტებისა, როგორიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლებასთან შეთავსებით ჯერ სამხატვრო თეატრის სტუდიაში და შემდეგ ამავე თეატრში გატარებული წლები (1809 — 1813) და სტანისლავსკის მიერ „საქმის მშვენივრად მცოდნე ბ-ნ ფაღავას“ მუშაობის შეფასება, 1914 წელს ა. წერეთლის თავმჯდომარეობით ჩატარებულ სრულიად საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე მოხსენებით გამოსვლა, ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა საბჭოთა საქართველოში პირველი თეატრალური სტუდიისა, რომელმაც გამოზარდა მთელი თაობები დღეს საქვეყნოდ ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობებისა, ა. ფაღავას მრავალმხრივი მოღვაწეობა, როგორც რეჟისორისა, პედაგოგისა, თეატრმცოდნისა, მთარგმნელისა და პუბლიცისტისა...

„ხალხის მადლობა“ — ასე ეწოდება მონოგრაფიის ბოლო თავს. ა. ფაღავას დამსახურებათა აღმნიშვნელ სიტყვებსა და წერილებს შორის მოყვანილია ადგილი ერთ-ერთი მოწაფის წერილიდან: „თქვენ რომ წმინდა რეჟისორულ გზას გაჰყოლოდით თეატრში, თქვენი სახელი დღეს შეიძლება უფრო მეტად ცნობილი იქნებოდა ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ თქვენ უფრო რთული და უჩინარი გზა აირჩიეთ — ახალგაზრდობის აღზრდა.

ჩემის აზრით კი ერთი ნიჭიერი ადამიანის აღზრდა მრავალ ნიჭიერად დადგმულ პიესას ბევრად აღემატება. თქვენი მოღვაწეობა უფრო რეჟისორული საქმიანობაა, ვიდრე ჩვეულებრივი რეჟისორისა, რადგან თქვენ ისეთ პიესას დგამთ, რომელსაც „ქართული თეატრის ხვალინდელი დღე ეწოდება“.

ბრწყინვალე ქართველმა მსახიობმა უშანგი ჩხეიძემ ასე დაახასიათა თავისი მასწავლებლის მრავალმხრივი მოღვაწეობა ერის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიმონ გამსახურდია

საზოგადოებრივ-ისტორიული აზრის განვითარება მე-11 ს. საქართველოში

მხედველობაში თუ არ მივიღებთ ბერძნული აკადემიის წარმომადგენელთა — მიქელ პსელოსის და იოანე იტალის, იოანე პეტრიწის მასწავლებელთა, კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის ერთგვარ დამცველობით მისიას, მე-11 ს. ფილოსოფია თითქმის ყველგან სქოლასტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, იოანე დამასკელის გზით მიდიოდა. დამასკელის კონცეფციით ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია. ანტიკური ფილოსოფიიდან იგი ქრისტეანული თეოლოგიისათვის საჭირო სიბრძნეს ამოიკრებს, მოკლედ, გ. მერჩულეს მიერ გრიგოლ ხანძთელის განათლების შესახებ ნათქვამისა არ იყოს, „რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი (ე. ი. ფილოსოფიურ თხზულებებში — ს. გ.), შეიწყნარის, ხოლო ჯირკუალი განაგდის". დამასკელის აზრით, ის, რაც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში, მაგალითად, არისტოტელესთან, ქრისტეანული დოგმისათვის მისაღებია, ღვთის მიერ ნაკარნახევი და გამოსადეგია, ხოლო დანარჩენი ყველაფერი დასაგმობია. ასეთ კონცეფციას დამასკელი ანვითარებს თავის ცნობილი ნაშრომის „წყარო ცოდნისა" პირველ ნაწილში, რომელსაც დიალექტიკა ჰქვია.

ეს ნაშრომი ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ და მას წინასიტყვაობაც წარუმძღვარა, სადაც ნათლად ჩანს მე-11 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა აზროვნებითი მიმართულების დამახასიათებელი ნიშნები საერთოდ, სქოლასტიზმის პერიოდში. ეფრემი შესანიშნავ ინტერპრეტაციას უკეთებს საქმის ვითარებას — „ესე ვითარი არს საფილოსოფო სწავლაჲ, რომელი იგი აქაცა საჭიროდ სახმარად შემოუღებიეს წ̃ა იოვანე დამასკელსა, რათა ამათ მიერ წინაღუდგებოდიან შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განგვრემდნენ მათ". ე. ი. ფილოსოფია, რომელიც ი. დამასკელმა თეოლოგიის სამსახურში ჩააყენა, ეხლა „გარეშე" ფილოსოფიას და მის მიმდევრებს მათივე ისრით „განგვრემს"; გარდა ამ საშუალებისა „შეუძლებელ არს სიტყვის გება წინაღმდგომთა, სიტყვასა გვიგებდნენ რაჲ გარეშენი იგი განუკვეთელისათვის, რომელი არს გუამი და ბუნებისათვის" [1]. მოცემული ფორმულა შესანიშნავად განმარტავს იმჟამინდელ სქოლასტიკურ მიმართულებას საერთოდ. ეფრემი კიდევ უფრო შორს მიდის — ფილოსოფია არა მარტო ქრისტეანულ თეოლოგიას დაქვემდებარებული მეცნიერებაა, იგი მისთვის აუცილებელიცაა — „აჰა ესერა გქონიათ ასნი თავნი საეკლესიონი ორმოც-და-ათთა თავთა მიერ საფილოსოფოსთა გარეშეზიდვილნი, და არცა ესენი სრულ არიან უმათოთ, არცა იგინი უამათოდ".

აკად. შ. ნუცუბიძე ასე ხსნის ციტირებულ ადგილს — „ეს დებულება სრულიად თავისებური პოზიციის გამომხატველია საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიაში. იგი გამოხატავს ქართული ფეოდალური მონარქიის რაობას. „პირველისა" ანუ „ერთსა" და მის ქვემოთ მყოფ საფეხურთა შორის სრულიად ახალი ვითარება ისახებოდა. საქმე ის კი არ იყო, რომ ქვედა საფეხური ზედას ანუ პირველს უდრიდა. ასეთი ამბავი ჯერ არ მომხდარა არც საქართველოში და არსად სხვაგან. ფეოდალიზმიდან ახალი ვითარებისაკენ გადასვლის ხანაში მაქსიმუმი იყო ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა საფეხური ურთიერთშორის ახლებურად იყო დაკავშირებული, როგორც პირველი იყო საჭირო შემდგომისათვის, ისე შემდგომნი — პირველისათვის" [2].

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, 216.

[2] ქართული ფილოსოფიის ისტ., 391.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. დამასკელის აზრით, ფილოსოფია ღვთაებას ემსახურება, ეხმარება რა მას ჭეშმარიტების ახსნაში. თვით ღვთაება ჭეშმარიტებაა. და სწორედ აქ იყენებს დამასკელი არისტოტელეს ლოგიკას, რათა მასზე და მის ჭეშმარიტ კანონებზე ააგოს სარწმუნოების ჭეშმარიტება. ამის თანავე, დამასკელის მიერ დაყენებული საკითხი „პირველი", „მთავარი და განუსაზღვრელი მიზეზი" უდავოდ ფეოდალური მონარქიის წიაღში წარმოიშვა და მის იდეოლოგიას გამოხატავდა. „პირველი" იყო თავისთავადი — აბსოლუტური და დაქვემდებარებული თავის ადგილზე იდგა.

როგორც ვნახეთ, ეფრემთან სხვაგვარი ვითარებაა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. მე-11-12 საუკუნეთა მიჯნაზე იოანე პეტრიწი ამავე საკითხის ახლებურ გაგებას გვაძლევს — „პირველი შემდგომთა არს პირველი და მათი არაჲს თუ უცხო ბუნებათა, არამედ ერთდაიგივე ბუნებითა, ვითარ ითქუმის კაცი კაცისა პირველ"; ამომავალი მზის სხივები, პეტრიწით, ამ ქვეყანაზე „უჟამოდ და მოუდრეკელად დაჰფარვენ ყოველსა" [1], ე. ი. არსებობს პირველი და არსებობს შემდგომი. ეს უკანასკნელი იმიტომ არსებობს, რომ არსებობს პირველი; მაგრამ მათ ყველას ერთნაირად მოეფინება მზის სხივები იქ, სადაც „ითქუმის კაცი კაცისა პირველ". რას ნიშნავს ეს?

„იზოთეოსის (ღვთისწორობის) თეორია, არისტოკრატიის იდეოლოგიაზე დამყარებული და მისი გამომხატველი, უნდა შეცვლილიყო თეოზისის (გაღმერთების) პრინციპით. უკანასკნელი ყველასათვის მისაწვდომი იყო, თუ ის დაიმსახურებდა, და ამდენად, მსახურეული ხალხის იდეოლოგია იყო. მზე „ვარდთა და ნეხვთა" თანასწორად უნდა მოჰფენოდა — აქეთ მიდიოდა ქართული რენესანსის იდეოლოგიური განვითარება" [2].

აქვეა წინამძღვრები რუსთველის ბრძნული გამოთქმისა, „კაცი არ ყველა სწორია დიდი ძეს კაცით კაცამდე". რუსთველთან ეს იდეოლოგია თავისი განვითარების დასრულებულ ფორმას ღებულობს. ასე იყო ეს მე-12 საუკუნეში. ზემომოტანილი ინტერპრეტაციაც მე-12 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის მიმართულებას განსაზღვრავს. მაგრამ თავდაპირველი განვითარება ამ იდეოლოგიამ მე-11 საუკუნეში მიიღო და მან მარტო ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში კი არ ჰპოვა გამოხატულება, არამედ ეს იყო მე-11 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა საერთო იდეოლოგიური მიმართულება, რომელმაც ყველა სფეროში იჩინა თავი — ფილოსოფიურ, ისტორიულ აზროვნებაში და ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების მიმართულებაში.

ამავე იდეოლოგიით გამოვიდა ათონის ივერიის მონასტრიდან გიორგი მთაწმინდელი ქვეყნის „განმანათლებლად". იგივე შტრიხი გასდევს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების" აღწერილობას. იმავე ტენდენციითაა გაჟღენთილი ეფრემ მცირის ნაზრევი, რაც შემდგომ განვითარებას პოულობს იოანე პეტრიწთან.

მე-11-12 საუკუნეთა საისტორიო მწერლობა საერთოდ შეტევით პოზიციაზე დგას დიდაზნაურთა წინააღმდეგ (გ. მთაწმინდელი, გ. ხუცესმონაზონი, სუმბატ ძე დავითისი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), ესენი იმ მსახურეულ აზნაურთა იდეოლოგიის გამომხატველი პიროვნებებია, რომლებსაც ეყრდნობოდა საქართველოს გაერთიანების პროცესში მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება პარტიკულარიზმის დამჩემებელ დიდაზნაურებთან ბრძოლაში. „მსახურეულმა აზნაურობამ", გამოვიდა რა ქვეყნის ასპარეზზე, თავისი იდეოლოგია მოიტანა და ერთმმართველობის ფრთებს ქვეშ მზის სხივებით „უჟამოდ და მოუდრეკელად დაფარვა ყოველისა" მოითხოვა. ეს აზრი ყველაზე მეტ გამოხატულებას პოულობს გ. მთაწმინდელის საქმიანობაში და ლ. მროველის ისტორიულ ნაშრომში „მეფეთა ცხოვრება":

როდესაც მეფე ბაგრატ IV-ის მოწვევით გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოვიდა, მას აქ უწესობა დახვდა: საეკლესიო ცხოვრებაში საეპისკოპოსო თუ სხვა პოსტები „უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა" ეპყრათ. ვინ იყვნენ ამის შემძლებელნი და ვინ ისხდნენ ეპისკოპოსებად. საეკლესიო იერარქიის უმაღლეს ფენას დიდგვაროვანთა წრიდან გამოსული პირები ქმნიდნენ. ეს ფენა წოდებრიობის პრინციპის მიხედვით საეკლესიო ცხოვრებაშიც თავის ადგილს იკავებს. ეპისკოპოსად ინიშნებოდა კაცი არა ღირსების მიხედვით, არამედ წოდებისა და შეძლების მქონებლობით.

გიორგი მთაწმინდელმა უპირველესად ამის წინააღმდეგ გაილაშქრა, „აღლესა მახვილი მხილებისა — მეფეთა მიმართ" და მოსთხოვა, რომ ამიერიდან „გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმინდათა" და ისინი „ღვთივ-სულიერთა მოძღვართა" თანხმობით დანიშნულიყვნენ [1]. ასეთი პირები შეიძლება ყოფილიყვნენ მდაბიო წრიდან გამოსულნი. ასეთივე წრიდან შეკრიბა გ. მთაწმინდელმა ათონს წასაყვანად 80-მდე

[1] ი. პეტრიწი, შრომები, შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1937, 11-219, 5.

[2] ქართული ფილოსოფ. ისტ., 395.

[1] ათონის ივერიის მონ. აღაპ., 321.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვი. ამ მიმართულების გასამართლებლად გიორგის ცხოვრების აღმწერი, მისი მოწაფე გ. ხუცესმონაზონი შესანიშნავ განმარტებას გვაძლევს, სადაც ნათლად ჩანს როგორც გიორგი მთაწმინდელის, ისე მისი მოწაფის, ხუცესმონაზონის, მსოფლგაგება. „ესე ნუ ვის უკვირს რამეთუ მამათ მთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და სიწმინდე მისი ყოველთა შორის იქების, რომელი იგი უკანასკნელი მეფე იქმნა ეგვიპტისა, ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყუნესა, რომელი იგი ურთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყველი“, და ამისთანას კიდევ სხვასაც ვიტყოდიო, დასძენს იგი [1].

მაშასადამე, გიორგი მთაწმინდელისა და გიორგი ხუცესმონაზონის შეხედულებით ყველას უნდა შეეძლოს წინსვლა დაიმსახუროს, თუ კი ღირსეული იქნება და, ასე გასინჯეთ, მათთვის მეფობაც კი მისაწვდომი ყოფილა. როგორც ვხედავთ, აქ არსებული წოდებრიობის აშკარა გაკიცხვაა მოცემული და როგორც იდეოლოგია, „თანასწორობის“ იმავე იდეის გამომხატველია, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

•

მე-11 საუკუნის ქართული მწიგნობრობა მაღალგანვითარებულ საფეხურზე შედგა. ამ დროს საფუძვლიანად დაიხვეწა წერის ტექნიკა და შემუშავებული იქნა ახალი მეთოდებიც. ყოველივე ამას ხელი შეუწყო წინა აზიის ქართული სამონასტრო კულტურის კერებში ინტენსიურმა შემოქმედებითმა მუშაობამ. აქ ხელმეორედ ან ახლად ითარგმნებოდა თეოლოგიური ხასიათის და სხვა „საფილოსოფოჲ“ წიგნები, იწერებოდა მატიანეები. მაგალითად, ათონის ივერიის მონასტერში მოღვაწე ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს ათეულობით წიგნი აქვთ გადმოღებული ბერძნულიდან ქართულ ენაზე. ექვთიმე იბერი, პირიქით, ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნიდა ზოგიერთ წიგნს. მაგ., ქართულიდან მან თარგმნა „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რამაც გავრცელება და პოპულარობა მოიპოვა დასავლეთის სამყაროში. ასევე „სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულიდან თარგმნა ბერძნულად“. მისი ღვაწლი ამ შემთხვევაში იმდენად დიდი იყო, გ. მთაწმინდელის თქმით, რომ „ვითარცა ნესტვი ოქროჲსა ხმამაღალი ოხრის ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისას, არამედ საბერძნეთისასაც“. გარდა ბერძნულისა ქართულს ენაზე ითარგმნებოდა თეოლოგიური ხასიათის ნაწარმოებები აღმოსავლეთის სხვა ქრისტეან ხალხთა ენებიდანაც. მაგალითად, არაბული ქრისტიანული მწერლობის ნიმუშები, სომხური და სხვ.

[1] ათონის ივერიის მონ. აღაპ., 326.

დიდი ღვაწლი მიუძღვის თარგმანის საქმეში შავი მთის მონასტერში მოღვაწე ეფრემ მცირეს. მან ერთგვარი წესდებაც კი დასტოვა მთარგმნელთა სახელმძღვანელოდ, რაც პირადი გამოცდილების საფუძველზე აქვს შემუშავებული. მისანიშნებელია, მაგალითად, მისი შემდეგი მითითებანი — მთარგმნელს სათარგმნელი ტექსტი უნდა გადმოქონდეს ქართულ ენაზე ისე, რომ თარგმნილი დედანს არ დაშორდეს. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ორთავე ენის ბუნება, რათა თარგმანი არ გაუხეშდეს და ენა არ დამახინჯდეს. ამდენად, სათარგმნელი ტექსტი, მისი სათაური და ყველაფერი, რაც შიგ იყო, მთარგმნელმა უცვლელად უნდა გადმოიღოს. შენიშვნები და შესწორება ტექსტში კი არ უნდა იქნას შეტანილი, არამედ სქოლიოში აღნუსხული. მთარგმნელი ფრთხილად უნდა მიუდგეს სათარგმნელ ტექსტს, უნდა შეისწავლოს იგი და გაარკვიოს მისი რაობა — ორიგინალია იგი თუ „გამოკრებით“ დაწერილი (ე. ი. გადაწერის დროს შესაძლოა ორიგინალის ტექსტი მთლიანად არ ყოფილიყო გადაწერილი, არამედ შემოკლებით).

თუ ტექსტი უკვე თარგმნილი იყო, მაგრამ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა და მისი ხელმეორედ თარგმნა იყო საჭირო, გულდასმით უნდა შეჯერებულიყო ყველა თარგმანი და დედანიც, თუ კი იგი მისაწვდომი იყო.

მთარგმნელობითი მუშაობის ასე ინტენსიურად წარმართვამ, ძველი ჰაგიოგრაფიული და საისტორიო ნაწერების შესწავლა-გადამუშავებამ მე-11 საუკუნის ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა წერის მეთოდოლოგიაშიც გარკვეული სიახლე შეიტანა. თვით შემოქმედებითი პროცესი განაპირობებდა ამ სიახლეთა წარმოშობას.

ეფრემ მცირე წერს: „რამეთუ იპოოს ცხორება ანუ წამებაჲ, ანუ რჱცა რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერითა სიტყვითა აღწერილი, მას სიტყვით განაშუენებენ, გარდაჰკაზმენ და მეტაფრას უწოდებენ, რომელ არს გარდაკაზმული და ამასცა მაშინ ჰყოფენ, ოდეს აღმწერელი ჰამბავისა მის ლიტონი კაცი იყოს და არა წმიდათაგანი“ [1].

აქ ჩვენ გვაინტერესებს ეფრემის დაკვირვება, სხვათაშორის, „ცხორებაჲს“ ანუ „ჰამბავის“ „სოფლურითა და უშუერი სიტყვითა აღწერა“-დაწერაზე, ე. ი. ეფრემის სიტყვით, ადრე უგემოვნოდ დაწერილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებნი და მათ შორის „ცხორება“, ე. ი. ისტორიაც, აღარ აკმაყოფილებდა წერის განვი-

[1] ქკ ბი, 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარებულ მეთოდოლოგიას და მას გადააკეთებ-დნენ ხოლმეო. ასეთ გადაკეთებულ ნაწარმოებს „მეტაფრასი“, „გარდაკაზმული“ ჰქვია. ამ შენიშვნის გამკეთებელი პიროვნება აშკარაა იმ თვალსაზრისს ატარებს, რომ საისტორიო ნაწარმოები უნდა სიტყვაკაზმულად და გარკვეული სამწერლობო ენით დაიწეროს. ხოლო რაც შეეხება მეტაფრასის საქმიანობას, იგი ნაწარმოების „გარდაკაზმვას“ სიფრთხილით უდგება, ისე, რომ ორიგინალის ტექსტის თანმიმდევრობას არ ასცდეს. „მას შეჰკაზმენ ესე ვითარითა სიტყვითა, რომელი მასვე პირსა იტყოდის და არა შეჰმატებდეს, არცა დააკლებდეს საქმეთა“.

ეფრემის ყურადღება ამ საკითხებისადმი შემთხვევითი როდია. მე-11 საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობას (გ. მთაწმინდელი, გ. ხუცესმონაზონი და ლ. მროველი) წინამორბედ საუკუნეების შრომებზე კიდევ უფრო მეტად გასდევს გარკვეული დამუშავებული სამწერლობო ენის იერი და სიტყვაკაზმულობა.

მაგრამ საისტორიო ნაწარმოების წერისათვის მარტო ამ საკითხზე როდი იყო იმხანად ყურადღება კონცენტრირებული. გიორგი მთაწმინდელი თავისი თხზულების წერისას განსაკუთრებით აჩენს თხზულებაში მოტანილი ფაქტების დამაჯერებლობის საბუთებს. „ჩვენ თავის თვისით არა რაჲ აღგვიწერია, არამედ რაჲ იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა“, „და თვით მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი იგი დუმილით წამებენ და ხმამაღლად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“. სხვა ადგილას „ესე ყოველი თვით წმიდისა მამისა ევფთიმეს ხელთა ნუსხისაგან დაგვიწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ“, ანდა „ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დაწერილისაგან დაგვიწერია“ და სხვ. მაშასადამე, გიორგი მთაწმინდელი განსაკუთრებით საჭიროდ თვლის ყველა ის საბუთი — ზეპირი, ნივთიერი თუ წერილობითი, საისტორიო ნაშრომში მითითებული ყოფილიყო მოტანილი ფაქტისა და მოვლენის სარწმუნოდ მიჩნევისათვის და ნათელსაყოფად. ამ წესითა აქვს დაწერილი მას თავისი ნაშრომი. ასეა ეს საკითხი დაყენებული მისი მოწაფე გიორგი ხუცესმონაზონის მიერ და, უფრო ანვითარებს ლეონტი მროველი.

მე-11 ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული საკითხების კვალდაკვალ მეთოდოლოგიის სხვა მეტად საინტერესო ნორმებიც შეიმუშავა. მაგალითად, შედარებითი მეთოდის გამოყენება (გ. ხუცესმონაზონი), ანალოგიის მეთოდისა (ეფრემ მცირე), ელემენტარული კრიტიკის ნიშნები (გ. ხუცესმონაზონი, ეფრემ მცირე, ლ. მროველი), საკითხთა ინტერპრეტაცია და სხვ.

ამგვარად, საისტორიო მწერლობის განვითარების თვალსაზრისით ისეთი ნიშნები გამოავლინა მე-11 ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რაც მე-15-16 საუკუნეთა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის იყო დამახასიათებელი.

გ. მთაწმინდელის შრომა — „ცხორება... იოანესი და ეფთიმესი“

„კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებასა მოსვლაჲ, რომელი იგი გამოუთქმელითა მით განგებულებითა თვისითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს, და მიუწთომელითა სახიერებითა თვისითა თვითოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თვისთა გამოაჩინებს — სარგებულად კაცთა ნათესავისა და სადიდებლად ღუთეებისა თვისისა“ [1]. ასე იწყებს გიორგი მთაწმინდელი თავისი თხზულების წერას. აქ თითქო ერთგვარი ფორმულირებაა მოცემული ნაწარმოების მიზანდასახულობის ამოსახსნელად, ხოლო მეორეს მხრივ იგი გვესახება როგორც გ. მთაწმინდელის მსოფლგაგების ძირითადი კრედო.

ღმერთსო, ამბობს გ. მთაწმინდელი, „ყოველთა კაცთა“, ყველას ცხოვრება სურს ამ ქვეყანაზე და არა მარტო ცხოვრება, ჭეშმარიტი მეცნიერებისათვის ღვაწლმოსილებაც. ადამიანთაგან უმჯობესთ, „ღირსთა და სათნოთა“ ყოველ დროში გამოაჩენს ხოლმე ღმერთი. რა ღირსებაზეა აქ ლაპარაკი? სათნოებაზე, ღვთისმსახურებაზე, ნიჭზე, ე. ი. თუ კაცს ასეთი მონაცემები აქვს და იგი მოვა ამქვეყნიურ „მეცნიერებასა“, ღმერთი მას გამოაჩენს. რას მოხმარდება ასეთი კაცის ღირსება? — ადამიანთა მოდგმას საერთოდ და ღვთის დიდებას. კაცის რა გამოჩენაზეა აქ საუბარი? საქველმოქმედო საქმისათვის, ადამიანთა მოდგმისათვის სარგებლის მიცემაზე, საქვეყნო საქმეების ზრუნვაზე და სხვ. რა სჭირდება ადამიანს „გამოსაჩენად“? — სათნოება და ღირსება ამასთანავე, ღმერთს „ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებასა მოსვლაჲ ყოველთა კაცთა“. მაშასადამე, ყოველ კაცს შეუძლია გამოჩენა ამ ქვეყანაზე, თუკი იგი საამისო თვისებების მქონეა. ახლა, როცა გარკვეული გვაქვს მე-11 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა იდეოლოგიური მიმართულება, რომლის წარმმართველთა შორის გიორგი მთაწმინდელი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, ზემომოტანილ სიტყვებში ჩაქსოვილი აზრი ნათელ გამოხატულებას უნდა პოულობდეს, რაც თავისთავად ამაგრებს აღნიშნული იდეოლოგიის რაობას.

---

[1] ათონის ივერიის მონ. აღაპები, 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებაში ავტორი მარტო ეპიზოდურ თხრობას როდი ანვითარებს ექვთიმესა და მის თანამოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღსაწერად და დასახასიათებლად, არამედ მის კვალდაკვალ ეპოქის სულს, მის მთლიან სურათს იძლევა, როგორც ქართველთა ათონის კოლონიის დაარსების საფუძვლიანი აღწერით, ისე თანადროული ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ამბების თხრობითაც. ამ მხრივ იგი საქმეთა ღრმად ცოდნას ამჟღავნებს და ყოველი მონაკვეთი ასეთი თხრობისა დამაჯერებელ ასპექტში აქვს მოცემული. ნაწარმოებში თითქოს არაფერია ზედმეტი. ამასთანავე ავტორის ყურადღება გარკვეულ მიმართებითაა კონცენტრირებული, „რათა ესევითარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესე ვითარსავე ჭირსა შთაცვივდეს, — ამისათვის ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევკრბით და ერთითა განზრახვითა ესე ქუემო წერილი მოსახსენებელი დავწერეთ“. ეს სიტყვები წინ უძღვის თხზულების ეპილოგს, სადაც მოთხრობილია ბერძენთა მიერ ათონის ივერიის რამდენჯერმე დარბევა-დაწიოკებისა და გაძარცვის ამბავი. ბერძნებმა იმ მიზნით, რომ ათონის მონასტრის მთელი სიმდიდრე მისი მამულებითურთ ხელთ ეგდოთ, ექვთიმეს შემდგომს წინამძღვარს ბიზანტიის იმპერატორის ღალატი დასწამეს და ექსორია ჰყვეს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, ეს მომენტი ერთერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო თხზულების დაწერისა თვით ექვთიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერასთან ერთად[1]. მართლაც, ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ათონის ივერიის მონასტრის დაარსების ისტორიას და იქ ქართველთა მოღვაწეობის ამბებს, რათა შემდგომ თაობებს ცოდნოდათ ყოველივე და არ დაეკარგათ წინაპართა ნაკვალევი. ამ მიზანდასახულობას იგი კანონზომიერად უთავსებს ექვთიმეს მოღვაწეობის აღწერას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რაც ნაწარმოების ღირსებას მაღლა წევს.

გ. მთაწმინდელი ცდილობს თხზულებაში უმთავრესი საკითხები გააშუქოს. იგი არა მარტო ამართლებს ეფრემ მცირის ზემოთ ნახსენებ შეხედულებას საისტორიო ნაწარმოების გარკვეული სამწერლობო ენით დაწერის შესახებ, არამედ აჭარბებს კიდეც. როგორც ციტირებული ადგილებითაც ჩანს, გ. მთაწმინდელს წერის მეტად დახვეწილი და ნათელი სტილი ახასიათებს, აზრის მკაფიოდ გამოთქმა, თხრობაში მოვლენებისა და ფაქტების კანონზომიერი განლაგება და ისტორიული სურათების ნათლად წარმოსახვა (მაგ. ბარდა სკლიაროსის აჯანყების მომენტი და სხვ.).

ნაწარმოები გარკვეული გეგმითაა დაწერილი — შესავალი, ამას მოსდევს იოანეს და თორნიკეს მიერ ათონის ივერიის მონასტრის დაარსებისა და შენების ისტორია, ექვთიმეს მოღვაწეობის აღწერა და ათონის მონასტრის ისტორია მისი წინამძღვრობით, ეპილოგი. გეგმის ასეთი მონახაზით ვითარდება ნაწარმოების თხრობა. თითოეული მონაკვეთი ამ გეგმისაა ერთურთში შეუმჩნევლად გადადის.

რა შექმნა გიორგი მთაწმინდელმა ქართულ საისტორიო მეთოდოლოგიაში ახალი მე-11 საუკუნეში ისეთი, რაც ხელს უწყობდა მის განვითარებას? ეს გახლავთ წყაროთა გამოყენების საკითხი. გ. მთაწმინდელის შრომა დოკუმენტალურ სიზუსტეზე აგებული ნაწარმოებია. თუ ბასილ ზარზძელთან და გიორგი მერჩულესთან აღნიშნული მოთხოვნილება, როგორც აუცილებლობა, სიმპტომის სახით ისახება, გიორგი მთაწმინდელთან მე-11 საუკუნეში იგი უკვე შექმნილი, გარკვეული მიმართულებაა.

გიორგი მთაწმინდელის შრომას საისტორიო ნაწარმოების გარკვეული ჩარჩოები აქვს. ამასთანავე იგი შორდება ჰაგიოგრაფიულ ჟანრს. ექვთიმე უშუალოდ მიწიერი ქვეყნისათვის პრაქტიკულად მოღვაწე პიროვნებაა. ნაწარმოებში, თუმცა, მაინც გვხვდება ზღაპრულობის ერთი შტრიხი, კერძოდ, ექვთიმეს ათონის მთაზედ ცეცხლმოდებული გამოცხადება თანამოღვაწეთა წინაშე (გვ. 34), მაგრამ ეს მომენტი გაჭიანურების გარეშე, თავშეკავებულად და მკრთალადაა თხზულებაში შეპარული. თხზულება ძირითადად თხრობის ლაკონიზმს ემორჩილება. ავტორი ამას საგანგებოდ ცდილობს, „რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისა იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა“— ამიტომ, აცხადებს ერთგან იგი — „რაოდენნიმე მოვიხსენიოთ და სხუაჲ იგი დავაცადოთ“. ბერძენთაგან ათონის ივერიის მონასტრის შევიწროების ამბავის მოთხრობისას, ჩამოთვლის რა მიყენებულ ზიანს, „რათა მოკლედ ვთქუაო“, — აცხადებს ავტორი, ამის გამო დღეს არც ერთი ქართველი აღარ გადარჩა ამ ლავრაშიო (გვ. 61) და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულით დავასკვნით, რომ გიორგი მთაწმინდელის შრომით — „ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთიმესი“, ქართულმა საისტორიო მწერლობამ თავისი განვითარების გზაზე, მე-11 საუკუნეში, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ.

---

1 საისტ. მწერლობა, 136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფრემ მცირეს საისტორიო შრომა

ჩვენამდე მოაღწია მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ეფრემ მცირეს მიერ დაწერილმა საისტორიო ხასიათის ნაშრომმაც — „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების". ეს შრომა ეფრემს, როგორც შესავლიდან ვგებულობთ, „ეკლესიარხისა ქართველთასა, მღდელსა უფლისასა იოანეს კვირიკესსა" თხოვნით დაუწერია. იოანეს მითითებით ეფრემს უნდა მოენახა ცნობები ქართველთა ქრისტეანობაზე მოქცევის შესახებ „წიგნთა ბერძენთასა", გაერკვია მისი დრო და ვითარება და ასეთი დოკუმენტური შრომის სახით წარედგინა იგი. ეფრემმა ეს დავალება პირნათლად შეასრულა.

როგორც გიორგი მთაწმინდელის შრომიდან მოტანილი ფაქტებითაც ვგებულობთ, ბერძნები მე-11 საუკუნეში ყოველმხრივ ცდილობდნენ წინა აზიის ქართული კულტურის კერების შევიწროებას. ეს იმით აიხსნებოდა, რომ აწ უკვე მდიდარი ქართული მონასტრები ბერძნებს ხელთ უნდოდათ ჩაეგდოთ. ამიტომ ისინი ქართველებს, როგორც კი მოუხერხდებოდათ, ყოველის მხრით უტევდნენ.

როგორც გიორგი ხუცესმონაზონი გადმოგვცემს, ბერძნებს ეჭვიც შეჰქონდათ ქართველთა მართლმორწმუნეობაში და ცდილობდნენ „ბიწი რაჲმე დასწამონ და ესრეთმცა სრულიად აღმოგუფხურნეს". ამასთანავე ისინი ქართველებზე თავდასასხმელად ყოველ მომენტს იყენებდნენ. მაგალითად, ერთხელ ახალ პატრიარქს თეოდოსის, რომელიც საქმეთა ვითარებაში ჯერ საკმაოდ გარკვეული არ იყო, ეწვივნენ და მოახსენეს „გაგვათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხო თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა ჩუენსა (ე. ი. ათონის ივერიის მონასტერსო) ვითარ სამოცი კაცი, ქართველად სახელდებენ თავთა თვისთა და არა უწყიან, თუ რაჲსა ზრახვენ ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი". მოკლედ ბერძნები ქართველებს მართლმორწმუნეობაში სდებდნენ ბრალსა და იმასაც უმატებდნენ, რომ ქართველთა ეკლესია არც ერთ პატრიარქს არ ემორჩილება, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთ თვით ისვამენ, რისი უფლებაც მათი თქმით ქართველებს არა აქვთ, რადგან 12 წმინდა მქადაგებელ მოციქულთაგან მათ ქვეყანაში არავინ მოსულაო. მაშინ პატრიარქ თეოდოსის ამ საქმეთა გამოსაკითხავად ვინმე ბერძნულის მცოდნე ქართველის მოყვანა უბრძანებია. ასეთ მცოდნე კაცად ბერძნებმა გიორგი მთაწმინდელი დაასახელეს, „ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი", რომელიც „ბერძნულთა წიგნთა ქართულად თარგმნის" და იგიც წარსდგა პატრიარქის წინაშე. პატრიარქმა გიორგი მთაწმინდელს, სხვათა შორის, ქართველ სამღვდელოებისა და მეფისადმი წერილის მიწერა მოსთხოვა, რათა მათთვის ემცნო, რომ ანტიოქიის პატრიარქისადმი მორჩილება გამოეცხადებინათ, თორემ იგი ქართველებს ბრძოლას გამოუცხადებდა.

ადვილი მისახვედრია თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს იმჟამად. თუ ქართველები სათანადო არგუმენტებით არ დაამტკიცებდნენ მათი სარწმუნოებრივი პრიორიტეტის საფუძვლიანობას და არ აიცილებდნენ ყველა წაყენებულ ბრალდებას, ქედი უნდა მოეხარათ მოშურნე ბერძნების წინაშე, რაც წინა აზიის ქართული სამონასტრო მოძრაობისათვის ლახვარის ჩაცემას ნიშნავდა. მოიშლებოდა ქართული კულტურის ეს დამკვიდრებული კერები „მძლავრებისა" და დევნის ქვეშ. პატრიარქისა და მის გარშემო შემოკრებილ ბერძენი ბერების წინაშე წარმდგარ გიორგი მთაწმიდელს მეტად საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის დასაცავად. მან თავისი დინჯი მოქმედებით, ცოდნითა და მეცნიერულის სიზუსტის შემცველი შეტყველებით ასე მოახსენა პატრიარქს — „ჰე წმიდაო მეუფეო, რაჲსათვისმე ესრეთ ადვილად ხელჰყოფ დიდისა ამის და მაღლისა მოგონებაჲდ აღსრულებაჲდ? ვინ არიან უგუნურნი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავნი ქართველთა, წრფელი და უმანკო. აჰა ესე რა, ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე ყოველთა წილ პასუხი". გიორგი მთაწმიდელმა მოატანინა „წიგნი მიმოსვლათა ანდრია მოციქულისა", წარუდგინა იგი როგორც დოკუმენტი პატრიარქს და მოახსენა — თუ შენ პეტრე მოციქულის მიერ დაფუძნებულ სამწყსოს ტახტზე ზიხარ, ჩვენ ანდრია „პირველწოდებულის" მიერ დაარსებულ სამწყსოს ვეკუთვნითო. რაკი სახარებაში ქრისტეს პირველ მოციქულად ანდრიაა დასახელებული, რომელმაც გახადა შემდეგ თავისი ძმა პეტრე ქრისტეს მოწაფედ, ზემოთქმულით გიორგი მთაწმიდელს ის უნდოდა ეთქვა, რომ ქართველებს უფრო მეტი უფლება აქვთ დამოუკიდებლობისაო, ვიდრე ბერძნებს. „და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — დასძინა მან — სიმონს ვიტყვი აკანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს — აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების". გიორგიმ ესეც არ აკმარა მოპაექრეთ „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე, გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა". მოკლედ, გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმიდელმა არა თუ დაამტკიცა ქართველებზე ბერძენთა ბრალდების უსაფუძვლობა, არამედ პირუკუ იერიშიც კი მიიტანა მათზე. „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა ძმასა ანდრიას, და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილოთ“. მტკიცება საფუძვლიანი იყო და ბერძნებს აღარა ეთქმოდათ რა. ამრიგად, გიორგი მთაწმინდელმა თავადაც დიდება და პატივი დაიმკვიდრა და ქართული ეკლესიაც უზრუნველჰყო ბერძენთა თავდასხმისაგან.

ეს ფაქტი აშკარაა საყოველთაოდ ცნობილი ჯახდებოდა იმქამად. მაგრამ დრო მიდიოდა. პატრიარქებიც გამოიცვლებოდნენ და მოშურნე ბერძნებს სხვები შეცვლიდნენ. ამდენად ქართველებს მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში მაინც საჭიროდ მიუჩნევიათ ზემოხსენებული საკითხი კვლავ საკამათოდ რომ არ აღძრულიყო, გარკვეული დოკუმენტური ცნობა შეექმნათ. ასეთი დოკუმენტური შრომა უნდა დაეწერა ეფრემ მცირეს, როცა იოანეს დავალებით ალამს კიდებდა ხელს. ამ შრომაში თვით ბერძენთა წიგნებიდან უნდა მოტანილიყო ცნობები ქართველთა გაქრისტიანების შესახებ, რაზედაც გარკვევით ამბობს ეფრემი შრომის შესავალ ნაწილში „რათა წერით დაიდვას მას შინა მოსახსენებელი ოდეს მოქცევისა ჩუენთასა ხსენებულ არს იგი, უხმდეს თუ ვისმე გამომძიებელთასა ცნობად“, ე. ი. თუ ვინმეს დასჭირდება ამ საქმის გამოძიებაო.

შესავალ ნაწილში ეფრემი მიმართავს იოანეს და იქვე მოკლედ გადმოსცემს შრომის დაწერის მიზანდასახულობას. ამას მოყვება თხრობა გარკვეულ ფაქტებზე, ფაქტის, მომენტის მოყოლის შემდეგ, ან მის წინ, ეფრემი მიუთითებს თუ სად სწერია ამის შესახებ, მაგალითად, პირველმოციქულთა საქართველოში შემოსვლის შესახებ სწერს „ერთგან კიდეთა ამათგანად (ე. ი. წმ. მოციქულთაგან) ითქუმის ჩუენთვისმცა მიერ ერთხანს ქრისტეანობის საბერძნეთშიც და საქართველოში განდევნის შესახებ შიუთითებს — „ვითარცა მოიხსენებს თეოდორიტე[1] საეკლესიო სამოთხრობისა წიგნსა შინა ოცდამეოთხესა თავსა და იტყვის ესრეთ“. ამას მოყვება ქართლში ნინოს შემოსვლის შესახებ თხრობა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ დასძენს, „ამას უკუე თეოდორიტე ესოდენ მოიხსენებს, ხოლო სხუათა წერილთა შინა სახელდებით პოვნილ არს სახელი ტყვისა მის ტყუეთა მხსნელისა, რამეთუ ბერძნულად ნონნა უწოდენ წმიდასა ამას, რომელსა ჩუენ მცირედ შეცვალებით რე ნინოდ სახელვსდებთ“. როგორც ჩანს ავტორს აღნიშნულ საკითხებზე სხვა წერილებიცა აქვს გადაკითხული და მათ შეჯერებას ახდენს. მას სხვა წყაროებში უძებნია აგრეთვე ნინოს თხოვნით კონსტანტინე იმპერატორის მიერ საქართველოში მოვლენილი ეპისკოპოსის სახელი, რომელიც „ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიარქი“[1]. ქართლის კათალიკოსის ანტიოქიისაგან დამოუკიდებლად ხელდასხმის შესახებ ცნობა ეფრემს უპოვნია „ხრონოღრაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა, რომელი იტყვის ესრეთ“. ამ ამბის მოთხრობის შემდეგ ავტორი ერთგვარ სიძნელეს წაწყდომია „აქა დაგვიშთა საძიებელი მრავალთა — ამბობს იგი — თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევა მიჰრონისა“, რაკი სათანადო დოკუმენტი ვერ მოიძია მას ანალოგიის მეთოდით დაუდგენია თუ „საზოგადოდ ყოველთათვის“ როგორ დაწესდა მირონით კურთხევა და ასევე მიუჩნევია საქართველოსათვისაც და სხვ.

ნაწარმოებს მცირე ბოლოსიტყვა აქვს დართული, სადაც ავტორი თავისი მუშაობის მიმდინარეობას აჯამებს „ესე მცირედნი სიტყუანი, კითარცა თესლის მკრებელმან, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან, ერთად შემოვკრიბენ“. ამას უმატებს მართლმადიდებლობისათვის იმ ქართველ თავდადებულ პირთა საქმიანობის ჩამოთვლას, რომლებმაც წინა აზიის სამონასტრო მოძრაობაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მის საწყის ეტაპზე „რომელთა წილ კეთილ ხუდეს რჩეულთა შორის საწამებლად მართლმადიდებლობასა შინა ადგილთა, ადგილი თხემისაჲ და ქუაბი ბეთლემისაჲ, ქუაბითურთ საბა წმიდისაჲთ და თორნით სვიმონ წმიდისაჲთ“ და სხვ.

ნაწარმოები აგებულია ფაქტობრივ მასალაზე და სავსებით ამართლებს მიზანდასახულობას. ეფრემ მცირე ნამდვილ მოაზროვნე ისტორიკოსად გვესახება იმ პლეადის ცენტრში, რომელმაც განვითარების ეგზომ მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული საისტორიო მწერლობა თავისი მეთოდოლოგიით და რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები მე-11 საუკუნეში მასთან ერთად არიან — გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე და ლეონტი მროველი.

---

[1] მე-5 ს. ბერძენი ისტორიკოსი.

[1] მოღვაწეობდა მე-4 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჩაკვეტაძე

წიგნი ისტორიის გამოჩენილ მკვლევარზე

შოთა მესხია „საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი“. გამომცემლობა „ნაკადული“, 1961 წ.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას დაბადებიდან 60 წელი შესრულდა. ამ სახელოვანმა ადამიანმა სულ 47 წელს იცოცხლა და მაინც იმდენის გაკეთება მოასწრო, რომ სამართლიანად დაიმსახურა დიდი მეცნიერის სახელი.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ნათელი ხსოვნისადმია მიძღვნილი პროფ. შოთა მესხიას მონოგრაფიის მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა.

წიგნის დასაწყისში სიმონ ჯანაშიას ბიოგრაფიის გადმოცემის შემდეგ ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავს მის მდიდარსა და მრავალფეროვან მეცნიერულ მემკვიდრეობას. ამ საკითხის ნათლად გაშუქებისათვის შ. მესხია ზოგადად მიმოიხილავს ქართული ისტორიოგრაფიის ჩასახვასა და განვითარებას, დაწყებული უძველესი ხანიდან. რა ძნელ პირობებში უხდებოდათ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევა-დამუშავება მე-19 საუკუნის ქართველ ისტორიკოსებს, ამაზე პასუხს ვპოულობთ თავად ს. ჯანაშიას შემდგომ საგულისხმო სიტყვებში: „დიდი მსხვერპლი და გმირობა იყო საჭირო სამეცნიერო ლაბორატორიისაკენ გზის გასაკვლევად. ვინც ახერხებდა მიეღწია აკადემიის კარებისათვის თავის „ინოროდცობის“ დაღით, ის სამუდამოდ უნდა მოსწყვეტოდა სამშობლო ქვეყანას. აქ დარჩენილნი კი, სამეცნიერო მუშაობის ელემენტარულ პირობებს მოწყვეტილნი, ლუკმა-პურისათვის ზრუნვაში დალეული დღით დაქანცულნი, ღამეებს სტაცებდნენ დროს, რომ თავიანთი საზოგადოებრივ-მეცნიერული ინტერესი მცირედ მაინც დაეკმაყოფილებინათ. დილას მათთვის მოჰქონდა ცენზურის „კონსულტაცია“, ხელისუფალთა რისხვა, დევნა და შეურაცხყოფა“... ყოველივე ამის გამო გასაკვირი არ არის, რომ ამ ისტორიკოსების გამოკვლევები სათანადო მეცნიერულ ღირებულებებთან ერთად შეიცავდა სერიოზულ შეცდომებსა და ხარვეზებს როგორც ფაქტობრივი მასალების ინტერპრეტაციის, ისე მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა თავის მრავალმხრივი და ღრმა მეცნიერული გამოკვლევებით მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ისტორიულ და მრავალი სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებაში. მაგრამ საქართველოს ისტორიის დამუშავება დიდი მეცნიერული კვლევის უნარით აღჭურვილ ახალსა და ახალ მკვლევარებს საჭიროებდა. ამასთან, ახალი იდეოლოგიური ამოცანების შესაბამისად აუცილებელი იყო ისტორიის მარქსისტულად გაშუქება. ივ. ჯავახიშვილის ნიჭიერ მოწაფეთაგან სიმონ ჯანაშია პირველი იყო, რომელმაც ქართული ისტორიოგრაფია მტკიცედ დაუფუძნა მარქსისტულ ნიადაგზე და ესაა მისი ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება.

სიმონ ჯანაშიამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის უარყოფად იყო გაბატონებული აზრი ქართველთა მიგრაციის — წინა აზიის ტერიტორიიდან დღევანდელ საქართველოში მათი გადმოსახლების შესახებ. ეს შეხედულება მოდიოდა ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნის თხზულებიდან — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. განსვენებულმა მეცნიერმა გაბედულად უარყო ეს თეორია და შეუვალი მეცნიერული არგუმენტებით, რომლებიც მდიდარ ლინგვისტურ, არქეოლოგიურ და სხვა მასალებს ემყარება, დაასაბუთა სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება ქართველთა აბორიგენობის, ესე იგი თანამედროვე ტერიტორიაზე მათი იმთავითვე მოსახლეობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ს. ჯანაშიას საგანგებო წერილები: „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“, „მესხთა ტომის ისტორიიდან“, „ურარტუ“ და სხვები, რომლებსაც თანმიმდევრულად განიხილავს წიგნის ავტორი.

სიმონ ჯანაშიას სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შემდგომი მრავალმხრივი და ღრმა დამუშავება. ცნობილია, რომ ამ დარგში ვახუშტი ბაგრატიონიდან მოკიდებული საკმაოდ განვითარებული კვლევითი ტრადიცია არსებობდა. ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილმა კვლევა ახალ ეტაპზე აიყვანა. მაგრამ დაგროვილ მასალაში ბევრი შეცდომა და ნაკლოვანება დარჩა შესავსებ-შესასწორებელი. როგორც ავტორი მიუთითებს, „ს. ჯანაშიამ თავისი კვლევის საგნად უმთავრესად უძველესი ისტორიული გეოგრაფია გაიხადა, რადგან ამგვარი გზით უფრო გახდებოდა შესაძლებელი ქართველ ტომთა უძველესი ისტორიული მოვლენებისა და მათი განსახლების გაგება. ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინება გაარკვევდა აგრეთვე ქართველ ტომთა მონათესაობის საკითხთან დაკავშირებულ მრავალ ვაუგებარ საკითხს“.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ცდას ჯერ კიდევ ლეონტი მროველთან ვხედავთ. მან ჩვენი წარსული ორ პერიოდად — „მამასახლისობისა“ და „მეფობის ხანად“ დაყო. პერიოდიზაციის ცდები შემდგომშიაც იყო ჩატარებული ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში, მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, ივ. ჯავახიშვილმა პირველმა განიხილა საქართველოს ისტორია საზოგადოებრივ წყობილებათა თანმიმდევრული ცვალებადობის მიხედვით და სათანადოდ დაათარიღა კიდეც.

ამ საკითხში ს. ჯანაშიამ ახალ მეცნიერულ მონაცემებსა და ღრმა ანალიტიკურ დაკვირვებებზე დაფუძნებული, მტკიცედ დასაბუთებული თავისი სიტყვა თქვა. სამართლიანად წერს ავტორი: „ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური და ენათმეცნიერული განათლება, მარქსისტული მეთოდის სწორად გამოყენება და დიდი ერუდიცია ს. ჯანაშიას საშუალებას აძლევდა, მის დრომდე არსებულ შეხედულებათაგან განსხვავებით, სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ს. ჯანაშიამ ძველი საქართველოს წარსულის მეცნიერულ შესწავლას თანმიმდევრული ისტორიული კონცეფცია დაუდვა საფუძვლად, რომელიც დამყარებული იყო ყველაზე უფრო შემოწმებულ დებულებებზე“. და შემდეგ: „ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ს. ჯანაშიამ პირველმა სცადა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია დაეფუძნებინა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ მოძღვრებაზე“.

ს. ჯანაშიას მიერ გაკეთებული დასკვნებიდან ამ საკითხში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ მან გაცილებით უფრო ადრეული პერიოდებით დაათარიღა ქართული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია. მაგრამ საქმე მარტო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში როდია (მათი საზღვრები ახალი მეცნიერული მასალების მოპოვებით, შესაძლოა, კიდევ უფრო შორეულ საუკუნეთა სიღრმეებისაკენ გადაიწიოს). მთავარი ისაა, რომ გამოჩენილი მკვლევარი საკითხის არსს უჩვეულო სიღრმით ჩასწვდა და მეცნიერული სიზუსტითა და სისრულით ახსნა ის ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, იდეოლოგიური და სხვა ხასიათის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს დიდი ისტორიული პროცესები ქართველ ტომებში: გვაროვნული წყობილების რღვევა და მონათმფლობელობით მისი შეცვლა, ფეოდალიზმის ჩასახვა, მისი გამარჯვება და განმტკიცება. ამ საკითხებს ნათლად აშუქებენ სიმონ ჯანაშიას ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევები, როგორიცაა „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, „არაბობა საქართველოში“ და სხვები, რომელთა დედააზრი მკაფიოდ და შინაარსიანადაა გადმოცემული შ. მესხიას წიგნში.

„ქუდბედად დაყოლილი ავადმყოფობისა“ და ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად განსვენებულმა ისტორიკოსმა მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობასთან ერთად დატოვა დიდი საზოგადო მოღვაწის სახელი. ამიტომ ავტორი ცალკე, საგანგებო თავში მოგვითხრობს ს. ჯანაშიას საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

წიგნი დაწერილია კარგი ქართულით. იგი ისტორიკოსებთან ერთად ფართო მკითხველსაც დააინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ალანია

მონოგრაფია მივიწყებულ მოღვაწეზე

ყოველ ახალ ცნობას, რომელიც ჩვენი სახელოვანი წინაპრების მოღვაწეობას ეხება, მკითხველი საზოგადოება დიდი გულისხმიერებითა და სიხარულით ხვდება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ თითქმის შეუსწავლელია იმ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება თუ საქმიანობა, რომელთაც საქართველოდან შორს, უცხოობაში უხდეზოდათ შრომა-გარჯა და რომლებმაც თავიანთი კეთილშობილური საქმიანობით, ერთგულებითა და საქმის სიყვარულით ასახელეს ქართველობა.

ახალგაზრდა ავტორის რევაზ ჭიჭინაძის მონოგრაფია სწორედ ასე უმადურად მივიწყებულისა და გამოჩენილი პიროვნების — პეტრე ივანეს ძე შალიკაშვილის (შალიკოვის) ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება.

გასული საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად პოპულარული მწერლისა და ჟურნალისტის პეტრე ივანეს ძე შალიკოვის (შალიკაშვილის) სახელი დღევანდელი ქართველი მკითხველისათვის თითქმის უცნობია. იგი იმ ქართველთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სამშობლო ქვეყნის ისტორიულმა ავბედითობამ აიძულა მიეტოვებინათ მშობლიური კერა და უცხო მხარეში ეძიათ თავშესაფარი. პ. შალიკაშვილი იყო მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე. თავისი მრავალმხრივი საქმიანობით და უანგარო კეთილშობილებით მან რუსეთის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში არა ერთი და ორი საინტერესო სტრიქონი ჩაწერა, მთელი თავისი სიცოცხლე შეალია საყვარელი ქვეყნის სამსახურს და სახელოვანი წვლილი შეიტანა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

რ. ჭიჭინაძის მონოგრაფია ხუთი თავისაგან შედგება. პირველ ორ თავში გადმოცემულია პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება და დახასიათებულია მისი პიროვნება. ავტორი მოგვითხრობს პეტრე შალიკაშვილის უახლოესი წინაპრების — პაპისა და მამის ურთიერთობას ვახტანგ მეექვსის კართან, მათს სამსახურს რუსეთის ქართველ ჰუსართა პოლკში და ა. შ. აქვე ავტორი ეხება პეტრე შალიკოვის საცხოვრებლად მოსკოვში გადასვლისა და ლიტერატურულ სარბიელზე მისი გამოსვლის საკითხს. მონოგრაფიის წინათქმაში ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ „ზოგიერთმა მკვლევარმა და კრიტიკოსმა... თავიანთ შრომებსა და გამოკვლევებში, წინ წამოსწიეს და გააზვიადეს სწორედ ის ბიოგრაფიული, ზოგჯერ წვრილმანი და უმნიშვნელო ამბები, რომლებიც უცნაურად წარმოგვიდგენენ პეტრე შალიკაშვილს“ (გვ. 11). სამწუხაროდ, თვითონ მონოგრაფიის ავტორიც ხშირად ზომაზე მეტი აქცენტით ლაპარაკობს პ. შალიკაშვილის უცნაურობებსა და პიროვნულ ორიგინალობაზე.

პეტრე შალიკაშვილი ახლოს იყო დაკავშირებული რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებასთან, რომლის საპატიო წევრიც თვითონ იყო. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციასთან, მებრძოლ პოეტ დენის დავიდოვთან, კოზლოვთან, ბატიუშკოვთან და სხვ.

პეტრე შალიკაშვილი იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა. მისი ბიოგრაფიის საამაყო და სასახელო ფურცელს წარმოადგენს მისი გულთბილი და ახლო მეგობრობა ა. ს. პუშკინთან. ამ ორი პიროვნების ნაცნობობასა და ურთიერთობას ეძღვნება რ. ჭიჭინაძის მონოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თავი. როგორც ცნობილია, პუშკინის წერილებსა და ნაწერებში პ. შალიკაშვილი მეტად თბილად იხსენიება. 1825 წლის 19 თებერვალს მიხაილოვსკოედან ცნობილი რუსი პოეტისა და მოაზროვნის პეტრე ანდრიას ძე ვიაზემსკისადმი გაგზავნილ ბარათში ა. ს. პუშკინი წერს: „ონეგინი დაბეჭდილია. მგონი, მალე გამოქვეყნდება. პოეტის საუბარში წიგნების გამყიდველთან შენ ნახავ მადრიგალს თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკოვზე. იგი საყვარელი პოეტია, პატივისცემის ღირსია და მე დარწმუნებული ვარ, ჩემი გულწრფელი და სრულყოფილი შექება არ იქნება მისთვის უსიამოვნო. იგი მართლაც რომ პოეტია, მშვენიერი სულის პოეტი, ჭეშმარიტად ღირსი ამ სიტყვებისა! — მე საქვეყნოდ ვაცხადებ ამას და საზოგადოებასაც დავარწმუნებ ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტებაში“.

თვითონ პ. შალიკაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მიესალმა ა. ს. პუშკინის პოეტურ გენიას, სისტემატურად ბეჭდავდა მის ლექსებს თავის ჟურნალებში, თვითონ უძღვნიდა სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით აღსავსე ექსპრომტებს. პ. შალიკაშვილმა მწარედ განიცადა და გულწრფელად დაიტირა პუშკინის დაღუპვა და გლოვის დღეებში მას ერთ-ერთმა პირველმა უწოდა „მარადიული სიამაყე რუსეთის მიწისა“. პ. შალიკაშვილი იყო ა. ს. პუშკინის პირველი ბიოგრაფი და ერთგული პოპულარიზატორი.

პეტრე შალიკაშვილმა თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო სენტიმენტალისტების ორგანო „მასკოვსკი ჟურნალში“, რომელსაც კარამზინი ხელმძღვანელობდა. პ. შალიკაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა ფრიად ნაყოფიერი და მრავალმხრივია. სხვადასხვა დროს იგი მეთაურობდა ლიტერატურული ჟურნალების გამოცემის საქმეს. ეს ჟურნალები ძირითადად პატრიოტულ-სენტიმენტალისტური მიმართულებით ხასიათდებოდნენ. ისინი გახდნენ სენტიმენტალისტებისა და კარამზინის ენობრივი და ლიტერატურული პოზიციების მომხრეთა მებრძოლი ორგანოები.

სხვადასხვა დროს პ. შალიკაშვილმა გამოსცა ლიტერატურული ჟურნალები: „მოსკოვსკი ზრიტელი“ (1806 — 1807 წწ.), „აგლაია“ (1808 — 1812 წწ.), „დამსკი ჟურნალი“ (1823 წლიდან) და სხვ. აღსანიშნავია, რომ პეტრე შალიკაშვილი მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე (1823 — 1848) რედაქტორობდა გაზეთს „მასკოვსკიე ვედომოსტს“.

პ. შალიკაშვილის, როგორც ჟურნალისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არაერთხელ გამოსულა რუსეთის დემოკრატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედების მხარდამჭერად და ობიექტურ შემფასებლად. პ. შალიკაშვილის ჟურნალები ყოველთვის სიხარულით უთმობდნენ ადგილს ლიტერატურის ახალ ძალებს; აქ იხილა სინათლე პირველად დიდი რუსი იგავთმწერლის კრილოვის ნაწერებმა.

გარდა ჟურნალისტური მოღვაწეობისა, პეტრე შალიკაშვილი ეწეოდა ორიგინალურ და მთარგმნელობითს ლიტერატურულ საქმიანობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი ექსპრომტები, ეპიგრამები, სატრფიალო ლექსები და ა. შ. საინტერესოა მისი ნარკვევები „ისტორიული ცნობა ფრანგების მოსკოვში ყოფნის შესახებ 1812 წელს“, „მოგზაურობა მალოროსიაში“ და მრავალი სხვა.

მონოგრაფიის ავტორი ვრცლად განიხილავს პ. შალიკაშვილის ჟურნალისტურ მოღვაწეობას და მის ორიგინალურსა და თარგმნილ ნაწარმოებებს. იგი სწორ შეფასებას აძლევს შალიკაშვილის მთელ ამ ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ძირითადად სწორად ახასიათებს მის როლსა და მნიშვნელობას რუსული სენტიმენტალიზმის ისტორიაში.

რ. ჭიჭინაძის ნაშრომი საინტერესო წვლილია რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ჯორბენაძე

სასარგებლო წამოწყება

ვახტანგ ყვანია, „ქართველი იურისტები (ნარკვევები ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან)". გამომცემლობა „ხელოვნება" 1961 წ.

საბჭოთა ქვეყანა ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე ერთგული და ყველაზე გულწრფელი დამფასებელია. რევოლუციამდელ სამართლისმცოდნეთა შორის იყვნენ ისეთი მოღვაწეები, რომელნიც გაბედულად აკრიტიკებდნენ არსებულ კანონმდებლობას, ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობასა და ძალადობას. ამ პროგრესულ პირთა საქმიანობის შესწავლა უაღრესად საჭირო საქმეა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მხატვრული სიტყვის მრავალ დიდოსტატს დაჩაგრულთა უფლებრივი დაცვა თავის მეორე პროფესიად მიაჩნდა. ბევრი მათგანის მოღვაწეობის ამ მხარის გათვალისწინების გარეშე ამჟამად თითქმის შეუძლებელია მათი მდიდარი შემოქმედების სრულად წარმოდგენა.

ვ. ყვანიას წიგნში მკითხველი იპოვნის გულისყურითა და სიყვარულით შეკრებილ მასალებს აკაკის იურიდიული მოღვაწეობიდან. „სვანების პროცესი" მთელი ეპოპეაა. სწორედ აკაკის მოქნილ აზრს და სხარტ სიტყვას შეეძლო ასე დაუნდობლად გაეშიშვლებინა მეფის სასამართლოს წინაშე მთელი სისაძაგლე ცარიზმის ბიუროკრატიისა. ნიმუშისათვის საკმარისია არასრულწლოვანთა უდანაშაულობის დამტკიცების ის დამაჯერებელი ხერხი, რომელიც აკაკიმ აირჩია. „რაც შეეხება ბავშვებს, რომლებიც სხედან საბრალმდებლო სკამზე, მე საერთოდ ზედმეტად ვთვლი რაიმე ვილაპარაკო მათი გამართლებისათვის. ბავშვებს არც ერთი ტყვია არ გაუსროლიათ, იარაღი არ ჰქონიათ და მათ არ შეეძლოთ ასეთი ჰქონოდათ. მთელი მათი ბრალი იმაში მდგომარეობდა, რომ, დაინახეს რა საშიშროება, რომელიც მშობლებს მოელოდა, არ მოისურვეს მათთან დაშორება. ჩვენს შვილებს რომ რაიმე ასეთი მოსვლოდათ, მათ ქებას ვერ ავუვიდოდით" (გვ. 156. ამჯერად და შემდგომშიც ვუთითებთ სარეცენზიო წიგნზე).

„სვანების" საქმე შემთხვევითი ეპიზოდი არ ყოფილა აკაკის იურიდიულ საქმიანობაში ვ. ყვანიას ნაჩვენები აქვს აკაკის მრავალმხრივი მოღვაწეობა მშრომელთა, დაჩაგრულთა ინტერესების დასაცავად. აკაკის მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივი ვითარება ბადებდა დანაშაულობას. ამ პრინციპზე ააგო მან მსჯელობა ყაჩაღ ტატო წულუკიძის დასაცავად.

ჭოლა ლომთათიძის ეროვნული უთანასწორობისადმი შეურიგებლობას კარგად გამოხატავს 1901 წელს სასამართლო პროცესზე ნათქვამი სიტყვები (იგი დააპატიმრეს რუსეთიდან საგასტროლოდ ჩამოსული დასის ანტისემიტური სპექტაკლების ჩაშლაში მონაწილეობის გამო): „მე არ შემეძლო, — ამბობდა ჭოლა ლომთათიძე, — გულდასმით მომესმინა ასეთი უხეირო, ხელოვნებას სრულიად მოკლებული და თან იმგვარი ტენდენციური პიესა, როგორიც არის „კონტრაბანდისტები", რომელშიც სრულიად უმიზეზოდ მიწასთან ასწორებენ ისედაც პირობების გამო ყოველივე უფლებას მოკლებულ ებრაელებს".

ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც გაზეთ „გლეხის" რედაქტორს, რუსეთის იმპერიის სისხლის სამართლის დებულების საფუძველზე, კ. ლიბკნეხტის ერთ-ერთი სტატიის დაბეჭდვისათვის პასუხისგებაში აძლევენ. მას იცავს შესანიშნავი ქართველი იურისტი შალვა მესხიშვილი.

მრავალი საინტერესო ფაქტი და მასალაა გამოქვეყნებული ვ. ყვანიას წიგნში სამართლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცოდნეობის გამოჩენილი პრაქტიკოსისა და თეორეტიკოსის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შესახებ. ლ. ანდრონიკაშვილს ადვოკატის პროფესია ხალხის მებრძოლ შვილთა დაცვის იარაღად ჰქონდა გადაქცეული, ბათუმის 1902 წლის მუშათა დემონსტრაციის მონაწილეთა დაცვა მხოლოდ ერთ-ერთი პირველი გამოხატულება იყო ლ. ანდრონიკაშვილის სამოღვაწეო პრაქტიკისა.

ადამიანის ღირსების პატივისცემის ღრმა მოტივი უდევს საფუძვლად ლეგენდად ქცეულ „კუზიანის საქმეს". ლ. ანდრონიკაშვილი ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი მეცნიერთანამშრომელია და სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი. მეცნიერულ მუშაობას იგი შემდგომშიც ათავსებდა ადვოკატისა და იურისკონსულტის საქმიანობასთან. შესანიშნავია მის მიერ ნიუ-იორკის საერთაშორისო სასამართლოში ჭიათურის მარგანეცის კონცესიის თაობაზე ჩვენი სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

ვ. ქვანიას წიგნში გამოქვეყნებულია საინტერესო მასალები პროფესორების გ. ნანეიშვილისა და დ. პოლუმორდვინოვის ცხოვრებიდან.

წიგნის მეოთხე თავში ავტორს შეურჩევია სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვით და საბრალმდებლო სიტყვათა რამდენიმე ნიმუში. მათს დახასიათებას ვ. ქვანია მეორე თავში (გვ. 50 — 72) იძლევა. რასაკვირველია, მკითხველისათვის გაცილებით უფრო მოხერხებული იყო ეს მეოთხე თავში გაკეთებულიყო, სადაც სიტყვათა ტექსტებია გამოქვეყნებული.

ნარკვევი „სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან" პირველ მონახაზებს გვაძლევს საკითხის ისტორიულ ასპექტში შესასწავლად. მართალია, ავტორი არ ცდილობს საკითხი ამოწუროს — ეს შეუძლებელი იქნებოდა ერთ ნარკვევში. მაგრამ ავტორი ხშირად კვლევის საგნის ფარგლებს სცდება და ისეთ საკითხებსაც ეხება, რომლებსაც თემასთან უშუალო კავშირი არა აქვთ. ამასთან, ფაქტებისა და მოვლენების შეფასების დროს მეტი სიზუსტეა სასურველი.

არასწორია ავტორის მტკიცება მე-18 გვერდზე, რომ ჰარიმანის საქმეზე ნიუ-იორკის „პროცესის შედეგად საკონცესიო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა..."

ნაშრომის 26-ე გვერდზე გაუმართავია ავტორის მტკიცება ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციაში დანაშაულისა და დამნაშავისადმი საზოგადოების უმეტესი ნაწილის მტრული დამოკიდებულების შესახებ.

ვ. ქვანიას სასარგებლო წამოწყება ფართო მხარდაჭერის ღირსია.

როდიონ ქორქია

მოგონებანი ნიკო ნიკოლაძეზე

1.

ნიკო ნიკოლაძის სახელი პირველად ჩემ სოფელ ჭალადიდში გავიგონე. ჭალადიდი 10-12 კილომეტრითაა დაშორებული ფოთს, სადაც ნიკოლაძე ქალაქის თავი იყო. ცნობილია, რომ ყოველ სოფელს ჰყავს თავისი თავკაცები. ჩვენს სოფელშიც, სადაც სკოლა იყო გამართული, ასეთ თავკაცად ითვლებოდა არტემ ხოშტარია. ეს კაცი იყო მემამულე, სკოლის მზრუნველი, ფართო ინტერესების მქონე. მას ჰქონდა ბევრი წიგნი, სპეციალური კარადაც კი ჰქონდა წიგნებისათვის. ხალხს ეუბნებოდა იკითხეთო, ხოლო ჩვენ, მოწაფეებს, გვაძლევდა პატარ-პატარა წიგნებს. მეორე თავკაცი იყო ანდრო მესხია, უბრალო გლეხი, ამასაც ბევრი წიგნი ჰქონდა და გლეხებს ურიგებდა წასაკითხავად. როგორც ხოშტარიას, ისე მესხიას გაზეთებიც ჩამოჰქონდათ ფოთიდან და უკითხავდნენ გლეხებს. ეს იყო 1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს და გლეხები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ომის ამბებს.

აი, ამ ორ კაცზე იტყოდნენ ხოლმე გლეხები: „იმათ ნიკოლაძის თავი აქვთო“... ჩანს გლეხებისათვის ნიკოლაძის სახელი ჭკვიანი კაცის სინონიმი იყო. მე მაშინ 10 წლისა ვიყავი და ნიკო ნიკოლაძის სახელი პირველად გლეხთა წრეში გავიგონე. მე მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ნიკო ნიკოლაძე ჩემს ცხოვრებაშიც დიდ როლს შეასრულებდა.

2.

1905 წელს ფოთის საქალაქო სასწავლებელში შემიყვანეს. ამ სასწავლებლის შესასვლელ კარებთან მემორიალური დაფა იყო გაკრული. ზედ ეწერა: „აშენებულია (წელი არ მახსოვს) ფოთის ქალაქის თავის ნ. ი. ნიკოლაძის დროს“. ამ სასწავლებელში გაგვაცნეს ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე. მასწავლებელმა ვერა მიხეილის ასულმა ლავროვამ აგვიხსნა, რომ ნიკოლაძე ქალაქის თავი იყო, მან გააშენა ჩვენი ფოთი, მისი დიდი ნავსადგური; რომ ქალაქს დამბა პალიასტომის ტბის ნაპირიდან მდინარე კაპარჭინის გაყოლებით წყალდიდობისაგან დასაცავად მან შემოავლო. ჩვენი სასწავლებელიც იმან დააარსაო. მანვე გვითხრა, ნიკოლაძე ცხოვრობდა ისტორიულ კოშკში, რომელიც რუსეთმა ოსმალეთს წაართვაო... ფოთში ორი კუნძული იყო, ერთს ერქვა დიდი კუნძული, მეორეს უფრო პატარას, ნიკოლაძის კუნძული. ფოთში იყო დიდი საქალაქო ბაღი, ამ ბაღშივე ნიკოლაძის კოშკის გვერდით კიდევ პატარა ბაღი იყო. ამ პატარა ბაღს ნიკოლაძის ბაღი ერქვა.

ერთხელ მასწავლებელმა ლავროვამ დაგვათვალიერებინა ნიკოლაძის კოშკი და ნიკოლაძის ბაღი. ამ ბაღში ხარობდნენ სუბტროპიკული მცენარეები და ყვავილები, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ჰყვაოდნენ. ბაღში რამოდენიმე ძალზე მაღალი და დიდი ჭაღარა იდგა. მახსოვს აგრეთვე რამოდენიმე ლამაზი მაგნოლია და ორი-სამი ბუჩქი მცენარისა, რომელსაც მოწაფეები „მაკოცეს“ ვეძახდით.

3.

1905 წლის ბოლო უნდა ყოფილიყო, როცა დასავლეთ საქართველოს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარი შემოესია. ერთი რაზმი ფოთშიაც მოვიდა. ქალაქი შიშმა მოიცვა. რაზმი შედგებოდა პლასტუნებისა და ცხენიანი კაზაკებისაგან. დილას ჩამოვიდა ეს რაზმი (ერთი ბატალიონი) სიმღერითა და მუსიკით, შუადღეს კი ქალაქში სროლა ატყდა და ცეცხლიც გაჩნდა დიდ კუნძულზე. კაზაკებმა ცეცხლი წაუკიდეს ჩრდილოეთის ხიდთან მდებარე შენობებს.

ამ ამბის გარშემო მე, აი რა დამამახსოვრდა: თურმე ნიკოლაძემ მოსთხოვა რაზმის უფროსს სროლის შეწყვეტა და ცეცხლის ჩაქრობა. რაზმის უფროსმა უარი უთხრა. მაშინ ნიკოლაძე დაჯდა ორთქლმავალზე და გაექანა სენაკს, სადაც სამეგრელოს დამსჯელი ჯარის შტაბი იმყოფებოდა. ამ შტაბის უფროსი ყოფილა კაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანი ჩიქოვანი. ნიკოლაძემ ეს ჩიქოვანი ჩამოიყვანა ფოთში და გადაარჩინა ფოთი დაწვას.

ჩვენ ბავშვები, გავიქეცით, სადაც ცეცხლს აქრობდნენ. იქ იყვნენ ქალაქის მამები: ნიკოლაძე, მისი მოადგილე იაკობ ფანცხავა, ექიმი კოწია მიქაბერიძე, გიორგი საბახთარიშვილი (ხმოსანი) და მრავალი სხვა. ხალხს ნიკოლაძის გარშემო მოეყარა თავი და ისე უყურებდნენ ნიკოლაძეს, როგორც მართლმორწმუნენი თავის სალოცავ ხატს.

4.

1908 წელს ფოთში იუბილე გაუმართეს აკაკი წერეთელს. მთელი ქალაქი შეხვდა აკაკის ვაგზალზე. სხვათა შორის, ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი 40 ცხენოსანი გაჰყვა აკაკის ეტლს. სიმღერით და ზეიმით მიაცილეს აკაკი ნიკოლაძის კოშკამდე, სადაც უნდა მოესვენა აკაკის. ნიკოლაძე მაშინ პეტერბურგში იყო და იქიდან მოეწერა: აკაკი ჩემს კოშკში მოასვენეთო.

საღამოს (გაზაფხული იყო, მგონი მაისი) კლუბში შედგა საიუბილეო ზეიმი. მე აკაკის საკუთარი ლექსით მივმართე. სცენაზე გამომიშვა იონა მეუნარგიამ, ლექსი კარგად წავიკითხე და კაკიმ შემაქო.

მილოცვების წაკითხვისას პირველად წაიკითხეს ნიკოლაძის დეპეშა. ნიკოლაძე ულოცავდა აკაკის ფოთში ჩამოსვლას და ბოდიშს იხდიდა, რომ ვერ ესწრებოდა ზეიმს. ხალხმა რომ გაიგონა ნიკოლაძის სახელი, ტაშისცემა ასტეხა, რომელიც დიდხანს არ დამცხრალა. ნიკოლაძის დეპეშა იონა მეუნარგიამ წაიკითხა.

მეორე დღეს ფოთს მოედო აკაკის ხუმრობა ნიკოლაძეზე. აკაკის უთქვამს: „ნამდვილად დავრწმუნდი წუხელის ნიკოს ლოგინში რომ ვიწექიო... სულ ლამაზი ქალები მესიზმრებოდნენ და არ მომასვენესო...“

ამ ხუმრობას მეორე ნახევარიც აქვს, მაგრამ მისი ქაღალდზე გადატანა უხერხულია.

5.

ერთ დღეს ჩემმა ნათესავმა, ვისთანაც მე ვიზრდებოდი, ფოთის ქალაქის ხმოსანმა, სილოვან ებრალიძემ მითხრა: ნიკოლაძე გიბარებსო, შენი ლექსების რვეული წაიღე და წაუკითხეო. ნიკოლაძეს მიქაბერიძის სახლში ნახავ ხვალ, ამა და ამ დროსო.

იმ ხანებში მე ლექსებს ვწერდი, ამ ლექსებს სასწავლებელში იცნობდნენ, ზოგი დაბეჭდილიც იყო. ნიკოლაძეს გაუგია, რომ მე აკაკის საკუთარი ლექსით მივმართე და მოუსურვებია ჩემი ნახვა.

მეორე დღეს მივედი ექიმ მიქაბერიძის სახლში, შემიყვანეს კაბინეტში. ათი-თორმეტი კაცი იჯდა ოთახში. ვიცანი ნიკო ნიკოლაძე, იონა მეუნარგია, ექიმი მიქაბერიძე, მისი მეუღლე ანა, ბესარიონ ხოფერია, ლუარსაბ ყრუაშვილი. ნიკოლაძე იჯდა ღრმა სავარძელში. არასოდეს დამავიწყდება მისი მაღალი, ლამაზი შუბლი, სხივიანი თვალები, თეთრი წვერი.

— ესაა პოეტი, — უთხრეს ნიკოლაძეს.

— აბა წაიკითხე რომელიმე ლექსი, — მითხრა ნიკოლაძემ.

მე წავიკითხე დაბეჭდილი ლექსი. ლექსი რევოლუციური შინაარსისა იყო და მე თავი მომწონდა, რომ იგი ჟურნალში იყო დაბეჭდილი, „ნიშადურში“. ჟურნალიც თან მქონდა.

— კიდევ წაიკითხე, — მითხრა ნიკოლაძემ.

წავიკითხე სატრფიალო ლექსი უიმედო და გატანჯულ სიყვარულზე. ლექსში ვამბობდი, რომ წუთისოფელი მაცდურია, ცხოვრება მომბეზრდა, სატრფომ მიღალატა.

ნიკოლაძემ გაიცინა და რუსულად თქვა:

— ეს ბავშვი გიმნაზიაში შევიყვანოთ.

ხოლო ანა მიქაბერიძისას მიუბრუნდა და უთხრა:

— კარგი იქნება ეს ბავშვი მოამზადოო...

მართლაც, ანა მიქაბერიძისამ მომამზადა და 1909 წელს გიმნაზიაში შევედი.

6.

ექიმ მიქაბერიძეს ჩემი კბილა ძმისშვილი ჰყავდა, რომელიც მასთან იზრდებოდა, რადგან ჩვენ ერთ კლასში ვიყავით და დამეგობრებულებიც, მე ხშირად დავდიოდი მიქაბერიძისას და ხშირად ვხვდებოდი ნიკოლაძეს. მიქაბერიძის ოჯახში ქალაქის მოწინავე ადამიანები იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, ქვეყნის ამბებზე, ფოთის მშენებლობაზე. ნიკოლაძე რომ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველანი სულს განაბავდნენ. ძალიან მახვილი საუბარი იცოდა. საუბრობდნენ რუსულ ენაზე. სამწუხაროდ, არ მახსოვს საუბრის შინაარსი, მითუმეტეს, რომ მე მხოლოდ სუფრაზე შემეძლო ყური მეგდო ნიკოლაძისათვის. სუფრის შემდეგ მე და იოსკა (ჩემი ამხანაგი) გაკვეთილების დასამზადებლად მოვიდოდით, დიდები კი კაბინეტში ან ბაღში გავიდოდნენ. კოწია მიქაბერიძეს შესანიშნავი ბაღი ჰქონდა.

მახსოვს, ერთხელ ერთმა ბობოლა რუსოფილმა მოხელემ თანამედროვე საზოგადოება აუგად მოიხსენია. ნიკოლაძემ ამ მოხელეს იქვე სუფრაზე სხარტად უპასუხა:

— Эх, дорогой, все мы свиньи, а Вы отец наш родной!..

მთელმა სუფრამ გადაიხარხარა, მოხელემ ვერაფერი უპასუხა.

7.

ნიკოლაძე ყოველ კვირა დღეს დადიოდა წირვაზე. წირვის ბოლომდე იდგა ეკლესიაში. წირვის გამოსვლის შემდეგ დაუცდიდა ეპისკოპოსს და გააცილებდა. ქალაქის მესვეურებიც და ხალხიც არ გამოვიდოდნენ ეკლესიის გალავნიდან, სანამ ეპისკოპოსი ლეონიდე არ გამოვიდოდა ეკლესიიდან. მაშინ ატყდებოდა ზარის რეკა (ასეთი იყო წესი), ეპისკოპოს ლეონიდეს პატრიოტი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ხალხი პატივს სცემდა. ლეონიდეს გვერდით ამოუდგებოდა ნიკოლაძე და დაიძვროდა კორტეჟი... არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს გაესწრო მათთვის. ჩვენც მოწაფეებიც, უკან ავედევნებოდით ხოლმე.

ლეონიდე ცხოვრობდა ზედ ქალაქის ბაღთან. ნიკოლაძე მიაცილებდა ლეონიდეს და შემოვიდოდა ბულვარზე, რომელიც ქალაქის ბაღს ერტყა გარშემო. ფოთს მაშინ ძალიან ლამაზი ბაღი და ბულვარ-ხეივანი ჰქონდა. ხალხი ყოველ კვირას, წირვის შემდეგ გამოეფინებოდა ხოლმე ამ ხეივანში და სეირნობდა. ნიკოლაძეც ორ-სამჯერ გაისეირნებდა ხოლმე ხეივანში და წავიდოდა კოშკში. ნიკოლაძე რომ ხეივანს ჩაუვლიდა, ხალხი ორად გაიყოფოდა და ამ ცოცხალ დერეფანში გაივლიდა ნიკოლაძე.

მახსოვს ერთი საინტერესო ეპიზოდი. მგონი 1908 წელი იყო. ფოთში, ლავრენტი ტუღუშის სტამბაში დაიბეჭდა ნიკოლაძის ბროშურა „Мечта и жизнь". ეს ბროშურა მიმართული იყო ცნობილი პუბლიცისტის ყარიბის წინააღმდეგ და პასუხი იყო რომელიღაც მისი სტატიისა. ბროშურას წითელი ყდა ჰქონდა. ღირდა 20 კაპიკი. ეს ბროშურა კვირა დღეს გამოვიდა, იგი ხალხმა დაიტაცა და ხელში ეჭირათ წითელი თაიგულივით. იმ დღეს ნიკოლაძე დიდხანს სეირნობდა ბაღში, ხალხიც დიდხანს დადიოდა ბაღში წითელი ბროშურით ხელში. მე არ მახსოვს ბროშურის შინაარსი, თუმცა ვიყიდე კი ბროშურა. ეს კი მახსოვს, რომ ამბობდნენ: საკადრისი პასუხიაო. ეტყობოდა, მოსწონდათ ნიკოლაძის პასუხი.

8.

1911 წელი უნდა ყოფილიყო, ასე მახსოვს, ნიკოლაძემ ლექცია წაიკითხა საჯაროდ, კლუბში. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო. დაესწრო მოწაფეობაც. ნიკოლაძის ლექცია ორ საათს გაგრძელდა. ნიკოლაძე კითხულობდა რუსულ ენაზე. ლექცია ეხებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს. ნიკოლაძემ ლექცია დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „Нам с Россией одна дорога и одни мечты". ჩვენზე — მოწაფეებზე ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ეს სიტყვები ჩემთვის და ჩემი თაობისათვის ერთგვარი საპროგრამო იდეა გახდა. საქმე ის არის, რომ საქართველო— მაშინ რუსეთის კოლონია იყო და ჩვენ, მოწაფეები, აღრენილი ვიყავით მეფის რუსეთზე. ნიკოლაძემ ფაქიზად და დიდის ტაქტით განმარტა საქართველოში რუსეთის შემოსვლის პოზიტიური მხარე და მიგვახვედრა თუ რა გზით ჯობდა წასულიყო ქართველი ხალხი და ახალგაზრდობა...

9.

1912 წელს ფოთის ქალთა გიმნაზიაში ტრადიციული შობის ხე გაიმართა. დღესასწაულს ნიკოლაძეც დაესწრო. გაიმართა ჩვეულებრივი „ფოსტა". ერთერთმა ქალიშვილმა, მასწავლებელმა კატუშა ხოფერიამ ამ ფოსტით უსახელო მოკლე წერილი მიიღო. ამ თამაშის ინტრიგა იმაშია, რომ წერილზე ავტორი სახელს არ აწერს. ხოფერიას ქალმა წერილი რომ მიიღო, დაიწყო ძებნა ავტორისა. მაგრამ ვინ ეტყოდა, ავტორი მე ვარო? მახსოვს, ხოფერიას ქალმა მიმართა ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს სერგეი დანელიას: ხომ არ იცით, ვინ დაწერაო. დანელიამ წაიკითხა ხელის გულის სიფართე წერილი და რუსულად უთხრა კატუშას:

— Это, наверна, Николадзе написал. Ведь так умно.

მე მაშინ კატუშა ხოფერიას ლექსებს ვუწერდი და დიდად ვიყავი დაინტერესებული წერილის შინაარსით, ამიტომ ავედევნე კატუშას, კატუშამ წერილი, რასაკვირველია, მე არ მაჩვენა, მაგრამ ის კი გამაგებინა, რომ მას თვითონ ნიკოლაძემ მისწერა წერილი.

10.

1915 წელს ფოთში. დიდი წყალდიდობა იყო. წყალმა დაფარა ქალაქი. არა მარტო განაპირა ქუჩებში, არამედ შუა ქუჩებშიაც ნავებით მიმოდიოდნენ. ნიკოლაძემ დილიდანვე დაიარა ქალაქი და გასცა საჭირო განკარგულებანი.

ჩემს არქივში ინახება სურათები, სადაც ფოთის წყალდიდობაა გადაღებული. ერთ სურათზე ნიკოლაძე გადაღებულია ჩამონგრეულ სახლთან.

11.

1934 წელს ფოთში კოლხიდის ჭაობის დაშრობა დაიწყეს. მაშინ გამოირკვა, რომ კოლხიდის ჭაობის დაშრობის გეგმა დიდი ხნის წინათ ჰქონია დამუშავებული ნიკოლაძეს, ოღონდ ცხოვრებაში გეგმის გატარება ძველი რეჟიმის პირობებში არ შეიძლებოდა: კაპიტალისტებმა თანხა არ გაიღეს, რადგან ჭაობის დაშრობა უპირატესად ხალხის ჯანმრთელობის საქმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისახავდა მიზნად, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიური ეფექტი ხანგრძლივ დროს მოითხოვდა. კოლხიდმეხის ინჟინრებისაგან მე ხშირად გამიგონია, კოლხიდის ჭაობის დაშრობის იდეას ნიკოლაძეს უნდა ვუმადლოდეთო...

სად არის ამჟამად კოლხიდის ჭაობის დაშრობის ნიკოლაძისეული გეგმა, არ ვიცი. ვიცი კი, რომ ის ნამდვილად არსებობდა.

12.

როგორც მოწაფეობისას, ისე სტუდენტობის დროს და უფრო გვიანაც ბევრი ლეგენდა გამიგონია ნიკოლაძეზე. ის კი, რაც ზემოთ ვთქვი, ჩემს მიერ პირადადაა განცდილი და ნახული.

ახლა კი ამ ლეგენდებსაც მოვიხსენიებ. შეიძლება არც იყოს ლეგენდა, მაგრამ რადგან მხოლოდ გაგონილია, ამიტომ ლეგენდას ვუწოდებ. აი ზოგიერთები:

ა) ფოთი ღარიბი ქალაქი იყო, ამიტომ ქალაქის თავს თვეში 500 მანეთს აძლევდა ხელფასს. ბაქომ შესთავაზა ნიკოლაძეს 2500 მანეთი წელიწადში. ოთხჯერ მეტი...

ნიკოლაძე არ დათანხმდა. ახალი ფოთი მან გააშენა, საქართველოს ერთი დიდი ნავსადგური შემატა და თავისი ერისათვის საჭირო და საკეთილდღეო მოღვაწეობა ოქროზე არ გაცვალა. ასეც უთქვამს: „ჩემი ხალხის სამსახური მირჩევნია სხვის ოქროს“... მე ვიცი, რომ ეს ფაქტია, ხოლო ასე თქვა თუ არა ნიკოლაძემ, ეს რასაკვირველია, ფოთელების ლეგენდაა. და ლეგენდაც ხომ დიდი ადამიანების გარშემო იქმნება!..

ბ) ფოთიდან ევროპაში გაჰქონდათ მარგანეცი. ფოთის ბიუჯეტის გასაძლიერებლად ნიკოლაძემ „გამოიგონა“ საფუთო გადასახადი ნახევარი კაპიკის ოდენობით. არსად იმპერიაში ასეთი გადასახადი არ არსებობდა და ძნელი შეიქნა მისი გატარება მინისტრთა კაბინეტში. განსაკუთრებით წინააღმდეგი ყოფილა ფინანსთა მინისტრი. ნიკოლაძემ მოითხოვა პირადი აუდენცია. ვიტტეს დახმარებით ნიკოლაძეს დაუნიშნეს აუდენცია. ნიკოლაძის არგუმენტებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ პროექტი ერთხმად გავიდა.

არსებობს ამ ლეგენდის ვარიანტიც. თურმე ნიკოლაძემ გაიგო, რომ მინისტრი უცხოეთში უნდა წასულიყო სამკურნალოდ. დაუცადა, სანამ მინისტრი წავიდოდა და მხოლოდ მაშინ შეიტანა თავისი პროექტი მინისტრთა კაბინეტში განსახილველად. პროექტიც მიღებული იქნა, რადგან მინისტრის ამხანაგი მისი მომხრე ყოფილა.

ფოთში საფუთო გადასახადის დაარსება ფაქტია, ხოლო როგორ გაატარა ნიკოლაძემ ამაზე სხვადასხვა თქმულება არსებობს.

გ) ნიკოლაძეს ჰქონია გეგმა სენაკის მახლობლად, ეკის მთაზე, კურორტის გაშენებისა და ფუნიკულიორის გაყვანისა. ბარის სამეგრელოსათვის ეს საჭიროა, რადგან ხალხს ციება აწუხებსო. სამწუხაროდ, მემამულეებმა ურჩობა გასწიეს. ადგილები ძალზე ძვირად დააფასეს და ეს დიდებული გეგმა ჩაიშალაო... ეს მიამბო მე ნიკოლაძის მახლობელმა მექი კალანდარიშვილმა, ფოთელმა მოქალაქემ.

საინტერესოა, რომ ამჟამად, ეკის მთის დასაწყისში ქალაქ ცხაკაიისგან 4 კილომეტრის დაშორებით, არსებობს მენჯის დიდი კურორტი. რა დიდი ტალანტის კაცი ყოფილა ნიკოლაძე, რომ ამ ადგილის კურორტად გამოყენების იდეა ნახევარი საუკუნით ადრე მოსვლია თავში?..

დ) ფოთში ნიკოლაძემ ააგო დიდი ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ ფოთში ლეგენდაა, რომ ნიკოლაძემ ეს დიდი ტაძარი ამ ფორმისა სწორედ იმიტომ ააგო, რომ იცოდა: რევოლუცია მოხდებოდა და ტაძარი თეატრად გამოადგებოდაო. მართლაც, ფოთს თეატრი არ ჰქონდა და ნიკოლაძისეული ტაძარი საბჭოთა ხელისუფლების დროს თეატრად გადაკეთდა.

13.

უკანასკნელად ნიკო ნიკოლაძეს თბილისში შევხვდი.

ერთ დღეს, რუსთაველის პროსპექტით მივდიოდი, ვხედავ ნიკოლაძე აღმასკომის მიმართულებით მიდის. ხელები ზურგზე ჰქონდა დაწყობილი, ასეთი ჩვეულება ჰქონდა. ერთ ხანს გავყევი უკან. მინდოდა მისვლა. მინდოდა მეთქვა, რომ მე ის პატარა ბიჭი ვარ, რომელსაც მან მოუსმინა ოცი წლის წინათ... მინდოდა და ვერ გავბედე. ერთხანს გავყევი უკან, სანამ ყოფილი განოვის ქუჩისაკენ — აკაკი წერეთლის ქუჩისაკენ შეუხვევდა... მას მერე არ მიხახავს...

დავშორდი, მაგრამ განუშორებლივ დამაქვს გულში მისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა...

და ახლა, როცა ამ მოგონებებს ვწერ, დიდის კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მეც მიდევს წილი ერთ ისტორიულ საქმეში, სახელდობრ, ფოთში ნიკოლაძის ძეგლის გახსნის საქმეში. დიდი დრო დასჭირდა ამ აზრის განხორციელებას... ფოთის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა თავს იდვეს და შესანიშნავი საქმე გააკეთეს: ნიკოლაძეს ძეგლი დაუდგეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო პოპოვი

ჩემპიონი, მწრთვნელი, პედაგოგი — ნოვატორი

კარებზე წყნარად დააკაკუნეს.

— თქვენ გკითხულობენ, — ამ სიტყვებით სასტუმროს მსახური ოთახში შემოვიდა და თან სავიზიტო ბარათი შემოიტანა, რომელზედაც ეწერა:

„ვიაჩესლავ ადოლფის ძე კოუბა,
ქალაქ კლადნოს ვაჟთა გიმნაზიის
ფიზკულტურის მასწავლებელი“.

ხსენა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად პრაღაში სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულმა ცნობილმა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ნ. თაყაიშვილმა რამდენჯერმე გაოცებით გადაიკითხა ბარათი: კოუბას გვარი მას არაფერს ეუბნებოდა.

— სთხოვეთ, — თქვა მან და წამსვე კარებში გამოჩნდა ხანმი შესული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე მამაკაცი. იგი მოკრძალებით მიესალმა მასპინძელს და პატიება თხოვა შეწუხებისათვის.

— თქვენ, რასაკვირველია, გაოცებთ უცხო ადამიანის ასეთი მოულოდნელი შემოჭრა, — დაიწყო სტუმარმა, — მაგრამ მე არ შემეძლო არ გამომეთქვა ჩემი აღტაცება შესანიშნავი საბჭოთა ტანმოვარჯიშეებით. მით უმეტეს, რომ თქვენ თურმე საქართველოდან ყოფილხართ, საუცხოო სპორტსმენის — გიორგი ეგნატაშვილის სამშობლოდან. ოო! პრაღას დღესაც ახსოვს მისი ბრწყინვალე გამოსვლები. მერწმუნეთ, ეს უმაღლესი კლასი იყო!

გაიმართა გულთბილი საუბარი. სპორტის ძველი გულშეპატიკვარი დიდხანს უყვებოდა თავის ახალ მეგობრებს იმ დაუვიწყარ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა ჩეხებზე— ტანვარჯიშის მსოფლიოში აღიარებულ ოსტატებზე — შორეული საქართველოს წარგზავნილის, გიორგი სიმონის ძე ეგნატაშვილის ოსტატობამ.

ეს მოხდა 1947 წელს, 35 წლის თავზე იმ დღიდან, რაც პრაღამ უკანასკნელად დაუკრატაში შესანიშნავ ტანმოვარჯიშეს. 35 წელი არც თუ ისე მცირე ხანია, მაგრამ სპორტის ამ ულამაზესი სახეობის მოყვარულთ კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ მისი გამოსვლა. ჭეშმარიტი ხელოვნება ხომ მარად დაუვიწყარია!

— „ტანვარჯიში — სპორტის არა მარტო შესანიშნავი სახეობაა, არამედ დიდი ხელოვნებაცაა“, — ხშირად იტყვის ხოლმე გიორგი სიმონის ძე და ამ ხელოვნებას მიუძღვნა მან მთელი თავისი სიცოცხლე.

მაგრამ შესაძლებელია ეგნატაშვილს არასოდეს წარმოეთქვა ეს ფრაზა, რომ მას სიჭაბუკის წლებში ერთი ამბავი არ შემთხვეოდა.

— გურგელა, (ასე ეძახდნენ ბავშვობაში ეგნატაშვილს მისი ნათესავები და მეგობრები). მოდი ჩვენ ორკესტრში ჩაეწერე, შენისთანა მხიარულ ბიჭს ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ, — ასე მიმართა ერთხელ ეგნატაშვილს მისმა ამხანაგმა ვასია ჰელვიგმა, რომელიც მასთან ერთად რკინიგზაზე მუშაობდა.

— რას ამბობ, მეხუმრები? ჩემი დაკოჟრებული თითები... სიმებიანი საკრავისათვის როდია...

პასუხის ნაცვლად ჰელვიგმა თავისი ხელისგულები უჩვენა. ისინი ისევე იყო დაკოჟრებული, როგორც გურგელასი.

— კი მაგრამ შენ საიდან გაქვს კორძები? მე გასაგებია, ბავშვობიდან სულ ყირის ჭიმვაში ვარ. ჩემთვის ამაზე უკეთესი მუსიკა არ არსებობს.

— ყირა? რაზე — მილებზე, მოაჯირებზე, ხის ტოტებზე? და მერე შენ ამას მუსიკას, ტანვარჯიშს ეძახი? აი, მოდი ჩვენთან, ტანვარჯიშის დარბაზში და მაშინ ვნახავთ, რა „მუსიკოსიც“ იქნები ნამდვილ ღერძსა და ორძელზე.

იმავე საღამოს მეგობრები პირველი გიმნაზიის სპორტდარბაზს ეწვივნენ. ტანადი, კუნთმაგარი, მზით გარუჯული გურგელა ხელად გამოჩნდა თავის ახალ ამხანაგებში.

— ნახე, რანაირი ახალბედა მოგვივიდა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშნა ტანვარჯიშის საზოგადოების მასწავლებელმა გრუმლიკმა, ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესმა ტანმოვარჯიშემ.

— მართლაც, გარეგნობით ეს ვაჟკაცი თითქოს ტანვარჯიშისათვის არის დაბადებული, — უპასუხა მას მეორე მწვრთნელმა, — მაგრამ ვინ იცის როგორ გამოიჩენს თავს საქმეში?

საქმეში კი გიორგი ეგნატაშვილმა თავისი პირველი მასწავლებლების ყველაზე უეჭველ იმედებსაც კი გადააჭარბა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი ხომ ბავშვობიდანვე მისდევდა ჭიდაობას, ცურვას, უყვარდა ხტომა, სირბილი, ციგაობა... მაგრამ მაინც მისი ყველაზე დიდი გატაცება ტანვარჯიში იყო.

რა ვუყოთ მერე, რომ მას ნამდვილ ტანვარჯიშზე არც კი ჰქონდა წარმოდგენა. მისთვის „ტანვარჯიში" მხოლოდ სალტო, ტრაპეცია და ყირა იყო. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ცირკში ენახა, სადაც იგი ხშირად დადიოდა.

ყირას კი გურგელა ჭიმავდა ყველგან, სადაც კი ადგილს მოიხელთებდა. ხშირად იქაც კი, სადაც თითქოსდა შეუძლებელი იყო ამის გაკეთება. მაშინდელი ვერის დაღმართზე გამვლელნი არაერთხელ შეძრწუნებულან 10 წლის ბიჭუნას დანახვით, რომელიც ხელებით ხიდის მოაჯირს დაყრდნობოდა და თავდაყირა ჩაჰყურებდა მტკვრის მღვრიე ტალღებს.

ცხადია, ეს იყო რამდენადმე თავისებური „საერთო ფიზიკური" მომზადება, მაგრამ მან შედეგი მაინც გამოიღო — ეგნატაშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა ამხანაგ ტანმოვარჯიშეთა შორის არა მარტო ფიზიკური ძალით, არამედ არაჩვეულებრივი სითამამით და გამბედაობით.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა საზოგადოების ყველა წევრისათვის მიუწვდომელი იდეალი იყო მათი ხელმძღვანელი ჩეხი ანტონ ლუკეში. გურგელა კი განა მარტო თაყვანსა სცემდა მას, სწავლობდა კიდეც მისგან, ცდილობდა ყველაფერში საყვარელ პედაგოგს დამსგავსებოდა.

ეს მისწრაფება ჭაბუკს ლუკეშის გაცნობის პირველ დღიდანვე გაეღვიძა, როცა დაინახა როგორი საოცარი სიმსუბუქით ასრულებდა იგი ღერძზე უმაღლესი სირთულის ვარჯიშებს. მაშინ დარბაზში ყველამ შესწყვიტა მეცადინეობა და მოჯადოებულივით მიაჩერდა შესანიშნავ ტანმოვარჯიშეს. „ჩვენ ასე არასოდეს არ გამოგვივა", — უიმედოდ ჩაიჩურჩულა ვიღაცამ. „მე კი გავაკეთებ", — გადაწყვიტა გურგელამ თავისთვის. და როდესაც სპორტსმენები დაიშალნენ, მან სცადა გაემეორებინა რთული ვარჯიში, მაგრამ... მაშინვე იღრძო მაჯა. მწვავე ტკივილის გრძნობა ხელად გაუქარვა სხვა აზრმა: „კარგია, არავინ ხედავს ჩემს შერცხვენას" და თავისთავს სიტყვა მისცა, რომ საწადელისათვის მიეღწია.

სპორტულმა ჟინმა, სიბეჯითემ, სისტემატურმა წვრთნამ თავისი გაიტანა. მოკლე ხანში ეგნატაშვილი ოსტატობით თავის გუშინდელ მასწავლებლებს გაუტოლდა.

22 წლის ჭაბუკმა უკვე მონაწილეობა მიიღო დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში პრაღაში, სადაც 1800 მონაწილეს შორის მე-11 ადგილი დაიკავა, ერთი წლის შემდეგ კი იგი კვლავ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქშია, ამჯერად როგორც ტანვარჯიშის უმაღლესი კურსების მსმენელი. ახლა მის პრაქტიკულ მიღწევებს სერიოზული თეორიული მომზადება მიემატა.

1912 წელი. ეს წელი აღინიშნა არა მარტო სახელოვანი ქართველი ტანმოვარჯიშის სპორტული დაოსტატების მაღალი მიღწევებით, არამედ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა პირველი სერიოზული გამარჯვებით დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

მეგობრები და ამხანაგები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ეგნატაშვილის მზადებას პრაღის შეჯიბრებისათვის, მას უმაღლესი კლასის სპორტსმენთა შორის უეჭველ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. ეს პროგნოზი არ გამართლდა. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გიორგი ეგნატაშვილს არ შესწევდა უნარი შეჯიბრებოდა უძლიერეს ოსტატებს. ჩეხოსლოვაკიაში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე გამოირკვა, რომ საქართველოს გუნდს, რომელიც სხვა კლასში გამოდიოდა, გამოაკლდა ი. ვახეკი — ერთერთი წამყვანი ტანმოვარჯიშე, და რადგან ისეთი ადამიანისთვის, როგორიც ეგნატაშვილია, პირადი სახელი არასოდეს მდგარა კოლექტივის ინტერესებზე უფრო მაღლა, ბუნებრივია, პრაღის შეჯიბრებაზე იგი წარსდგა როგორც საქართველოს გუნდის რიგითი წევრი.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში თავი მოიყარა 2241 ტანმოვარჯიშემ ევროპის და ამერიკის უმთავრესი ქვეყნებიდან. ამდენი მონაწილე ჯერ არ ახსოვდა არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებას. მიუხედავად ამისა შორეულ საქართველოს პატარა, მაგრამ მტკიცე კოლექტივმა საერთო ყურადღება მიიპყრო. მის ყოველ გამოსვლას თან სდევდა მაყურებელთა და მონაწილეთა აღფრთოვანებული აპლოდისმენტები, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა ტანვარჯიშის მცოდნეთა პროგნოზებს, რომ საქართველოს გუნდია პირველობის ყველაზე უფრო აშკარა პრეტენდენტი. მართლაც, როდესაც საბოლოოდ შეაჯამეს შედეგები, გამოირკვა, რომ საქართველოს გუნდმა ყველანი უკან ჩამოიტოვა. ხოლო უძლიერესთა შორის საუკეთესო გიორგი ეგნატაშვილი აღმოჩნდა. და ალბათ სწორედ მაშინ მრავალრიცხოვან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებელთა შორის შესანიშნავ ტანმოვარჯიშეს, რომელმაც სპორტი ნამდვილი ხელოვნების სიმაღლემდე აიყვანა, ტაშს, უკრავდა ფიზკულტურის რიგითი მასწავლებელი ქალაქ კლადნოდან.

ამის შემდეგ გიორგი სიმონის ძეს აღარ მიეცა საშუალება ეჩვენებინა თავისი ოსტატობა. ატყდა პირველი მსოფლიო ომი, მას მოჰყვა რევოლუციის წლები; საქართველოში დაიწყო ბრძოლა მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

*

გავიდა ხანი. ისევ დაუცხრომელი ენერგია ჩამდგარა ამ დაუღალავი ადამიანის თვალებში, ახალგაზრდული ძალა დუღს მის მძლავრ კუნთებში. იგი აღარ იღებს მონაწილეობას შეჯიბრებებში, მაგრამ მაინც არ ტოვებს ტანვარჯიშს, რადგან ცხოვრების მიზნად გაუხდია აღზარდოს თაობა, რომელიც ღირსი იქნება განაგრძოს ქართული სპორტის საუკეთესო ტრადიციები. საყოველთაო სწავლება იქნება ეს თუ ფიზკულტურული საბჭოები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები თუ ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თუ მრავალრიცხოვანი სპორტსკოლები, გიორგი ეგნატაშვილმა ყველგან დასტოვა თავისი კეთილშობილური საქმიანობის კვალი.

ზუსტად განსაზღვრულ დროს გაიღებოდა ხოლმე სპორტდარბაზის კარები და შესანიშნავი პედაგოგი-ტანმოვარჯიშე იწყებდა გაკვეთილს. მისთვის არ იყო განსხვავება „დიდ“ და „პატარა“ კოლექტივებს შორის; ერთნაირი მონდომებით და თავდავიწყებით მუშაობდა იგი ყველგან. ასე მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში—კოჯორში ორგანიზებული იქნა კურსები საბავშვო სახლების მასწავლებლებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში გიორგი სიმონის ძე ძლიერ იყო გადატვირთული, ზამთარზაფხულ, კარგ ამინდსა თუ ავდარში, იგი ყოველ კვირას ფეხით აუყვებოდა ხოლმე კოჯორის დამქანცავ გზას, ახალგაზრდებისათვის რომ გადაეცა თავისი მდიდარი გამოცდილება.

ტანვარჯიშის ეს დიდი ენთუზიასტი არასოდეს დაკმაყოფილებულა ადმინისტრაციული, ხელმძღვანელი სამუშაოთი. მას ყოველთვის ახალგაზრდებთან ყოფნა უხაროდა: „მათთან ახალგაზრდად გრძნობ თავს, ყოველთვის რაღაც ახალს, საინტერესოს ეძებ და პოულობ“, ამბობს ეგნატაშვილი.

ნოვატორობა — გამოჩენილი ტანმოვარჯიშის პედაგოგიური ოსტატობის ძირითადი ნიშანია. იგი ყოველთვის ახლის ძიებაშია და ვერ ურიგდება ძველს, ზრომოჭმულს, სტანდარტულს.

თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია გ. ს. ეგნატაშვილის წინადადებამ, რომ ტანმოვარჯიშე ქალები დაბლიდან მაღალ ღერძზე გადასულიყვნენ. ბევრმა მაშინ ეს გაუმართლებელ სითამამედ მიიჩნია. მაგრამ 1933 წლის პირველობაზე ეგნატაშვილის ერთერთი საუკეთესო მოწაფის იულია ფარესაშვილის ბრწყინვალე გამოსვლამ ქალებისათვის უჩვეულო იარაღზე ცხადყო ვის მხარეს იყო სიმართლე, მოწაფის გამარჯვება ამჯერად უფრო მეტად მასწავლებლის გამარჯვება და ურწმუნოთა მარცხი იყო.

ყოველ ახალ ილეთს, ახალ ვარჯიშს, ახალ კომბინაციას, გიორგი სიმონის ძე ყოველთვის დეტალურად გაიაზრებდა, ყოველმხრივ შეამოწმებდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი საბჭოთა ტანვარჯიშის პრაქტიკაში მის დანერგვაზე. მაგრამ დიდ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად გ. ს. ეგნატაშვილი ბევრს მუშაობდა ტანვარჯიშის სპორტის თეორიის საკითხებზედაც. ჯერ კიდევ 1925 წელს იგი უშვებს ფიზმომზადების სახელმძღვანელოს, ხოლო ორი წლის შემდეგ ტანვარჯიშის მის მიერ შედგენილი პროგრამები საყოველთაო აღიარებას და გავრცელებას პოულობს.

მწვრთნელმა, აღმზრდელმა, ნოვატორმა — პედაგოგმა სპორტული ცხოვრების დიდი გზა განვლო. შეიძლება ითქვას, საქართველოში არ არის თითქმის არც ერთი ტანმოვარჯიშე—ოსტატი, რომ მას ეგნატაშვილის ხელი არ დასტყობოდეს. მან სპორტის 12 დამსახურებული და 33 ოსტატი აღზარდა.

მრავალი მოწაფე ჰყოლია სახელოვან პედაგოგს, მაგრამ დღესაც მას თითოეული მათგანი კარგად ახსოვს. ახსოვს მათი წარმატებანი, დადებითი და სუსტი მხარეები, ახსოვს, რადგან მას უყვარს ტანვარჯიში, უყვარს თავისი მოწაფეები. სთხოვეთ გიორგი სიმონის ძეს და იგი თქვენ დაწვრილებით გიამბობთ თითოეული მათგანის სპორტულ ბიოგრაფიას.

— აი თუნდაც 20 წლის წინანდელი ამბავი, იხსენებს იგი, — ერთხელ საბა-სულხანის ქუჩაზე რომ სპორტდარბაზია, იქ შევიარე. ვხედავ, მშვენიერი აღნაგობის ახალგაზრდა უშედეგოდ წვალობს ტაიჭზე. ილეთი არ გამოუდის. მივეხმარე. მაშინვე ვიგრძენი მისი დიდი სიყვარული ტანვარჯიშისადმი, და მონდომება. მოველაპარაკე მის მწვრთნელს და მალე ჩემს ჯგუფს კიდევ ერთი ახალი წევრი მიემატა. ეს იყო კავშირგაბმულობის ინსტიტუტის 1 კურსის სტუდენტი 18 წლის კოკა თაყაიშვილი. თქვენ ალბათ იცით, რომ ამ „ახალბედამ“ გაამართლა თავისი მასწავლებლის იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები, — ღიმილით დასძენს გიორგი სიმონისძე.

იგი მზადაა ასევე დაწვრილებით გიამბოთ თავის სხვა მოწაფეებზედაც. თვითონ მასზე კი დიდი სიამოვნებით და სიყვარულით გვიამბობენ მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილნი. ისინი მოგიყვებიან თუ როგორი ტაქტიანი იყო მათი პედაგოგი და ამავე დროს როგორი მოთხოვნი, როგორ იცოდა დარჩენილი ჩათვლისა და ვარჯიშის უმიზეზოდ გაცდენისათვის დამწყები სპორტსმენებისა და ცნობილი ოსტატების ერთნაირი სიმკაცრით „შვებულებაში“ გასტუმრება. ი. ფარესაშვილს უთუოდ მოაგონდება „შვებულება“, რომელიც მან დაიმსახურა მწვრთნელისაგან ვარჯიშზე ხუთი წუთით დაგვიანებისათვის. სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბაბილოძე აუცილებლად გაიხსენებს იმასაც, რომ თავის მოწაფეებს შეჯიბრებაზე გიორგი სიმონის ძე ბევრად უფრო ძუნწ შეფასებას აძლევდა, ვიდრე ყველა სხვა მსაჯები.

გვიამბობენ პედაგოგის „სიმკაცრეზე“ მოწაფეები, მაგრამ თბილი ღიმილი, რომელიც თან ახლავს მათ ნათქვამს, ცხადჰყოფს, თუ რა უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას გრძნობენ ისინი ადამიანისადმი, რომელსაც თითოეული მათგანი სიხარულით დაუძახებდა მამას.

თავის თავზე კი ის მხოლოდ ამას იტყვის: „მე ვერაფერს მივაღწევდი მარტო. ჩემი ბედნიერება ის არის, რომ გვერდით ყოველთვის მყავდნენ შესანიშნავი მეგობრები, სპორტის თავდადებული პროპაგანდისტები, თქვენ გსურთ იცოდეთ ქართული ტანვარჯიშის ფუძემდებელთა სახელები? აი ისინიც: გ. ნიკოლაძე — იგი უკვე მათემატიკის პროფესორი იყო, როდესაც ბავშვებს სკოლაში უსასყიდლოდ ასწავლიდა ფიზკულტურას; ა. ბაქრაძე — მან ხომ ექსტრა კლასის ტანმოვარჯიშეთა ბრწყინვალე პლეადა აღზარდა! დ. ჩიკვაიძე — ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის ყოფილი გამგე; გ. მერკვილაძე, რომელმაც მრავალი წელი შესწირა სპორტის პროპაგანდას განათლების ორგანოებში. ყველას ჩამოთვლა ძნელია!“

თავის დამსახურებაზე ეგნატაშვილი მორიდებით ლაპარაკობს. სამაგიეროდ მთავრობამ დაუფასა ღვაწლი — მიანიჭა დამსახურებული პედაგოგის და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ეგნატაშვილის 50 წლის უანგარო სამსახურს სპორტში ასევე დიდად აფასებენ მისი მეგობრები და მოწაფეები. და ეს დაფასება ყველაზე უფრო მეტად შეიძლება იმ ორ სიტყვაში ჩანდეს, რომელსაც ხშირად იტყვიან ხოლმე ისინი გიორგი სიმონის ძეზე. „დაუდგრომელი ადამიანი“ — ასე უწოდებენ მას ახლობელნი.

...სპორტდარბაზი. ახალგაზრდები ვარჯიშობენ სხვადასხვა იარაღებზე, ხვეწენ რთულ ილეთებს. უცბად ყველამ დაძაბა ყურადღება. მხნე, ენერგიული ნაბიჯით დარბაზში შემოდის გ. ს. ეგნატაშვილი. — ახლა თითოეული ცდილობს უფრო ზუსტად, უფრო სუფთად იმუშაოს, რადგან ადამიანს, რომელიც მათ თვალყურს ადევნებს, არ გამოეპარება მათი თუნდაც მცირე შეცდომა.

— გიორგი სიმონის ძევ, გვიჩვენეთ როგორ ვიმუშაოთ კვერთხებით. ვარჯიში არ გამოგვდის, — სთხოვენ მას ახლაც ახალგაზრდები.

და როდესაც ეს დაუზარებელი ადამიანი ხელში იღებს კვერთხებს და ჭაბუკური სიმსუბუქით ასრულებს ურთულეს მოძრაობებს, ვერავინ იტყვის, რომ მან უკვე 75 წელს მიაღწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ქორქია

ადამიანი მიაპობს წყალს...

საუკუნეთა განმავლობაში ეუფლებოდა ადამიანი წყალში ცურვის ხელოვნებას. მოცურავეთა ეს დიდი ხელოვნება თაობიდან თაობაში გადადიოდა და ახლა მან სპორტული ცურვის უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია. როგორც ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებულ დისტანციებზე, ისე ე. წ. მარათონულ ცურვაში ნაჩვენებია შედეგები, რომლებზედაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა.

პირველ დიდ პროგრესს თანამედროვე სპორტულ ცურვაში ამერიკელებმა მიაღწიეს. მათს აბსოლუტურ უპირატესობას „ლაქვარდისფერ ბილიკებზე" ოდესღაც კონკურენტი არა ჰყავდა მსოფლიოში. მოკლე მანძილებზე ცურვის ხელოვნებაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა 20-30-იანი წლების შესანიშნავმა სპორტსმენმა, ბრწყინვალე მოცურავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, განუმეორებელმა სპრინტერმა ჯონი ვაისმიულერმა. მან პირველმა გადალახა იმ დროისათვის წარმოუდგენელი ზღუდე 100 მეტრზე ცურვაში — 1 წუთი.

ვაისმიულერი უჩვეულოდ ცურავდა და უაღრესად სპეციფიკური სტილი ჰქონდა. იგი წლების განმავლობაში ბატონობდა ოლიმპიურ თამაშებზე და სხვა უდიდეს შეჯიბრებებზე. მაგრამ როცა დრომ და ხანმა ბოლოს მაინც გაიტანეს თავისი და ჯონი უწინდელი ჯონი აღარ იყო, მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ჰოლივუდის რომელიღაც ფირმასთან. იმ დღიდან ვაისმიულერი მსოფლიოს ეკრანებს მოევლინა როგორც ტარზანის ზღაპრულ თავგადასავალთა პოპულარული შემსრულებელი. მას მიმზიდველი სახე და ანტიკური სილამაზის სხეული ჰქონდა. ვაისმიულერი ჩვენც ვნახეთ ოთხსერიიან „ტარზანში", სადაც იგი წყალში თევზივით ცურავდა, ხიდან ხეზე ჩიტივით ფრინავდა და საზარელი ყიჟინით აფრთხობდა ჯუნგლების ბინადრებს — ვეფხვებსა და ბეჰემოტებს. ჯონიმ დიდი ბიზნესი გააკეთა, უამრავი ფულიც იშოვნა, მაგრამ იგი გასაოცარი ქარაფშუტობით ფანტავდა თავის დოლარებს ბირჟაზე, და ცოლად მდიდარი კინოვარსკვლავი რომ არ შეერთო, „ლამაზი ბიჭი" ჯონი ალბათ ულუკმაპუროდ დარჩებოდა.

„ვაისმიულერის კროლი" ჩვენს დღეებშიაც ცოცხლობს და სრული უფლებებით სარგებლობს. ვაისმიულერის შემდეგ ვერავინ შეძლო უფრო სწრაფმავალი ტექნიკის შემუშავება. მართალია, მისი რეკორდები კარგა ხანია მოხსნილია, მაგრამ უფრო სრულყოფილი ტექნიკა არავის არ ჰქონია. უბრალოდ, ახლა XX საუკუნის 60-იანი წლებია და წვრთნის თანამედროვე მეთოდები და მოცურავის მზადების პროცესი უმაღლეს საფეხურზე არის აყვანილი.

ყოვლისშემძლე ამერიკული ბიზნესი ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებოდა გამოჩენილ მოცურავეებს და ულმობლად ეზიდებოდა სამოყვარულო სპორტიდან პროფესიონალობისაკენ. ჯონი ვაისმიულერი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ასევე დაემართა გამოჩენილ ამერიკელ მოცურავე ქალს ენ კერტისს. ამ ულამაზესმა ქალმა, ჩემპიონმა და რეკორდსმენმა თავისი რანგით, ტიტულით, სიტურფით და მოპოვებული მედლებით ისარგებლა და დიდი ბიზნესი გააკეთა. მისთვის საგანგებოდ იწერებოდა კინოსცენარები, სპეციალურად იწვევდნენ პარტნიორებს, აშენებდნენ დეკორაციებს. ვიღას ახსოვდა სპორტი!

ასეთივე პრიმადონა იყო ოლიმპიური ჩემპიონი ს. ციმერმანი, რომელიც თავის სპორტულ ტალანტს სხვადასხვა საწყლოსნო პანტომიმებში ფლანგავდა და თვალისმომჭრელ სბანაო კოსტუმებში გამოწყობილი სელაპებთან და დელფინებთან ერთად დანავარდობდა ცეცხლოვან შადრევნებში. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ნიჭიერი ამერიკელი მოცურავე შთანთქა პროფესიონალიზმის მორევმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიხსენოთ თუნდაც მსოფლიო რეკორდსმენი ჰერტრუდა ედერლე, რომელმაც 1926 წელს მშფოთვარე ლა-მანში 11 საათსა და 30 წუთში გადალახა. ეს იყო იმ დროისათვის აბსოლუტურად საუკეთესო დრო არა მარტო ქალთა, არამედ ვაჟთა შორისაც. მაგრამ შემდეგ ჰ. ედერლეს ისე წაუვიდა საქმე, რომ საწამლავი შესვა სწორედ იმ თასით, რომელიც ლა-მანშის შეუდარებელი გაცურვისათვის მიიღო.

ამერიკელთა ჰეგემონია 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე გრძელდებოდა. მელბურნის ოლიმპიადაზე სურათი შეიცვალა. ავსტრალიელმა მოცურავეებმა თავიანთ შესანიშნავ აუზებში ფენომენალური სისწრაფე განავითარეს და გაოცებულ ამერიკელებს აჩვენეს ცურვის სრულიად ახალი ტექნიკა, რომელმაც მათ მოუტანა საყოველთაო დიდება, სახელი და ახალი რეკორდები. ჯ. ჰენრიკსის, მ. როუზის, დ. ტეილის, დ. ფრეზერის, ლ. კრეპის, ს. მორგანისა და სხვათა გვარები არ სცილდებოდა გაზეთების პირველ გვერდებს. მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ მწვანე კონტინენტზე გამოჩნდა კიდევ ორი ახალი მოცურავე, რომლებმაც ჭეშმარიტად საოცრება მოახდინეს ცურვის ისტორიაში. ესენი იყვნენ სრულიად ნორჩი და-ძმა ილზა და ჯონ კონრადსები. ყოველ ახალ შეჯიბრებაში, სულ ერთია, დიდი ასპარეზობა იქნებოდა თუ სრულიად უმნიშვნელო ადგილობრივი მასშტაბის შეჯიბრება, ილზა და ჯონი თითქმის ყოველდღე, ზედიზედ და სხვადასხვა დისტანციებზე რეკორდს რეკორდზე ამყარებდნენ. ყოველი ახალი გაცურვა ახალი რეკორდი იყო.

ილზა კონრადსზე ჰყვებიან, თითქოს იგი როცა ერთხელ ოკეანეში ცურაობდა, ისე გაერთო, რომ ზვიგენის მოახლოება ვერ შეამჩნია. მწვრთნელმა ძლივს მოასწრო ნიშანი მიეცა მოცურავისათვის და ილზა ისეთი სისწრაფით გამოეშურა ნაპირისაკენ, რომ შორს მოიტოვა საშინელი მტაცებელი. თუ მწვრთნელს დავუჯერებთ, ილზა კონრადსმა ამ დღეს დაამყარა შეუდარებელი, ფანტასტიკური რეკორდი.

ავსტრალიელებმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს კლასიკური სტილით ცურვის ისტორიაში, მაგრამ განვლო ოლიმპიური პერიოდით გათვალისწინებულმა ოთხმა წელმა და გამოირკვა, რომ ეს იყო მხოლოდ ხანმოკლე რევოლუცია. რომის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელმა მოცურავეებმა კვლავ უკან დაიბრუნეს დაკარგული ჰეგემონია და საგრძნობლად გაუსწრეს მთავარ კონკურენტებს. ოლიმპიურ ქარტიაში ჩაიწერა კ. ფონ ზალცას, ჯ. ბრინის, კ. შულერის, მ. ტროის, ლ. ლარსონის, ლ. ბერკისა და სხვათა ახალი სახელები.

მელბურნში დაიწყო ის დიდი გადატრიალება ცურვაში (განსაკუთრებით თავისუფალი სტილით ცურვაში), რომელმაც სავსებით ლოგიკური დასასრული ჰპოვა რომში. ეს გადატრიალება შემდეგში მდგომარეობს.

ადრე ცურვის სპეციალისტთა მთელი მეცადინეობა იქით იყო მიმართული, რომ „მოცურავე თევზი“ შეექმნათ, ახლა კი ეს ფორმულა მოძველდა და პირველ პლანზე „მოცურავე ათლეტმა“ წამოიწია. ძველი „მოცურავე თევზი“ დავიწყებულ იქნა, რადგან, როგორც უცხოელი სპეციალისტები წერენ, ადამიანი უფრო სწრაფად უნდა ცურავდეს, ვიდრე... თევზი.

ვის ეკუთვნის ახლა თითქმის ფანტასტიკური რეკორდები? ბავშვებს, 15-16 წლის ბავშვებს, რომლებიც ადრეულ ასაკში აღწევენ ნორჩი ორგანიზმის უჩვეულო განვითარებას.

ჩვენში?

ჩვენ ძალზე ჩამოვრჩით სპორტულ ცურვაში. ამ სახეობაში მსოფლიო პირველობები არ იმართება და უდიდეს შეჯიბრებად, საერთაშორისო ჰეგემონობის საზომად ითვლება ოლიმპიური თამაშები. აქ კი საბჭოთა მოცურავეთა ხვედრითი წონა მეტისმეტად დაბალია. თვითონ წარმოიდგინეთ: მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენს მოცურავეებს ჰქონდათ ბრინჯაოს 2 მედალი და 10 ქულა საერთო ჩათვლაში, ხოლო რომის ოლიმპიადაზე ჩვენს წილად არც ერთი მედალი არ მოდის საერთოდ. თითოოროლა წარმატება იშვიათად გამოჩნდება ხოლმე და ამ წარმატებასაც არასტაბილური და გარდამავალი ხასიათი აქვს. რაც შეეხება ისეთ მოცურავეებს, რომლებსაც შეეძლებათ ღირსეული კონკურენცია გაუწიონ ამერიკისა და ავსტრალიის უმაღლესი კლასის სპორტსმენებს, ჩვენ ჯერჯერობით არა გვყავს. მართალია, ევროპის მასშტაბით არც თუ ისე ჩამორჩენილები ვართ, მაგრამ ევროპა რა სათვალავში ჩასაგდებია! ევროპა თვითონაა ცურვაში ჩამორჩენილი.

უძლიერესი საბჭოთა მოცურავეები სპორტული მიღწევების ზენიტს 22-25 წლის ასაკში აღწევენ, ეს ცურვისათვის მეტად მობერებულ ასაკად ითვლება. ეტყობა, საჭიროა ძირფესვიანად გარდაიქმნას მოზარდთა ცურვის საქმე.

ჩამორჩენილთა შორის ითვლებიან საქართველოს მოცურავეებიც. მართალია, აქა-იქ შოულოდნელად გაიელვებს ხოლმე რომელიმე სპორტსმენის მაღალი შედეგი (ბ. ნიკიტინი, ი. ფუნიკოვი და სხვ.), მაგრამ ეს ისეთი მაჩვენებლებია, რომლებიც, როგორც იტყვიან, „ამინდს არ ქმნის“. ორი-სამი კაცის ეპიზოდური მიღწევა რა სატრაბახოა, როცა საქართველოს სპორტის სხვა სახეობებში ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიო ჩემპიონები და საერთაშორისო მასშტაბის სპორტსმენები ჰყავს.

ჩვენ სამხრეთში ვცხოვრობთ. წმინდა სპორტულ ცურვას თავი რომ დავანებოთ, ჩვენში

ზაფხულობით ისეთი თაკარა იცის, რომ აუზები ყოველი ფეხის ნაბიჯზეა საჭირო მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენ ისეთივე რაოდენობით უნდა გვქონდეს საცურაო აუზები, როგორც ამერიკაში, ავსტრალიაში, უნგრეთში, იაპონიაში და სხვაგანაა.

აუზები კი ერთობ ცოტაა. ცოტა კი არა — თითქმის არაა.

აიღეთ, მაგალითად, თბილისი. აუზები თითებზე ჩამოსათვლელია. ამ აუზებში ახალმოსულთათვის კი არა, თანრიგოსანი სპორტსმენებისთვისაც კი არა ჰყოფნით საცურაო ბილიკები.

იქნებ ვინმემ იფიქროს: სოხუმის, ბათუმისა და ფოთის მცხოვრებლებს აუზი რად სჭირდებათ, შავ ზღვაზე უკეთესი საცურაო ადგილი სად მოიძებნებაო, არც ხარჯი უნდა და არც ძებნა, მიდი და იცურავე მაისიდან ნოემბრამდეო.

მაგრამ შავი ზღვა აუზი არ არის. იგი იშვიათადაა მშვიდი, ხოლო მცირეოდენი ღელვის დროსაც კი მეტად ძნელდება თანამედროვე სპორტული ცურვის ტექნიკური ილეთების დახვეწა და სრულყოფა. სპორტსმენი წყალს უნდა ებრძოდეს და არა ტალღას. გარდა ამისა, ზამთარი შავი ზღვის სანაპიროზეც ზამთარია და რამდენიმე თვის მანძილზე წყალში ჩასვლა თითქმის შეუძლებელია ხოლმე.

ოლიმპიურ ლიტერატურაში შეხვდებით მელბურნისა და რომის საცურაო აუზების აღწერილობას. ესაა XX საუკუნის სამოციანი წლების არქიტექტურული ნაგებობანი — ბეტონისა და მინის შესანიშნავი კომბინაცია საუცხოო ვენტილაციით, ხოლო წყალი, რომელიც საგანგებოდ თბება, ისეთი სუფთა და გამჭვირვალეა, რომ აუზის ფსკერზე თვითეულ წერტილსაც კი გაარჩევთ.

ახლა აიღეთ თბილისის ყველაზე დიდი საწყლოსნო ბაზა — საზაფხულო აუზი. იგი მტკვრის მღვრიე, უსუფთაო წყლით ივსება, თუმცა წყლის დასაწმენდად მარტივი მოწყობილობის გაკეთება არც თუ ისე დიდ ხარჯებსა და შრომას მოითხოვს. სპორტსმენებს დასასვენებელი ადგილი არა აქვთ, ხოლო გასახდელები ისეა მოწყობილი, რომ მიყრუებული პროვინციის ბანოსაც არ ეკადრება.

აქ მომზადდება უმაღლესი კლასის მოცურავეები? შეუძლებელია!

უკანასკნელი წლების მანძილზე სპორტულმა ცურვამ არნახულ პროგრესს მიაღწია. ტონის მიმცემად და საერთო კლასის განმსაზღვრელად საერთოდ კროლი ითვლება. ბოლო ხანებში სწორედ ამ სტილით ცურვაში მოხდა დიდი ძვრები. გამოჩენილ მოცურავეთა აღმზრდელი, ცნობილი ავსტრალიელი მწვრთნელი ფ. ჰატრი წერდა: „უდიდესი სისწრაფით ცურვისას მთავარია ხელები. ხელები — მოტორია და ცურვის დროს ფეხები არ უნდა უშლიდეს ხელებს“.

მართლაც, საუკეთესო ამერიკელი და ავსტრალიელი კროლისტები ისე ცურავენ, რომ სპეციალისტებიც კი ძლივს ასწრებენ მათი ხელების მონაცვლეობისათვის თვალის დევნებას. ხელები, ხელები! ისინია დღევანდელი ფენომენალური რეკორდების მთავარი ძალა. ისინი მიაქანებენ წინ წყლიდან მაქსიმალურად ამოწეულ სხეულს. მართალია, უცხოელ მოცურავეთა შორის ბევრსა აქვს გადახრა ე. წ. კლასიკური ნორმებიდან, მაგრამ ყველაფერი ეს თვითეული მოცურავის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით ხდება.

ჩვენ ყველაფერი ამის მიღმა ვდგავართ. ჩვენი სპორტსმენები ისეთ ჭუჭყიან წყალში ცურავენ, რომ კაცი ვერ გაიგებს — მათი ან ფეხი როგორ მოძრაობს, ან ხელი.

ჩვენი სპეციალისტები ჯერ კიდევ არ ეუფლებიან წვრთნის უახლესი მეთოდების პრინციპს, ჩამორჩნენ პრაქტიკულადაც და თეორიულადაც, მათი პროფესიული ოსტატობა განვლილ, გუშინდელ დღეს მიეკუთვნება. არ მოგვეპოვება არც სასწავლო-მეთოდური ფილმები და არც ლიტერატურა ქართულ ენაზე.

ჩვენი მოცურავეების ასეთი ჩამორჩენა უაღრესად სამწუხარო ფაქტია. რატომ უნდა იყვნენ ისინი ბოლო რიგებში? ხომ გვყავს ჩვენ საუკეთესო წყალბურთელები, რომელთა რიცხვიდან არა ერთი და ორი უმაღლესი კლასის მოთამაშე გამოსულა.

ცურვა მასობრივ სახეობად უნდა იქცეს ჩვენს რესპუბლიკაში. საამისოდ საჭიროა კეთილმოწყობილი ბაზები, სადაც საქართველოს ჭრავალი საუკეთესო მოცურავე აღიზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალია

კინემატოგრაფიის კრიზისი

ავსტრალიის კინემატოგრაფია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში; ამჟამად ის კრიზისს განიცდის. შარშან გამოუშვეს მხოლოდ ეოთი ფილმი — „სანდაუერის ოჯახი", ისიც ჰოლივუდის ფირმა „უორნერ ბრაზესის" მონაწილეობით. წელს დაგეგმილია სამი ფილმის გადაღება, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, საეჭვოა მათი გამოსვლა, რადგან სახსრები არ ჰყოფნით. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გამოშვებული ფილმების უმრავლესობა ამერიკული და ინგლისური კომპანიების მიერაა გადაღებული. „საუტერნ ინტერნეიშნლმა", ერთადერთმა ავსტრალიურმა კინოკომპანიამ, რომელიც შედარებით უფრო რეგულარულად მუშაობს, უკანასკნელი 6 წლის მანძილზე მხოლოდ 6 ფილმი გამოუშვა.

ა მ შ

ჰემინგუეის უკანასკნელი რჩევა

თავის ტრაგიკულ აღსასრულამდე რამდენიმე კვირის წინ ჰემინგუეიმ სან-ფრანციზკოს უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია ლიტერატურის საკითხებზე. სხვათა შორის, მან განაცხადა, ახალგაზრდა მწერლებს ვურჩევ ივარჯიშონ ტელეგრამის ტექსტის შედგენაშიო: „თუ ყოველ ზედმეტ სიტყვაში ადამიანმა 20 ცენტი უნდა გადაიხადოს, ძალაუნებურად მიეჩვევა სათქმელის მოკლედ და ზუსტად თქმას", თქვა სახელგანთქმულმა მწერალმა.

გათანამედროვეგული „პერ-გიუნტი"

ბიზეს „კარმენისა" და შოუს „პიგმალიონის" ოპერეტად გადაკეთების მერე ახლა იბსენის „პერ-გიუნტს" მიადგნენ. ნიუიორკში, ბროდვეის ერთ-ერთ თეატრში, წარმოდგენილი იქნა ოპერეტა — „იცნობდეთ პიტერ გრანტს", რომლის ტექსტი იბსენის მიხედვით დაწერა ელიოტ არდენმა, ხოლო „თანამედროვე" მუსიკა შექმნა ტედ ჰარისმა. მოქმედება წარმოებს ამერიკაში, სოლვეიგი აქ მონათლულია სალით.

დალტონ ტრუმბოს ახალი სცენარი

„რეაქციის ღამე"—ასე ეწოდება ფილმს, რომლის სცენარსაც მალე დაამთავრებს დალტონ ტრუმბო. იგი გვისახავს გერმანიის ცხოვრებას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ; ამით ტრუმბომ, ცნობილმა ანტიფაშისტმა, კვლავ მონახა შესაფერი მასალა. დალტონ ტრუმბო ეკუთვნოდა „ჰოლივუდის ათეულს". კონგრესის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევმა კომისიამ 1947 წელს ის სატუსაღოში ჩასვა პროგრესული საქმიანობისთვის. გათავისუფლების შემდეგ მას აღარ შეეძლო სცენარების გაყიდვა თავისი გვარით. ის წერდა სხვადასხვა ფსევდონიმით. ფილმმა, რომლის სცენარსაც მოწერილი ჰქონდა ფსევდონიმი „რობერტ რიჩი", 1958 წ. ოსკარის პრემიაც კი მიიღო, მაგრამ ავტორი არ გამოცხადდა პრემიის მისაღებად, რამაც მაშინ დიდი სკანდალი გამოიწვია. ახლა ტრუმბო უკვე საკუთარი სახელით წერს სცენარებს; ასეთებია: „სპარტაკი", „ბენის ტბა გაქრება" და „გმირის აღსასრული".

გერმანია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

„ქ-ნი ფლინცი და ამხანაგი ვეილერი"

ბრეხტის თეატრმა „ბერლინერ ანსამბლმა" დადგა ახალგაზრდა გერმანელი მწერლის ჰ. ბაიერლის თანამედროვე პიესა — „ქ-ნი ფლინცი და ამხანაგი ვეილერი". პიესა არსებითად წარმოადგენს ბრეხტის „ძალუა კურაჟის" გადღევანდელებულ ვერსიას. პიესის გმირი ქალი, რომელსაც ბრწყინვალედ თამაშობს ელენ ვეიგელი, არის მოხუცი გერმანელი ქალი ქ-ნი ფლინცი; ის თავის ვაჟებიანად გამოასახლეს ჩეხოსლოვაკიიდან და თავს ამოჰყოფს გდრ-ში, სადაც გაივლის მეტად ძნელ გზას ახალი საზოგადოებრივი წყობილების

სიძულვილიდან მის სრულს ალიარებამდე. პიესის რეჟისორები არიან ბრეხტის მოწაფეები და ყოფილი ასისტენტები პეტერ პალიჩი და მანფრედ ვეკვერტი.

„ეკონომიური სასწაულის“ ფასადს უკან

დასავლეთგერმანელმა მწერალმა ერნსტ გლეზერმა, რომლის კალამსაც ეკუთვნის რომანები — „1902 წელი“ და „უკანასკნელი სამოქალაქო“, ხანგრძლივი დუმილის მერე გამოსცა ახალი რომანი — „გერმანელთა ბრწყინვალება და სიღატაკე“. მკითხველის თვალწინ იშლება ომისშემდგომი ეპოქის ვრცელი პანორამა. რომანში აწერილია ქალაქ დრეიმიუნსტერის აღდგენა ნანგრევებიდან, მოქმედებაშია ნაჩვენები „ეკონომიური სასწაული“, მხილებულია ღრმა საიდუმლოებანი რჩეული საზოგადოებისა, რომლის სიცრუე-სიყალბის დაუნდობელ მსაჯულადაც გვევლინება ავტორი. რომანის მთავარი გმირია ნიჭიერი არქიტექტორი ციმერნი, რომლის ირგვლივაც ვითარდება მოქმედება. ის აღმოჩნდება ქალაქის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ორი ჯგუფის ბრძოლის შუაგულში. ციმერნის მტრები — პროფაშისტურად განწყობილი მასწავლებელი იაბლონენი, ჟურნალის რედაქტორი პფლანტერი, რომელსაც ეშინია არქიტექტორმა არ ამხილოს, რა მხეცობას ჩადიოდა ის რუსეთში, ქარხნის დირექტორი იმპოფი — ყველა ესენი ცდილობენ მასთან ანგარიშის გასწორებას. გლეზერი გვიჩვენებს, რომ ეკონომიური სასწაულის ბრწყინვალე ფასადს უკან იმალება სულიერი სიღატაკე, სიცალიერე, ეგოიზმი და გამდიდრებისთვის გამწარებული ბრძოლა.

„ნიბელუნგების“ ახალი გადალება

პროდიუსერმა არტურ ბრაუნერმა გადაწყვიტა ხელი მოჰკიდოს გრანდიოზულ საქმეს, რომელიც საკმაოდ ძვირი დაჯდება: მან გადაწყვიტა დააფინანსოს ეპიური ფილმი „ნიბელუნგები“ ძველგერმანული საგის მიხედვით. 20-იან წლებში „ნიბელუნგები“ გადაიღო რეჟისორმა ფრიც ლანგმა. ფილმის კომერციული წარმატება უნდა უზრუნველჰყონ პოპულარულმა მსახიობებმა: ჰარდი კრიუგერი ითამაშებს ზიგფრიდს, რომი შნეიდერი — კრიმჰილდას და ბარბარა რიუტინგი — ბრუნჰილდას.

გვატემალა

კოლუმბამდელი პოეზია

ცნობილმა პროგრესულმა გვატემალელმა მწერალმა მიგელ ანხელ ასტურიასმა ამას წინათ გამოსცა კრებული, რომელშიც შევიდა სამხრეთ ამერიკის უძველეს მცხოვრებთა — აცტეკებისა და მაიას პოეზია. ამ პოეზიის ჩანაწერები არის ორი ესპანელი დურანისა და ლეონ პარტილიას დღიურებში. კრებული იყოფა სამ ნაწილად: „ღმერთების შესახებ“, „გმირების შესახებ“ და „ადამიანების შესახებ“, და გადაგვიშლის პოეზიის დღემდე სავსებით უცნობ სფეროს, რომელიც მიეკუთვნება დღევანდელი ლათინური ამერიკის ინდიური კულტურის კოლუმბამდელ ისტორიას და ძველი ეგვიპტის პოეზიას მოგვაგონებს.

გვინეა

თვალსაჩინო რომანი

გვინეის ლიტერატურაში რომანის თითქმის პირველ შემქმნელად გვევლინება ახალგაზრდა მწერალი ემილ სისე. მისი რომანი „ასიატუ“ გვიხატავს **1958 წლის** შფოთიან დღეებს, როცა ყუდებოდა საფრანგეთის აფრიკის ბედიღბალი და როცა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის შედეგად შეიქმნა ახალი სახელმწიფო — გვინეის რესპუბლიკა. რომანს წინასიტყვაობა წაუმძღვარა რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ.

ესპანეთი

ევროპის მწერალთა კავშირის შეფოგით

თანამედროვე ესპანურ პოეზიაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო ხესუს ლოპეს პანჩეკას ლექსების კრებული— „მე ხელს ვუწვდი ესპანეთს“. წიგნი გამოვიდა იტალიაში, ვინაიდან ფრანკისტებმა ის აკრძალეს. მაგრამ პანჩეკას სიტყვა მაინც მისწვდა ევროპას და მთელს მსოფლიოს. მისი ულმობელად ძლიერი და უსაზღვროდ უბრალო სტრიქონები, რევოლუციის მოსვლას რომ წინასწარმეტყველებენ, გამოვიდა ორ ენაზე — ესპანურსა და იტალიურზე. ამ წიგნის შეფობა იკისრეს ევროპის მწერალთა კავშირმა და ევროპული კავშირის გამომცემლობამ.

იაპონია

ფილმი ბუდას შესახებ

აქ იღებენ ფილმს ბუდას ცხოვრების შესახებ. ფილმის უმეტეს ნაწილში ბუდა გამოყვანილი იქნება როგორც ხმა, აჩრდილი ანდა როგორც დამახასიათებელი მუსიკალური მოტივი.

ინგლისი

ვერ გაექცევი...

შეილა დელანეი, ახალგაზრდა ინგლისელი დრამატურგი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ქალი, რომელიც თავისი პირველი ნაწარმოებით („წვეთი თაფლი") ხელად მოჰყვა ყველაზე სახელმოხვეჭილ ინგლისელ დრამატურგთა რიცხვში, „დეილი უორკერის" კორესპონდენტს ესაუბრა თავისი ნაწარმოებებისა და, ამავ დროს, თანამედროვე თეატრალური შემოქმედების პრობლემებზე დასავლეთში. ის დარწმუნებულია, რომ კარგმა პიესამ არა მხოლოდ უნდა გაართოს ხალხი, არამედ უნდა ჩაფიქროს იმაზე, რაც პიესაშია ასახული. ჩვენი ეპოქის ადამიანებმა იციან გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე სცოდნიათ წინათ და ადამიანები უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ თავიანთ სინდისს იმისათვის, რომ მიაღწიონ სოციალური უთანასწორობისა და შიშის მოსპობას, — მთელი მსოფლიო ხომ ამ შიშს განიცდის. როგორც კი დრამატურგი გვერდს უხვევს რეალობას, ეს მაშინვე აშკარა ხდება. თუ ის პატივს სცემს საკუთარ თავს, ვერ გაექცევა სინამდვილეს. რაკი თეატრს საფუძვლად უდევს ფართო ჰუმანიზმი, დრამატურგია გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ეპოქის ადამიანთა მდგომარეობას. საკუთრივ თავისი გეგმების შესახებ მწერალმა ქალმა განაცხადა, რომ თავისი უკანასკნელი პიესის „შეყვარებული ლომის" შემდეგ, რომელიც ხელოვნების თვალსაზრისით წარმატებად მიაჩნია, თუმცა ფინანსიურად ნაკლებშემოსავლიანი გამოდგა, ის ახლა წერს პიესას კომერსანტზე, რომელმაც 600 წლის უკან შავი ჭირი შეიტანა ინგლისის ერთ პატარა სოფელში და მოსპო ყოველივე ცოცხალი. თუმცა პიესაში შუასაუკუნეობრივი სიუჟეტია აღებული, მისი ჭეშმარიტი აზრი დღევანდელობას ეხმაურება.

ᲞᲠᲘᲡᲢᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

გამოჩენილმა ინგლისელმა მწერალმა და ინგლისის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ თავგამოდებულმა მებრძოლმა პრისტლიმ დაწერა ახალი რომანი — „სატურნი წყალქვეშ", რომელშიც მწერალი პირველად როდი ეხება თანამედროვეობის ყველაზე უფრო მწვავე საკითხებს. ამ რამდენიმე წლის უკან რომანში — „დაინონის განკითხვის დღე" მან აღწერა ატომური ბომბის საწყობის „შემთხვევითი" აფეთქება და მისი შედეგები. მწერალი ახალ რომანშიც აღშფოთებულ პროტესტს აცხადებს კაცობრიობის გაულეტისათვის ატომური ბომბის დამზადების წინააღმდეგ.

67 წლის მწერლის ახალ რომანში მთავარი გმირია მხატვარი, რომელიც ასრულებს მომაკვდავი ქალის უკანასკნელ სურვილს და მსოფლიოს ქალაქების რუკით ჯიბეში მიემგზავრება მსოფლიოს შემოსავლელად მისი უეცრად გამქრალი ქმრის საძებნად. ძაფები შეთქმულების ქსელისა, რომელიც მთელს დედამიწას შემოხვევია, ჩილისა და პერუს გავლით ავსტრალიაში მიიყვანს. საიდუმლო სამსახურის მიზანია რაც შეიძლება მალე გაჩაღდეს მესამე მსოფლიო ომი.

გაზეთ „დეილი უორკერის" აზრით, ინგლისის წიგნის ახლანდელ ბაზარზე გამოსულ წიგნებს შორის პრისტლის ეს წიგნი ყველაზე მეტად ჩააფიქრებს მკითხველს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲝᲛᲖᲔ

ინგლისელ ხალხში სულ უფრო მატულობს იმის შეგნება, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ამ მოვლენას ეხმაურებიან ახალგაზრდა ინგლისელი პოეტები. ამ ბოლო დროს გამოჩნდა მრავალი ლექსი, რომლებიც ასახავენ ადამიანთა შეშფოთებას იმის გამო, რომ ატომური ომი შეიძლება დაიწყოს სრულიად მოულოდნელად — რაიმე გაუგებრობის, უბედური შემთხვევის ან რადარის სიგნალების არასწორი მიღების გამო.

ყოველკვირეული „ტრიბიუნ" აქვეყნებს ახალგაზრდა პოეტების მთელ რიგ პოემებსა და ლექსებს საერთო სათაურით — „პროტესტის ლექსები".

პოეტი ქალი ჯეინ უაიტი წერს ამასთან დაკავშირებით: „ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს მაიდანეკის მსხვერპლთა ფერფლისა დღევანდელ დღეს, როცა კაცობრიობას კვლავ დააწვა საფრთხე. ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს ფარაჯიან გმირთა, უკრაინის გმირთა აჩრდილებისა იმის გამო, რომ დღეს დედამიწაზე ცვივა „სტრონციუმი-90... „მაგრამ — განაგრძობს უაიტი — თუ ჩვენი ხმა უფრო ძალუმად გაისმება მთელი მსოფლიოს გასაგონად წყალბადის წყეული ბომბის წინააღმდეგ, მაშინ შეგვეძლება ვუთხრათ წმიდა აჩრდილებს — ჩვენს მსაჯულებს: ნუ გვდებთ ბრალს. ჩვენ შეუსვენებლად ვიბრძოდით ბომბების წინააღმდეგ".

ახალგაზრდა ინგლისელი პოეტები ღრმად მგრძნობიარე ლექსებით აფრთხილებენ თავიანთ თანამემამულეებს მოახლოებული საფრთხის გამო და მოუწოდებენ ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებთან ბრძოლისაკენ.

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲘᲡ...

ჟურნალ „კინემატოგრაფ უიკლის" შეფასებით ახალი ფერადი ფილმი „მეამბოხე" წარმოადგენს სატირულ კომეოიას, რომელიც დასცინის ზემოდერნისტულ ფერწერას, სიურრეალისტებს, ეკზისტენცია-

ლისტებს და „მდიდარ მეცენატებს სენის მარცხენა ნაპირიდან.

ფილმის გმირია კლერკი (ტონი ჰენკოკის შესრულებით), რომელსაც არ აკმაყოფილებს მისი მოსაწყენი სამუშაო. წარმოიდგენს, დიდი ნიჭის პატრონი ვარო, მიდის პარიზში და დროებით ხდება მოდური მხატვარი. რაკი დარწმუნდება, ხელოვნების ამ დარგში ყველანი გადარეულანო, ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება.

იტალია

ღვთისმოსავური ფილმი — 5 საათიანი

დანო დე ლაურენტიისმა, იტალიის უდიდესი კინოკომპანიის მფლობელმა, გადაწყვიტა ამ წლის ბოლოდან სავსებით შეწყვიტოს ყოველგვარი წარმოება და 3 წლით მთელი თავისი ძალები და სახსრები მოახმაროს ერთ არგაგონილ ფილმს, რომელსაც ჯერჯერობით აქვს მხოლოდ მოკლე სახელწოდება „ბიბლია". ფილმისთვის მასალას ამოკრებენ ძველი და ახალი აღთქმიდან, ამასთან ექსპერტებად მოწვეული იქნებიან სხვადასხვა მიმართულების თეოლოგები. ფილმის გადაღებაზე მოწვეულია რეჟისორთა მთელი კოლექტივი და მრავალი სხვადასხვა ქვეყნის მსახიობი. ფილმს გადაიღებენ ორ სერიად, წინასწარი გაანგარიშებით, თითო სერიის ჩვენება გასტანს 5 საათს. დე ლაურენტიისს განზრახული აქვს ამ ფილმის წარმოებას მოახმაროს 15 მლრდ ლირა მაშინ, როცა „ნორმალური" ფილმის გადაღება 200 მლნ ლირა ჯდება ხოლმე.

მსახიობი — ორგზის მეცნიერებათა დოქტორი

სახელგანთქმულმა იტალიელმა კინომსახიობმა ქალმა ჯულიეტა მასინამ, რომელიც ასრულებს მთავარ როლს ფილმებში — „გზა" და „კაბირიას ღამეები", ამას წინათ რომის უნივერსიტეტში მეორედ მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ადრე მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ზოოლოგიიდან, ახლა კი დაიცვა დისერტაცია თემაზე — „მსახიობთა სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა" და მოიპოვა სოციოლოგიის დოქტორის წოდება.

ნერონის სასახლეში

ნერონის სასახლეში, რომელიც აგებულია ჩვ. წელთაღრიცხვის 63 წელს, კვლავ აღმოჩნდა გასაოცარი ფრესკები. სპეციალისტების აზრით, ეს განსაცვიფრებელი ხილამაზის ფრესკები ეკუთვნის მხატვარ ფაბულუსს ან ამულიუსს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ნერონის სასახლის დამშვენებას მოახმარა.

კინოს ამბები

წელს იტალიელი პროდიუსერები და კინომსახიობები გაცხოველებით მუშაობენ. ამჟამად აქ 40-ზე მეტ ფილმს იღებენ და ზოგ სტუდიას რეჟისორები და მსახიობები არც კი ჰყოფნის. არაოფიციალური ცნობებით იტალიის ფილმის წარმოება ამჟამად უფრო დიდია, ვიდრე შეერთებული შტატებისა. წინათ აშშ წელიწადში 300 — 400 ფილმს იღებდა; ახლა ეს რიცხვი 180-ზე ჩამოვიდა, იტალიამ კი შარშან 190 სურათი გამოუშვა (ამათგან 70 — სხვა ქვეყნებთან ერთობლივად). იმ 40 ფილმიდან, რომლებსაც ახლა იღებენ, უმრავლესობა აგრეთვე ერთობლივი იქნება. მათ შორის აღსანიშნავია „სოდომი და გომორა" (ამერიკასთან ერთად), რომლის რეჟისორია რობერტ ოლდრიჯი; მთავარ როლებს ასრულებენ სტიუარტ გრეინჯერი და ანა-მარია პიეტრანჯელი. სოდომის მბრძანებლის როლს ასრულებს ანუკ ემე. ფილმის დირექტორის მაურიციო ლოდფეს სიტყვით, ეს ფილმი ყველაზე უფრო გრანდიოზული იქნება 1961 წელს; ბევრია მასიური სცენები და კომბინირებული გადაღებები.

გარდა ამისა აღსანიშნავია შემდეგი ფილმები: „ჯერძო ცხოვრება" (ბრიჯიდ ბარდოსა და მარჩელო მასტროიანის მონაწილეობით) და „მადამ სანუენ" (მთავარ როლში სოფია ლორენი). ფილმს იღებს რეჟისორი ქრისტიან უაკი ნეაპოლში (კასერტას სასახლეში), პარიზსა და ესპანეთში (მასიური სცენები); ფედერიკო ფელინი, ვიტორიო დე სიკა, მარიო მონიჩელი და ლუჩინო ვისკონტი მუშაობენ ფილმზე „ბოკაჩიო 70" (თითოეული მათგანი თითო სცენაზე), სადაც სასიყვარულო თემების ფონზე მოცემულია სოციალური ცხოვრების სურათები; რობერტო როსელინი ფრანგ მწერალ ჟალ დ. ობრიესთან ერთად ამთავრებს სცენარს ნეაპოლელ ლეგენდარულ პულჩინელას შესახებ. ფილმი, რომელსაც როსელინი გადაიღებს, მოგვითხრობს პულჩინელას თავგადასავალს ნეაპოლიდან რომისკენ და მეფემზის კარისკენ მოგზაურობის დროს, ფრანგი მსახიობი შარლ აზნავური შეასრულებს მთავარ როლს; სატირულ კომედიაში „დენშჩიკები" დე სიკა თამაშობს პოლკოვნიკის როლს; უკვე მთავრდება ან დამთავრებულია ფილმები, რომლებიც ეხება წინააღმდეგობის მოძრაობას და ომს. ერთი მათგანია „რომის ოქრო", რომელიც მოგვითხრობს რომაელ ებრაელთა საშინელ ბედზე ნაცისტური ოკუპაციის დროს; ამ ცოტა ხნის წინ დე სიკამ დაამთავრა ფილმი „დიდი სამსჯავრო",

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც მონაწილეობენ მელინა მერკური და სილვანა მანგანო. მალე დამთავრდება მუშაობა სცენარზე, რომლის მიხედვითაც იტალია-საბჭოთა კავშირი გადაიღებენ ერთობლივ ფილმს — „იტალიელები კარგი ხალხია". ფილმს გადაიღებს რეჟისორი ჯუზეპე დე სანტისი და ნაჩვენები იქნება გაისად. სურათის მთავარი გმირია იტალიელი ჯარისკაცი გაბრიელე, რომელიც მრავალი თავგადასავლის მერე მოხვდება აღმოსავლეთ ფრონტზე. აქ იგი თვალნათლივ რწმუნდება, თუ ვინ არის მისი მტერ-მეგობარი. ამ ორი ქვეყნის მეორე ერთობლივი ფილმი იქნება დოკუმენტური სურათი — „საბჭოთა კავშირის მიწაზე", რომელსაც გადაიღებენ ლეონარდო კორტესეს სცენარის მიხედვით. წარმოებს მოლაპარაკება ტურგენევის „გაზაფხულის წყლების" მიხედვით ფილმის შექმნის თაობაზე. ფილმ „როკო და მისი ძმების" გახმაურებული წარმატების შემდეგ რეჟისორმა ჯორჯიო სიმონელიმ გადაწყვიტა, რომ ახლა სწორედ შესაფერი მომენტია შეუდგეს კინოკომედიის „როკო და მისი დების" გადაღებას. ფილმი, რომლის გადაღებაც მალე დაიწყება, მოგვითხრობს სიცილიის ერთი მცხოვრებისა (მსახიობი მურჯია) და მისი ოთხი მშვენიერი დის ამბავს. ისინი „ბედნიერების ძებნაში" გადაწყვეტენ გადასახლდნენ მილანში. როდესაც ოჯახი გზად გაივლის რომზე, როკო მოხვდება ციხეში, მისი დები კი, ყველა თავისებურად, აწყობს თავის ცხოვრებას. ეკრანებზე უკვე უჩვენებენ ახალ ფილმს „მკვლელი", რომელიც ელიო პეტრის რეჟისორული დებიუტია. მოქმედება წარმოებს დღევანდელ იტალიაში. ანტიკვარ ალფრედო მარტელის აბრალებენ საყვარლის მოკვლას. რათა დამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, იგი იძულებულია მეხსიერებაში აღადგინოს თავისი ცხოვრების მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტები, მაყურებლის წინაშე თანდათან ისახება მხდალი ეგოისტის სახე, რომელიც კარიერის გულისთვის მზადაა ჩაიდინოს ყოველგვარი სისაძაგლე. გაზეთ „უნიტას" სიტყვით, პეტრიმ შექმნა საინტერესო ფილმი, რომელიც გვიჩვენებს, რომ კანონს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შეუძლია დააშინოს ადამიანი, მაგრამ უძლურია დაეხმაროს მას დაიწყოს ახალი ცხოვრება. როლების შემსრულებელთაგან გაზეთი აღნიშნავს მარჩელო მასტროიანისა და სალვო რანდონეს.

კუბა

ზერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

ამჟამად კუბაში 27.000 კაცი მუშობს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. გარდა ამისა კურსებზე, რომელიც ჩამოაყალიბა წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, მუშაობს 13.000 მასწავლებელი. 22.000 სტუდენტმა ნებაყოფლობით ხელი მოჰკიდა უცოდინართა სწავლებას.

ჰემინგუეის მუზეუმი

ჰემინგუეის ქვრივი დაბრუნდა კუბაზე, რათა, როგორც მან განაცხადა, დაეხმაროს კუბის მთავრობას ჰემინგუეის ვილა ვიგაზე (ჰავანადან 10 კმ) მუზეუმის მოწყობაში. მას განზრახული აქვს კუბის ბანკიდან გამოიტანოს იქ მიბარებული ორი ყუთი, რომლებშიც მისი ქმრის ნაწარმოებები და პირადი დოკუმენტებია, და იზრუნოს მათი გამოცემისთვის. ქ-ნმა ჰემინგუეიმ განაცხადა, რომ ის აპირებს სამუდამოდ დაბრუნდეს კუბაზე, ოღონდ უფრო მოგვიანებით, ვინაიდან მას ჯერ კიდევ უმძიმს იცხოვროს იქ, სადაც ასე ბედნიერი იყო.

რუმინეთი

წინაისტორიული ცხოველები

ახალგაზრდა რუმინელ სპეციალისტთა ჯგუფი პროვინცია ოლტენიაში წარმოებული გათხრების დროს იშვიათ რამეს წააწყდა — აქ აღმოჩნდა საუცხოოდ შენახული ჩონჩხი ცხოველებისა, რომელთაც უცხოვრიათ მილიონი წლის უკან; აქაა მთლიანად შენახული ჩონჩხი წინაისტორიული სპილოსი, რომლის სიმაღლეა 4 მეტრი, ხოლო ხორთუმი 170 სმ. ყველაზე ძვირფასი ნაპოვნია წინაისტორიული უცნობი სახის მაიმუნის თავის ქალა, რომელიც მთლიანადაა შენახული; გარდა ამისა, ნაპოვნია 15 ჯავშნიანი კუს თავის ქალა და მრავალი სხვ. მარტო ის ყუთი, რომელიც ბუქარესტში გაიგზავნა და რომელშიც იყო მხოლოდ სპილოს თავის ქალა, იწონიდა 600 კგ-ს. ყველაფერი, რაც აქ იპოვნეს, შესწავლისა და აღწერის მერე, მოთავსებული იქნება ნაციონალურ გეოლოგიურ მუზეუმში, რომელიც მალე გაიხსნება ბუქარესტში.

საბერძნეთი

სევდისა და რისხვის პოემა

ათენის კედროსის გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი ბერძენი პოეტის იანის რიტსოსის პოემა „შავი წმიდანი", რომელიც ავტორმა დაწერა პატრის ლუმუმბას სიკვდილის გამო. რიტსოსის პოემა ჩაფიქრებულია არა მხოლოდ როგორც რექვიემი ანდა გამოთხოვების ნაღვლიანი სიმღერა, — ის სავსეა რისხვითა და აღშფოთებით, და მოითხოვს შურისგე-

ბას გმირის სიკვდილის გამო. რიტსოსი მოუწოდებს ლუმუმბას თანამებრძოლებს, განდევნეთ თქვენი ქვეყნიდან „თეთრი ჩომბე და შავი ჩომბეო“.

„ანტიგონა ცოცხალია“

ასე ეწოდება ახალი ბერძნული მოთხრობების ანთოლოგიას, რომელიც გამოსცა გდრ-ში გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“. ანთოლოგიის რედაქტორები არიან მელპო აქსიოტი და დიმიტრიოს ხაძის. ანთოლოგიაში შესულია 38 თანამედროვე ბერძენი მწერლის 43 მოთხრობა, ასე რომ ეს კრებული არსებითად სრულად წარმოგვიდგენს ახალ ბერძნულ ლიტერატურას და საბერძნეთის თანამედროვე ცხოვრებას, რომელიც მხატვრულადაა გამოხატული მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ტრაგიკულობით. ანთოლოგიას ფასს მატებს ორი შესავალი სტატია — „ბერძნული მოთხრობები“ და „ახალბერძნული ლიტერატურა“, სადაც მოცემულია თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის განვითარების ისტორიული მიმოხილვა და ცალკეული ავტორების ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები.

საფრანგეთი

ვერკორის ახალი რომანი

ვერკორმა დაწერა ახალი რომანი „სილვა“, რომლის სიუჟეტიც კვლავ ფანტასტიურ-რეალისტურია: მეძებარი ძაღლები მისდევენ მელიას, რომელიც ანაზდად ქალიშვილად გადაიქცევა და ამით გადაურჩება მდევრებს. ის ხვდება ახალგაზრდა ფერმერს, რომელიც შეიყვარებს და შეირთავს ქალიშვილ-მელიას. ქალიშვილს ელის, მაგრამ მელია უჩნდება. ამრიგად, ეს ახალი რომანი გვერდში ამოუდგა წიგნებს „ცხოველები თუ ადამიანები?“ და „ზღვის დუმილი“. იქაც და აქაც ვერკორს, როგორც თვითონ აღიარა, განზრახული ჰქონდა დაერღვია ადამიანების ტრადიციული, საყოველთაოდ აღიარებული წარმოდგენანი და აეძულებინა დაფიქრებოდნენ საგნებს და დაენახათ ყველაფერი სხვა კუთხით.

სატუსაღოს კედლებს იქით...

ალჟირის თავისუფლებისათვის მებრძოლის ანრი ალეგის პირველი წიგნი — „დაკითხვა“, რომელშიც ავტორი აღწერს თუ როგორ დააპატიმრეს და აწამეს ის ფრანგმა პარაშუტისტებმა ალჟირში, მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ფრანგულმა სასამართლომ ალეგს მიუსაჯა 10 წლის პატიმრობა, რომლის ვადასაც იხდის საფრანგეთის ქ. რენის ციხეში. იქ მან დაწერა ახალი წიგნი „სამხედრო ტყვეები“, რომელშიც აღწერილია მისი და მისი თანამებრძოლების მიერ ალჟირის ციხეში გატარებული 3 წელი. გადატანილი ტანჯვის აღწერის მერე ალეგი წიგნს ასრულებს ალჟირის ახლო მომავლის სურათით — სატუსაღოების მაგიერ ბაღებია გადაშლილი და პატიმართა კვნესა-ყვირილის ნაცვლად გაისმის თავისუფალი ალჟირელი ბავშვების კისკისი... ციხეში გამომწყვდეული მებრძოლის ხმა აღწევს მის კედლებს გარეთ და ადამიანებს სინდისს უღვიძებს.

პოეტური მანქანა

რაიმონ კენომ, ცნობილმა ფრანგმა პოეტმა, გონკურის აკადემიის წევრმა, მსოფლიოში სახელგანთქმული „პლეადის“ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სერიათა რედაქტორმა, შექმნა მანქანა-პოეტი. ეს გამოგონება შემდეგია: ამას წინათ გამოვიდა პაწია წიგნაკი მოკრძალებული სათაურით — „ასი ათასი მილიარდი ლექსი“. სინამდვილეში წიგნაკში სულ მოთავსებულია თვით კენოს 10 სონეტი, მაგრამ ეს სონეტები დაწერილია იმდაგვარად, რომ მათს რომელიც გნებავთ სტრიქონს შეუძლია დაჯგუფება სხვა სტრიქონებთან როგორიც გნებავთ ვარიანტსა და კომბინაციაში. საამისოდ ლექსის ყოველი სტრიქონი დაბეჭდილია ქაღალდის ცალკცალკე ზოლზე და ყველა ეს ზოლები აკინძულია. წიგნაკის ყოველ „გადაფურცვლაზე“ გამოდის ახალი ლექსი და თითოეულ მკითხველს შეუძლია ლექსების სხვადასხვანაირი განლაგებით „შეთხზას“ თავისი გემოვნების შესაფერი ლექსი. კენო ირწმუნება, რომ ყველა შესაძლო ვარიანტის წასაკითხავად ადამიანს უნდა დასჭირებოდა 190.258.571 წელიწადი, ისიც იმ პირობით, თუ მთელი დღე იკითხავდა. თუ ამას განვიხილავთ როგორც ლიტერატურულ თავშესაქცევს, მაშინ გონებამახვილური გამოგონებაა; სახიფათო ისაა, თუ ეს ნიშნავს კეთილხმოვანი, მაგრამ აზრსმოკლებული ლექსების გამრავლებას „ყოველნაირი გემოვნების“ მიხედვით, — პოეზიის ავტომატიზაციას.

ფლობერი ეკრანზე

ფრანგმა კინორეჟისორმა ალექსანდრ ასტრიუკმა შექმნა ფილმი ფლობერის რომანის — „გრძნობათა სკოლის“ მიხედვით. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ანუკ ემე და დაუნ ადამსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთი

ახალი საერთაშორისო ენა

დებრეცენის საშუალო სკოლის ფილოლოგიის მასწავლებელმა, ახალი ხელოვნური ენის „რომანიდის“ გამომგონებელმა დ-რმა ზოლტან მადიარმა ინდიანიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (აშშ) მიიღო თხოვნა, გამოგვიგზავნეთ მაგნიტოფონის ლენტი თქვენი ფილოლოგიური არქივის — რომანიდის ენაზე ჩანაწერებითო. რომანიდის ავტორმა მიიღო აგრეთვე მოსალოცი წერილი იტალიის ქალაქ ბერგამოდან. ეს ენა დაფუძნებულია რომანული წარმოშობის იმ სიტყვებზე, რომლებიც შედის კულტურული კაცობრიობის თითქმის ყველა ენაში.

„მილიონობით წიგნი“

ასე ეწოდება ახალ გამოცემას, რომელიც წამოიწყო ბუდაპეშტის გამომცემლობა „ევროპამ“. ეს გამოცემა დაგეგმილია 5 წლის ვადით, ამ ხნის განმავლობაში უნდა გამოვიდეს XX საუკუნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მწერალთა ნაწარმოებების 80 ტომი. ამგვარად საქმე ეხება თანამედროვე კლასიკოსთა თავისებურ ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკა უსინათლოთათვის

ბუდაპეშტის უსინათლოთა ბიბლიოთეკას აქვს მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მხატვრული, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა. გეგმით ყოველწლიურად ფირზე ჩაიწერება 5 ეგზემპლარად არანაკლებ 50 ლიტერატურული ნაწარმოებისა.

შვეცია

მწერლების მდგომარეობა

შვედი მწერლის საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1.600 დოლარს, რაც ნაკლებია ინტელიგენციის სხვა ფენების საშუალო შემოსავალზე და რკინიგზელის ხელფასს უთანაბრდება. მწერლები მეტწილად მუშაობენ ჟურნალისტებად ან პედაგოგებად და მხოლოდ თავისუფალ დროს თუ წერენ. სტოკჰოლმის შრომის ბირჟაზე სპეციალური განყოფილებაც კი არის, რომელიც ეძებს შესაფერ სამსახურს უმუშევარი მწერლისათვის.

ჩეხოსლოვაკია

გრ. აბაშიძის პიესა

ჩეხოსლოვაკური ჟურნალი „ტორბა“ იუწყება: „გალექსილი პიესები იშვიათობაა ყველგან, მათ შორის საბჭოთა სცენაზეც. ამიტომაც საქართველოში და მთელს საბჭოთა კავშირში დიდი ინტერესით მოელიან გრიგოლ აბაშიძის ნიჭიერად დაწერილ პიესას ლექსად — „მოგზაურობას სამ დროში“. ეს პიესაა იმაზე, თუ რა არის ნამდვილად ძვირფასი და ლამაზი თანამედროვეობაში, რომ საჭიროა კაცს ჰქონდეს უნარი დაინახოს დღევანდელი დღის სიდიადე ყოველდღიურ წვრილმანებშიც კი.

ოპერა „აღდგომა“

ჩეხოსლოვაკელმა კომპოზიტორმა იან ციკკერმა დაწერა ოპერა „აღდგომა“ ლევ ტოლსტოის რომანის მიხედვით. ოპერა მალე დაიდგმება პრაღისა და ბრატისლავის ნაციონალურ თეატრებში.

ჩინეთი

სატელევიზიო უნივერსიტეტები

შანხაიში ტელევიზიით გადასცემენ ლექციებს ფიზიკასა, მათემატიკასა და ქიმიაში. არასამუშაო დროს მშრომელთათვის ტელევიზიით უმაღლესი განათლების მოწყობა დაუსწრებელი სწავლების ახალი ფორმაა, ასეთი „სატელევიზიო უმაღლესი სკოლები“ მოქმედებს აგრეთვე პეკინში, ტიანძინში, კანტონსა და ხარბინში.

„ლუ სინის ცხოვრება“

შანხაის კინოსტუდია „ტიანმაშში“ იღებენ მხატვრულ ფილმს — „ლუ სინის ცხოვრება“. სურათს გამოუშვებენ ჩინეთის თანამედროვე ლიტერატურაში რეალიზმის ფუძემდებლის ლუ სინის დაბადების 80 წლისთავისთვის. სცენარის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ჩინელმა დრამატურგებმა და მწერლებმა. ფილმი იწყება 1911 წლის ამბებიდან, ე. წ. სინხაის რევოლუციის ამბებიდან, რომელიც დამთავრდა მანჯურიის დინასტიის დამხობით და რესპუბლიკის გამოცხადებით. ლუ სინის როლს ასრულებს ცნობილი ჩინელი კინომსახიობი ჩუაოდანი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის ამა წლის მეშვიდე ნომრის 103-ე გვერდზე, ზემოდან მესამე აბზაცში, „ალუდას“ ნაცვლად ყველგან უნდა იკითხებოდეს „ჯოყოლა“.

6 Н/324

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“